კვირის პალიტრა

# ალბა

№33 (427) 14/VIII

# საგანგებო მარცხი და პოლიტიკური გამარჯვება?

## ომის ადამიანური ტრაგედიები

# იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

№33 (427)
14 – 20 აგვისტო, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

■ ბარბაროსობა
„მშვიდობის იძულებით დამყარების ოპერაცია“ სადამსჯელო რეიდებით შეიცვალა 6
■ ომი და მშვიდობა
სამხედრო მარცხი და პოლიტიკური გამარჯვება? 7
■ დევნილები
✓ ომის ადამიანური ტრაგედიები 9
✓ ჯარისკაცის დედა და დაჭრილი მეომრები, რომლებიც ბრძოლის ველზე დაბრუნებას ითხოვენ 12
■ ექსპერტები
„მსოფლიო თანამეგობრობას შესწევს ძალა, მას პოზიციები დაათმობინოს“ 14
■ აგრესორის პრესის ფურცლებზე
რუსი ჟურნალისტის თვალით დანახული კონფლიქტი 16
■ კოლეგა
„გიგა პროფესიონალია – არ მინდა, მასზე წარსულ დროში საუბარი“ 18
■ სულის სიმტკიცე
„ფუჭად საუბარს გაძლიერებული ლოცვა სჯობს“ 19
■ სამშობლო
„მთელ აფხაზეთში სამხედრო მობილიზაციაა გამოცხადებული“ 20
■ ისტორიული პარალელები
ვის აძლევდა ხელს ოსურ-ქართული კონფლიქტის გაჩაღება 21
■ ემიგრანტი
საბერძნეთში გადახვეწილი ქალის სატკივარი 23
■ სტუმრები
„მათ საქართველოს დატოვება ძალიან გაუჭირდებათ“ 24
■ და მაინც...
„ყველაფერი ადამიანური ღირსების უსიტყვო გამარჯვებით დამთავრდება“ 26
■ საზოგადოება
ლატვიელი ივეტა კახეთში, უნარშეზღუდული ბავშვები და უცხო თვალით დანახული ძვრები 28

## „ქართველებისადმი ზიზღი რუსეთს არასდროს აკლდა...“

„იმ კაცში, რომელსაც ვლადიმირ პუტინი ჰქვია, ეს ზიზღი გადაჭარბებულია. არასდროს მჯეროდა პუტინის კასპელობის, ლეგენდების მისი მძიმე ბავშვობის შესახებ, მაგრამ ახლა მგონია, რომ ეს ყველაფერი სიმართლეს ჰგავს“.

21

## „აფხაზებო, ოსებო, ნუ გაგვცვლით დამპყრობელ რუსეთზე...“

„ერთი ჩემს გულშიც ჩაგახედათ. ნერვები დაწყვეტაზე მაქვს. ჩემი უფროსი ძმები იბრძვიან, ერთ-ერთი მოკლეს კიდეც, მე კი შინ ვზივარ და ყველაფერს შორიდან ვადევნებ თვალს...“

32

## „გიგა პროფესიონალია – არ მინდა, მასზე წარსულ დროში ვილაპარაკო...“

თუმცა მოგვიანებით გაჩნდა ვერსია – ჟურნალისტის მძიმედ დაჭრისა და ვლადიკავკაზის საავადმყოფოში მისი გადაყვანის შესახებ. რადგან ვლადიკავკაზთან კავშირი გაწყვეტილია, ამ ცნობის გადამოწმება ჯერჯერობით ვერა და ვერ ხერხდება. „ალანიაში“ მისი თანამშრომლები იმედოვნებენ, რომ გიგა დაბრუნდება...

18

– მე ვიცი, რომ ლოგინში სიკვდილი არ მიწერია და თუ ასე იქნება, შიშვნელობა არა აქვს, სად წამომეწევა მტრის ისარი თუ ხანჯალი, ნადირის ეშვი თუ ბრჭყალი. გინდ ცინის ქვეყანაში და გინდაც – ბაღდადში. შორი გზა კი არ მამინებს: ცხოვრებაში მრავალი უდაბნო გადამისერავს, ბობოქარი მდინარეც გადამიცურავს და უბირო უსკრულის ფსკერზეც დავშვებულვარ. ველური ტომიც ბევრი მინახავს. თანაც ისეთები, რომლებიც გაუცყვებელ და გამოუშიფავ ცხვარს კი არ ხარშავდნენ, ერთმანეთს ჭამდნენ უმად. სისხლიც ბევრი მიღვრია და ოფლიც, მაგრამ მაინც დაბრუნებულვარ შინ და ახლაც ასე იქნება.

50

■ ერუდიტი
რომელი ჟურნალი მოიპარა თეო ტლაშაძემ
და რატომ 30
■ თინეიჯერული პონტები
✓ „აფხაზებო, ოსებო, ნუ გაგვცვლით
დამპყრობელ რუსეთზე...“ 32
✓ „ერთი ძმა დაიღუპა, მეორეს ფეხი
მოაჭრეს, მშურს მათი...“ 33
■ ჯანმრთელობა
✓ პიპერტონიული კრიზი 36
✓ გაუფრთხილდით ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტს 37
■ კვალი
„გარდაცვალებისთანავე ლეგენდად იქცა!“ 39
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია.
მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 42
■ ანტიდეპრესანტი 46
■ შეუცნობელი
მეხსიერება და ფენომენური, მაგრამ ფუჭი ნიჭი 46
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ დაოჯახებულები უფრო დიდხანს ცოცხლობენ 48
✓ განიტვირთეთ და გალამაზდით 49
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა
ის ჯვარი (გაგრძელება) 50
■ ტაძარი
„ეს იყო თვით უფლის ნათება...“ 54
■ აჩრდილი
✓ სტალინის „რებრენდინგი“ 56
✓ რკინის ხელის ნოსტალგია 57
■ ტერორიზმი
ლიბანი, ჩეჩნეთი, პალესტინა:
„მოჯაჰიდათის“ ქსელი 58
■ მრავალხმიანი მსოფლიო
წერილები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან 59
■ კრიმინალი
✓ არასრულწლოვანი გოგონას შეურაცხყოფას
მხეცური დანაშაული მოჰყვა 61
✓ ამერიკელი თინეიჯერი პრეზიდენტ
ბუშზე თავდასხმას გეგმავდა... 63
■ ასპარეზი
პეკინი — ქართველი ოლიმპიელების
ფრონტის ხაზი 65
■ გზის არქივიდან
როგორ დაასრულა დავით ციმაკურიძემ მარცხით
დაწყებული ოლიმპიადა ოქროს მედლით 67
■ ავტო 70
■ სკანვორდი 72
■ ტესტი 73
■ პროგნოზი 74

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

## „მთელ აფხაზეთში სამხედრო მობილიზაციაა გამოცხადებული“

„მთელ აფსაზეთში სამხედრო მობილიზაციაა გამოცხადებული და დენთის სუნი გრიალებს. რუსეთს რაღაც აქვს ჩაფიქრებული, თორემ აფსაზეთში ამ რაოდენობით სამხედრო ტექნიკას არ შემოზიდავდა“.

20

## „გარდაცვალებისთანავე ლეგენდად იქცა!“



„მიჭირს ბაგონ ვახუშტიზე წარსულში ლაპარაკი, რადგანაც ეს გახლდათ თავისი ბუნებით საოცრად ცოცხალი ადამიანი. რჩევა მჭირდებოდა, სიხარულის გაზიარება თუ პრობლემაზე საუბარი, ყოველთვის მასთან გავრბოდი და მის აზრს დიდ ანგარიშს ვუწევდი“.

39

## „ფუჭად საუბარს გაქლიერებული ლოცვა სჯობს“

„მართლმადიდებელმა ქრისტიანმა სასურველია, შეძლებისდაგვარად ხშირად წაიკითხოს ყოველადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისი, წმინდა ნიკოლოზის, წმინდა გიორგისა და წმინდა ნინოს პარაკლისები, თან გულით შესთხოვოს უფალს, რომ შეწყდეს ეს საშინელება“.

19

## ომის ადამიანური ტრაგედიები

„ჩემი ლობიო უკვე ასაღები იყო. სიმინდი ბიბინებდა, მაგრამ ომი რომ დაიწყო, ტანკები პირდაპირ ჩემს ბაღზე გადადიოდნენ და ყველაფერი განადგურდა, მიწასთან გასწორდა. სმას როგორ ამოვიღებდი? — არც დამიწუწუნია. საუბედუროდ, ჩემი ბაღის მსგავსად, ცხინვალის ხეობის სოფლები: ქურთა, თამარაშენი, კეხვი, აჩაბეთი მიწასთანაა გასწორებული“.

9

YOU
ARE THE NEXT!!!
GEORGIA 1989

# „მშვიდობის იძულებით დამყარების ოპერაცია“ სადამსჯელო რეიდებით შეიცვალა

**ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიუხედავად, რუსული საჯარისო ფორმირებები ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებს არბევენ, ხოლო საქართველოსა და ქართველი მოსახლეობის მწარედ დასასჯელად, ოსურ და აფხაზურ ბანდებს იშველიებენ.**

**რუსი ოკუპანტები და ოსი ბანდფორმირებები გორის სოფლებში მაროდიორობას განაგრძობენ**

13 აგვისტოს, დილიდანვე, რუსულმა შენაერთებმა გორში 50-მდე ტანკი და მძიმე ჯავშანმანქანა შეიყვანეს. მათ ადმინისტრაციული შენობები არ დაუკავებიათ. პირველადი ინფორმაციით, ისინი როგორც რუსეთის რეგულარული ნაწილები, ასევე კაზაკების სამხედრო შენაერთები არიან. ქართულ სოფლებში დაფიქსირდა ეთნიკურ ნიადაგზე ძალადობის გამოვლენის ფაქტები და მკვლელობები. ასევე, რუსი ოკუპანტები და ოსი ბანდფორმირებები გორის სოფლებში მაროდიორობას განაგრძობენ. როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ იტყობინება, სააგენტოს გორის მოსახლეობა დაუკავშირდა და ქალაქში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის გავრცელება სთხოვა. მათ „ინტერპრესნიუსს“ აცნობეს: „ქალაქში საშინელი მდგომარეობაა. შემოსულია რუსული ჯარი, ტანკებითა და სხვა მძიმე ტექნიკით. ისინი გორში დათარეშობენ, მოსახლეობას აყაჩაღებენ და ძარცვავენ. ადგილობრივები ფაქტობრივად, სრულიად დაუცველნი ვართ“. მაროდიორობის მსხვერპლი, სხვებთან ერთად, სამი უცხოელი ჟურნალისტიც გახდა. მათ კამერები, ფირები, რომლებზეც გორში მიმდინარე მოვლენები იყო ასახული და ასევე, ავტომანქანები ჩამოართვეს. როგორც თურქმა ჟურნალისტმა — ვეჩ დი ბასმა განაცხადა, მათ თავს დაესხნენ მაშინ, როცა ისინი სოფელ კარალეთში არსებულ სიტუაციას იღებდნენ. „კარალეთში რუს სამშვიდობოებს და ოსებს ვიღებდით. იმ დროისთვის იქ ძალიან ბევრი სამხედრო იმყოფებოდა. იწვოდა სახლები. ჩვენ გაგვიჩხრიკეს ავტომანქანები და შემდგომ, ყველაფერი წაგვართვეს“, — განაცხადა ბასმა.

გორში რუსეთის ჯარის შესვლის შესახებ ინფორმაცია 13 აგვისტოს, დილიდანვე გავრცელდა, მაგრამ ამას რუსული ჯარების სარდლობა კატეგორიულად უარყოფდა. საქმის ვითარების ადგილზე გასაცნობად, გორში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, ელენე თევდორაძე გაემგზავრა...

მოგეხსენებათ, რომ რუსული ჯარის ნაწილები ქალაქ ფოთშიც გახლდათ განლაგებული. მათ დატოვეს რიონის ხიდი, რომელსაც აქამდე აკონტროლებდნენ, მაგრამ ფოთის პორტის აკვატორიიდან გასვლას აგვიანებენ. მართალია, იქ ძალადობის შემთხვევები არ დაფიქსირებულა, მაგრამ რუსული ჯარის ნაწილები გარკვეულ იურიდიულ პრობლემებს უქმნიან სხვადასხვა გემს. რაც შეეხება ქალაქ ზუგდიდს, რუსული ნაწილები ამ ქალაქს ნელ-ნელა ტოვებენ, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ მათი მანქანები ნაძარცვი ნივთებითაა დატვირთული.

**გორში რუსეთის ჯარის შესვლის შესახებ ინფორმაცია 13 აგვისტოს, დილიდანვე გავრცელდა**

რუსული ჯარი სრულად აკონტროლებს ზემო აფხაზეთს, საიდანაც მოსახლეობის ევაკუაცია მოხდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მედიაცენტრის ხელმძღვანელმა, რაულ ქირიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ევაკუირებული ხალხი ჭუბერშია. სამწუხაროდ, მათი გადმოყვანა ვერ ხერხდება იმიტომ, რომ ჭუბერის გზაზე რუსული მძიმე ტექნიკა დგას. რუსულ მხარესთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა გზა გაიხსნას და მოსახლეობის გადმოყვანა შესაძლებელი გახდეს“.

რაც შეეხება აეროპორტებსა და რკინიგზას, ეს ინფრასტრუქტურა გამართულად მუშაობს. აეროპორტში რეისებს ასრულებენ ქართული, უკრაინული და ბალტიის ავიაკომპანიები.

ცნობილი გახდა ის ფაქტიც, რომ ცხინვალში კომენდანტის საათი გამოცხადდა, რომელიც 19:00 საათიდან 6:00 საათამდე იმოქმედებს. ოსური მხარის განმარტებით, კომენდანტის საათის გამოცხადების აუცილებლობა ცხინვალში დივერსიული ჯგუფების შეღწევის საფრთხემ განაპირობა. ცნობილია ისიც, რომ ქალაქის ქუჩებიდან გატანილია ცხედრები, ხოლო იმ მაღაზიებში, რომლებიც დანგრევას გადაურჩა, პირველადი მომხარების პროდუქტების დარიგება დაიწყეს.

ცხინვალის, გორის, ჭუბერის და გალის რაიონის მოსახლეობა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დროებით თავშესაფარს სთხოვს. ამ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს წარმომადგენლები მუშაობენ და მათ თავშესაფრითა და საკვები პროდუქტებითაც უზრუნველყოფენ.

ასეთია რუსეთის „სამშვიდობო“ მისია ერთმორწმუნე საქართველოს ტერიტორიაზე.

**„ინტერპრესნიუსის“ მასალების მიხედვით**

# სამხედრო მარცხი და პოლიტიკური გამარჯვება?

**საგარეო პოლიტიკური და მორალური დანაკარგის თვალსაზრისით, რუსეთი საქართველოზე გაცილებით მეტად დაზარალდა, — ასეთია დასკვნა, რომელიც რუსმა პოლიტოლოგმა, ვლადიმირ პუტინის ყოფილმა მრჩეველმა, ანდრეი ილარიონოვმა გამოთქვა და დასძინა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა აგრესორად მიიჩნევს რუსეთს, რომელმაც თავისი შეიარაღებული ძალები სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეიყვანა და ამის გამო, პრაქტიკულად, სრულ საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა: მის მიერ განხორციელებულ საქართველოს ინტერვენციას, კუბის გარდა, არავინ დაუჭირა მხარი, მათ შორის — ვენესუელამ, ირანმა, უზბეკეთმა და ბელორუსიამაც კი.**

**ამშ უარს ამბობს იმ ერთობლივ სამხედრო-საზღვაო მანევრებში მონაწილეობაზე, რომელიც იაპონურ ზღვაში, 15-დან 23 აგვისტომდე, ამშ-ს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და რუსეთს ერთობლივად უნდა ჩაეტარებინათ**

რუსი პოლიტოლოგის დასკვნები ზუსტად ემთხვევა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — კონდოლიზა რაისის შეფასებას (თუმცა ძნელი სათქმელია, ამ განცხადების გაკეთებისას, გაცნობილი იყო თუ არა ილარიონოვი უმძლავრესი სახელმწიფოს მაღალჩინოსნის შეფასებას), რომელმაც ტელეკომპანია „ეი-ბი-სისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა: „დადგება დრო, როცა მომხდარის შედეგებს მივუბრუნდებით. გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ დღის წესრიგში დადგა რუსეთის საერთაშორისო რეპუტაცია და ის, თუ ამიერიდან როგორია მისი როლი საერთაშორისო საზოგადოებაში“. ამ განცხადების კომენტირებისას, გაზეთი Times დასძენს: ცოტა ხნის წინ ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ შეერთებულმა შტატებმა უმოქმედობა გამოიჩინა და კავკასიაში თავის უახლოეს მოკავშირეს — საქართველოს სათანადო მხარდაჭერა არ გაუწია, ახლა კი აშკარად გამოხატა მწვავე პოზიცია. სტატიაში — „პირველი კონკრეტული რეაქცია“ — გაზეთი მკითხველს ამცნობს, რომ პენტაგონის მაღალჩინოსნის თქმით, აშშ უარს ამბობს იმ ერთობლივ სამხედრო-საზღვაო მანევრებში მონაწილეობაზე, რომელიც იაპონურ ზღვაში, 15-დან 23 აგვისტომდე, აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და რუსეთს ერთობლივად უნდა ჩაეტარებინათ. ამ დემარშით, ის აშკარა პროტესტს გამოხატავს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ, — დასძენს გაზეთი.

**რუსეთი სრულ საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა: მის მიერ განხორციელებულ საქართველოს ინტერვენციას, კუბის გარდა, არავინ დაუჭირა მხარი, მათ შორის — ვენესუელამ, ირანმა, უზბეკეთმა და ბელორუსიამაც კი**

მსგავსი შეფასებები კეთდება უცხოური მასმედიის ბევრი სხვა გამოცემის ფურცლებზე და ჟღერს ანალიტიკოსებისა და ექსპერტების შეფასებებში. „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე პირველად შეიჭრა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საკითხი — შეიძლება თუ არა განვიხილოთ იგი, როგორც რაციონალური პარტნიორი საერთაშორისო ასპარეზზე?“ — წერს Times.

რუსეთთან დასავლეთის ურთიერთობები, რომლებიც ისედაც ძალზე რთულია, ახლა კიდევ უფრო გართულდებაო, — წერს Guardian და სვამს კითხვას: „შეგვიძლია თუ არა ვიმოქმედოთ მასზე ისე, რომ საკუთარ თავს არ ვავნოთ?“

უკვე ნახსენები Times, თავის სხვა წერილში აღნიშნავს, რომ მომხდარის გამო, პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის შანსები — დაამყაროს ნორმალური ურთიერთობები ევროპასთან — აშკარად შესუსტდა... „გასულ 5 დღეში ყველამ თვალნათლივ დაინახა, თუ რეალურად ვინ მართავს რუსეთს: უდავოა — პუტინს კვლავ უპყრია ხელთ სადავეები, მედვედევი კი ჩვეულებრივ მარიონეტად გამოიყურება... დასავლეთის სახელმწიფოთა პასუხი რუსეთის ქმედებებზე ძალზე კონკრეტული უნდა იყოს: დაუშვებელია, რომ რუსეთი თავის მეზობლებს კარნახობდეს იმას, თუ რა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანდნენ ან როგორი ხელისუფლება აირჩიონ. თუ, მაგალითად, დემოკრატიული უკრაინა გადაწყვეტს, რომ მას ნატოსა და ევროკავშირში შესვლა სურს, ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ ნაბიჯის გადადგმისას არ მიიღებს ისეთ პასუხს, რომელიც „საბჭოთა კავშირის“ სტილისგან არაფრით განსხვავდება“.

Daily TElegrajh-ის ანალიტიკოსი კი პირდაპირ კარნახობს დასავლელ ლიდერებს, თუ კონკრეტულად

კონდოლიზა რაისი

იაპ დე ჰოოპ სხეფერი

ლიომ დაინახა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ამ კონფლიქტში საქართველოს უჭერს მხარს. ამასთან, ეს მხარდაჭერა მზარდია. აშშ-მა უარი თქვა დიდი ხნის წინ დაგეგმილ ერთობლივ მანევრებზე, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა კი ნატო-რუსეთის საბჭოს 12 აგვისტოს სხდომა ჩაშალა. „იმ დროს, როდესაც მომხდარის შეფასების საჭიროება წინა პლანზე წამოიწია, ამერიკულმა დიპლომატიამ ნამდვილი საინფორმაციო ომი წამოიწყო, — წერს რუსული „ნეზავისიმაია გაზეტა“. — ამ კამპანიის პირდაპირ გამოხატულებად იქცა ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა, რომელიც 12 აგვისტოს, ბრიუსელში უნდა გამართულიყო: სხდომაზე აშშ-ის დელეგაცია არ გამოცხადდა, წინადღეს კი, ნატოს შტაბბინაში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს უმასპინძლა“, — დასძენს გაზეთი.

**რუსეთის ქმედებები ზიანს აყენებს ურთიერთობებს შეერთებულ შტატებთან და ევროპასთან, რუსეთმა უნდა შეწყვიტოს ქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს, ასევე მთელ რეგიონს...**

იმედისმომცემია სახელმწიფოების მეთაურთა ვიზიტი თბილისში (რომელსაც ასევე დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა), ამერიკის კონგრესის მიერ მიღებული განცხადებაც და დასავლეთის ლიდერთა მწვავე განცხადებებიც, რომლებიც რუსეთისგან ოკუპაციის დაუყოვნებლივ შეწყვეტას კატეგორიულად მოითხოვენ. სწორედ ამ მიზნით, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტერიალმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოში სამშვიდობო მისია გამოგზავნოს.

აშშ-ის პრეზიდენტმა — ჯორჯ ბუშმა, მიუხედავად 12 აგვისტოს უკვე გაკეთებული ძალზე მწვავე შეფასებებისა, რუსეთის ბარბაროსული აგრესიის გაგრძელების გამო, ახალი საგანგებო განცხადება გააკეთა და მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ საქართველოში საგანგებო მისიით სახელმწიფო მდივანს, კონდოლიზა რაისს აგზავნის. „რუსეთის ქმედებები ზიანს აყენებს ურთიერთობებს შეერთებულ შტატებთან და ევროპასთან, რუსეთმა უნდა შეწყვიტოს ქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს, ასევე მთელ რეგიონს... ჩვენ უნდა დავიცვათ თავისუფალი საქართველო“, — განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

„ჩვენ უნდა დავიცვათ თავისუფალი საქართველო“, — განაცხადა ჯორჯ ბუშმა

როგორ უნდა იმოქმედონ რუსეთის წინააღმდეგ: „ერთ-ერთი შეცდომა, რომელსაც დასავლეთი რუსეთთან დაკავშირებით იჩენს, ის გახლავთ, რომ მათ არა აქვთ გაცნობიერებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რუსებისთვის ფულის დასტები. შესაძლოა, მათი საგარეო პოლიტიკა რაღაცით ჰგავდეს კიდეც სტალინის ქმედებებს, მაგრამ მსგავსება მხოლოდ ამით შემოიფარგლება. აი, თუკი ჩვენ, იურისდიქციის ყველა წესის დაცვით გავუყინავთ მათ აქტივებს — ლაჟვარდოვანი სანაპიროდან დაწყებული, საფეხბურთო კლუბ „ჩელსით“ დამთავრებული, თან, რუსეთის მოქალაქეების მიმართ საიმიგრაციო კანონმდებლობასაც გავამკაცრებთ, — ისინი ამაზე უეჭველად მოახდენენ რეაგირებას...“

და მაინც, მთავარი სახელმწიფო მოღვაწეთა ნაბიჯებია. მთელმა მსოფ-

# ომის ადამიანური ტრაგედიები

## ნანგრევებში მოყოლილი ორსული ქალი და პირუტყვი, რომელიც კაცივით ტიროდა

**მერიის წინ იმ ადამიანების ნაკადი, რომელიც ომის ქარცეცხლს გამოექცა, რამდენიმე დღის განმავლობაში არ წყდებოდა. ვინ მოთვლის, რამდენი სიმწრის ცრემლი დაღვარეს ამ ბავშვებმა, მოხუცებმა და უმწეო ქალებმა ომში დარჩენილი მამების, შვილებისა თუ ქმრების გამო. სანამ ამ ადამიანების დაბინავება მოხერხდებოდა, შევეცადეთ, რამდენიმე მათგანს გავსაუბრებოდით და ის საშინელი სურათები გაგვეცოცხლებინა, რომელიც მათი მეხსიერებიდან აღარასოდეს წაიშლება.**

ლელა ჭანკოტაძე

**მანანა,** *ქურთიდან:*

— როცა გამოვრბოდით, ჩვენს მიცვალებულ მეზობლებსა და ქართველ ჯარისკაცებს დამმარხავიც კი არავინ ჰყავდათ. ჩვენს სოფელში სახლების 80% დანგრეულია. არადა, ქურთა წინა ომის დროს მიღებულ ჭრილობებს იშუშებდა. როცა არეულობა პირველად დაიწყო, ცხინვალში ვცხოვრობდით. იქ ყველაფერი დავკარგეთ, მაგრამ ეს წუთითაც არ მინანია, რადგან ოჯახის არც ერთი წევრი არ დამღუპვია, ყველანი ცოცხლები გადავრჩით. მერე ცხინვალში ვეღარ დავბრუნდით და იქვე, ქურთაში დავსახლდით. ჩვენი შრომითა და ოფლით სახლი ავაშენეთ. შარშან, დეკემბერში სახლი დამეწვა და ახლის მშენებლობა ერთი კვირის წინ დავასრულეთ. ჯერ გადახურული არც გვქონდა. ყველაფერი მივატოვეთ და გამოვიქეცით. ჩემს ატმების ბაღს, ალბათ, „სახე ჩამოსტირის“. არადა, ისეთი დასანახავი გახლდათ, მტერს თვალს უბრმავებდა. წელს კარგი მოსავალი გვქონდა. თოხზე ბევრი ვიმუშავეთ და შედეგითაც კმაყოფილები ვიყავით, მაგრამ ახლა ჩვენს მოსავალს რუსები დაეპატრონებიან. ისეთი მსხმოიარე ბაღები დავტოვეთ, რუსის ჯარს სურსათით მომარაგება აღარც დასჭირდება. ახლა, ალბათ, ცარიელ სახლებს ბომბავენ, თორემ სოფელში ჩემი მეზობლის, მზაოს დედამთილის გარდა, აღარავინაა დარჩენილი. რომ იცოდეთ, როგორ გვიტირის გულები. 1991 წელს სახლ-კარი ახალი წლის დღეს მიგვატოვებინეს. ღორები გვყავდა დაკლული, ხორაგი მომარაგებული და რუსებს ასე სავსე სახლები დავუტოვეთ. ახლაც მოსავლით დატვირთული ბაღებიდან გამოვიქეცით...

**მზაო,** *ქურთიდან:*

— ჩემი ლობიო უკვე ასაღები იყო. სიმინდი ბიბინებდა, მაგრამ ომი რომ დაიწყო, ტანკები პირდაპირ ჩემს ბაღზე გადადიოდნენ და ყველაფერი განადგურდა, მიწასთან გასწორდა. ხმას როგორ ამოვიღებდი? — არც დამიწუწუნია. საუბედუროდ, ჩემი ბაღის მსგავსად, ცხინვალის ხეობის სოფლები: ქურთა, თამარაშენი, კეხვი, აჩაბეთი მიწასთანაა გასწორებული. ჩვენმა სოფლებმა წინა ომიც მძიმედ გადაიტანა. მაშინაც ტყვიების ზუზუნი იყო, ხეობაში ბევრმა ქალმა ჩაიცვა შავი, მაგრამ რაც ახლა მოხდა, ამას ვერც წარმოვიდგენდით. ვიდრე დაბომბვა დაიწყებოდა, ბავშვები გორში ჩავიყვანე. ჩვენს საცხოვრებელ კორპუსს ბომბი მოხვდა და იქიდან ცოცხლებმა ძლივს გამოვასწარით. შვილები დედაქალაქში ჩამოვიყვანე და ჩემი მეზობლების მსგავსად, მეც უკან გავბრუნდი. გამოქცევას და ხეობის მიტოვებას არ ვაპირებდი, მაგრამ იქაურობას ისე ინტენსიურად ბომბავდნენ, რომ სახლიდან ჩითის კაბით და „ფლოსტებით“ გამოვვარდი. თბილისში ჩამოსულს ქოშები მულმა მომცა. ახლა ხელში სწორედ ეს „ფლოსტები“ მიჭირავს და ჯერჯერობით, სხვა არაფერი გამაჩნია.

**მევლუდი,** *ქურთიდან:*

— სოფელში ათი კაციღა ვიყავით დარჩენილები. წამოსვლას არც ვაპირებდით, მაგრამ ინტენსიური დაბომბვა დაიწყო და ამ საშინელებას ვინ გაუძლებდა?! მეზობელთან ვიყავი გადასული. ჰოდა, ისეთი დაბომბვა დაიწყო, სახლამდე ვეღარ მივედი, დედაჩემი და მამაჩემი რომ მენახა. რამდენიმე ჰექტარზე გადაჭიმული მსხმოიარე ვაშლის ბაღი დავტოვე. მოკლედ, მთელი წლის ნაწვალები ოხრად დარჩა. ჩემი ტრაქტორი მენანება. გლეხი რომ ოცნებას აიხდენს და ტრაქტორს იყიდის, როგორია მერე იმისი დატოვება?.. მოვდიოდით და ვფიქრობდით, რომ დაბომბვა დამთავრდებოდა და მაშინვე უკან მივბრუნდებოდით, მაგრამ მგონი, ხეობაში ისეთი მდგომარეობაა, რომ იქ ვეღარასდროს დავბრუნდებით.

> „ბავშვი დავკარგე, მაგრამ ყველაზე მეტად ომის შედეგის წარმოდგენა მზარავს“

**კობა,** *აჩაბეთიდან:*

— ჩემი მეზობლები სახლებიდან რომ გამოიქცნენ, მე თბილისში ვიყავი. როგორც კი დამირეკეს და მითხრეს,

— მოვდივართო, მაშინვე სოფლისკენ გავიქეცი. ვიფიქრე, — იქნებ, აჩქარდნენ. საკუთარი თვალით უნდა ვნახო, ამდენი ხალხი რატომ გამორბის-მეთქი. ის წუთი არასდროს დამავიწყდება, როცა იქ ჩავედი და ომს თვალებში ჩავხედე. მთელი სოფელი გარინდებული იყო. ჩემს ეზოსთან მარჩენალი ძროხა იწვა. საბრალოს უამრავი ჭრილობა ჰქონდა. დაჭრილი პირუტყვი კაცივით ტიროდა და ბღაოდა. ძაღლი ეზოდან გამოვარდა და გვერდით ჭირისუფალივით ამომიდგა. სხვა დროს შემომეგებებოდა, შემომახტებოდა და გამლოკავდა. მეგონა, ვერავინ მხედავდა და ჩემი ძაღლი ჩავიხუტე, ავბღავლდი. — ადე, გავიქცეთ, სანამ სულებიც არ წაგვართვესო, — ჩამესმა ხმა და მეზობელი ქალი დავინახე. შვილმკვდარ დედას სოფელი არ დაეტოვებინა. მითხრა: ორი ყუთი კომბოსტო გასაყიდად მქონდა გამზადებული, მაგრამ ახლა დავამწნილე, რომ მოვბრუნდებით, ჭამა ხომ გვინდაო?! მერე მხარში ჩამაფრინდა და წამომაყენა, — სხვა რაღა დაგვრჩენია, გავიქცეთო! შევხედე ჩემს სახლ-კარს და გავიფიქრე, — რა წავიღო-მეთქი? მაგრამ გლეხს ისეთი რა უნდა ჰქონდეს, რომ თუნდაც ცოტა ხნით, თავი გაატანინოს? ამიტომაც, ჩემი მიცვალებული მშობლებისა და ძმის სურათი ჩავიდე ჯიბეში და მარო დეიდასთან ერთად გზამდე სულ ფორთხვით გამოვედი.

ოსებმა ჩვენი სახლი ცეცხლის ალში გაახვიეს

შვილები დედაქალაქში ჩამოვიყვანე და ჩემი მეზობლების მსგავსად, მეც უკან გავბრუნდი

სახლის დატოვება არ მინდოდა

მეზობელი ქალი დავინახე. შვილმკვდარ დედას სოფელი არ დაეტოვებინა

**დალი,** *თამარაშენიდან:*

— მეზობელმა რომ დამიძახა, — გავიქცეთო, ყველი ამომყავდა. შრატიანი ხელები წინსაფარზე შევიმშრალე და გამოვვარდი. უკან რომ მივიხედე, სოფელი ცეცხლის ალში იყო გახვეული. მივხვდით, ჩვენს ჯარს უჭირდა. ჩემი შვილი საარტილერიო ნაწილშია. დარწმუნებული ვარ, იმ ბომბდამშენებიდან, ჩვენებმა რომ გაანადგურეს, ერთი მაინც იქნება მისი ჩამოგდებული. ოთხი დღეა, რაც მის შესახებ აღარაფერი გამიგია. არ ვიცი, სად არის, დაჭრილია თუ არა. გახევებული ვარ და იმის წარმოდგენაც არ მინდა, რომ რაღაც უჭირს.

**ლალი,** *გორიდან:*

— ჩემი ძმა სატანკო ნაწილშია. ცხინვალის დაბომბვის მერე, ის აღარ შეგვხმიანებია. ვურეკავ და მობილური ტელეფონი გამორთული აქვს. იმ ავბედით ღამეს, მისმა მეგობარმა დაგვირეკა და გვითხრა: ცხინვალი რუსის ტანკებით აივსო, გაიქეცით, ყველაფერი დატოვეთ და ბავშვები გადაარჩინეთო. ჩემს მეზობელსაც დაურეკა თავისმა სიძემ: ცხინვალში დიდძალი რუსული ტექნიკა შემოიტანეს, სასწრაფოდ გაიქეცითო! მაშინვე თეატრისკენ წავედი, რადგან იქვე ჩემი მამა და მამიდა ცხოვრობენ. მათ სახლს ჭურვი მოხვდა, ცეცხლი მოედო და ისე განადგურდა, ვერაფერი გადაარჩინეს. მაინც არ მოდიოდნენ, მაგრამ მოვატყუე, — ზურა თბილისში, ჰოსპიტალში წევს-მეთქი და მაშინვე გამომყვნენ. გზაზე მანქანების დიდი კოლონა მოდიოდა. სწორედ მაშინ დაიწყო დაბომბვა. ასეთი რამ მხოლოდ ფილმებში მქონდა ნანახი. ზოგი გაჩერდა და სადარბაზოებს შეაფარა თავი. ჩვენ გზის გაგრძელება ვარჩიეთ. ჭურვი ჩვენთან ძალიან ახლოს ჩამოვარდა და ერთი მანქანა, რომელიც ხალხით იყო სავსე, მიწაში ჩაიტანა... ვინ აგებს პასუხს დაღუპული ქალების, ბავშვებისა და პირტიტველა ბიჭების გამო? ჩემი ზურა ჯერ 27 წლისაა, ცოლი ახლახან მოიყვანა და ოქტომბერში შვილს ელოდებიან. ვის უნდა მათი ბედნიერების დანგრევა? ამბობენ, — ინტერნეტში დახოცილი ქართველი ჯარისკაცების სურათებიაო. არ მინდა ვნახო. ვიცით, რომ ბევრი ადამიანი დაიღუპა. მჯერა, ჩემი ძმა ცოცხალია, მას ღმერთი არ გაწირავდა. მეორე ძმა ცხინვალის წინა ომის დროს დაგვეღუპა — ფანჯარასთან ახლოს იდგა და სნაიპერმა ესროლა. დედაჩემმა ამ უბედურებას ვერ გაუძლო და ორ კვირაში თავი მოიკლა — წნევის დასაწევი წამლები დიდი ოდენობით მიიღო და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. მაშინ ცხინვალში ვცხოვრობდით. იქიდან ქართველების გამოყრა რომ დაიწყეს, ოსებმა ჩვენი სახლი ცეცხლის ალში გაახვიეს. მე და ჩემი უმცროსი ძმა ოსმა მეზობელმა შეგვიფარა. ის კაცი ერთი თვე სარდაფში გვმალავდა. მგონი, ერთი ოჯახისთვის ამდენი უბედურება საკმარისია!.. გორში სკოლაც ააფეთქეს. მე იქვე ვცხოვრობ. ჩემი სახლი ჯერ ისევ დგას, მაგრამ მითხრეს, — შიგნით არ შეხვიდეთ, რადგან შეიძლება, ჩამოინგრესო. რა უნდა გვექნა? გადავწყვიტე, ბავშვებთან ერთად თბილისში ჩამოვსულიყავი. მაინტერესებს, რამდენი ლტოლვილი უნდა დაიტიოს ჩვენმა დედაქალაქმა?

*თბილისში მცხოვრებმა ბევრმა ოჯახმა მიიღო კონფლიქტის ზონიდან გამოხიზნული ქალები, ბავშვები და მოხუცები. მაგალითად, ბერიძეების სამოთახიან ბინაში გორიდან ჩამოსული 17 ადამიანი იმყოფება და აქედან რვა ბავშვია. მათ შორის ყველაზე პატარა 3 თვისაა, ყველაზე უფროსი — 15 წლის. მას უკვე გული გორისკენ მიუწევს, მამისა და ბიძების გვერდით სურს ყოფნა.*

**გელა,** *15 წლის:*

— გორში არ გამაჩერეს, ქალივით წამომიყვანეს. არადა, სახლის დატოვება არ მინდოდა. ჩემი კლასელი ბიჭებიდან მხოლოდ მე გამომაქციეს. იქ მაინც დავბრუნდები! მე მთელი ცხოვრება უნდა ვინანო, რომ ქალივით დავიმალე, დედაჩემს და ბებიაჩემს კი



MK

**როცა გამოვრბოდით, ჩვენს მიცვალებულ მეზობლებსა და ქართველ ჯარისკაცებს დამმარხავიც კი არავინ ჰყავდათ**

ამისი გაგება არ უნდათ. ჩემი მეგობრის დის ოჯახზე ამბობენ, — დაიღუპნენო, მაგრამ არ ვიცი, ეს სიმართლეა თუ არა. კორპუსი რომ ჩამოინგრა, მას შემდეგ არ უნახავთ და ფიქრობენ, რომ ნანგრევების ქვეშ მოყვნენ. ჩემს ძმაკაცს ბიძა დაეღუპა — ქუჩაში ბრმა ტყვია მოხვდა. გორი რომ იბომბებოდა, გამწარებული ბიჭები ქუჩებში დავრბოდით. აბა, შიშველი ხელებით რა უნდა გვექნა? ერთი კაცი დავინახეთ, ძირს ეგდო და ფართხალებდა. გვეგონა, დაჭრილი იყო და მივცვივდით. გიჟს ჰგავდა. გვითხრა: ცოლი და ორი ქალიშვილი მყავს. არ ვიცი, ისინი როგორ დავიცვა და მიწას თავს სიმწრისგან ვურტყამო. იმ კაცის ადგილას გავგიჟდებოდი. ბიჭებს ეს ომი არასდროს დაგვავიწყდება. ალბათ, აღარასდროს ვიქნებით ისეთები, როგორებიც ომამდე ვიყავით.

**ნატო კურტანიძე,** *გელას დედა:*

— ჩემი ქმარი სატანკო ნაწილშია, ჩემი ორივე ძმა კი წუხელ ცხინვალში იბრძოდა. ქმარმა დილით დაგვირეკა, მაგრამ ძმების შესახებ ისიც კი არ ვიცი, ცოცხლები არიან თუ არა. ჩემი ბიჭი ჯერ ბავშვია. უფალს ვთხოვ, არასდროს მოუწიოს ხელში იარაღის აღებამ. ბავშვები ომის შედეგებს ვერ აცნობიერებენ. ჩვენც დაბნეულები ვართ. ჩემი ქუჩიდან კაცების უმეტესობამ ფორმა ჩაიცვა და ჯარში დაიწყო სამსახური, რადგან კარგი ხელფასი ჰქონდათ და ფიქრობდნენ, ოჯახებს შევინახავთო. ალბათ, მათი დიდი ნაწილი ცოცხალი აღარაა. მე ჯარისკაცის ცოლი ვარ და კარგად ვიცი, რომ ბევრი ინფორმაციაა გასაიდუმლოებული. ჯერ დაღუპულებზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: გორი აღარასდროს იქნება მყუდრო და მშვიდი ქალაქი. ჩვენ ბინა სამი თვის ნაყიდი გვქონდა. მე ხუთი წელი საბერძნეთში ვიყავი, სადაც მონად ვმუშაობდი, მოხუც კაცს პამპერსს ვუცვლიდი, ვბანდი. ის ვერ დადიოდა და ამიტომაც, ზურგზე მოვიკიდებდი ხოლმე და საწოლიდან ისე გადმომყავდა. ბევრი დამცირება, ტანჯვა და მონატრება ავიტანე იმისთვის, რომ შვილებისთვის ბინა მეყიდა, მაგრამ თურმე, ტყუილად მიშრომია — ყველაფერი ნანგრევებად იქცა. ახლა გეკითხებით, სად წავიყვანო ჩემი ოთხი შვილი?

*ლაბაძეებმაც მიიღეს გორიდან ნათესავები. ახალგაზრდა ცოლ-ქმრის სახლში რვა ქალია. ისინი შეშინებულები და დაბნეულები არიან, მათი ქმრები კი ჯერ ისევ ცხელ წერტილებში იმყოფებიან. ერთი მათგანი — ლალი ოთხი თვის ორსული გახლდათ. თურმე, ის და მისი ქმარი შვილის შეძენას ცხრა წლის განმავლობაში ნატრობდნენ. ნატვრა აუხდათ, მაგრამ ომმა იმედები დაუმსხვრია.*

— ამ თემაზე ლაპარაკი მერიდება, მაგრამ მე ხომ ერთადერთი არ ვიქნები, ვისაც მსგავსი უბედურება დაემართა. ვიცი, რომ ერთი ორსული ქალი ნანგრევებში მოყვა და ჯერაც არ ამოუყვანიათ. მე და ჩემი ქმარი ცხრა წელი ვოცნებობდით შვილზე. ბოლოს, როგორც იქნა, ღმერთმა გადმოგვხედა. ექიმთან თბილისში დავდიოდი და მან მითხრა: ძირითადად, უნდა იწვე, სიმშვიდე შეინარჩუნო, არაფერზე ინერვიულოო. ქმარმა თავის დეიდასთან, ავნევში წამიყვანა. თვითონ ჯარისკაცია. მისი ნაწილი გორთან იდგა და ეგონა, რომ ხშირად მომაკითხავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, მისთვის თვალიც არ მომიკრავს. ავნევი ერთ-ერთი პირველი სოფელი იყო, რომელზეც დარტყმა განხორციელდა. ახლა იქ მხოლოდ ნანგევებია. სოფელი რომ იბომბებოდა, მე საწოლიდან არ ვდგებოდი, მაგრამ მერე იძულებულები გავხდით, იქაურობას გავცლოდით. ავნევიდან კეხვში წავედით, ჩემს ნათლიასთან. ვფიქრობდით, რომ ის თბილისში წამოგვიყვანდა, მაგრამ ინტენსიური დაბომბვა იქაც განხორციელდა. ორსული ქალი ისეთ პანიკაში ჩავვარდი, რომ ბავშვი დავკარგე. ეს ჩემი და ჩემი ქმრის ტრაგედიაა, მაგრამ ახლა ამაზე აღარც ვფიქრობ. ყველაზე მეტად ომის შედეგის წარმოდგენა მზარავს. ვერ ვხვდები, რა გველოდება, რა იქნება მომავალში?..

**მერი,** *გარეჯვრიდან:*

— ჩვენი სოფელი არ დაუბომბავთ, მაგრამ ისეთი სროლის ხმა მოდიოდა, რომ მთელი ღამეები სარდაფებში ვიმალებოდით. იქიდან წამოსვლაზე არც გვიფიქრია. სხვათა შორის, სახლები არც 1991 წელს მიგვიტოვებია. ისე, ჩვენს სოფელს მაშინ არც არაფერი შეხებია, ახლა კი ტყვიების ზუზუნი ისევ მესმის... ცხინვალში რუსის ჯარი, ტანკები რომ შევიდნენ, მივხვდით, რაც მოხდებოდა და შვიდივე ქართული სოფელი აიყარა. ვერ წარმოიდგენთ, გზებზე რა ხდებოდა — ხეობიდან ხალხი მოდიოდა კამაზებით, მანქანებით, მოტოციკლეტებით, ურმებით და ველოსიპედებითაც კი. ალბათ, ამ კადრებს რომელიმე ტელევიზია გადაიღებდა. კარალეთის გზა საშინელი სანახავი იყო. მოგეხსენებათ, ტყვიავის მედპუნქტი ააფეთქეს და ოპერაციები კარალეთის შესასვლელთან, ღია ცის ქვეშ კეთდებოდა. „სასწრაფო დახმარების“ მანქანები მინდორში იდგნენ და დაჭრილებს იქვე იღებდნენ. ბავშვებს თვალებზე ვაფარებდით ხელებს, რომ ეს კოშმარული სურათები არ დაენახათ. სახლი ისე მივატოვე, კარი არც ჩამირაზია ან ამას რა აზრი ჰქონდა? — ომი და მარადიორობა ხომ განუყრელია! რაც დასაკარგია, დაიკარგოს, მაგრამ ჩვენ უკან მაინც დავბრუნდებით. აი, ხეობის ხალხის ბედი კი გაურკვეველია. ვიცით, რომ დრო გავა და ომის ჭრილობები მოშუშდება. ხელისუფლების მიმართ ჩვენ ბევრი კითხვა დაგვიგროვდა. მინდა, ამ კითხვების დასმის დრო რაც შეიძლება მალე დადგეს. ახლა მთელი საქართველო ჭირისუფალია. ჯერ ჩვენი მიცვალებულები დავმარხოთ, დავიტიროთ, მერე კი ბევრ კითხვაზე უნდა მივიღოთ პასუხი...

**„საბერძნეთში მონად ვმუშაობდი და თურმე ტყუილად მიშრომია — ყველაფერი ნანგრევებად იქცა...“**

# ჯარისკაცის ღელა და დაჭრილი მეომრები, რომლებიც ბრძოლის ველზე დაბრუნებას ითხოვენ

## „სულ სისხლიანი ვიყავი, საცვლებზე ცეცხლი მეკიდა, მუხლზე კი...“

**კონფლიქტის ზონიდან დაჭრილები დედაქალაქში გადმოიყვანეს. მათი უმეტესობა ღუდუშაურის საავადმყოფოშია მოთავსებული, სადაც (ისევე, როგორც სხვა სამედიცინო დაწესებულებებში) გამოკრული გახლავთ სია, რომლის მიხედვითაც დაჭრილთა ადგილსამყოფლის დადგენაა შესაძლებელი. საავადმყოფოში კარანტინია გამოცხადებული და ამიტომაც, დაჭრილების ნაცვლად, მათ ახლობლებს გავესაუბრეთ.**

*ლელა ჭანკოტაძე*

**ნანა ზღუდაძე:**

— თურმე მესამე დღეა, რაც ჩემი შვილი აქ წევს, მე კი ამის შესახებ მხოლოდ ახლა შევიტყვე. მობილურზე ვურეკავდით, მაგრამ არ გვპასუხობდა. ჯერ ვიფიქრე, — ტელეფონი დაუზიანდა-მეთქი, მაგრამ რამდენიმე დღის განმავლობაში ხმა რომ არ მოგვაწვდინა, თავზარი დამეცა. მივხვდი, ჩემს თავს რაღაც საშინელება ხდებოდა. ვერც მის მეგობრებს დავუკავშირდი. მერე გავიგე, რომ ერთ-ერთი მათგანი დაღუპულა. გორში მისი სახლიც აფეთქებულია და საწყალი ბიჭი ნათესავის სახლში დაუსვენებიათ. 19 წლის მოზარდს დამტირებელიც არ ჰყავს, რადგან მისი დედაც დაჭრილია და დაც. მითხარით, ჭკუაზე როგორ უნდა ვიყო? ვიცი, ჯარისკაცის დედა ვარ და ბევრის თქმის უფლება არ მაქვს, მაგრამ... დღეს შვილის პოვნას ყველა მილოცავდა, მიუხედავად იმისა, რომ მძიმედაა დაჭრილი და ჯერ მისი გადარჩენის იმედსაც არ გვაძლევენ. ახლა ექიმს მივუვარდი და ვუთხარი, — წამლების სია მაინც მომეცი, შვილისთვის რაღაც მაინც რომ გავაკეთო-მეთქი. დიდხანს მითმინა, მაგრამ მერე დამიყვირა: დაწყნარდი, ქალბატონო, შენს შვილს არაფერი აკლია. მერწმუნე, სული რომ იყიდებოდეს, ჯარისკაცებისთვის იმასაც ვიყიდითო. ნეტავ, მართლა აქვთ ყველაფერი? დღეს კარანტინი გამოაცხადეს და შენობაში არ გვიშვებენ.

*ქალბატონი ნანას მსგავსად, ღუდუშაურის ეზოში კიდევ ბევრი ადამიანი დგას, რომელთაგან ზოგი ტირის, ზოგი — სახეს იხოკავს. შედარებით მშვიდი სიტუაციაა ე.წ. არამიანცის საავადმყოფოში, სადაც მსუბუქად დაჭრილები არიან მოთავსებულები.*

**ზაურ ნონიკაშვილი,** *თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს სისხლძარღვთა და მიკროქირურგიის კლინიკის დირექტორი:*

— ჩვენთან ავადმყოფები სხვადასხვა სტაციონარიდან იმ შემთხვევაში გადმოჰყავთ, როცა მათ მიკროქირურგიული დახმარება ესაჭიროებათ ან ეჭვი აქვთ სისხლძარღვების დაზიანებაზე. აქ შემოყვანილ ავადმყოფებს ძირითადად, კიდურების დაზიანებები აქვთ. თითოეულ პაციენტს ოპერაცია გავუკეთეთ. ჩვენთან მკურნალობას გადიან როგორც სამხედრო პირები, ისე რიგითი მოქალაქეებიც და ყველა მათგანი მამაკაცია. გორის ჰოსპიტლიდან გადმოყვანილია დაჭრილი, ოსი ეროვნების მოქალაქე, გვარად ტუაევი. ბოლო დაჭრილი 10 აგვისტოს შემოიყვანეს. საბედნიეროდ, დღეს აღარავინ მოუყვანიათ და ერთი ავადმყოფი გაეწერა კიდეც. სამწუხაროდ, ჩვენი ერთი პაციენტი ფსიქიკურად არამყარია. თურმე, დაბომბვის დროს ნერვებმა უმტყუნა. რამდენიმე წუთის წინ, დაჭრილების მოსანახულებლად, შვედი ჟურნალისტები მოვიდნენ. სამხედროებმა მათთან გასაუბრებაზე უარი თქვეს. ეს აღარ არის ის ჯარი, რამდენიმე წლის წინ რომ იყო. ჩვენს განყოფილებას ჯარისკაცებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს. აფხაზეთის ომის დროს ბევრი დაჭრილი მივიღეთ, რომლებიც ჩვენგან გამოჯანმრთელების შემდეგაც არ მიდიოდნენ და გვთხოვდნენ, — საავადმყოფოში მაქსიმალურად დიდხანს დაგვტოვეთო. ახლა კი ჯარისკაცები გვეხვეწებიან, — არაფერი გვჭირს, გაგვიშვით, ბრძოლის ველზე დაგვაბრუნეთო. მოკლედ, წინა წლებში აქ მოხვედრილი ჯარისკაცებისგან, თუნდაც თავიანთი დუმილით და თავშეკავებით, ესენი რადიკალურად განსხვავდებიან.

ქირურგი ნიკა ლექვთაძე

**— საავადმყოფო მზად აღმოჩნდა დაჭრილების მისაღებად?**

— ორი საათის წინ გახლდით ჯანდაცვის სამინისტროში, თათბირზე, სადაც გვითხრეს, — თუ დაბომბვები არ გაძლიერდა, დაჭრილთა მასობრივი შემოსვლა მოსალოდნელი აღარაა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლი შეწყვიტეს. საავადმყოფო ყველაზე გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვისაც კი მზად არის. სამინისტროში პირდაპირ გვითხრეს, რომ დაჭრილების სამკურნალოდ ნებისმიერ თანხას გადაიხდიან. ყველაფერს, რაც ჩვენს პაციენტებს სჭირდებათ, აფთიაქები გვაძლევენ, ხოლო მათ ფულს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სააგენტო უხდის. გარდა ამისა, თუ ვნახავთ, რომ რომელიმეს საკვები აკლია, შეგვიძლია, მათ ესეც ვუყიდოთ და ამ ხარჯსაც სამინ-

ალე ტუაევი

ისტრო აანაზღაურებს. მედიკამენტების ნაკლებობა არ გვაქვს, მაგრამ ხვალ მაინც დაიწყებენ თეთრეულისა და საოპერაციო მასალის შემოტანას. მკაცრად გაგვაფრთხილეს, რომ საავადმყოფოებში ლტოლვილთა დაბინავება არ დავუშვათ. ამ პრობლემის მოსაგვარებლად არსებობს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, რომელიც მათ დაეხმარება და ორგანიზებულად დააბინავებს...

**ალე ტუაევი,** *დაჭრილი:*

— თამარაშენში ვცხოვრობ. ცხადია, იმ ავბედით დღესაც იქ ვიყავი. 10 აგვისტო იყო, ტყვიების წვიმა წამოვიდა. სოფელი იბომბებოდა. დასამალად ბუნკერში გავრბოდით, როცა ჭურვი მომხვდა. ის ღამე ტყეში გავატარეთ. დაჭრილი ვიყავი, ხელიდან სისხლი თქრიალით მდიოდა. როცა გათენდა, მე და ჩემი ცოლი ტყე-ტყე წამოვედით. 67 წლის კაცმა ხან ფეხით ვიარე, ხან — ფორთხვით. ცოლი ველარ მომყვებოდა, მაგრამ მისი დახმარება არ შემეძლო, რადგან ძალიან

**„ცოლი ველარ მომყვებოდა, მაგრამ მისი დახმარება არ შემეძლო...“**

დავსუსტდი. არც მეგონა, ცოცხალი თუ გადავრჩებოდი. ამ დროს ტრაქტორი — „ბელორუსი“ წამოგვეწია. მე ტრაქტორში ჩამსვეს, ცოლმა კი გზა ფეხით გააგრძელა. დიცში, ნათესავებთან ჩამიყვანეს. იქიდან შვილმა გორის ჰოსპიტალში გადამიყვანა. „დამაყარეს“ ნემსები, ჭრილობა დამიმუშავეს, მერე კი „სასწრაფო დახმარების“ მანქანით თბილისში გადმომიყვანეს. ჰოსპიტალში უამრავი დაჭრილი ვნახე. ვერასდროს დავივიწყებ, რაც იქ ხდებოდა.

**— მეუღლე ალარ გინახავთ?**

— გუშინ აქ მოვიდა. ცოცხალი გადარჩენილა, მაგრამ ჩვენს სიცოცხლეს მგონი, აზრი აღარ აქვს. მე, ამ ხნის კაცი სიკვდილს გადავურჩი, 18-19 წლის ბიჭები კი დაიხოცნენ.

**— აქედან რომ გაგწერენ, სად წახვალთ?**

— ჯერ ისევ მაქვს იმის იმედი, რომ თამარაშენში დავბრუნდებით, თუ არა და, გორში ნათესავები მყავს. იქაც თუ ვეღარ შევედი, ბოშასავით ვიხეტიალებ. სატირლად გაგვიხადეს საქმე. თამარაშენიდან რომ წამოვედი, ჩემი სახლი იდგა, მაგრამ ისეთი დაბომბვა იყო, ალბათ, საცხოვრებლად არც ერთი შენობა აღარ ივარგებს. ჩვენ, შვილო, გლეხები ვართ. წარმოიდგინეთ, გლეხკაცს თოხი დამაგდებინეს. ატმის და ვაშლის ბაღი მქონდა, სიმინდისა და ლობიოს მოსავალიც აუღებელი დამრჩა. ჭურვები პირდაპირ ბაღებში ცვიოდა, ის ბაღები კი ჩვენი ოფლითაა მორწყული. ტყვიამ თუ არ მომკლა, დარდი მაინც მომიღებს ბოლოს. რა უნდოდათ რუსებს? ქართველს ოსი შეაძულა და ოსს — ქართველი. აგვრია და დაგვრია, სახეტიალოდ გაგვიხადა საქმე. ჩვენს სოფელში ოსები და ქართველები ერთად ვცხოვრობდით, ვმეგობრობდით და ვმეზობლობდით. წინა ომისა და არეულობის მიუხედავად, მაინც გვერდიგვერდ ვშრომობდით. ახლა რა იქნება?.. აგვისტო დადგა თუ არა, ომის სუნიც ვიგრძენით. ტყვიას ბომბებიც მოჰყვა და ჩვენი მდიდარი სოფლები მიწასთან გაასწორა.

*საავადმყოფოს დერეფანში მოხუცი კაცი მომიახლოვდა და მითხრა: შვილო, „მიხაილოვის“ გვერდით ვცხოვრობ. იქაურობაც სავსეა დაჭრილებით და ლაპარაკი მათაც შეუძლიათ. ამბობენ, — საშინელ ამბებს ჰყვებიანო. მეც „მიხაილოვისკენ“ ავიღე გეზი, რომლის შესასვლელთან აფხაზეთიდან დევნილები მორიგეობენ. ისინი წლების წინ, აქ შეიფარეს. მათ მითხრეს, — იარები გაგვეხსნა. ჩვენსავით ვინ გაუგებს ამ ხალხს? ჩვენსავით ხომ არავინ იცის, რას ნიშნავს ტყვიების წვიმაში ცხოვრებაო.*

**ნიკა ლეძვთაძე,** *ქირურგი:*

— ორი დღეა, რაც ჩვენთან დაჭრილები, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე სამხედრო პირები შემოჰყავთ. გორის ჰოსპიტლიდან ბევრი დაჭრილი მივიღეთ. ვისაც მსუბუქი ჭრილობა აქვს, პირველად დახმარებას ვუწევთ და სახლში ვუშვებთ, შედარებით მძიმე ავადმყოფებს კი სტაციონარში ვაწვენთ. მათ დაზიანებები ძირითადად, კიდურების არეში აქვთ. ცხადია, ცეცხლსასროლი იარაღითა და ნამსხვრევებით მიყენებული. გვყავს მხოლოდ ერთი ქალი, რომელსაც დაბომბვის დროს მრავლობითი დაზიანებები აქვს მიღებული. მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, მაგრამ ძალიან შეშინებული. ექიმები მობილიზებულები ვართ. აბსოლუტურად ყველაფერი გვაქვს, რაც შეიძლება დასჭირდეთ. ახლა ველოდებით ოთხ დაჭრილს, გორის ჰოსპიტლიდან. ღმერთმა ქნას, მალე დადგეს მშვიდობა.

**„19 წლის მოზარდს დამტირებელიც არ ჰყავს, მისი დედაც დაჭრილია და დაც“**

**იმერი გაჩილავა:**

— გორში ვცხოვრობ, ხახუტაშვილის ქუჩაზე. მეზობლები ბინის წინ ვიყავით შეკრებილები. ამ დროს გაისმა ბომბდამშენების ხმა. ჩვენს ბინას გადაუფრინეს. მაშინვე შინ შევვარდი. ვიფიქრე, — მობილურ ტელეფონს ავიღებ და ნათესავებს გადავურეკავ-მეთქი. მეორე სართულზე ვცხოვრობ. ტელეფონი ავიღე და უკან გამოვბრუნდი. მეზობლის ბავშვი დამეწია და იყვირა: ჩქარა, იმერი დეიდა, აქეთ გავიქცეთო. ბინიდან გამოსვლა ვერ მოვასწარით — ჭურვი ჩამოვარდა და პირდაპირ ჩვენ წინ აფეთქდა. ისეთი ძალა ჰქონია, რომ მაღლა ამისროლა. სარდაფი ჩაინგრა და შიგ ჩავვარდი. როცა გონს მოვედი, სულ სისხლიანი ვიყავი, საცვლებზე ცეცხლი მეკიდა, მუხლზე კი გავარვარებული ჭურვის ნატეხი მედო. იმდენი მოვახერხე, რომ ხელი ვტაცე და გავისროლე, ხოლო ცეცხლმოკიდებული საცვალი შემოვიხიე. სიცოცხლე ძალიან ტკბილი ყოფილა. მერე სარდაფიდან ამოვფოფხდი. ამასობაში, მეზობლებმაც დამინახეს და მომეშველნენ. მათ გორის ჰოსპიტალში მიმიყვანეს, სადაც უამრავი დაჭრილი ვნახე. ბავშვი, რომელიც ჩემთან ერთად იყო, დაჭრილა და ისიც იქ დამხვდა. საცოდავი საკაცეზე ეწვინათ, ხმას არ იღებდა. მგონი, ისიც თბილისში გადმოიყვანეს, მის შესახებ სხვა აღარაფერი ვიცი. ■

# „მსოფლიო თანამეგობრობას შესწევს ძალა, მას პოზიციები დაათმობინოს“

## „რუსეთმა კარგად როცა „გადაგვიარა“, მხოლოდ ამის შემდეგ ამოიღო ხმა დასავლეთმა“

**დაბომბილი საქართველო, შეშინებული სახეები, დაუცველობისა და უსუსურობის მძაფრი შეგრძნება; ყოველი დღე უარესის მოლოდინში და რაიმე, ოდნავ საიმედო ინფორმაციის მოლოდინში ტელევიზორებს მიჩერებული ადამიანები; ეს კიდევ არ არის გასული კვირის საქართველოს სრული სურათი, ხალხმა ბევრად უარესი გამოიარა. თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევით, რუსული აგრესია შეჩერდა თუ შენელდა...**

**რამდენად დროული იყო მსოფლიოს ჩარევა? როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები? რა შანსი აქვს საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის აგრესიის საბოლოოდ აღსაკვეთად და რა როლი შეიძლება ითამაშონ საერთაშორისო ორგანიზაციებმა? — ამის შესახებ ქართველი პოლიტოლოგები საუბრობენ.**

### ლალი პაპასკირი

**ზურაბ აბაშიძე:**

— სიტუაციის ჩასაწყნარებლად, ეს ალბათ უკიდურესი საშუალება იყო. სტაბილიზაციის ელემენტარული პირობების შესანარჩუნებლად, მხარეებმა აღნიშნული ხელშეკრულების ყველა პუნქტი უნდა შეასრულონ. რეალობამ დაგვანახვა, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავს და ამ ეტაპზე, ამაზე უკეთესი გამოსავალი არ გვქონდა. რომ არა მსოფლიოს ქვეყნების ჩარევა, ჩვენ ახლა გაცილებით უარეს დღეში აღმოვჩნდებოდით.

**— თქვენი აზრით, რამდენად დროული იყო საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევა?**

— დროულობაზე საუბრისგან თავს შევიკავებ, თუმცა თუ ილუზიებს არ ავყვებით, დღეს არსებული რეალური გადასახედიდან, ეს გეგმა იყო მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ამ ეტაპზე შეიძლებოდა. უბრალოდ, მთავარია, ამ ეტაპზე სიტუაციის დასარეგულირებლად რაიმე დამატებითი საერთაშორისო მექანიზმები გამოინახოს. ჩემი აზრით, კონფლიქტურ ზონებში საერთაშორისო ძალების შეყვანის იმედი ამ ეტაპზე არ უნდა გვქონდეს, თუმცა პერსპექტივაში ამაზე საუბარიც შეიძლება.

**— ამერიკის სახელმწიფო მდივნის განცხადებით, თუ რუსეთი, საქართველოს საკითხთან დაკავშირებით, ევროპასთან დათმობებზე არ წავა, მას საერთაშორისო იზოლაცია არ ასცდება...**

— დიახ, ეს არის ამერიკის ერთგვარი გაფრთხილება, რომელსაც რუსეთი გაითვალისწინებს. მაგრამ ეს სახელმწიფო მსოფლიო პოლიტიკაში სერიოზული ფაქტორია და მისი გაჩუმება ან შეცვლა შეუძლებელია, თუმცა მსოფლიო თანამეგობრობას შესწევს ძალა, მას პოზიციები დაათმობინოს. თუმცა, ჩემი აზრით, მისი პოლიტიკის რადიკალურად შეცვლას არ უნდა ველოდეთ.

**სოსო ცინცაძე:**

— ამ ეტაპზე საერთაშორისო საზოგადოების ჩარევის შედეგი — ჰუმანიტარული დახმარება იქნება... რაც შეეხება პოლიტიკურ დახმარებას, — ამის რეალობაზე საუბარი ძნელია, რადგან ყველა კარტი და კოზირი რუსეთს აქვს ხელში. ეს საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ საქართველოში ჩამოტანილ ექვსპუნქტიან გეგმაზეც კარგად აისახა. სინამდვილეში, არავინ იცის, მოიწონა თუ არა ჩვენმა ხელისუფლებამ ეს გეგმა, მაგრამ ფაქტია, რომ სხვა გზა არ გვაქვს. გარდა ამისა, ახლა არ არის პუნქტების ავკარგიანობის გარჩევის დრო, მთავარია, რუსეთს აგრესიის გაგრძელების საშუალება არ მივცეთ. ასევე უნდა შეწყდეს ის, რაც გორსა და მის სოფლებში ხდება... რაც შეეხება სარკოზის მიერ ჩამოტანილ გეგმას, დიდი ნოსტრადამუსობა არ სჭირდება იმის დადგენას, რომ მასში რამდენიმე მუხლი ჩვენთვის წამგებიანია. როგორც ჩანს, რუსეთს არ აინტერესებს ჩვენი პოზიცია. მან წამოაყენა ასეთი წინადადება და პირდაპირ გვეუბნება, — თუ ამას არ მიიღებთ, ჩემს საქმეს მაინც გავაგრძელებო... რუსეთმა იცის, რომ სხვა გზა არა აქვს და იმიტომაც შემოგვთავაზა ასეთი კაბალური და უსამართლო დაზავება.

**რუსეთმა იცის, რომ სხვა გზა არა აქვს და იმიტომაც შემოგვთავაზა ასეთი კაბალური და უსამართლო დაზავება**

**— ამერიკა რუსეთის სამშვიდობო ჯარების საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლებაზე ლაპარაკობს და აგრესიის გაგრძელების შემთხვევაში, სახელმწიფო მდივანი რუსეთს საერთაშორისო იზოლაციითაც ემუქრება...**

— რუსეთმა ბოლო დროს მიაღწია იმას, რომ ამ მოქმედებებში ამერიკა თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა. სწორედ იმიტომ ჩამოვიდა სარკოზი, უფრო ადრე კი, გახსოვთ ალბათ, რომ საქართველოს კონფლიქტების მოგვარების გეგმა გერმანიამ შეიმუშავა და არა ამერიკამ.

**— გამოდის, რომ დღევანდელი მსოფლიო ერთი ქვეყნის მიერ მეორის დაპყრობაზე თვალს ხუჭავს?**

— ამაში ახალი არაფერია, დღეს მსოფლიოს თვალი დახუჭული აქვს. მაგრამ ხვალ და ზეგ დასავლეთშიც — იქ, სადაც საქართველოსგან განსხვავებით, ბევრად უფრო ჭკვიანი ექსპერტები და პოლიტიკოსები ჰყავთ, — დაიწყება მომავლის განჭვრეტა: როგორია რუსეთის პოლიტიკური ანატომია და რა საფრთხე ელით ამ სახელმწიფოსგან?.. არავის აქვს იმის ილუზია, რომ რუსეთი საქართველოზე შეჩერდება. მათ იციან, რომ რუსეთს ყველგან ერთნაირი „ხელწერა“ აქვს, მაგრამ ამ ეტაპზე ეს ჩვენთვის შეღავათი არ არის. ახლა მთავარია, საქართველო ამ სიტუაციიდან რაც შეიძლება მინიმალური დანაკარგებით გამოვიდეს. რაც შეეხება რუსი სამშვიდობოების საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლებას, — დღეს, ხვალ და ზეგ ეს არარეალურია. მერე კი, თუმცა არავინ იცის, როდის დადგება ეს „მერე“ ამის განხილვა თეორიულ ჭრილში შეიძლება. სარკოზის მთავარი ფუნქცია, რუსული აგრესიის შეჩერება იყო. მან ამას მიაღწია და რის ფასად, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

**— როგორ ფიქრობთ, ქართულ მხარეს მოვლენების ასეთი განვითარების წინასწარ გათვლა შეეძლო?**

— ვერ გეტყვით, მიჭირს ამაზე პასუხის გაცემა. ეს შეკითხვა მას შემდეგ უნდა დაისვას, როცა ყველაფერი დასრულდება და ხელისუფლების არგუმენტებს მოვისმენთ. მე სრული მორალური უფლება მაქვს, კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ჩვენი ხელისუფლება რუსეთის პოლიტიკურ ანატომიას არ იცნობს, იმიტომ, რომ არ ვსწავლობთ. ევროპასა და ამერიკას ინტენსიურად სწავლობენ, მაგრამ რუსეთი, რომელიც ასეთი პრობლემური მეზობელია ჩვენთვის და თავის აგრესიას დღითი დღე აძლიერებს, არავის აინტერესებს... საქართველოში არ არსებობს არც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც იკვლევს, თუ რა საფრთხეებს უნდა ველოდეთ. ამას მეცნიერულ დონეზე შესწავლა სჭირდება. ჩვენთან რომ არსებობდეს ანალიტიკურ-მეცნიერული ჯგუფი, რომელიც მუშაობს რუსეთზე, ჩემი აზრით, სხვანაირი ვითარება იქნებოდა... რამდენიც უნდა იძახონ პარლამენტის წინ საქართველო გაიმარჯვებსო, არ არის ასე... ხვალ და ზეგ მშვიდობის შესანარჩუნებლად მძიმე მოლაპარაკებები გველის. არ არის გამორიცხული, ძალიან ბევრი რამის დათმობამ მოგვიწიოს და მე არ მესმის ჩვენი პოლიტიკოსების დამოკიდებულება. 30 წელია, დიპლომატიას ვსწავლობ და არც ერთ ქვეყანას მოლაპარაკებების წინ მეორე მხარე არ გაულანძღავს. საქართველოს, რუსეთთან დიალოგში ხომ საკმაოდ სუსტი პოზიციები აქვს!.. ამავდროულად, რეინტეგრაციის მინისტრი პუტინს ჰაგის სასამართლოში ჩივილითაც ემუქრება... რა მოვიგეთ ამით? ამ ხალხს არ ესმის, რომ დიპლომატიური მოლაპარაკებების წინ ასეთი განცხადებები ისევ ჩვენ მოგვაყენებს ზიანს.

**ირაკლი სესიაშვილი:**

— რუსეთის მხრიდან საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა ნებისმიერ შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველა საერთაშორისო ნორმის უხეში დარღვევაა, რუსეთი მაინც თავს ვალდებულად არ მიიჩნევს, პოზიცია შეცვალოს. მისი ოკუპანტი ჯარები თითქმის მთელ საქართველოში არიან. საქმე ის არის, რომ საქართველოს მთავრობა და მთავარსარდალი მოვლენების ასეთ განვითარებას სრულიად მოუმზადებელი და დაბნეული შეხვდნენ.

**— რამდენად დროული და შედეგიანი შეიძლება აღმოჩნდეს დასავლეთის ჩარევა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში?**

— უნდა თქვათ — საკმაოდ დაგვიანებული ჩარევა... რუსეთმა კარგად როცა „გადაგვიარა“, მხოლოდ ამის შემდეგ ამოიღო ხმა დასავლეთმა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში არავის იმედი არ უნდა გვქონდეს. ქვეყნის პრეზიდენტმა და მთავრობამ დაუშვეს შეცდომები, რაზეც ლაპარაკი ამ ეტაპზე ამ მსურს, რადგან ქვეყნაში ისედაც ძალზე მძიმე სიტუაცია. ყველაფრის გათვალისწინებით, მომხდართან დაკავშირებით უფრო კონკრეტული შეფასებებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ... როცა ხელისუფლება რუსეთთან შეიარაღებულ დაპირისპირებაზე მიდიოდა, მას ყველანაირი რისკი უნდა გაეთვალისწინებინა, მათ შორის, ის არალოგიკური პოლიტიკა, რომელიც რუსეთს ახასიათებს. თუ ეს ნაბიჯები, რისკები და გამოწვევები არ არის გაანგარიშებული და კრიზისულ სიტუაციაში ვიღაცის დახმარების იმედი არ გაქვს, მაშინ ასეთი ქმედებები ლოგიკას მოკლებულია. ამიტომ, ჩემი აზრით, პირველ დღეებში დასავლეთის დუმილი რუსეთის აგრესიაზე, ჩვენი ხელისუფლების არასწორი ქმედებებით იყო გამოწვეული. დასავლურ პოლიტიკას ზანტობა და გადაწყვეტილების ნელი მიღება ახასიათებს და მათ რუსეთს წითელი შუქი მხოლოდ მას შემდეგ აუნთეს, როცა სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა და პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოაცხადა, — თბილისზე შეტევა იწყებაო.

**— თქვენი აზრით, რამდენად დასაშვებია ის მოსაზრება, რომ დასავლეთი რუსეთისგან ასეთ აგრესიულ ნაბიჯებს არ ელოდა?**

— იცით, რა, დასავლეთს და თუნდაც ევროპას, რუსეთთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს და მათ ძალიან კარგად იცოდნენ, თუ როგორი პასუხი მოჰყვებოდა ამ ყველაფერს რუსეთის მხრიდან. ვფიქრობ, იმ ლიდერებისგან, რომლებიც ჩვენს მხარდასაჭერად ჩამოვიდნენ, განცხადებების დონეზე გაკეთებული მხარდაჭერისა და ჰუმანიტარული დახმარების მეტს არაფერს უნდა ველოდეთ. რაც შეეხება ნატოში შესვლას, ეს საკითხი შორეულ პერსპექტივაში რჩება...

**— ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ეს იყო პრობლემის მოგვარების უკიდურესი გზა და ყველა სხვა სამშვიდობო რესურსი ამოწურული იყო?**

— ვერ გეტყვით, ამ ეტაპზე არ მინდა, იმის განსჯა დავიწყო, დარჩენილი იყო თუ არა კიდევ რაიმე გზა პრობლემის მოსაგვარებლად... თუკი არსებული რეალობიდან გამოვალთ, ცეცხლი უკვე გახსნილია და ამგვარი შეფასებებისგან თავს შევიკავებ. შეფასებები იმის შემდეგ უნდა გაკეთდეს, როცა ყველაფერი დასრულდება. ■

# რუსი ჟურნალისტის თვალით

# დანახული კონფლიქტი

**ქვემოთ მოყვანილი სტატია რუსულმა გაზეთმა, „კომსომოლსკაია პრავდამ“ გამოაქვეყნა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნეგატიურად განწყობილმა რუსმა ჟურნალისტმა თავისი შეხედულებების გადმოცემა ღვარძლიანად სცადა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ სიმართლე არ დამალა. მართალია, ირონიით, მაგრამ მოგვეჩვენა, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების (არა კონფლიქტის, არამედ — საერთო ცვლილებების) შესახებ შურითაც კი ლაპარაკობს.**

ვერავინ შემედავება, თუ ვიტყვი, რომ რუსებს ქართველები უყვართ, ხოლო საქართველოში — რუსები. მათ ერთმანეთი ბოლომდე, ორგანიზმის თითოეული უჯრედით უყვართ. მწვადი, ღვინო, „ბორჯომი“, ბასილაშვილი, „მიმინო“, „მწირი“, ბაგრატიონი და ქანთარია რაიხსტაგზე — დროშით... ფრაზა — „რუსები ჩვენი ძმები არიან“ — ქართველის მიერ ფარისევლურად არ ითქმის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ცოტა უცნაური სიყვარულია და რატომღაც, ხელს არ გვიშლის, რომ გულგრილად დავერიოთ ერთმანეთს და სისხლი დავღვაროთ. რა არის ამის მიზეზი?

კავკასიის მთელი რეგიონი მოვლილი მაქვს და ყველა რესპუბლიკაში ნამყოფი ვარ. ამიტომ შემიძლია, შედარება გავაკეთო და ვთქვა, რომ კავკასიაში მხოლოდ საქართველო გახდა ისეთი სახელმწიფო, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია. როდესაც ადამიანი უცხო ქვეყანაში ხვდება, მაშინვე მძაფრად შეიგრძნობს უცხო ცხოვრების მცირე დეტალებს და შესაბამის დასკვნებსაც აკეთებს.

დიმიტრი სტეშინი

თვითმფრინავთან ტრაპი დაჯდომიდან 1 წუთში მოვიდა. სუპერთანამედროვე აეროპორტის შენობასთან რამდენიმე წამში, კომფორტული ავტობუსით მივედით და არა — ძლივს მბობღავი, საბჭოთა დროინდელი „პაზიკით“.

ტაქსის მძღოლს, რომელიც მე მელოდა, არ დაუგვიანია, ხოლო სასტუმროს ნომერში, რომელიც ჩემთვის იყო განკუთვნილი, საკმაოდ „ევროპული“ თანხა გადამახდევინეს. ნომერში ევროონკანებიდან წყალი

## ყველა ომი დიდი ტყუილით იწყება და ახლანდელი ომიც არ არის გამონაკლისი

კარგად მოდიოდა, სისუფთავე იყო და კონდიციონერიც მუშაობდა.

ქუჩაში ათობით გამვლელი გავაჩერე და ყველას ერთი და იმავე კითხვით მივმართე: რა შეიცვალა ქვეყანაში მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში სააკაშვილი მოვიდა? მივხვდი, რა ცოტა სჭირდება ადამიანს ბედნიერებისთვის. ყველაზე ხშირად მპასუხობდნენ: „ქუჩაში სიმშვიდეა და შუაღამეზეც კი შეიძლება, უშიშრად გამოხვიდე შინიდან. აღარ არის ყაჩაღობა, აღარ იტაცებენ ადამიანებს, გამოსასყიდის მიღების მიზნით“, — აღფრთოვანებით მეუბნებოდნენ თბილისელები.

მართალია, მთელი გადარჩენილი „შპანა“ რუსეთში წავიდა თავის სარჩენად, მაგრამ ესეც მიშიკოს პლუსად უნდა ჩავუთვალოთ. ხოლო ის, რომ რუსეთი ასეთი დაუდევარია და მთელი ეს ქართული კრიმინალი თავის უბეში შეიფარა, უბრალო ქართველს ნაკლებად აღელვებს.

რევოლუციონერი პრეზიდენტის მეორე გმირობა „გაის“ ტოტალური და საბოლოო დაშლაა. ავტოინსპექციაში ახალი თანამშრომლები აიყვანეს, რომლებსაც 155-დოლარიანი სამსახური და სრული სოციალური პაკეტი შესთავაზეს. მსურველი ბევრი აღმოჩნდა. სამსახურის მიღების ერთადერთი პირობა იყო — „ორგანოში მუშაობის არავითარი გამოცდილება“. პატრულის თანამშრომლებს აუკრძალეს იმ მძღოლების გაჩერება, რომლებიც მშვიდობიანად, წესების დარღვევის გარეშე გადაადგილდებიან და „გაის“ ყველა პოსტის ლიკვიდირება მოახდინეს. რუსეთში ასეთი პოსტები გზასთან აშენებულ, ფეოდალურ კოშკებს გვაგონებს.

ქართველი მძღოლები სადისტური სიამოვნებით მიყვებოდნენ რომელიღაც ლეგენდარულ პატრულის ხელმძღვანელზე, რომელიც ძველ, მწვანე „მოსკვიჩში“ ჩამჯდარა, დახეული ქურთუკი ჩაუცვამს და ქალაქში გასულა, რომ წესრიგი დაერღვია და მერე, პატრულის მიერ დაკავებულს, თანამშრომლებისთვის ქრთამი შეეძლია. თურმე ქუთაისში ქრთამის შეძლევისთვის, პატრულს მისთვის ხელბორკილი დაუდვია, ზუგდიდში — უცემიათ, თბილისში კი სისხლის სამართლის საქმე აღუძრავთ. მას კი ყველასთვის პრემიები გამოუწერია.

ამის კვალდაკვალ, სააკაშვილმა ავტოტრანსპორტის ტექდათვალიერებაც გააუქმა და მთელი ეს პროცედურა 2 მარტივ მოქმედებამდე დაიყვანა — მანქანის რეგისტრაცია და ნომრის აღება. იგივე ქმედება ჩაიდინა პოლიციის მიმართაც. პოლიციელებს ქვეყანაში — რომელიც შემოტანილი საწვავით ცხოვრობს, ახლა მუდმივად აქვთ ბენზინი და დანაშაულის ადგილამდე შეუფერხებლად გადაადგილდებიან. ეს ნამდვილი გამოცანაა... პრეზიდენტის ბრძანებით, პოლიციის განყოფილებების შენობები ფერადად შეღებეს, რომ ხალხს პოლიციის კი არ ეშინ-

ოდეს, არამედ მისი დანახვისას პოზიტიური გრძნობები გაუჩნდეს.

და ყველაფერ ამის შემდეგ როგორღა უნდა გვიკვირდეს — რატომ არ იზიარებენ ქართველები ჩვენს სიძულვილს სააკაშვილის მიმართ?..

## ომი და ტყუილი

ყველა ომი დიდი ტყუილით იწყება და ახლანდელი ომიც არ არის გამონაკლისი. ისე მოხდა, რომ მებრძოლი საქართველოს ტერიტორიაზე მე ერთადერთი რუსი ჟურნალისტი აღმოვჩნდი.

რეინტეგრაციის მინისტრმა, თემურ იაკობაშვილმა ჩემთან საუბარი მობოდიშებით დაიწყო:

— სამწუხაროდ, რუსულ ენაზე შედგენილი სავიზიტო ბარათი არ მაქვს, რადგან ჩვენთან იშვიათი სტუმრები ხართ.

ბატონმა მინისტრმა მითხრა:

— ჩვენ ცხინვალს აუცილებლად დავიკავებთ და ამაში ეჭვი არავის ეპარება. ტყუილად ხომ არ ჩავდეთ ჯარში 5 მილიარდი?! რა იქნება გამარჯვების შემდეგ? არსებობს მსგავსი კონფლიქტების მოგვარების ჭკვიანური მეთოდი და მას „ევროპული ავტონომია“ ჰქვია. ქართული და ოსური ენები სახელმწიფო ენების სტატუსს მიიღებენ და პარლამენტის ფორმირება მოხდება.

ერთადერთი, რაც არ მომეწონა, ის გახლდათ, რომ მინისტრის კაბინეტიდან ჩემი გამოსვლის შემდეგ მასთან ქართველი ჟურნალისტების არმია შეიჭრა, პრესმდივანმა კი გზა გადამიღობა: — პრესკონფერენცია ქართულ ენაზე წარიმართება და მაინც ვერაფერს გაიგებო.

მხრები ავიჩეჩე და სამხრეთ ოსეთის ქართველ „პრეზიდენტთან“, დიმიტრი სანაკოევთან ინტერვიუზე გავეშურე.

პოლიტიკოსმა, რომელიც სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი გახლდათ, კარგა ხანს ლანძღა მეორე „პრეზიდენტი“ — ედუარდ კოკოითი და ბოლოს და ბოლოს, დამარწმუნა, რომ საქართველოს და მას პირადად, ომი არ სჭირდებათ. ჯერ ერთი, ცხინვალში მისი მშობლები დარჩნენ, მეორე — საქართველომ და პატრიოტმა ბიზნესმენებმა სამხრეთ ოსეთის სოფლების ინფრასტრუქტურაში მილიარდობით ლარი ჩადეს. ვინ იქცევა ასე, როცა ომისთვის ემზადება?

— წადით და ნახეთ! — მომიწოდა სანაკოევმა და მეც ჩემი თვალით ვნახე: უზარმაზარი კინოთეატრი, სპორტული მოედნები, აფთიაქი-სასახლე, სუპერმარკეტი, საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზია, აუზი წყლის გარეშე, მშენებარე სასტუმრო, ატრაქციონები... ეს ყველაფერი ცარიელი და მტვრიანი იყო. ყოველ წუთს კი სროლის ხმა ძლიერდებოდა და უფრო და უფრო ახლოს ისმოდა. გზაზე სოფელ ერგნეთიდან მომავალი, პირველი ქართველი ლტოლვილები შემომხვდნენ, რომლებსაც ხელში კუბოკრული, მოუხერხებელი ჩანთები ეჭირათ.

ყურებში კი ოსი ქალბატონის, ლილი ბაგლოევას ხმა ჩამესმოდა, რომელიც განწირული ხმით ყვიროდა:

— ასე ცხოვრება აღარ შემიძლია! ჯობს, ახლავე მომკლან!

ის ადგილობრივ, სოფლის სკოლაში ქართულ ენას ასწავლიდა.

სოფელში აშენებული სასახლეები უფრო და უფრო ნაკლებად „ჯდებოდა“ განვითარებული მოვლენების კონტექსტში. ეს მხოლოდ უძვირფასესი დეკორაციები იყო, მშვიდობიანი და ლამაზი ცხოვრების მაკეტები. მშვიდობიან ცხოვრებას აქ უკვე არავინ ელოდა და ამას უკან, თბილისში მიმავალი მივხვდი.

გზაზე, სამხრეთ ოსეთის მიმართულებით მიმავალი უამრავი სატვირთო მანქანა მხვდებოდა, რომელიც ქართველი ჯარისკაცებით იყო დატვირთული, ასეულობით ჯავშანტრანსპორტიორი და პოლიციის ჯიპი მიემართებოდა კონფლიქტის ზონისკენ.

მზეჭაბუკები არიან, თითქოს აღლუმზე მიდიან!..

**ასეულობით ჯავშანტრანსპორტიორი და პოლიციის ჯიპი მიემართებოდა კონფლიქტის ზონისკენ**

მათი ფოტოფირზე აღბეჭდვა დავიწყე და აპარატი მანამ ვაჩხაკუნე, ვიდრე არ მომწყინდა. ამასთან, სანაკოევის პრესსამსახურის თანამშრომლის კომენტარს ვისმენდი:

— მზეჭაბუკები არიან, თითქოს აღლუმზე მიდიან!..

სამხრეთ ოსეთის ქართველი „პრეზიდენტის“, დიმიტრი სანაკოევის პრესმდივანმა, ია ბარათელმა დამშვიდობებისას მითხრა:

— დიმა, ხვალ ცხინვალში წასვლას ისევ აპირებთ? ალბათ არ ღირს. ჯობს, ორიოდე დღით ჩვენთან დარჩეთ.

ომის დაწყებამდე რამდენიმე საათი იყო დარჩენილი...

**დიმიტრი სტეშინი**

# „გიგა პროფესიონალია – არ მიწდა, მასზე წარსულ დროში ვილაპარაკო...“

მისი თანამშრომლები იმედოვნებენ, რომ გიგა დაბრუნდება...

**აგრესიამ ომის კანონებსაც კი გადააბიჯა. ქართველი მეომრების შემდეგ, მათ სამიზნედ, მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად, ჟურნალისტებიც იქცნენ. ჩვენი ქართველი და უცხოელი კოლეგებისთვის, პროფესიული მოვალეობის შესრულება სიცოცხლის სასწორზე დადების ტოლფასი აღმოჩნდა.**

**თამუნა კვინიკაძე**

*ტელეკომპანია „ალანიის“ საინფორმაციო პროგამების რედაქტორი გიგა ჩიხლაძე, რომელიც პარალელურად, რუსულ ჟურნალ „რუსულ ნიუსუიკთანაც“ თანამშრომლობდა, თავის კოლეგებს შორის პირველი აღმოჩნდა, რომლის დაღუპვის შესახებაც საზოგადოებას ეცნობა. თუმცა მოგვიანებით გაჩნდა ვერსია — ჟურნალისტის მძიმედ დაჭრისა და ვლადიკავკაზის საავადმყოფოში მისი გადაყვანის შესახებ. რადგან ვლადიკავკაზთან კავშირი გაწყვეტილია, ამ ცნობის გადამოწმება ჯერჯერობით ვერა და ვერ ხერხდება. „ალანიაში“ მისი თანამშრომლები იმედოვნებენ, რომ გიგა დაბრუნდება...*

**ანასტასია მილოვანოვა,** *საინფორმაციო პროგრამის წამყვანი:*

— 8 აგვისტოს გიგა გორში „ნიუსუიკისთვის“ მასალის მოსამზადებლად წავიდა. გვითხრა, რომ თბილისში იმ საღამოსვე დაბრუნდებოდა. „ალანიაში“ მოსვლა რომ შეაგვიანდა, შეგვეშინდა. ტელეფონითაც ვეღარ დავუკავშირდით, რის გამოც, ძალიან ვინერვიულეთ. მეორე დღეს „რუსული ნიუსუიკის“ ხელმძღვანელობას დავუკავშირდით. ინფორმაცია გიგას დაღუპვის შესახებ იმ დღესვე გავრცელდა.

**— თქვეს, რომ გიგასთან ერთად, რუსული სააგენტო „იტარ-ტასის“ ფოტოკორესპონდენტი ალექსანდრ (საშა) კლიმჩუკიც დაიღუპა.**

— დიახ. პირადად მე საშას არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ თბილისიდან გიგასთან ერთად წავიდა. იმასაც ამბობენ, რომ მათ თან კიდევ 2 უცხოელი ჟურნალისტი ახლდა (სავარაუდოდ, უკრაინელი და ამერიკელი).

ომსაც თავისი კანონები აქვს. მაგრამ ის, რაც დღეს ხდება — ბარბაროსობაა...

**— მათ შესახებ სხვა რა არის ცნობილი?**

— ისინი ალბათ გადარჩნენ, სხვა არაფერი ვიცი.

**— გიგა და საშა რა ვითარებაში დაიღუპნენ? რა ინფორმაციას ფლობთ ამის შესახებ?**

— როგორც ამბობენ, მათ ცეცხლი რუსებმა გაუხსნეს და დახვრიტეს. ამავე დროს, ეუთოს ერთ-ერთი წარმომადგენლისგან ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს გიგასა და საშას შორის ერთ-ერთი მძიმედ არის დაჭრილი და მას ვლადიკავკაზში მკურნალობენ.

**— ამ ინფორმაციის დაზუსტება ვერ შეძელით?**

— გიგას მონაცემები ვლადიკავკაზში გავგზავნეთ, მაგრამ ამის პასუხად, არანაირი ინფორმაცია არ მოგვსვლია. კავშირი გაწყვეტილია. ჩვენ, მისი მეგობრები და თანამშრომლები იმედს ვებღაუჭებით. გიგა ძალიან კარგი ადამიანია, უზომოდ თბილი, კეთილი, იუმორით გამორჩეული. როცა გადაცემისთვის ტექსტს ვწერდით, თუ ცუდად გამოგვივიდოდა, მწვავე შენიშვნას არასდროს მოგვცემდა, პირიქით — ყოველთვის ჩვენს გახალისებასა და გამხნევებას ცდილობდა. გიგა პროფესიონალია — არ მინდა, მასზე წარსულ დროში ვილაპარაკო... გიგას მეუღლე და 2 შვილი ჰყავს: 5 წლის სოფიო და 3 წლის ლუკა. ის თავისი შვილების ბედნიერ მომავალზე ფიქრობდა. მზრუნველი მამა და მეუღლე გახლდათ.

**გიორგი წიკლაური,** *საინფორმაციო პროგრამების დირექტორი:*

— 8 აგვისტომდე მე და გიგა საინფორმაციო პროგრამებზე ერთად ვმუშაობდით. ერთი წელი იქნება, რაც „ალანიის“ თანამშრომელია, მაგრამ მე დიდი ხანია, ვიცნობ.

**— ბოლოს როდის ნახე?**

— იმ დღეს, როცა გორში წავიდა. საღამოს ტელევიზიიდან მე უნდა გავსულიყავი. მითხრა, — აუცილებლად ჩამოვალ და შეგცვლიო, მაგრამ...

**— გაურკვეველი მდგომარეობაა. იქნებ, იმ ორმა ჟურნალისტმა იცოდეს რაიმე, რომელიც სავარაუდოდ, თბილისიდან გიგასთან და საშასთან ერთად გაემგზავრა?..**

— არ ვიცით, ვინ იყვნენ ის ჟურნალისტები. მომხდართან დაკავშირებით, ტელევიზიაში სატელეფონო ზარები არ წყდება. „რუსული ნიუსუიკის“ გარდა, გიგა აზერბაიჯანის გაზეთებთანაც თანამშრომლობდა. ჟურნალისტის მოვალეობაა, სადაც საჭირო იქნება, იქ წავიდეს, თუნდაც — ფრონტის წინა ხაზზე. ომსაც თავისი კანონები აქვს. მაგრამ ის, რაც დღეს ხდება — ბარბაროსობაა... ■

# „ფუჭად საუბარს გაძლიერებული ლოცვა სჯობს“

**„ვთხოვოთ უფალს მშვიდობა და კეთილდღეობა. ჩვენ არავის ვებრძვით, ჩვენ ვცდილობთ, დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი. სამწუხაროა, რომ ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთი მართლმადიდებელ საქართველოს ბომბავს. დღეს ჩვენ განსაცდელში ვართ, მაგრამ ნუ გეშინიათ“, — ასე მიმართა ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მრევლს და ქვეყნის მშვიდობისთვის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისი გადაიხადა. ასეთ დაძაბულ, ნერვულ სიტუაციაში გარდა წირვა-ლოცვაზე დასწრებისა, თუ რა უნდა გააკეთოს მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, რომელიც ხშირად სასოწარკვეთილებაშიც ვარდება, გვესაუბრება საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი დეკანოზი დავითი (შარაშენიძე):**

*ირმა ხარშილაძე*

— არავის სურს ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, მაგრამ აჯობებს, ღმერთის კაცთმოყვარეობას მივენდოთ. საქართველოში თუ ისრაელის ისტორიაშიც ყოფილა ბევრი შემთხვევა, როდესაც ადამიანები ცდილობდნენ შინაგანი სიმშვიდის შენარჩუნებასა და უფალს მათთვის მშვიდობა მოუტანია. მიმდინარე თემების განხილვა, მუდმივი ანალიზი კიდევ უფრო მეტად ტვირთავს და ამძიმებს ადამიანს. ჯობია, შეძლებისდაგვარად, მყუდროებაში იყო, რა თქმა უნდა, ინფორმაციებისგან იზოლაციაში ვერ იქნები, მაგრამ ხომ შეიძლება, ყოველ წუთში არ უსმინო.

**— თვითონ შევესწარი, ცხინვალის რეგიონის სოფლებიდან გამოქცეული, გამწარებული ლტოლვილები თბილისის მერიის შენობიდან გამოსულები, იქვე მდებარე საბავშვო ბაღის შენობაში რომ აპირებდნენ შეღწევას. ისინი ხომ კიდევ უფრო მეტად საოსწარკვეთილები არიან. ამ ადამიანებს რას ეტყოდით?**

— ძნელია მათ სანუგეშებლად სიტყვების მოძებნა. მხოლოდ იმედი გვაქვს, რომ ყველაზე სანატრელს — მშვიდობას მივაღწევთ. უნდა შეწყდეს დაბომბვები და ალბათ, ასეც იქნება. ამწუთას, მთავარია, რომ ფიზიკურად გადარჩნენ. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ რაც დაკარგეს — მატერიალური ფასეულობა, როგორღაც აღიდგენენ. დასავლეთი ამ მხრივ მაინც გამოიღებს ხელს, თორემ აბსოლუტურად უაზრო, არაქმედუნარიანი რეზოლუციების გარდა, სხვაგვარი სერიოზული მხარდაჭერა არ გვიგრძნია მათგან. ამ გაუბედურებულ ხალხს, ეგებ, ჰუმანიტარული დახმარებით მაინც შეუმსუბუქონ ტანჯვა.

**— რუსეთის საპატრიარქოს აზრი თუ იცით ამ ომთან დაკავშირებით?**

— პირადად საქართველოს პატრიარქს თუ ესაუბრნენ, არ ვიცი. ისე კი ყველასთვისაა ცნობილი რუსეთის ეკლესიის პოზიცია და დამოკიდებულება აფხაზეთის რეგიონთან. სამწუხაროდ, მათსა და კრემლის პოზიციას შორის დიდ სხვაობას ვერ ვხედავ. ალბათ, რუსეთშიც არიან სასულიერო პირები, ისევე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც ამ საშინელ აგრესიას გმობენ. საერთოდ კი რუსეთის ეკლესია ყოველთვის პოლიტიზებულია და ხელისუფლებასაც დიდი გავლენა აქვს მასზე. აგერ, რომის პაპმა გააკეთა განცხადება, ბევრმა რელიგიურმა ლიდერმა გამოთქვა თავისი მოსაზრება, მათგან კი ოფიციალური განცხადება, რომ გმობენ აგრესიას, არ მოგვსვლია... უწმინდესსა და უნეტარესს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს კონკრეტული ლოცვა არ მიუთითებია. მართლმადიდებელმა ქრისტიანმა სასურველია, შეძლებისდაგვარად ხშირად წაიკითხოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისი, წმინდა ნიკოლოზის, წმინდა გიორგისა და წმინდა ნინოს პარაკლისები, თან გულით შესთხოვოს უფალს, რომ შეწყდეს ეს საშინელება. სასურველია, დღის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი ფსალმუნი წაიკითხოს, რადგან ეს არა მარტო ამ სიტუაციის ნორმალიზაციას შეუწყობს ხელს, არამედ თითოეული მლოცველის სულიერ მდგომარეობას გამოაკეთებს. წარმოიდგინეთ, ამდენ უსასოო, განერვიულებულ, გაღიზიანებულ ადამიანს როგორ დაეხმარება და სწორედ იმ განწყობილებას შეუქმნის, რაც ასეთ დროს უნდა ჰქონდეს ქრისტიანს. ნებისმიერი ლოცვა, ეს იქნება მოკლე ლოცვები, „იესო ქრისტეს ლოცვა“, „მამაო ჩვენო“, „ღვთისმშობელო ქალწულო“, „მართლმადიდებელი მეომრებისთვის“, „მამულისა და ერისთვის“, — შეგიძლიათ წაიკითხოთ.

**— ამ დღეებში „მაგთისა“ და „ჯეოსელის“ აბონენტები მესიჯის სახით იღებენ და აგზავნიან ლოცვას „ერისა და მამულისთვის“: „აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედა ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ — უფალო, დიდება შენდა. ამინ!“**

— ეს ძალიან ძლიერი ლოცვაა. აქ გამოთქმულია ვედრება, რომ უფალმა ერი ბაბაროსებისგან დაიცვას. კარგი იქნება, თუ დღეში რამდენჯერმე წაიკითხავთ. ფუჭად საუბარს ნამდვილად აჯობებს ამ ლოცვის წარმოთქმა. ამით ერსაც, ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც მეტ სარგებელს მოუტანს. ■

**ყველასთვისაა ცნობილი რუსეთის ეკლესიის პოზიცია და დამოკიდებულება აფხაზეთის რეგიონთან. სამწუხაროდ, მათსა და კრემლის პოზიციას შორის დიდ სხვაობას ვერ ვხედავ**

# „ამიერ აფხაზეთში სამხედრო მობილიზაციაა გამოცხადებული“

**დღეს აფხაზეთში არსებული ვითარება მეტისმეტად დაძაბულია. რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების „შემოქმედება“ კი დღითი დღე ამ დაძაბულობის ზრდასა და კონფლიქტის ესკალაციას უწყობს ხელს. სამწუხაროა, რომ ამ დროს ყველაზე მეტად ზარალდება ადგილობრივი მოსახლეობა. ასეთ ვითარებაში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების მისია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. წლების განმავლობაში გალის რაიონში მშვიდობა არ ყოფილა, თუმცა არც ომი იყო გაჩაღებული...**

**სამხედრო ტექნიკა იქაურებისთვის, გასული საუკუნის 90-იან წლებთან ასოცირდება: აფხაზებს საომარი მოქმედებების განახლების შიში იპყრობს. მათი თქმით, მორიგი შეტაკება აფხაზურ ერს სამუდამოდ გააქრობს პირისაგან მიწისა. რა განწყობილებაა ენგურს გაღმა? ჩიხიდან გამოსასვლელად, რა გზას ხედავს უბრალო ხალხი? — ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, ადგილობრივ მცხოვრებლებს დავუკავშირდით.**

აფხაზებს საომარი მოქმედებების განახლების შიში იპყრობს

## ასმათ შამუგია

**გივი,** *45 წლის, გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღების მკვიდრი, ქართველი:*

— მთელ აფხაზეთში სამხედრო მობილიზაციაა გამოცხადებული და დენთის სუნი ტრიალებს. რუსეთს რაღაც აქვს ჩაფიქრებული, თორემ აფხაზეთში ამ რაოდენობით სამხედრო ტექნიკას არ შემოზიდავდა. მათ აქ ძალიან დიდი ინვესტიციები აქვთ ჩადებული და ამდენ თანხას ასე ადვილად არ დაკარგავენ. ფაქტია, რომ გულხელდაკრეფილი არც საქართველოს ხელისუფლება იჯდება. თუ ომი დაიწყო, ეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტი კი არა, რუსეთ-ამერიკის ომი იქნება...

**შალვა,** *57 წლის, გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების მკვიდრი, ქართველი:*

— ომის შემდეგ თბილისში ვცხოვრობდი, როგორც დევნილი. მაგრამ დედაქალაქში ვერაფერი გავაკეთე... მერე მოვკიდე ჩემს ოჯახს ხელი და თავიდან დავიწყე ცხოვრება მშობლიურ სოფელში. მომყავს თხილი, ვუვლი სახლს, მოსავლიდან წილს აფხაზებსაც ვაძლევ... ვგრძნობ, რომ სოფელში ყველა რაღაც საფრთხის მოლოდინშია... ომი არ გვინდა ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ თუ საჭირო გახდა, სხვა რა გზა გვექნება?.. დავიღალეთ ჭირვეული ლოდინით და გაურკვევლობით... ძალიან გვინდა, მშვიდობა იყოს აქ და ჩვენი ქვეყანა სულ მალე გამთლიანებული ვიხილოთ...

**გიორგი,** *40 წლის, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მკვიდრი, ქართველი:*

— მე ხშირი ურთიერთობა მაქვს აფხაზებთან. დამიჯერეთ, არც მათ უნდათ ომი... ყოველღამე ტანკების გრუხუნი უკვე შიშის ზარს სცემს მოსახლეობას. არადა, გალის რაიონში ბოლომდე ხომ არც ერთი მხარის კანონი არ მოქმედებდა, ჩვენ ყველაფერს შეჩვეულები ვიყავით და როგორღაც ვუძლებდით აქ შექმნილ ვითარებას... დაბრუნების ძალიან დიდი იმედი გვაქვს ადგილობრივ მოსახლეობას...

**დავითი,** *50 წლის, გალის რაიონის სოფელ ოტობაიის მკვიდრი, ქართველი:*

— ქართველებს და აფხაზებს ერთნაირად ეშინიათ. ომი არც ერთ მხარეს არ უნდა... დაბალი ზონის მოსახლეობა განსაკუთრებული წნეხის ქვეშ ჰყავთ მოქცეული: საზღვრისპირა რაიონი არისო, — და ცდილობენ, ქართველი მხარე მოთმინებიდან გამოიყვანონ...

*დიდი გაჭირვებით დავუკავშირდით კოდორის ხეობაში მყოფ ერთ-ერთ ქართველ ჯარისკაცს, რომელმაც მოგვაწოდა გარკვეული ინფორმაცია იქ შექმნილი მდგომარეობის შესახებ (ინტერვიუ ჩაწერილია 10 აგვისტოს, გვიან საღამოს):*

— სეპარატისტული აფხაზეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა შეტევაზე გადმოსვლისა და პოზიციების დაკავების მცდელობას. ზემო აფხაზეთის ინტენსიური დაბომბვისა და საარტილერიო შეტევის მიუხედავად, ქართული მხარე იქ დაკავებულ პოზიციებზე რჩება... აფხაზური მხრიდან, ქვეით დანაყოფებს შემოჭრის მცდელობაც ჰქონდათ, ქართველმა სამართალდამცველებმა ეს შეტევა მოვიგერიეთ, მაგრამ მდგომარეობა მაინც დაძაბულია... კვირას, შუაღამისას ზემო აფხაზეთს თავს დაესხა რუსული სამხედრო ავიაცია. კერძოდ, 8 ბომბდამშენმა ინტენსიურად დაბომბა სოფლები — ომარიშარა, გენწვიში, ღვალღვა და აჟარა. ამ დროისთვის ზემო აფხაზეთიდან 1500 ბავშვი და ქალია ევაკუირებული. ისინი ამჟამად ჭუბერში არიან და მათთვის აფხაზეთის მთავრობამ საკვები პროდუქტები ჩაიტანა. ამასთან, ჭუბერიდან მათი ჩაყვანა და დაბინავებით უზრუნველყოფა ხვალ გახდება შესაძლებელი...

*ერთ-ერთი რუსი მაღალჩინოსანი სამხედრო პირის განცხადებით, კვირას, გვიან საღამოს აფხაზეთში რუსული სადესანტო ჯგუფი შევიდა. მედესანტეები და საბრძოლო ტექნიკა აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო-საჰაერო ტრანსპორტის საშუალებით გადასხეს. რუსული მხარის განცხადებით, ამ ოპერაციის მიზანია: „არ დაუშვან სამხრეთ ოსეთში მომხდარი ინციდენტის ანალოგი და აღკვეთონ ქართული აგრესია აფხაზეთის წინააღმდეგ“. ეს მოვლენა აშკარად კავშირშია აუღიარებელი რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტის ბაგაფშის განცხადებასთან, რომ საჭიროა „წესრიგის დამყარება“ აფხაზეთში.* ■

მორიგი შეტაკება აფხაზურ ერს სამუდამოდ გააქრობს პირისაგან მიწისა

**რუსეთის მხრიდან საქართველოზე აგრესია საუკუნეების განმავლობაში გრძელდება. დღეს, რუსეთი საჰაერო იერიშებით ცდილობს, თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი დააშინოს, მათგან მანამდეც ბევრჯერ გვიგემია ტყვიები, ნიჩბები... დღეს განვითარებულ მოვლენებს ხალხი 1921 წელს, რუსეთის მხრიდან საქართველოზე განხორციელებულ ანექსიას ადარებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ისტორიული პარალელების გავლება ისტორიკოს ZZABA სამუშაოს ვთხოვეთ.**

# ვის აძლევდა ხელს ოსურ-ქართული კონფლიქტის გაჩაღება

## ანუ „ქართველებისადმი ზიზღი რუსეთს არასდროს აკლდა...“

**ემა ტუხიამვილი**

— საქართველოში შექმნილ დღევანდელ მდგომარეობას 1921 წელს განვითარებულ მოვლენებს ნაკლებად შევადარებდი, მაგრამ მსგავსებაც ბევრია. მაგალითად, მაშინაც და ახლაც ორი სახელმწიფო ეომებოდა ერთმანეთს იმ პირობებში, როდესაც ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორეს მიმართ აგრესია ხორციელდება. უბრალოდ, შეიცვალა აგრესიის გამოხატვის ფორმა. 1921 წელს, რუსეთმა საქართველოში ჯარი ყველა მხრიდან შემოიყვანა — ჩრდილოეთიდან, შავი ზღვისპირეთიდან, სომხეთიდან და საქართველოს სრული ოკუპირება მოახდინა. დღეს 1921 წლის მოვლენები ვერ გამეორდება, რადგან სრულიად სხვაგვარ საერთაშორისო პირობებში ვიმყოფებით. შედარებების თვალსაზრისით, კიდევ უფრო შორს წავიდოდი და დღეს შექმნილ ვითარებას უფრო შორეულ ეპოქას, როდესაც საქართველო XI საუკუნეში ბიზანტიელებს ეომებოდა, შევადარებდი. მაშინ, კონკრეტული რეგიონული ლიდერების ღალატის წყალობითა და ხელშეწყობით, ბიზანტია საქართველოს ერთი კონკრეტული კუთხის მოწყვეტას და თავის იმპერიასთან შეერთებას ახერხებდა. თუ რუსეთის იმპერიას ისე განვიხილავთ, როგორც ბიზანტიის იმპერიის დაპყრობითი პოლიტიკის გამგრძელებელს, მსგავსება უფრო თვალსაჩინო გახდება. ბიზანტიაც რუსეთის მსგავსად ცდილობდა, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები, სავაჭრო ქალაქები დაეკავებინა. XI საუკუნეში ბიზანტიამ მოახერხა, სამხრეთ საქართველოზე აგრესია განეხორციელებინა, შეიერთა დავით კურაპალატის სამეფო, ჯავახეთი, მოგვიანებით კი ლიპარიტ ბაღვაშის დახმარებით თრიალეთსაც დაეპატრონა. დღევანდელი ლიპარიტ ბაღვაშები კოკოითი და ბაღაფში გახლავთ. მაშინ ბიზანტია (და ახლა უკვე რუსეთი) შიდა პრობლემების გაღვივებით ცდილობდა, ჩვენთვის აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმართვის შესაძლებლობა წაერთმია, მაგრამ ქართველებს, როგორც კი იმის შესაძლებლობა მოგვეცემოდა, რომ ცოტა ხნით მშვიდობა შეგვენარჩუნებინა, მაშინვე მთელ ამიერკავკასიას ლიდერის როლში ვევლინებოდით. ამის შესახებ ყველაზე კარგად რუსეთმა იცის და ამიტომაც ცდილობს, შიდა პრობლემების გამწვავებით სიმშვიდის საფუძველი არ მოგვცეს და სამხრეთკავკასიაში ლიდერობა დაგვაკარგვინოს. რუსეთმა კიდევ ერთი რამ იცის, რაც თავის დროზე ბიზანტიამაც იცოდა: თუ რუსეთი კავკასიის რეგიონში საქართველოს თავისუფალი მოქმედების საშუალებას მისცემს, ის კავკასიას დაკარგავს. ამიტომაც, სიფრთხილე გვმართებს. უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილები და ამის ნიმუშად, მინდა, თქვენს მკითხველს ბაგრატ III-ის მაგალითი მოვუთხრო. ბაგრატ მესამე გახლდათ მეფე, რომელმაც კავკასიის მასშტაბით პატარა იბერია შექმნა და ბიზანტიასთან არც ერთი ომი არ გადახდენია. ის ბიზანტიასთან და აგრესიით ცნობილ მის მმართველთან, ბასილი მეორესთან მოზომილ პოლიტიკას აწარმოებდა. სხვათა შორის, ბასილი მეორემ ასიათასობით ბულგარელი გაწყვიტა და ამის გამო, მას ბულგართმჟელეტელი უწოდეს. ასეთივე წარმატებით შეგვიძლია, რუსეთის ყოფილ პრეზიდენტ პუტინს ჩეჩენთმჟლეტელი ვუწოდოთ. ასე რომ, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ჭკვიანი მეფის, ბაგრატ მესამის მაგალითი და კავკასია ნელ-ნელა გამოვაცალოთ მონსტრს, რომელსაც ბოროტი პოლიტიკური ზრახვები აქვს.

XX საუკუნის დასაწყისი...

XXI საუკუნის დასაწყისი...

**— ისტორიულ ასპექტში როგორ განიხილება 1991 წლის მოვლენები, როდესაც ფაქტობრივად, ცხინვალის რეგიონში კონფლიქტი გაღვივდა?**

— როდესაც საბჭოთა იმპერია

ინგრეოდა, რუსეთს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში „ცხელი წერტილები“ სჭირდებოდა, რითაც თავისი სამხედრო ძალების იქ არსებობას გაამართლებდა. რუსეთმა თავისი ბოროტი ზრახვები სისრულეში მოიყვანა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. პირველი ორი ქვეყნის შემთხვევაში, მან ცნობილი ყარაბახის კონფლიქტი გააღვივა, ჩვენ

**— სხვათა შორის, ხალხში იმასაც გაიგონებთ: ვერ გაგვიგია, ეს რუსები ქართველებს ებრძვიან თუ უშუალოდ გორელებსო?..**

— ქართველებისადმი ზიზღი რუსეთს არასდროს აკლდა, მაგრამ რატომღაც, იმ კაცში, რომელსაც ვლადიმირ პუტინი ჰქვია, ეს ზიზღი გადაჭარბებულია. არასდროს მჯეროდა პუტინის კასპელობის, ლეგენ-

**1921 წელს, რუსეთმა საქართველოში ჯარი ყველა მხრიდან შემოიყვანა — ჩრდილოეთიდან, შავი ზღვისპირეთიდან, სომხეთიდან და საქართველოს სრული ოკუპირება მოახდინა**

კი შეგვიქმნა პრობლემები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. მაგრამ შეცდომაა, როდესაც დღეს ამ ტერიტორიას სამაჩაბლოს ვუწოდებთ — ეს არის ძირძველი შიდა ქართლი და მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვუწოდოთ არც სამაჩაბლო და არც — სამხრეთ ოსეთი. ჩვენ ვიბრძვით შიდა ქართლისთვის და ეს არის ის ტერიტორია, რომლისთვისაც იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები, რათა საქართველო გაეერთიანებინათ. შიდა ქართლში, ვითომდა ოსურ-ქართული კონფლიქტის გაჩაღება რუსების მიერ დაგეგმილი ფარსია. დღეს საქართველოში ოსები ყველგან ცხოვრობენ და მათთან გასაყოფი არაფერი გვაქვს. შემიძლია, მხოლოდ თბილისში დაგისახელოთ უამრავი ქუჩა, სადაც ოსები არიან დასახლებული. მაშინაც და ახლაც, ეს არის და იყო კლასიკური რუსულ-ქართული კონფლიქტი. მინდა, მსოფლიო თანამეგობრობას მოვუწოდო, რომ დროულად აღიმაღლოს ხმა, აღარ არის მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკის დრო. ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ისტორიული ტერიტორიებისთვის და იმისთვის, რომ რუსულ ტირანიას ერთხელ და სამუდამოდ დავაღწიოთ თავი. ისტორიულად, ასეთ დამპყრობლურ პილიტიკას პერსპექტივა არასდროს ჰქონია. რუსეთის იმპერია ქართულმა გენმა ანუ სწორედ იმან შექმნა, ვის მშობლიურ ქალაქსაც დღეს ინტენსიურად ბომბავენ რუსული მოიერიშე თვითმფრინავები და ეს იმპერია ისევ ქართულმა გენმა უნდა დაამხოს. მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერით, ეს ომი არ უნდა წავაგოთ.

დების მისი მძიმე ბავშვობის შესახებ, მაგრამ ახლა მგონია, რომ ეს ყველაფერი სიმართლეს ჰგავს. საოცარია, მაგრამ საქართველოსთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს პუტინი და არა რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი! ცოტა ხნის წინ გახმოვანდა მათი გეგმა საქართველოს ხელისუფლების შეცვლის თაობაზე... შესაძლოა, ჩემთვის წამგებიანიც იყოს ამის თქმა, მაგრამ მინდა, როგორც სამხედრო ისტორიის სპეციალისტმა, ჩემი აზრი გავახმოვანო. მიმაჩნია, რომ სამხედრო კონფლიქტში

**რუსეთის იმპერიის არსებობის განმავლობაში, მსოფლიო საზოგადოების ზეწოლით ყველაზე დიდმა დიქტატორმა — სტალინმაც კი შეცვალა თავისი პოზიცია**

მოუმზადებლად ჩართვა არ შეიძლება. იმ ქვეყნისთვის, რომელსაც საჰაერო თავდაცვა არ გააჩნია, თანამედროვე საომარ ბრძოლებში ჩართვა ძალიან რთულია. ეს არის ტრაგედია მთელი ქართველი ერისთვის. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის წასვლა კი არა, პუტინის პოლიტიკიდან წასვლაა საჭირო. ასეთი ტირანები ქვეყანას არ უნდა მართავდნენ. საქართველოს შემდეგ ნებისმიერ ქვეყანას უნდა

ჰქონდეს მოლოდინი იმისა, რომ ხვალ რუსული ტანკები მათ საზღვრებს მიადგებიან.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ამ კონფლიქტის მოგვარებაში მსოფლიო საზოგადოების რეაქცია გადამწყვეტი უნდა იყოს. განა ახსოვს ისტორიას ისეთი შემთხვევები, როდესაც რუსეთის იმპერია მსოფლიო საზოგადოების აზრს ითვალისწინებდა?**

— რუსეთის იმპერიის არსებობის განმავლობაში, მსოფლიო საზოგადოების ზეწოლით ყველაზე დიდმა დიქტატორმა — სტალინმაც კი შეცვალა თავისი პოზიცია. ასეთი რამ ორჯერ მოხდა: ერთხელ 1939 წელს, საერთაშორისო ზეგავლენისა და ფინელების სერიოზული, ვაჟკაცური წინააღმდეგობის შედეგად, სტალინმა უკან დაიხია და ამ ქვეყნის სრული დაპყრობა ვერ მოახერხა; მეორედ, როდესაც მსოფლიო თანამეგობრობამ მას არ მისცა საშუალება, თავდასხმა თურქეთზე განეხორციელებინა. მსოფლიო თანამეგობრობას დღეს უფრო მეტი ზემოქმედების საშუალება აქვს. ამისთვის არსებობს მრავალი ეკონომიკური ბერკეტი. საერთაშორისო მხარდაჭერით, ჩვენ შეგვიძლია ვაიძულოთ რუსეთი, რომ მან გადადგას საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნაბიჯები. რუსეთის ამჟამინდელი მთავრობა ფეოდალური აზროვნების მქონე საზოგადოებას მაგონებს. არ ვიცი, ისინი ამ წერილს წაიკითხავენ თუ არა, მაგრამ მინდა მათ შევახსენო, რუსებს ჰყავდათ მეფე სვიატოსლავი, რომელიც, როგორც ჩანს, გაცილებით ვაჟკაცი იყო, ვიდრე რუსეთის დღევანდელი მთავრობა. სვიატოსლავს ერთი კარგი ჩვევა ჰქონდა: როდესაც მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდა, რამდენიმე ხნით ადრე მათ მაცნეს უგზავნიდა და აფრთხილებდა, ესენი კი ცდილობენ, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში თავიანთი მზაკვრული გეგმა ფარულად განახორციელონ. ■

# საბერძნეთში გადახვეწილი ქალის სატკივარი

## „თუ დაგივიწყო, საქართველოვ, დაივიწყე მარჯვენა ჩემი“

ორიოდე თვის წინ, 180-ე საშუალო სკოლის 1998 წლის გამოშვების ბავშვების ქეიფს შევესწარი. თუმცა, რაღა ბავშვები, 27-28 წლის ადამიანები არიან. სხვა დროსაც შევსწრებივარ მათ ქეიფს. ლექსების კითხვას იწყებენ — ერთი იწყებს, მეორე აგრძელებს, მესამე ენაცვლება და ასე გრძელდება დაუსრულებლად. „ლურჯა ცხენებს“ „ყივჩაღის პაემანი“ ცვლის, „მთაწმინდის მთვარეს“ — „მუხამბაზი“... არა, ეს მარტო თავშექცევა არ არის. ეტყობა, წლების წინ ამ ახალგაზრდებს რაღაც „აცრა“ გაუკეთეს, რადგანაც მათ ქართული სიტყვის, ლექსის ტრფიალი შეჰყრიათ. სხვათა შორის, ეს „მიკრობი“ გადამდებიცაა — წლები გადის, სამეგობრო წრე იზრდება, იცვლება — ლექსი და სიტყვა ქართული უფრო ხაროობს. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ამ კეთილი საქმის წამომწყები ქალბატონი **მადონა თედორაძეა**, რომელმაც თაობები აღზარდა. დღეს საქართველოს ასეთი მასწავლებლები ძალიან სჭირდება, ქალბატონი მადონა კი საბერძნეთშია.

### წასული ბევრი მინახავს, უკან მობრუნებული ჯი...

— პედაგოგი ვარ, ლიტერატორი და ლექსებსაც ვწერ ჩემთვის, ვიწრო წრისთვის. წარმოშობით სვანი გახლავართ. ჩემმა გვარმა არ გაგაკვირვოთ — თედორაძეები ლენტეხის რაიონში, სოფელ ლემზაგორში ცხოვრობდნენ (ახლა მიტოვებულია „არწივების ასაფრენი ბუდე“). დედა გურულია, აზნაურ ქარცვიძის ქალი. ჰოდა, ეს ორი ბუნება — სვანისა და გურული აზნაურის, როგორი „ქიმიაა“? ალბათ, რთული ვარ, რთული...

მეორე კურსიდან ცხოვრების თანამგზავრად სოსო პაიკიძე ავირჩიე. ის ისტორიკოსი კაცია, დიდი ქართველი, მაგრამ ცხოვრების არევ-დარევის შემდეგ, სხვა მართალი კაცებივით, ისიც დაიბნა. მე ერთი რომანტიკოსი, იდეალისტი გოგონა ვიყავი. უანგარო ოჯახი გვქონდა. ალბათ ამიტომაც, „ფხაში“ ვერ ვიმარჯვეთ და თავად განსაჯეთ, ისტორიკოს-ფილოლოგებს, ლექსის წერად ატეხილებს კარგი რა გველოდა?! ჰოდა, დოჩანაშვილის არ იყოს, ჩამოგვალაბორანტეს! ამასობაში, ჩემმა ვაჟიშვილმა-ფილოსოფოსმა ცოლი შეირთო (ასევე ფილოსოფოსი). ორივენი 18 წლისანი იყვნენ. ცოტა ხანში მათი შვილებით (ლუკა და მარიამი) გამდიდრდა ჩვენი ოჯახი.

ეჰ, იმ ოჯახს რა ვუთხარი, ორი პაწია რომ წააქცევს — ისეთ დღეში ჩავცვივდით, სამანიშვილ-ქამუშაძეები მონაგონი იყო...

ყველაზე საცოდაობა და სასაცილო ჩვენი ვაჭრობა გახლდათ. დიახ, დიახ, ესეც ვცადეთ და მთლად დავიღუპეთ — სახლიც დავკარგეთ...

რომ არა უკიდურესი მატერიალური გაჭირვება, უცხოეთში წასვლას ალბათ, არასდროს გადავწყვეტდი. უკვე შვიდი წელია, საბერძნეთში ვარ და ყველას უჩნდება კითხვა — ვაპირებ თუ არა სამშობლოში დაბრუნებას? ხომ წაგიკითხავთ ქართული ზღაპრები? ჰოდა, გემახსოვრებათ სიტყვები: წასული ბევრი მინახავს, უკან დაბრუნებული არავინო! არა, ეს სიხარბის ბრალი არ არის, აქ ყველა 2-3 წლით ჩამოდის (კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო), მაგრამ იმდენი ადამიანი გყავს დასაპურებელი, რომ ვეღარაფერს აუდიხარ, ვერაფერს აგროვებ და უკან დაბრუნებულმა ცხოვრება ისევ ნულიდან უნდა დაიწყო...

### რაც არ გვკლავს, გვაძლიერებს...

— საბერძნეთში გატარებული ყოველი დღე, თვე, წელი ერთნაირად დაუვიწყარია — ტკივილიანი, გაწბილებული, თავმოყვარეობაშელახული... ჰო, საბრძოლო განწყობილება, მზადება — ეს საერთოდ, ჩემი ხასიათის უმთავრესი შტრიხია. ცხოვრებას ბრძოლად აღვიქვამ. ყოველი შეცდომა, დაცემა, დამარცხება მაძლიერებს. ბერძნები ამბობენ, — რაც არ გვკლავს, გვაძლიერებსო. სულიერად სულ ბრძოლაში ვარ, მაგრამ ფიზიკურად — საჭიროებას ვემსახურები...

### ძაღლებიც უცხოებს უყეფენ...

— ალბათ, არც ერთი ერი არ ჰგავს ისე ერთმანეთს, როგორც ბერძნები და ქართველები. უსაშველოდ ამაყია ბერძენი. არა, „ამპარტავანი“ უფრო შესაფერისი სიტყვაა. ცუდს ვერაფერს ვიტყვი, თორემ არ ვიქნები მართალი, რადგან ამ ხალხმა, კარგად თუ ცუდად, ყველაზე მძიმე დროს გამოგვიწოდა დახმარების ხელი. ბერძნები ამბობენ, — ძაღლებიც უცხოებს უყეფენო. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა რთულ სიტუაციაში ხარ მანამ, ვიდრე უცხოებს თავს გააცნობ, ვიდრე მიგიხვდებიან, დაგიჯერებენ. ამას დრო, მოთმინება და თავგანწირვა სჭირდება. უბრალოდ, მიიხედ-მოიხედეთ საქართველოში, რაც ჩვენს

საქციელ-ხასიათებში არ მოგწონთ, ამათაც ბლომად აქვთ. ერთი კია — ამდენი წელია, მთვრალი ბერძენი არ მინახავს...

უცხოეთში ცხოვრება, პირველ რიგში, მარტოობის განცდაა. ენის არცოდნა ერთ-ერთი მთავარი ბარიერია, რომელსაც რაღაც პერიოდის შემდეგ დასძლევ, მაგრამ მხოლოდ ენის ცოდნა არ გვაახლოებს ადამიანებთან და ენის უცოდინარობაც არ არის ურთიერთგაუგებრობის მთავარი მიზეზი. მთავარი ჩვენი ხასიათია, რომელსაც ყველგან თან დავატარებთ. შეიძლება, პასპორტი, ოქრო, ფული, ჩანთა, წიგნი დაგრჩეს სადმე, კულტურას ან უკულტურობას კი ვერსად დატოვებ...

## მოვდელი ჭილოფშიც იცნობაო...

— არავის ვუსურვებ სხვის ოჯახში ფუსფუსს. ეს საოცრად რთულია — სხვის შვილებს თავს ევლები, ამ დროს კი საკუთარი შვილები გენატრება, სხვის დედას უვლი — შენი დედისთვის კი სასთუმლის შესწორება სიცოცხლედ გიღირს. და მაინც, მადლობა ღმერთს, რომ ასეთი გამძლეობის, მხნეობის, ჟინიანობისა და ლოგიკურად მსჯელობის

უნარი მომცა. არავინ თქვას, — განათლებას მნიშვნელობა არ აქვსო. არა, ბატონებო, წიგნიერი კაცი არსად დაიკარგება. ჩვენი ხალხი ბრძენია. უთქვამთ, — მოვდელი ჭილოფშიც იცნობაო და მართლაც ასეა!

არ ვიცი, რას მივაღწიე ამ შვიდ წელიწადში. ვიცი მხოლოდ ის, რომ ჩემებს მძიმე წლები გავუიოლე. მალე სახლის მშენებლობასაც დაამთავრებენ... საერთოდ, ჩემთვის ცხოვრება ბრძოლა და ჭიდილია. ამ ყველაფერს ისე მივეჩვიე, რომ მგონია, მშვიდად ვეღარასდროს ვიცხოვრებ, ვინმეზე თუ არ ვიზრუნე, ვერ გავძლებ. ახლა აქ, საბერძნეთშიც ველოდები შვილიშვილს, რომელიც მამით ბერძენი იქნება და ათენში იცხოვრებს. დიდი ჩანაფიქრები მაქვს, მაგრამ მათ შორის უმთავრესი ისაა, რომ მომავალ შვილიშვილს დედულეთი შევაყვარო. საქართველო მისი სამშობლოც იქნება!..

## მომენატრე, ჩემო...

— ყველაფერი მენატრება — თბილისი, ნარიყალა, მეგობრებთან ჩასხდომა და მხიარულება, სიმღერა, მთაწმინდა, ბოტანიკური ბაღის ჩანჩქერი, მეიდნის მოკირწყლული გზა, სვანეთი, მთები, ცხენისწყალი, კეცის მჭადი, ფერიცვალების ტაძარი, ჩემი ძველი ცხოვრება — სკოლა, კლასი, მოსწავლეები და გატაცებით ახსნილი გაკვეთილები... აქ რასაც უნდა ვაკეთებდე, ყოველთვის წარსულში, სამშობლოში ვტრიალებ, სოფელში ჭიდან წყალს ვიღებ, კიბესთან სარეველას ვთხრი, მოსწავლეები ქვეყნის მოსავლელად მიმყავს — ალავერდს, შიომღვიმეს, ვარძია-საათაბაგოს, ზედაზენს, დასავლეთსა თუ აღმოსავლეთს ვათვალიერებინებ. მოკლედ, ეს მოგონებები მაძლებინებს, მაცოცხლებს და ის ერთადერთი ღირებული ქონებაა, რომელიც უცხოეთში ცხოვრებას მიიოლებს...

## მახსოვს, ვისი გორისა ვარ

— ახლა ქართველს ყველგან ნახავთ. ისინი უდიდესი ცივილიზაციის ქვეყნებს შეეხიზნნენ და იციან, რომ ქართველობა უნდა შეინარჩუნონ. სწორედ სამშობლოდან მოწყვეტილს, გჭირდება ყაზბეგი — „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“, ლადო ასათიანი — „მე კარგად ვიცი, ვინ ვარ, რა ვარ, საიდან მოველ და საით წავალ“... დაბოლოს, მინდა, ვთქვა: თუ დაგივიწყო, საქართველოვ, დაივიწყე მარჯვენა ჩემი.

*მოამზადა* **ანი აგულავამ**

## „მათ საქართველოს დატოვება ძალიან გაუჭირდებათ...“

ცოტა ხნის წინ, საქართველოს, კერძოდ კი გურიასა და აჭარას კულტურული მისიით ფრანგი მუსიკოსები ეწვივნენ, რომლებიც შესანიშნავად ასრულებენ როგორც ქართულ ხალხურ, ისე სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორულ სიმღერებს. ლანჩხუთი გურიის გულია, გურიაში კი ქართული ხალხური სიმღერის უბადლო შემსრულებლები ცხოვრობენ. ამიტომაც, ქართველებმა უცხოელების მიპატიჟება სწორედ ამ კუთხეში გადაწყვიტეს. მათი უშუალო მასპინძელი ანსამბლ „შავნაბადის“ წევრები და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი გახლავთ. ვიდრე ფრანგები გურიაში კონცერტს გამართავდნენ, მანამ მათ ბათუმის სახელმწიფო ანსამბლმა უმასპინძლა.

ზოი პელე

## მაია ღუღუნიშვილი

**დათო ციცაძე**, *ანსამბლ „შავნაბადის“ ხელმძღვანელი:*

— ორი წლის წინ ჩვენს ანსამბლს ესტუმრა ფრანგი გოგონა — ზოი, რომელსაც ქართული ფოლკლორის გაცნობა სურდა. ის ჩვენს რეპეტიციებს ესწრებოდა და ქართული ხალხური სიმღერები შესანიშნავად შეისწავლა. მოგვიანებით, მან გვითხრა, რომ საფრანგეთიდან ფოკლორული ანსამბლების ჩამოყვანა სურდა. ამ იდეამ, რასაკვირველია, აღგვაფრთოვანა და გადავწყვიტეთ, საქართველოში მათთვის გურიას ემასპინძლა. ზოიმ ანსამბლები ქალაქ მარსელიდან და ლიონიდან ჩამოიყვანა.

**ზოი პელე**, *პროექტის კოორდინატორი:*

— მე კავკასიურ ფესტივალში ვმონაწილეობდი. ძალიან დამაინტერესა ქართულმა კულტურამ, განსაკუთრებით — ხალხურმა სიმღერებმა. მუსიკალური განათლება მაქვს

ანსამბლი „შავნაბადა“

# ფრანგების მიერ შესრულებული გური „კრიმანჭული“

მიღებული, კონსერვატორია დავამთავრე და ამიტომაც, ქართული ხალხური სიმღერების შესწავლა არ გამჭირვებია.

**დათო:**

— ვერ წარმოიდგენთ, თუ რა საოცრად ასრულებს გურულ „კრიმანჭულს“. მისით ყველანი აღტაცებულნი ვართ. ზოიმ ნამდვილად გაგვაოცა.

**ზოი:**

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. ისე, ეს თქვენი დამსახურებაა. უკვე ორი წელია, აქ ვცხოვრობ და ამერიკულ სკოლაში ფრანგულს ვასწავლი, პარალელურად — ხალხური სიმღერების შესწავლასაც განვაგრძობ. ძალიან მინდოდა, ჩემი თანამემამულეებისთვისაც გამეზიარებინა ის განცდა, რაც ქართული სიმღერის შესრულებას მოაქვს. ამიტომაც გადავწყვიტე, პროფესიონალი ანსამბლები ჩამომეყვანა. ისინი უკვე დიდი ხანია, ქართულ ხალხურ სიმღერას (რომელიც ჩანაწერებისა და ნოტების საშუალებით შეისწავლეს) ასრულებენ. საქართველოში პირველად ჩამოვიდნენ და აქაური სტუმართმოყვარეობით, კულტურით გაოცებულები არიან. აქ თავს ძალიან კომფორტულად, შინაურულად გრძნობენ და აღბათ, საქართველოს დატოვება ძალიან გაუჭირდებათ, ისევე, როგორც მე (*იცინის*).

**— დათო, როგორც პროფესიონალი, შენ რას გვეტყვი, როგორ ასრულებენ ფრანგები ქართულ ხალხურ სიმღერებს?**

— არა მარტო ქართულ ხალხურ, არამედ უცხოურ ფოკლორულ სიმღერებსაც შესანიშნავად ასრულებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ფრანგ მომღერლებს, გურული სიმღერების თავისებურების შესახებ მასტერკლასებს ჩავუტარებთ. ისინი დაინტერესებულები არიან გურული ტრადიციებითა და მეტყველების მანერით. აქედან გამომდინარე, ცდილობენ, გურული სიმღერები სწორად შეასრულონ. ლანჩხუთში მათი მოპატიჟება ჩემი ინიციატივა იყო, რადგან მეც ამ კუთხის წარმომადგენელი ვარ და კარგად ვიცი, როგორი სტუმარმასპინძლობაც იციან.

**— ადგილობრივ ანსამბლზე რას გვეტყვი?**

— მოგეხსენებათ, კონცერტში მონაწილეობას, ფრანგებთან ერთად, ადგილობრივი ანსამბლი — „მხედრები“ მიიღებს. უკვე ერთი წელია, რაც ეს ანსამბლი არსებობს. მისი წევრები არაჩვეულებრივად ფლობენ გურული ფოლკლორის თავისებურებებს. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და დიდი მადლობა გადავუხადო რაიონის კულტურის ცენტრს, მის დირექტორ სოფიო ჭელიძეს, რომელმაც ანსამბლს ხელმძღვანელად ლოტბარი ავთანდილ მახარაძე მოუვლინა, ეს კი ანსამბლის წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ. იმედი მაქვს, „მხედრები“ საკუთარ სათქმელს სულ მალე, ხმამაღლა იტყვის. ამასთანავე, კულტურის ცენტრის დიდი დამსახურებაა ის, რომ ეს ღონისძიება ლანჩხუთში ტარდება.

ლანჩხუთის ფოლკლორული გუნდი „მხედრები“

ქართული სიმღერის მოყვარული ფრანგი სტუმრები

**— ჩვენებსაც ხომ არ მოუწევთ საფრანგეთში კონცერტის გამართვა?**

— რა თქმა უნდა. პროექტი გაცვლითი ხასიათის გახლავთ. შეირჩევიან ქართველი ფოკლორული სიმღერის შემსრულებლები, რომლებიც კონცერტების გასამართავად მარსელსა და ლიონში გაემგზავრებიან. ■

გიგა ბაინდურაშვილი

# „ყველაფერი ადამიანური ღირსების უსიტყვო გამარჯვებით დამთავრდება“

„მშვიდობით, იარაღო!“ — ამ ლოზუნგით უნდა გადაიღონ ფილმები და ქართული კინოს გადარჩენის საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანონ სტუდენტთა საგანმანათლებო პროექტის — „ზაფხულის კინოსკოლა“ — მონაწილე ახალგაზრდებმა. მშვიდობიანი ლოზუნგის მიუხედავად, რამდენიმე სტუდენტს ხელში იარაღის აღებამ და საქართველოს თავისუფლების დასაცავად ბრძოლაში ჩაბმამ მაინც მოუწია — ისინი რეზერვისტები გახლავან...

„წითელი ლენტი“ — ასე ჰქვია პროექტში ჩაბმული ახალგაზრდა რეჟისორების — გიგა ბაინდურაშვილისა და გიორგი ქობალიას ფილმებს, რომლის შესახებაც ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი, თეატრისა და კინოს მსახიობი, ბატონი პიერ ქადაგიშვილი მოგვითხრობს.

**ეთო ყორღანაშვილი**

— ფილმის თემა ყოფითი, მაგრამ განზოგადებულია: სოფელში ჩნდება ცოფი; მარტოხელა მოხუცს, რომელსაც ყველა რიდითა და პატივისცემით ეპყრობოდა, მოულოდნელად, მთელი სამეზობლო უმხედრდება — შენი ძაღლი უნდა მოვკლათო. განსაკუთრებით ერთი ბოროტი მეზობელი აქტიურობს; ბაბუის მტკიცებას, რომ ძაღლი ჯანმრთელია, არაფრად აგდებენ. საბოლოოდ, მაინც მოხუცი იმარჯვებს, ბოროტი ადამიანი კი თავის საქციელს ჩაუფიქრდება... მოგეხსენებათ, ბექა ქავთარაძე გამოცდილი რეჟისორია და „ზაფხულის კინოსკოლის“ ახალგაზრდებს გარკვეულ კონსულტაციებს უტარებს. სწორედ მან მითხრა, რომ დამწყებ რეჟისორებს ბაბუის როლისთვის მაღალი, გამხდარი მოხუცი ესაჭიროებოდათ, ოღონდ — ენერგიული და არა დადამბლავებული მოხუცი. გავიცანი ბიჭები. კარგად გავუგეთ ერთმანეთს, დამამტკიცეს როლზე და ერთ კვირაში გადაღებები დავიწყეთ.


**გიგა ბაინდურაშვილი გადასაღებ მოედანზე**

— **ფილმის გადაღება სად მიმდინარეობდა?**

— ჟინვალისგან მოშორებით, სოფელ ანანურის გაღმა ერთი მიტოვებული სახლია, დიდი ეზოთი და ბაღით. ფილმის გადაღება ძირითადად, იქ მიმდინარეობდა. მუშაობის პროცესი ისეთი საინტერესო იყო, რომ წუთითაც არ მომბეზრებია — ახალგაზრდა რეჟისორებს საკუთარი ხედვა, სამყაროს მიმართ თავისებური დამოკიდებულება აქვთ. ყველაფერი კარგად დასრულდა, მთელი შემოქმედებითი ჯგუფი კმაყოფილია. დამწყები კინემატოგრაფისტების კვალობაზე, ყველამ კარგად იმუშავა. ფილმის დასრულების შემდეგ, ცოტა არ იყოს, უკმარისობის გრძნობა გამიჩნდა: გადაღებულ კადრებს რომ ვიხსენებ, ვფიქრობ — რაღაც შეიძლებოდა, უკეთესად გაკეთებულიყო.

— **კერძოდ?**

— ფილმის ფინალური სცენა ასეთია: სახლიდან გამოდის ბაბუა, რომელსაც საშინელი განწყობილება აქვს. უეცრად დაინახავს, რომ მისი დაკარგული ძაღლი — ბაჩო დაბრუნებულა! მოხუცი ძუნწი ღიმილით ჯერ ძაღლს შეხედავს, შემდეგ სიგარეტს გააბოლებს და სივრცეს გასცქერის... ბოლო წერტილი — ფინალი ძალზე მნიშვნელოვანია... სურათში ბევრია ისეთი სცენა, როცა ბაბუა გაწვრთნილ ძაღლს ხის ტოტს გადაუგდებს და უბრძანებს: მომიტანეო! ძაღლიც ასრულებს პატრონის ბრძანებას. ფინალურ სცენაში სწორედ ამას გავუსვამდი ხაზს და ამით აღვნიშნავდი, რომ ბაჩოსა და მოხუცის ურთიერთობა გაგრძელდა.

— **ფილმის სცენარი თავიდან ბოლომდე წაკითხული არ გქონდათ?**

— რა თქმა უნდა, წავიკითხე, მაგრამ გადაღების დასრულების შემდეგ გამიჩნდა იდეა, რომ ფინალი სხვანაირი ყოფილიყო. კინო ამით განსხვავდება თეატრისგან: როცა კინოფირი დაიბეჭდება, მორჩა — ყველაფერი ისე უნდა დარჩეს, როგორც არის, სპექტაკლებში თამაშისას კი შემიძლია, რაღაც შევცვალო, გავაუმჯობესო...

— **დამწყები რეჟისორები გადასაღებ მოედანზე მკაცრად ხომ არ გექცეოდნენ?**

— ძალიან სერიოზულად მუშაობდნენ. მკაცრებიც იყვნენ, მომთხოვნებიც, კამათობდნენ... სხვაგვარად საქმე არ კეთდება, მით უმეტეს — ხელოვნებაში. მეტყოდნენ ხოლმე — ბატონო პიერ, ასეთი ამოცანა გაქვთო, — და მეც ვცდილობდი, შემესრულებინა. ბუნებრივია, ბიჭებს ჩემთანაც ჰქონდათ რაღაც შენიშვნები: სამჭკუაშვილი ხომ არ ვარ? ქადაგიშვილი ვარ!..

— **როგორ ფიქრობთ, „წითელი ლენტი“ მაყურებლის მოწონებას დაიმსახურებს?**

— აუცილებლად, თან — დიდ შთაბეჭდილებასაც მოახდენს მასზე. ფილმის სიუჟეტი დასაწყისიდან ფინალამდე ისეთი მძაფრია, რომ ყველას ინტერესს გამოიწვევს. ადამიანებო, კარგად გაიცანით და გაუგეთ ერთმანეთს, — მაყურებელს „წითელი ლენტი“ ამისკენ მოუწოდებს, — გიყვარდეთ, ხალხო, ერთმანეთი!..

— **ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს ძველი ქართული ფილმები არ აინტერესებს. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

— ეს ძალზე სამწუხარო ფაქტია. იცი, რა მაშფოთებს? ქართულ ტელეარხებზე ერთგვარი მოწოდებასავით აცხადებენ ხოლმე — დავსხდეთ, ვისაუბროთ მარიო ჩიმაროს სასიყვარულო ურთიერთობებზეო... მაგალითად, საგარეჯოელებმა „ნასკებიც“ კი გაუგზავნეს მარიო ჩიმაროს. განა ეს სამარცხვინო არ არის?! მდარე ხარისხის სერიალები — ეს გახ-

ლავთ ქართული თეატრისა და კინოს საწინააღმდეგო მოვლენა! „საპნის ოპერებს“ არავითარი ღირებულება არ აქვთ. მსახიობების ოსტატობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... პროექტი „ზაფხულის კინოსკოლა“ ძალიან კარგი წამოწყებაა. როგორც ვიცი, ფილმებზე მუშაობას 70 სტუდენტი აპირებს, რაც ახალგაზრდების მხრიდან დიდი განაცხადია — ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ კინოს ახალი თაობა შეემატება.

**— სტუდენტურ ფილმში მონაწილეობას კიდევ ხომ არ აპირებთ?**

— თუკი ახალგაზრდები შემომთავაზებენ, რატომაც არა?! გამიხარდება, თუ ჩემი გამოცდილებით, სტუდენტებს დახმარებას გავუწევ. მინდა, ფილმის — „წითელი ლენტი“ — რეჟისორებს, გიგა ბაინდურაშვილსა და გიორგი ქობალიას, ასევე, „ზაფხულის კინოსკოლის“ მთელ შემოქმედებით ჯგუფს დიდი წარმატება ვუსურვო. თუ ვიცოცხლე იმ დღემდე, როცა ახალგაზრდები ფართო ასპარეზზე გავლენ და 2-3-სერიიან კარგ, გემოვნებიან ფილმს გადაიღებენ, ვთხოვ, რომ იმის უფლება მაინც მომცენ, კარში გავირბინო, — მეტი არაფერი; ჰო, რა თქმა უნდა, ბექა ქავთარაძესთან ერთად — ეს დააფიქსირეთ... დავძენ, რომ „წითელ ლენტში“ ჩემთან ერთად მონაწილეობს რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი დათო უფლისაშვილი. მისი გმირი სწორედ ის ბოროტი მეზობელია, რომელიც ძაღლის მოკვლით ყველაზე მეტადაა დაინტერესებული. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მომეწონა ჩემი პატარა პარტნიორი — გიორგი ლორია, რომელიც ფილმში მოხუცი კაცის შვილიშვილს ასახიერებს. თუმცა, რატომ არ უნდა მომწონებოდა? — მისი ბაბუა ხომ ცნობილი მსახიობი აბესალომ ლორია იყო, ხოლო მამა — მამუკა ლორია რუსთაველის თეატრის მსახიობი გახლავთ.

პიერ ქადაგიშვილი
და გიორგი ქობალია



პიერ
ქადაგიშვილი
ფილმში
„წითელი ლენტი“

**გიორგი ლორია:**

— მე და ბატონმა პიერმა ერთმანეთს კარგად გავუგეთ — კარგი ბაბუა იყო (*იცინის*)... ფილმში მონაწილეობის მისაღებად სხვა ბავშვებიც მოიყვანეს, მაგრამ ალბათ ისინი არ მოეწონათ, რადგან როლზე მე ამიყვანეს. პირველად, მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში — „ქეთო და კოტეს“ თანამედროვე ვერსიაში გადამიღეს, მე ეშმაკუნას როლს ვასრულებდი; მერე „წითელ ლენტში“ მონაწილეობის მისაღებად დამირეკეს. გადაღებების პროცესი ძალიან კარგი იყო, ყველაზე მაგრად ძაღლთან ერთად ვერთობოდი. მხოლოდ ერთი სცენის გადაღებისას დავიღალე, როცა ნავს ვატარებდი. დასვენების დღეებში კი ბაყაყებსა და კალიებს ვიჭერდი (*იცინის*).

**— მომავალში პროფესიონალი მსახიობი უნდა გახდე?**

— დიახ. ადრე ექიმობა მინდოდა, მაგრამ მერე გადავიფიქრე: ექიმი რაღაცას კარგად რომ ვერ აკეთებს, უჩივიან და ციხეში სვამენ, ამიტომ ეგ პროფესია არ მინდა, თან, არც მომწონს, „პროსტა“, დედაჩემს უნდოდა.

**— ქართული ფილმები უფრო მოგწონს თუ — უცხოური?**

— მართალია, ჯეკი ჩანის მონაწილეობით გადაღებული ფილმები მაგარია, მაგრამ ქართული კინო სულ სხვაა. ყველაზე მეტად, „არ იდარდო!“ მიყვარს, ოღონდ განა იმიტომ, რომ ბაბუაჩემი თამაშობს ამ ფილმში... მე „შერეკილებიც“ მომწონს, „მიმინოც“...

**— „წითელი ლენტი“ არ მოგწონს?**

— მომწონს. ის ხალხს სიკეთეს ასწავლის.

**გიგა ბაინდურაშვილი:**

— პირველად მოვხვდი ასეთ პროექტში, პირველად ვითანამშრომლე პროფესიონალებთან, პირველად მქონდა კინოფირზე მუშაობის შესაძლებლობა. ბევრი ისეთი ხერხი ვისწავლე, რომელიც კინოწარმოებისთვის აუცილებელია. მიხვალ ობიექტთან და გადაიღებ — კინო ასე მარტივად არ კეთდება. გადაღება სამუშაოს მხოლოდ 10%-ია, ყველაზე მნიშვნელოვანი ის პერიოდი გახლდათ, რომლის დროსაც ურთიერთობა პროფესიონალებთან გვქონდა: სცენარისტებთან, მხატვრებთან... კონსულტაცია დრამატურგ კოტე ჯანდიერთან გავიარეთ.

**გიორგი ქობალია:**

— კინო — ეს არის მთელი შემოქმედებითი ჯგუფის შრომის ნაყოფი და არა მხოლოდ რეჟისორის.

**გიგა:**

— როგორც ხატვას ვერ ისწავლი თეორიით და ისწავლი პრაქტიკით, ასეა კინოც — მთავარი პრაქტიკაა!..

**გიორგი:**

— მე და გიგა თეატრალურ უნივერსიტეტში ვსწავლობთ. მე რეზო ესაძის სტუდენტი ვარ, გიგა — დავით ჯანელიძის. „ზაფხულის კინოსკოლაში“ გიგას ჯგუფელმა — ვაკო კირკიტაძემ ორი სინოფსისი შემოიტანა და ერთ-ერთი ჩვენ დაგვითმო, ფილმის გადასაღებად. სცენარი დათო ტურაშვილთან ერთად დავწერეთ. მართალია, რაღაც-რაღაცები შევცვალეთ, მაგრამ ძირითადი ღერძი იგივე დავტოვეთ. „წითელი ლენტის“ მთავარი გმირები არიან: ბაბუა, შვილიშვილი და ძაღლი. სამწუხაროდ, ძაღლი ცუდად გახდა და ინტერვიუზე ვერ წამოვიყვანეთ (*იცინის*). ჩვენი ნამუშევარი 10-წუთიანი კინონოველაა, რომლის მთავარი პრობლემატიკა არის ცოფი — ეს ზოგადად, თორემ იმასაც კარგად შეესატყვისება, რაც დღეს საქართველოში ხდება: გაუგებრობა, ომი, აზრთა შეხლა-შემოხლა... პროექტის ერთ-ერთ მონაწილეს, რეჟისორ გიგა ლიკლიკაძეს თავისი ფილმის — „ომში ყველა კვდება“ — გადაღება ზეგ უნდა დაეწყო, მაგრამ რეზერვში წაიყვანეს... საკაცობრიო პრობლემატიკის გადაჭრის გზა ისე წარმოგვიდგენია, როგორც ჩვენს ფილმშია: ყველაფერი ადამიანური ღირსების უსიტყვო გამარჯვებით მთავრდება. ■

# ლატვიელი ივეტა კახეთში, უნარშეზღუდული ბავშვები და უცხო თვალით დანახული ძვრები

მარინა გოგოლაშვილი

## „თავისუფლება – დიდი სიკეთე და სასტიკი შრომა“

***ივეტა კურსიეტე*** *სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის ახალმოსახლეა. ჯერ მხოლოდ თავის უბნელებს ცნობს, სახლის რემონტიც არ დაუსრულებია. როდესაც ვერცხლისფერი ჯიპი ხევისუბანში ჩაიქროლებს, საჭესთან მჯდომ მშვენიერ ქალბატონს ანაგელები ღიმილითა და მეგობრული ჟესტებით ესალმებიან. ყველამ იცის, ივეტა კურსიეტე ანაგიდან თბილისში, სამსახურში მიიჩქარის. ხევისუბნელები კი ერთგვარი სიამაყითა და ნიშნის მოგებითაც კი „ეპრანჭებიან“: „ჩვენი მეზობელია!“*

*მიუხედავად იმისა, რომ მეზობლები აღფრთოვანებულნი არიან ქალბატონი კურსიეტეს კომუნიკაბელურობით, „გზასთან“ ინტერვიუზე ლატვიელი ანაგელი მხოლოდ ერთი პირობით დაგვთანხმდა — არც ერთი შეკითხვა პირადულზე! ამ ულტიმატუმის დაცვით და მასპინძლის აშკარა გულგახსნილობის წყალობით, მაინც შევიტყვეთ, რომ ის რიგასთან ახლოს, ბალტიის ზღვის სანაპიროზე, პატარა ქალაქ სკურზეში დაიბადა და აღიზარდა პედაგოგების ოჯახში. პროფესიით თავადაც დაწყებითი კლასების მასწავლებელია. ამჟამად, დოქტორანტურაში გადის სპეცპედაგოგიკის კურსს, ხოლო ბავშვობის ნათელი სახსოვარი, რომელიც დღემდე მოჰყვება, ბუნებისა და თავისუფლების შეგრძნებაა.*

*ივეტა კურსიეტე საქართველოში განსაკუთრებული მისიით არის ჩამოსული, რასაც თავად ასე განმარტავს:*

— ლატვია დღეს ევროკავშირის ქვეყანაა და ის შესაბამისად ავითარებს „განვითარების თანამშრომლობის“ პლატფორმას. ჩვენ გვაქვს დავალება, დავეხმაროთ იმ ქვეყნებს, რომლებიც ეს-ესაა დგებიან დამოუკიდებელი დემოკრატიის გზაზე. მე თავად ვხელმძღვანელობ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის საქმიანობა ორიენტირებულია შეზღუდული უნარ-შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობაზე. ათი წელია ამ საქმით ვართ დაკავებულნი და დიდი გამოცდილება გვაქვს შეძენილი ლატვიური პრაქტიკიდან. ახლა ჩვენს გამოცდილებას გადავცემთ ქართველ კოლეგებს და რაც ყველაზე მთავარია, აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც სურთ, რომ ეს საქმე ამ ქვეყანაშიც განავითარონ. ამიტომაც დავაარსეთ ორგანიზაცია „ჯორჯიან პორტიჯ ასოსიეიშენი“, რომელიც განთავსებულია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის შენობაში და ქართველები მართავენ. როგორც თავად ორგანიზაციის დასახელებაც მიგვანიშნებს, ეს ნიშნავს რაღაცის გადატანას ერთი ადგილიდან მეორეზე. ეს არის ჩვენი ორგანიზაციის პრინციპიც. ჩვენ ვასწავლით პედაგოგებს, როგორ იმუშაონ შეზღუდული უნარ-შესაძლებლობების მქონე

**ივეტა კურსიეტე მეუღლესთან ერთად**

ბავშვებთან, რომლებიც განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ. შემდეგ ეს პედაგოგები კვირაში ერთხელ აკითხავენ ოჯახებს, სადაც ცხოვრობენ ასეთი ბავშვები და მუშაობენ არა მარტო მათთან, მათ მშობლებსაც ასწავლიან, როგორ მოექცნენ შვილებს. აგრეთვე, უტოვებენ მათ სასწავლო გეგმებს. უკვე მოვამზადეთ ათი პედაგოგი, რომლებიც თბილისში მცხოვრებ ოჯახებში მუშაობენ. ძალიან პოზიტიურია, რომ ამ პროექტის განხორციელებას მხარს უჭერს სახელმწიფო და განათლების სამინისტრო სათანადო თანხებს გამოყოფს, რათა ყოველ წელს დაუნის სინდრომის მქონე ორმოცმა ბავშვმა ისწავლოს მისთვის შესაფერისი საუკეთესო პროგრამით. წელს უკვე ნელ-ნელა დადგა მსურველთა რიგიც. რაიონებიდანაც შემოგვემატნენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანები ახალ ინფორმაციას ძალიან სწრაფად გადასცემენ ერთმანეთს, ხოლო მშობლები, რომლებიც ჩვენი მითითებებით ხელმძღვანელობენ შვილებთან ურთიერთობისას, უკვე ხედავენ შედეგს.

*ორი ქვეყნის, ლატვიისა და საქართველოს მაგალითებზე დაყრდნობით ივეტა კურსიეტე ასკვნის, რომ ოჯახები, სადაც იბადებიან ბავშვები დაუნის სინდრომით, ცერებრალური დამბლითა თუ სხვადასხვა აუტიზმით, როგორღაც თავიანთ თავში იკეტებიან და არ სურთ, სხვებს აჩვენონ ეს; ურჩევნიათ, დუმდნენ. ქალბატონი კურსიეტეს ორგანიზაციამ მათ მისცა შანსი, ეს დუმილი დაარღვიონ. დედაქალაქში ყოველთვის მეტია შესაძლებლობა და რიგაში მოძლიერების შემდეგ, გავიდნენ რეგიონებში. ანალოგიურად მოხდება საქართველოშიც.*

— რეგიონებში მცხოვრებ ბავშვებსაც სჭირდებათ დახმარება და არა მარტო ბავშვებს, მათ მშობლებს, ვფიქრობთ, უფრო მეტად, რადგან ასეთი შვილის დაბადება მათთვის ნამდვილი შოკია. ჩვენ ყოველთვის ველით, რომ ჩვენი შვილი ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე ნიჭიერი დაიბადება. ეს ბავშვები, დიახაც, ჭკვიანები და ნიჭიერები არიან, მაგრამ მათთან ინტენსიური მუშაობაა საჭირო. ჩვენი ჯანმრთელი ბავშვი თავისით ვითარდება. მას არ სჭირდება ისეთი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, როგორიც უნარშეზღუდულ ბავშვს. თუმცა, ჩემი ათწლიანი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუ ჩვენ ასეთ ბავშვებთან ინტენსიურად ვიმუშავებთ, საუკეთესო შედეგის მიღწევას შევძლებთ. ეს ძალიან მომგებიანია სახელმწიფოსთვისაც, სოციალურ საკითხებთან მიმართებაში, რადგან სათანადო სწავლების შემდეგ, ზრდასრულ ასაკში ასეთი მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთი. თავისუფლად შეგვიძლია, ის დავასაქმოთ მომსახურების გარკვეულ სფეროებში, კომპიუტერთან, ელემენტარული ოპერაციების ჩასატარებლად. ამ სწავლების გარეშე ისინი დარჩებიან სახლში და მხოლოდ სახელმწიფო დახმარების იმედზე იქნებიან. სწავლების შემთხვევაში კი ისინი თავად შეძლებენ დაეხმარონ სახელმწიფოს. ხოლო სახსრები, რომელსაც მათი სწავლებისთვის გაიღებს სახელმწიფო, უკანვე დაუბრუნდება, რადგან ამ ადამიანების შრომა ქვეყანას გარკვეულ შემოსავალს მოუტანს.

*კოლეგებთან გარკვეული კონსულტაციების შემდეგ ივეტა კურსიეტეს დიდი მცდელობის შედეგად გადაწყდა, რომ „პორტიჯის“ პროექტი განხორციელდება კახეთშიც. რადგანაც ჯერ მარტო მის მიერ საცხოვრებლად მოწონებულ სოფელ ანაგაში აღმოჩნდა რვა ოჯახი, რომელშიც უნარშეზღუდული ბავშვები ცხოვრობენ.*

*ზემოხსენებული ორგანიზაციის მთავარი ამოცანა კიდევ ისაა, რომ ოჯახებმა ასეთი ბავშვები არ გადასცენ თავშესაფრებს.*

*ივეტა კურსიეტემ, ცხადია, იცის, რომ არსებობს აგრეთვე, უდედმამო ბავშვთა პრობლემაც:*

— ცხადია, ჩვენ ყველას დახმარებას ვერ შევძლებთ. ჩვენმა ორგანიზაციამ დაავადებული ბავშვების ვიწრო წრე აირჩია, რომლებიც ოჯახებში ცხოვრობენ და მათზე ზრუნვა ითავა. ჩვენი უპირველესი მიზანი ის არის, რომ ეს ბავშვები დარჩნენ თავიანთ

ოჯახებში. ჩვენ გვსურს დავეხმაროთ მათ მშობლებს, რათა უკეთ შეძლონ თავიანთი პრობლემური შვილების გაგება, რათა ძალღონის გამოცლისა და სასოწარკვეთის ჟამს მათ ისინი უპატრონოთა სახლებს არ გადასცენ. ეს ძალზე მძიმეა თვით ამ ბავშვებისთვის. ასეთი სიტუაციაა ლატვიაშიც. ხშირად ექიმებიც ურჩევენ მშობლებს, დაუნის დაბადების შემთხვევაში, დატოვონ ის საავადმყოფოში. ეს დიდი შეცდომაა. რადგან შემდეგ მათი ბედი უკავშირდება ჯერ ბავშვთა სახლებს, შემდეგ კი უპატრონოთა თავშესაფარს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენი საქმიანობა აუცილებელია სახელმწიფოსთვისაც და საზოგადოებისთვისაც, რომელშიც ახალი ფასეულობების დანერგვაა საჭირო, რისთვისაც ყველას საუკეთესო მაგალითი უნდა უჩვენო. ლატვიაშიც, ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში იყო მენტალიტეტი — ავადობა — „უხარისხობაა“! იქ უნარშეზღუდულებს ეუბნებოდნენ: წადი! ჩვენ მხოლოდ „ხარისხიანთა“ საზოგადოება გვჭირდება. ლატვიაში ამ მენტალიტეტის საწინააღმდეგო ათწლიანი მუშაობის შედეგად, შესაბამისი შედეგი მივიღეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ საქართველოში იგივე შედეგი მოგვცა სამწლიანმა მუშაობამ. ადამიანები თავადაც მიხვდნენ და მზად არიან, მათ ბედში მყოფთ უთხრან, რომ ეს არ არის სირცხვილი, როცა ოჯახში დეფექტიანი ბავშვი დაიბადება, ეს არ არის დედის, მამის ანდა ბავშვის დანაშაული; ამაში დამნაშავენი არც მშობლების წინაპრები არიან. ეს, უბრალოდ, ბუნების შეცდომაა და ჩვენ უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ბუნებასაც აქვს თავისი შეცდომები.

*„პორტიჯის“ ორგანიზაციაში მუშაობის მსურველი შეიძლება იყოს ექიმი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი. რაღა თქმა უნდა, უპრიანია, იყოს პედაგოგი, მაგრამ ერთი აუცილებელი მოთხოვნით — უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლების დიპლომი. ვინც ამ პირობას დააკმაყოფილებს, გაივლის „პორტიჯის“ სპეციალურ კურსებს მეთოდიკაში და პრაქტიკას ოჯახში, რომელშიც პრობლემების მქონე ბავშვი ცხოვრობს. ერთი წლის შემდეგ კი ისინი მიიღებენ სერტიფიკატს და „პორტიჯის“ სპეციალისტებად იქცევიან.*

*„ინტერნეიშენელ ასოსიეიშენ პორტიჯის“ სათავო ოფისი ამერიკის შეერთებულ შტატებში მდებარეობს და ყოველ მეორე წელს სათავო ორგანიზაციაში შემავალი 112 ქვეყნის „პორტიჯის“ წარმომადგენლები იკრიბებიან და თავიანთ პრობლემებსა თუ მიღწევებზე მსჯელობენ. ორი წლის წინ ასეთი შეკრება ლატვიაში გაიმართა, წელს ჰოლანდიაში იგეგმება და როგორც ქალბატონი კურსიეტე ვარაუდობს, საქართველოდანაც წაიყვანენ წარმომადგენლებს, რათა მათ ისაუბრონ თავიანთ მუშაობაზე და გაეცნონ სხვა სპეციალისტებს.*

*რაც შეეხება ივეტა კურსიეტეს კახეთში დამკვიდრებას, როგორც თავად ამბობს, ლატვიასა და ბალტიის ზღვას ნაკლებად მტკივნეულად იმიტომ შეელია, აქ, კახეთში, წელიწადის ყველა დრო თავის თავს ჰგავს. და თუ აქაურები დუხჭირ ცხოვრებაზე წუწუნებენ, ეს იმიტომ, რომ ლატვიელი ანაგელის განმარტებით, ყველაფერი ძალიან ცუდად მაშინ გეჩვენება, როცა ყოველდღიური ცხოვრების ყოფითი სიძნელეების ტყვეობაში იმყოფები. ეს მისთვის კარგად ნაცნობი მდგომარეობაა, რადგანაც ლატვიაში მათ ეს პერიოდი უკვე გაიარეს, როცა ყველა დეპრესიაში იყო და ხალხი უბრალოდ, უიმედობას მოეცვა. ქალბატონი ივეტა დარწმუნებულია, ზუსტად ისე, როგორც ლატვიაში, აქაც ნელ-ნელა უკეთესობისკენ ვითარდება ყველაფერი.*

— ანაგაში ახალი პოლიკლინიკა აგვიშენეს. ახალი წლის შემდეგ, გარე განათება არ ჩამქრალა ჩვენს სოფელში. თბილისში მეგობრებს ვეუბნები, იცით, ჩემი სახლი ისეა განათებული, როგორც რუსთაველზე-მეთქი. ამ სოფელთან ახლოს მდებარე ქალაქ წნორშიც გამოცოცხლდა ცხოვრება, ქუჩებში ხალხს ფეხს ვერ აუქცევ. გზებიც მშვენიერია... ერთი შეხედვით, თითქოს წვრილმანებია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ყოველივე ოთხი წლის მანძილზე მოხდა, მიხვდებით, რომ უკვე ძალიან ბევრია. ჩემს მეზობლებს ვენახები აქვთ და ლამის ოჯახის წევრად აღიქვამენ ვაზს. მერე რა, რომ რუსეთში გასაღების ბაზარი დაკარგეს?!. ასე იყო ჩვენთანაც. ლატვიის ყველა ბიზნესაქმიანობა რუსეთზე იყო ორიენტირებული და, სიმართლე უნდა ითქვას, არცთუ ხარისხიანი პროდუქცია გაგვქონდა, რადგან თუ ბაზარი დიდია, შეიძლება, ცოტაოდენი სიყალბე შეაპარო. როდესაც ასეთი ბაზარი იკეტება, იძულებულნი ვხდებით, ბევრი ხარისხიანი პროდუქცია გამოვუშვათ, რათა ევროპული სტანდარტების ბაზარზე დამკვიდრება შევძლოთ. ეს კი ახალ სტიმულს გვაძლევს, რათა ვიმუშაოთ უკეთესად, ვიდრე ვმუშაობდით. ვხედავ, რომ საქართველოში ხალხმა შესამჩნევი ინტენსივობით დაიწყო ბანკებთან თანამშრომლობაც. მგონი, მსოფლიოში არც არავინ ცხოვრობს ბანკის გარეშე. ჩვენ, ყველანი, ბანკის ტყვეები ვართ (*იღიმის*). ახლებურად ცხოვრებაზე ფიქრს კი ერთ დასკვნამდე მივყავართ: თავისუფლება მარტო დიდი სიკეთე კი არა, სასტიკი შრომაცაა, რადგან შენ აღარ შეგიძლია იცხოვრო საბჭოური წესით — 9-დან 6 საათამდე უქმად იჯდე სამსახურში, მერე სახლში დაბრუნდე, ფეხი ფეხზე გადაიდო და შოკოლადის ჭამით დატკბე...

*რაც ივეტა კურსიეტეს მოსწონს ზოგადად, საქართველოში და კერძოდ, ანაგაში, — ეს გახლავთ ის, რომ გაჭირვების მიუხედავად, ადამიანებს თვალებში ღიმილი უდგათ. ამას ის ქართულ ხასიათს მიაწერს და მიიჩნევს, რომ უცხოელ ტურისტებში სწორედ ეს ხასიათი ზრდის დაინტერესებას საქართველოთი.*

— ჩვენთან, ლატვიაში, ძალიან ბევრი იწერება საქართველოზე, ახლახან მივიღეთ კაცებისთვის განკუთვნილი ჟურნალი „კლუბი“, სადაც დაბეჭდილია პოზიტიური სტატია საქართველოზე — „მიმინოს ქვეყანა“, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლატვიელები ძალიან კარგად არიან განწყობილნი საქართველოს მიმართ და როგორც ჩემი, ასევე ბევრი სხვა ლატვიური ორგანიზაცია მზადაა, დაეხმაროს საქართველოს.

*დამშვიდობებისას, გულღია მასპინძელი აუცილებლად შეგაჩერებთ, ანაგური ფართო ეზოს პარმაღთან და გულითად მადლობას გადაგიხდით:*

— გმადლობთ, რომ ასე კარგად მიმიღეთ. გმადლობთ, რომ ასეთი გახსნილები ხართ. მე ყოველთვის ვამბობ: ჩვენ, ლატვიელები, სულ ევროპის ქვეყნებს შევნატროდით, ახლა ევროპაში ვართ, მაგრამ გვაქვს 12-პროცენტიანი ინფლაცია, სიძნელეები სოფლის მეურნეობაში და ახალი სტანდარტები. ხალხი ისევ უკმაყოფილოა. და საერთოდ, თუ დავაკვირდებით, მსოფლიოში ყველა ადამიანი ერთნაირია: ყველას უყვარს, სძულს, შრომობს, უკმაყოფილოა, ხოლო უკმაყოფილება ზოგადსაკაცობრიო თვისება მგონია. თავადაც ვერ გრძნობთ, რამდენი რამ გააკეთეთ ამ მოკლე დროში. თქვენ უფრო სწრაფად მიდიხართ პროგრესისკენ, ვიდრე ჩვენ მივდიოდით. შეგიძლიათ ამით იამაყოთ!

# პოეტი ყურნალი მოიპარა თეო ტლაშაძემ და პაღომ

„მას შემდეგ, რაც აქტიურ პოლიტიკაში გადავინაცვლე, მხატვრული ლიტერატურის საკითხავად დრო ნაკლებად მრჩება. სამაგიეროდ, საღამოობით ფილმებს ვუყურებ“, — მიამბობს მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“ წევრი თეო ტლაშაძე, რომელსაც ბოლოს პუშკინის „ევგენი ონეგინი“ წაუკითხავს. დაინტერესებულია ნაირა გელაშვილის შემოქმედებით, განსაკუთრებით დიდ განცდებს კი გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებები აღუძრავს... კარგად ახსოვს, თუ როგორ მოიპარა გორის ერთ-ერთი ბიბლიოთეკიდან ჟურნალი „საუნჯე“, სადაც ფიროსმანის ტილოების ილუსტრაციები იყო დაბეჭდილი. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მოყმის დედასთან („ბალადა ვეფხისა და მოყმისა“) მეგობრის სურვილს გამოთქვამს, რადგან მიიჩნევს, რომ ის ძლიერი და სამართლიანი ადამიანია.

თამუნა კვინიკაძე

— ეს გაზეთი 1877 წელს დაარსდა. მოგვიანებით, ცვლილება განიცადა, ხოლო 1886 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა. მან დიდი როლი ითამაშა XIX საუკუნის ქართული კულტურისა და აზროვნების ჩამოყალიბებაში. რომელ გაზეთზეა ლაპარაკი?

— ალბათ, გაზეთ „ივერიაზე“.

— დიახ. საზოგადოდ, ქართული კულტურა სამ პერიოდად იყოფა: ძველი, ახალი და უახლესი. ძველი ლიტერატურა V საუკუნიდან, „შუშანიკის წამებით“ იწყება და მთავრდება XIX საუკუნის 30-იანი წლებით. რომელი ნაწარმოებით მთავრდება ის?

— ვერ გეტყვით.

— მიგანიშნებთ, ამ ნაწარმოების ავტორი იოანე ბატონიშვილი გახლავთ.

— (*ფიქრობს*). მაინც ვერ გიპასუხებთ.

— „კალმასობით“. რომში, ამ თანამდებობაზე ყოფილი კონსულები, 5 წლის ვადით ირჩეოდნენ. ისინი აწარმოებდნენ სენატის სიების გადასინჯვასა და ხელახლა შედგენას. ამასთან, მეთვალყურეობას უწევდნენ მოქალაქეთა ზნეობრივ ქცევას და საზოგადოებრივ სამუშაოთა წარმოებას. ეს თანამდებობა საქართველოშიც არსებობდა, მაგრამ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით. რომელ თანამდებობაზეა ლაპარაკი?

— თუ არ ვცდები, ცენზორებზე. ასეა?

— დიახ. რატომ არის კიტრი 1-2 გრადუსით ცივი გარემომცველ ჰაერზე?

— იმიტომ, რომ დიდი ოდენობით წყალს შეიცავს.

— რა ერქვა ძვირფასი თვლებით მოოჭვილ თავსამკაულს, რომელიც უზენაესი ქურუმების ხელისუფლების ნიშანი იყო?

— არ ვიცი.

— დიადემა. ინდიელები მას უნივერსალურ მაღაზიად მოიხსენიებენ. მისი ღეროსგან ავეჯს ამზადებენ, ფოთლებით ქოხებს ხურავენ, ნაყოფს საკვებად იყენებენ, ხოლო მისი წვენისგან ღვინოს ამზადებენ. რაზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი.

— ქოქოსის...

— (*მაწყვეტინებს*) ქოქოსის პალმაზე.

— 1816 წელს, ლონდონის აუქციონზე, ისააკ ნიუტონის კბილი 1730 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. მყიდველი ძვირად ღირებულ ნივთს მუდამ თან ატარებდა. რით ატარებდა იგი ნიუტონის კბილს?

— ალბათ, ბეჭედში ჰქონდა ჩასმული.

— გამოიცანით. დასახელეთ ინდოეთის ძველი სამეფო, რომელიც შალის მსუბუქი ქსოვილის წარმოებით იყო ცნობილი.

— ქაშმირი.

— საქართველოს რომელ ტერიტორიას მიეკუთვნება სამურზაყანო?

— (*ფიქრობს*). აფხაზეთს.

— დიახ. მდინარე ენგურსა და ლაღიძგას შორის არსებულ ტერიტორიას სამურზაყანო ჰქვია. რომელ ძუძუმწოვარ ცხოველს არა აქვს თვალები?

— თხუნელას.

— როდის მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირება?

— 1991 წლის 9 აპრილს.

— მან იმპრესიონისტულ მიმდინარეობაში აღიარება სიკვდილის შემდეგ პოვა. ხატვა ნახშირის ნატეხით დაიწყო. სიკვდილამდე 2 წლით ადრე, სიყვარულის დასამტკიცებლად, ყური მოიჭრა და ქალს გაუგზავნა. ვინ იყო ეს პიროვნება?

— ვერ გიპასუხებთ.

— მიგანიშნებთ, მას ეკუთვნის ცნობილი ტილოები: „გლეხის ქალი“, „ხიდი სენაზე“, „ღამის კაფე“, „წითელი ვენახები არლში“, „პატმართა გასეირნება“, „მზესუმზირები“...

— ვერც ამჯერად გიპასუხებთ.

— ვან გოგი. რა ეწოდება მეცნიერებას, რომელიც მღვიმეების ფაუნას შეისწავლის?

— არ ვიცი.

— სპელეოლოგია. რომელ ცხოველს უწოდებენ უდაბნოს ხომალდს?

— აქლემს.

— დაალაგეთ შემდეგი სათავადაზნაურო ტიტულები ხარისხის მიხედვით: ბარონი, ჰერცოგი, მეფე, გრაფი.

— მეფე, ჰერცოგი, გრაფი და ბარონი.

— რომელ წელს დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი?

— 1783 წელს.

— ვინ დაამარცხა ქართლ-კახეთის ლაშქარმა, ერეკლე II-ის მეთაურობით, ასპინძის ომში?

— ოსმალები.

— ანეკდოტების პერსონაჟები — მიხო, ძუკუ, ვალოდა და ჭიჭიკია დაალაგეთ შემდეგი თანამიმდევრობით: კახელი, იმერელი, ოსი, მეგრელი.

— მიხო, ჭიჭიკია, ვალოდა და ძუკუ.



MK

**— ვინ არის ავტორი წიგნისა — „მძიმე ჯვარი“?**
— ჭაბუა ამირეჯიბი.
**— დარწმუნებული ხართ?**
— არა, მგონი, შეცდომით ვთქვი.
**— ამ წიგნის ავტორი რევაზ ჯაფარიძე გახლავთ. გადმოცემის თანახმად, რომელი ტაძარი აიგო იმ ადგილას, სადაც იესო ქრისტეს კვართია დაფლული?**
**— (ფიქრობს)... ეს ტაძარი მცხეთაშია.**
— სვეტიცხოველი.
**— ჩამოთვალეთ თანამიმდევრულად შემდეგი ფილმების რეჟისორები: „ხარება და გოგია“, „არ იდარდო“, „მონანიება“, „შერეკილები“.**
— „ხარება და გოგია“ გიორგი შენგელაიამ, „მონანიება“ — თენგიზ აბულაძემ, ხოლო „შერეკილები“ ელდარ შენგელაიამ გადაიღო. სამწუხაროდ, „არ იდარდოს“ რეჟისორს ვერ ვიხსენებ.
**— „არ იდარდო“ გიორგი დანელიას ეკუთვნის. რომელი მანიაკური ქცევისკენ აქვთ მიდრეკილება კლეპტომანიით დაავადებულ ადამიანებს?**
— მათ ბრჭყვიალა საგნები იზიდავთ.
**— სწორი პასუხია — ქურდობისკენ. რომელი კომპოზიტორის ოპერაა „დაისი“?**
— თაქთაქიშვილის.
**— ცდებით. „დაისის“ ავტორი ზაქარია ფალიაშვილი გახლავთ. სადაური არაყია ჯინი?**
— ფრანგული.
**— არა, ინგლისური. ვინ იბრძვის მტრის ზურგში?**
— პარტიზანი.
**— შექსპირის რომელ ნაწარმოებშია აღწერილი მონტეგებისა და კაპულეტების ქიშპობა?**
— არ ვიცი.
**— „რომეო და ჯულიეტაში“. სადაური იყო ნოსტრადამუსი?**
— ფრანგი.
**— ჟიულ ვერნის „საიდუმლო კუნძულში“ რომელ ცხოველს ერქვა ტოპი?**
— ვერ ვიხსენებ.
**— ძაღლს. ვის წინააღმდეგ იბრძოდნენ რუსები კულიკოვოს ბრძოლაში?**
— არ ვიცი.
**— მონღოლების წინააღმდეგ. რამდენი წამია საათში?**
— დაანგარიშება მეზარება.
**— 3600. რომელ თეატრში მოღვაწეობდა ეროსი მანჯგალაძე?**
— ვიცი, რომ სამტრედიიდან იყო. მგონი, თუმანიშვილის სახელობის თეატრში თამაშობდა.

**— ამჯერადაც არასწორად მიპასუხეთ. ეროსი მანჯგალაძე რუსთაველის თეატრის მსახიობი გახლდათ. ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს, ერთ-ერთი გენერალური მდივნის დადგენილებით, საშენი მასალების ეკონომიის მიზნით, საცხოვრებელ სახლებს ჭერის სიმაღლე შეუმცირეს. ვინ იყო ამ დადგენილების ავტორი?**
— ხრუშჩოვი.
**— რომელ ანსამბლში მღეროდა გოგი დოლიძე?**
— „ქართულ ხმებში“.
**— რომელ თევზს აქვს წითელი წინწკლები?**
— კალმახს.
**— რამდენქიმიანია ებრაელების დროშაზე გამოსახული ვარსკვლავი?**
— მგონი, 7-ქიმიანი.
**— 6-ქიმიანია. რომელ ბრძოლაში შეაკვდა მტერს 300 არაგველი?**
— კრწანისის ბრძოლაში.
**— ბიბლიური თქმულების თანახმად, რამდენი შვილი ჰყავდა იაკობს?**
— არ მახსოვს.
**— 12. მარმარილოს ზღვასთან რომელ ზღვას აერთებს დარდანელის სრუტე?**
— ხმელთაშუა ზღვას?
**— ცდებით, ეგეოსის ზღვას. რომელი კონტინენტია კენგურუს სამშობლო?**
— ავსტრალია.
**— რა აქვთ დარღვეული დალტონიკებს?**
— მხედველობა. უფრო სწორად, ფერებს ვერ აღიქვამენ.
**— ვინ იყო დავით აღმაშენებელი თამარ მეფისთვის?**
— დიდი პაპა.
**— რა ჰქვია ამერიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს?**
— კონგრესი.
**— დაასახელეთ მწერლის სახელი და გვარი, რომლის ფსევდონიმიც ვოლტერი გახლდათ.**
— არ ვიცი.
**— მარი ფრანსუა არუე. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, კონტინენტს ათასი ჯურის კოლონიზატორი და ბედის მაძიებელი შეესია. ისინი იმ მითურ ქალაქს ეძებდნენ, რომელიც ოქროთი და ვერცხლით სავსე უნდა ყოფილიყო. რას უწოდებდნენ ამ ქალაქს?**
— არ ვიცი.
**— ელდორადოს. რომელი ციური სხეულის მოქმედების შედეგად არის გამოწვეული ოკეანეების მიქცევა და მოქცევა?**
— (ფიქრობს) მთვარის.
**— წერილის მიმღებია — ადრესატი. რა ჰქვია წერილის გამგზავნს?**
— არ ვიცი.
**— ადრესანტი. დაასრულეთ ოვიდიუსის ცნობილი გამონათქვამი: „რისხვაც ისე დნება, როგორც თოვლი, ოღონდ...“**
— ეს ციტატა ზეპირად არ მახსოვს.
**— „...მოთმინებამ გაუძლოს“.**

## ერუდიტი +

**დედამიწის უახლოესი ვარსკვლავია** — *პროსკიმა ცენტავრა. დედამიწამდე მანძილი უდრის 272000 ასტრონომიულ ერთეულს (1 ასტრონომიული ერთეული უდრის 150 მლნ. კმ-ს).*

**დედამიწა სითბოს მზის სხივების საშუალებით იღებს,** *რომელსაც ჩვენამდე მოსაღწევად (დაახლოებით 150 მლნ. კმ-ის გასავლელად) 8 წუთი და 20 წამი ესაჭიროება. დედამიწაზე მზიდან წამოსული ენერგიის მხოლოდ ნახევარი მემილიარდედი აღწევს.*

**მსოფლიოში ყველაზე დიდი გამოქვაბული** *მამონტის გამოქვაბულია. იგი შტატ კენტუკიში (აშშ) მდებარეობს. ეს ერთმანეთთან დაკავშირებულ მრავალ დარბაზს, გალერეას და გასასვლელს მოიცავს, რომლებიც რამდენიმე სართულადაა განლაგებული. ყველა განშტოების სიგრძე 280 კილომეტრამდეა. ყველაზე მაღალ დარბაზებში სიმაღლე 30 მეტრს აღწევს. საქართველოში ყველაზე დიდი გამოქვაბული ახალი ათონია, რომელიც აფხაზეთში მდებარეობს.*

წერილები რედაქციას

# „აფხაზეთი, ოსეთი, ნუ გაგვცვლით დამპყრობელ რუსეთზე...“

## „იმედია, ქართველი ბიჭების თავგანწირვას აზრი აქვს“

**ლიკა ქაჯაია**

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებული ჩვენი მკითხველი მესიჯს მესიჯზე გვიგზავნიდა და გვთხოვდა, მათი გულისტკივილი დაგვეფიქსირებინა. სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, „ესემესების“ შინაარსიდან გამომდინარე, თითოეული მათგანის მესიჯს ვერ ვაქვეყნებთ. გვინდა, პირველ რიგში, იმ გოგონას წერილი შემოგთავაზოთ, რომელსაც, როგორც თავად ამბობს, სისხლი აუდუღდა და შესაძლოა, მალე შინიდან გაიპაროს, იარაღი აიღოს ხელში, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმის არაფერი გაეგება და ცხოვრებაში მწერიც კი არასდროს მოუკლავს.**

**ელენიკო,** *18 წლის:*

„ვიცი, შეიძლება, ეს მესიჯი ვერ დაბეჭდოთ, მაგრამ ძალიან მინდა, ჩემი ტკივილი გაგიზიაროთ. მე 18 წლის ვარ, თანაც — გოგო და ამიტომაც, უძლური ვარ რუსი სისხლისმსმელების წინააღმდეგ, თორემ გეფიცებით, უკან არ დავიხევდი, აუცილებლად წავიდოდი ცხელ წერტილში და სიამოვნებით დავლევდი იმ სადისტების სისხლს, რომლებიც მშვიდობიან მოსახლეობასაც კი დაერივნენ. ხალხნო, რა ხდება ჩვენს თავს? რატომ უნდა დაგვიმონონ ვიღაც სადისტებმა? მათ თავიანთი ქვეყნისთვის ვერ მოუვლიათ და სხვის მიწებს რატომღა ეპოტინებიან? ჩემი ოჯახის წევრები ჩემს ძმას არ უშვებენ ცხინვალში, მიუხედავად იმისა, რომ ის სრულწლოვანია და ამის დიდი სურვილიც აქვს. რატომ? — ეშინიათ. შიშმა დაისადგურა თითოეული ქართველის გულში, მე კი პირიქით, სისხლი ამიდუღდა და თუ სიტუაცია არ ჩაწყნარდა, შეიძლება, სახლიდან გავიპარო და იარაღი ავიღო ხელში, მიუხედავად იმისა, რომ სისხლი ჩემზე ძალიან მოქმედებს და ცხოვრებაში მწერიც კი არასდროს მომიკლავს!.. ქართველებო, გამარჯვებას გისურვებთ. იმედია, ჩვენს ტერიტორიას უბრძოლველად არ დავთმობთ. უფალი იყოს ჩვენი მფარველი“.

**ლორელაი:**

„ვაიმე, აღარ შემიძლია. რა უბედურება ყოფილა ომი... გორთან ისე ახლოს ვცხოვრობ, რომ აფეთქებების ხმა მესმის. ჩვენი სოფლის ბოლოს სამხედრო ბაზა მოაწყვეს და ახლა გვეუბნებიან, — სოფელი დაცალეთ, შეიძლება, დაგვბომბონო. აქაურობა სავსეა გორიდან გამოქცეულებით. ვიცი, მეც იგივე საფრთხე მელის, მალე მშობლიური სოფლიდან გასაქცევად გამიხდება საქმე, მაგრამ... არა, არსადაც არ წავალ! არ მინდა, ჩემი სახლის მიტოვება. ბევრი ჩემი ახლობელი წაიყვანეს საბრძოლველად. ჩემი შეყვარებულიც პირველსავე დღიდან წინა ხაზზეა. საშინლად ვნერვიულობ. ვერ გეტყვით, რა მემართება მაშინ, როცა ვფიქრობ, რომ შეიძლება, მას რაღაც დაემართოს. გუშინ ქუჩაში რომ მივდიოდი, სამხედრო მანქანა დამეწია და ჩემს ფეხებთან დაამუხრუჭა. მანქანაში ის იჯდა. არ ველოდი და ამიტომაც, სიხარულისგან ავტირდი. მინდოდა, მისთვის რაღაც მეთქვა, მაგრამ ვერ ვეუბნებოდი. გინახავთ ჯარისკაცი, ხელში ავტომატით, თავზე ჩაფხუტით, ომისგან გატეხილი, გაშავებული და წვერმოშვებული, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მხნედ და ამაყად გამოიყურება? წარმოიდგინეთ ამ ჯარისკაცის წინ მდგომი გამხდარი და შეშინებული პატარა გოგონა, რომელიც ცრემლიანი ცისფერი თვალებით უყურებს ჯარისკაცს და ეამაყება მისი არსებობა... ოჰ, ღმერთო, ნუ მიგვატოვებ“.

**მამუკა,** *16 წლის:*

„ეჰ, ნეტავ შემეძლოს, ომში წავიდოდი, წინა ხაზზე დავდგებოდი და ჩემს ქვეყანას დავიცავდი, მაგრამ საამისოდ პატარა ვარ. ეგეც რომ არ იყოს, დედისერთა გახლავართ და მშობლებს ვერ ვუღალატებ — ჩემ გარდა არავინ ჰყავთ და რამე რომ დამემართოს, თავს მოიკლავენ, მაგრამ... ერთი ჩემს გულშიც ჩაგახედათ. ნერვები დაწყვეტაზე მაქვს. ჩემი უფროსი ძმები იბრძვიან, ერთ-ერთი მოკლეს კიდეც, მე კი შინ ვზივარ და ყველაფერს შორიდან ვადევნებ თვალს. ესაა ცხოვრება?.. იცით, იმ ვამპირს დავემსგავსე, რომელსაც სისხლი სწყურია, მაგრამ ეს სისხლი მხოლოდ რუსი ჯარისკაცისგან უნდა იყოს გამოწოვილი. ხალხნო, როგორ იმოქმედებს ეს ყველაფერი ჩვენზე, ახალგაზრდებზე? ძალიან არ მინდა, ჩემი თანატოლების სისხლი დაიღვაროს (თუნდაც, ჩვენი მტრების), მაგრამ ხომ იცით, ეს გარდაუვალია!.. ეჰ, ვინ იცის, როდის დასრულდება ეს საშინელება. იმედია, ქართველები გავიმარჯვებთ და ამ საქმეში უფალი დაგვეხმარება. ღმერთი შეგვეწიოს. ქართველებო, წინ, გამარჯვებისკენ!“

**ლელა:**

„არ ვიცი, ამ მესიჯს დაბეჭდავ თუ არა, მაგრამ მინდა, დარდი ვინმეს გავუზიარო. გუშინწინ ცხინვალიდან ჩემი შეყვარებული ჩამოასვენეს. ვაი, მე საწყალს... მაგრამ დედამისი უნდა გენახათ, რა დღეში იყო. საწყალ ქალს სახლში შვილი ისე მიუსვენეს, რომ წინასწარ არ გააფრთხილეს. მისმა კივილმა მთელი სამეგრელო შეძრა. ვაიმე, ბედკრულო საქართველოვ! ვაი, რომ ჩემი საქმრო ამ ომის ერთადერთი მსხვერპლი არ არის. რისთვის ვხოცავთ ადამიანები ერთმანეთს, როცა ისედაც ძალიან ცოტა ხანს ვცოცხლობთ? ვიცი, აწი ბედნიერი ვერასდროს ვიქნები, მაგრამ ღმერთს შევთხოვ, ის სიმწარე,

ძალიან არ მინდა, ჩემი თანატოლების სისხლი დაიღვაროს

# „ერთი ძმა დაილუპა, მეორეს ფეხი მოაჭრეს. მაურს მათი...“

**რამდენიმე დღის წინ დამიკავშირდა გოგონა, რომელმაც მითხრა: ლიკა, შენს რუბრიკაში — „თინეიჯერულ პონტებში“ განსაზღვრულ გვერდებს შენს მკითხველებს ხომ უთმობ ხოლმე? ჰოდა, ძალიან გთხოვ, ერთი-ორი სიტყვა მეც მათქმევინეო. რა თქმა უნდა, გოგონას, რომელიც ნინიკოდ გამეცნო, მოვუსმინე, მერე კი გადავწყვიტე, მასთან ინტერვიუ ჩამეწერა. თინეიჯერს მისსავე თხოვნით, პარლამენტის შენობასთან შევხვდი.**

— გმადლობ, რომ არ დაიზარე და დრო დამითმე. ძალიან მინდა, ჩემი წუხილი გაგიზიაროთ. მე არც შეყვარებული დამიკარგავს და არც მშობლებთან მაქვს პრობლემები. მაწუხებს ის მდგომარეობა, რომელიც ამ ბოლო დროს, ჩვენს ქვეყანაში ვითარდება. მე სენაკელი გახლავართ, ჩემი მშობლები დღესაც იქ არიან და როცა მირეკავენ, გული მისკდება, რადგან მგონია, რაღაც საშინელებას მეტყვიან.

**— ყველაზე მეტად, რისი გაგების გეშინია?**

— საშინელებაა, როცა მშობლის ან ნათესავის სიკვდილს გაიგებ, მაგრამ როგორც უნდა გაგიკვირდეთ, იმის უფრო მეშინია, რომ ჩემს ქალაქს რუსები დაიპყრობენ და იქ ისევე იპარპაშებენ, როგორც აფხაზეთში. ალბათ, ვიღაც იტყვის, ეს გოგო მთლად დალაგებული ვერ არის, რაებს ბჟუტურებსო, მაგრამ მერწმუნეთ, ზუსტად ასე ვფიქრობ. თუ ჩემს სენაკში ყველაფერი კარგად იქნება, ჩემებიც ბედნიერები იქნებიან.

**— რატომ გგონია, რომ რუსებს სენაკში პარპაშის სურვილი გაუჩნდებათ?**

— ჩემი აზრით, რუსებს არა მარტო ზუგდიდის, არამედ მთელი სამეგრელოს დაპყრობა სურთ. უნდათ, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო ერთმანეთს დააშორონ. სამწუხაროდ, თუ ასე მოხდა, დარწმუნებული ვარ, სამეგრელოში არა მარტო რუსები, არამედ აფხაზებიც იპარპაშებენ და ისინი მეგრელებს სისხლს გაუშრობენ... ძალიან მეშინია იმისიც, რომ ბუშმა სამხედრო ძალა არ მოგვაშველოს.

**— რატომ?**

— ამ შემთხვევაში, რუსები გადაგვივლიან, არ დაგვინდობენ და იმ ამერიკელებს კიდევ, სულ „ცალ წიხლზე“ არ ჰკიდიათ, საქართველო მიწასთან გასწორდება თუ არა? მათთვის ყველაზე მთავარი ისაა, რომ ერთმანეთს თავიანთი ძალა უჩვენონ. ისინი ერთმანეთის მტრები არიან და ურთიერთობის გასარკვევად ჩვენ გვიყენებენ.

**— იქნებ, ცდები...**

— (*მაწყვეტინებს*) ღმერთმა ქნას, ასე იყოს. ძალიან მეშინია. მინდოდა, ამ გაჭირვების ჟამს ჩემების გვერდით ვყოფილიყავი, მაგრამ იქ ჩასვლა ვერ მოვახერხე. იცი, გუშინ ჩემს უქნარა ძმას ვეჩხუბე, რომელიც თავის დროზე არც ჯარში წავიდა და არც რეზერვისტად ინდომა ყოფნა. ახლა ზის და პირდაღებული მიშტერებია ტელევიზორს, თან შიშისგან გული უკანკალებს. მისი ბრალია, ახლა თბილისში რომ ვარ და არ ვიცი, სენაკში რა ხდება.

**— შენმა ძმამ დაგიშალა სამეგრელოში წასვლა?**

— არა, უბრალოდ, მას მიხედვა უნდოდა. მისთვის საჭმელი ვიღაცას ხომ უნდა მოემზადებინა, ტანისამოსი გაერეცხა? ჰოდა, მშობლებმა მითხრეს, — აქ ჩამოსული არ დაგინახოთ, ძმას მიხედეო. ახლა ამის დროა? წესით, ის უნდა მივლიდეს, მის გვერდით თავს დაცულად უნდა ვგრძნობდე, რადგან კაცია, ძლიერი სქესის წარმომადგენელი, მაგრამ... მშურს იმ ბიჭების, რომლებმაც იარაღი აიღეს ხელში და სამშობლოს დასაცავად დაუფიქრებლად გაეშურნენ. იცით, ერთი ოჯახი ვიცი, რომელსაც 2 ვაჟიშვილი ჰყავდა. ორივე ცხინვალში წავიდა საომრად. ერთი ძმა დაიღუპა, მეორეს ფეხი მოაჭრეს. მშურს მათი. ბიჭი რომ ვიყო, ვიცი, რასაც ვიზამდი, მაგრამ გოგოდ გავჩნდი და საქართველოს მცხოვრებს, სამშობლოსთვის ბევრი არაფრის გაკეთება შემიძლია... მინდა, თქვენი მეშვეობით ჩვენს პრეზიდენტს მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას შეეცადა მაინც, ხოლო რუსეთს ვურჩიო, რომ თავის ტყავში დაეტიოს, თორემ კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანს.

*P.S. თუ თქვენც გსურთ, საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები დააფიქსიროთ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99). 17.35.27.*

---

რაც მე გამოვცადე, აღარავის გამოეცადოს. ჩემო გოჩა, ძალიან მომენატრები და გპირდები, მუდამ შენი ერთგული ვიქნები. ძაძებს მთელი ცხოვრება არ გავიხდი. მიყვარხარ...“

**ერაყელი:**

„ხალხნო, რა უბედურები ვართ, ქართველები ომს თითქმის ვერც ერთ საუკუნეში ვერ ავცდით. რა უბედურებაა ამდენი სისხლის ღვრა? რით ვერ გაძღნენ ეს რუსები? მოკლედ, გაგიჟება შეიძლება. რუსი მეგობარი მყავს და მას თავისი ხელისუფლების გამო ისე რცხვენია, რომ ჩემთან ლაპარაკსაც კი გაურბის. აღარ იცის, რაზე ილაპარაკოს. იცით, წლების განმავლობაში რუსეთში ვიყავი, შეყვარებულიც კი რუსი მყავს (მოსკოვში ცხოვრობს), მაგრამ აღარ ვიცი, ამ ყველაფრის გამო მის ცოლად მოყვანას შევძლებ თუ არა. აზრზე მოდით, ხელისუფალნო და სისხლის ღვრას ყველანაირად აარიდეთ თავი. ღმერთო, შენ შეგვეწიე“.

**პატრიოტი:**

„ამ მესიჯს საბერძნეთიდან გწერთ. აღარ ვიცი, აქ როგორ გავძლო, თქვენ გვერდით ყოფნა ძალიან მინდა. თითოეული აქ მყოფი ამ საშინელებას საოცრად განვიცდით. გამძლეობას გისურვებთ, ჩემო თანამემამულენო. იმედია, ამ სისხლის ღვრას მალე მოეღება ბოლო და ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ. აფხაზებო, ოსებო, თქვენ ჩვენი ძმები და დები ხართ, ნუ გაგვცვლით დამპყრობელ რუსეთზე, თორემ მათი უღლიდან თავს ვერასდროს დააღწევთ. ქართველებო, არავის დაუჩოქოთ! ჩვენ, ემიგრანტები თქვენ გვერდით ვართ. ღმერთმა გამძლეობა მოგვცეს“.

**მარიკო:**

„იცით, ჩემი ბიძაშვილი ცხინვალში დაიჭრა, მისმა ცოლ-შვილმა კი ამის შესახებ არაფერი იცის. მათ ჰგონიათ, რომ გია ისევ გორშია და იბრძვის, სინამდვილეში, თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში წევს, საოცრად მძიმედაა დაჭრილი. მე და ჩემი ოჯახის წევრებმა არ ვიცით, რა ვქნათ, რადგან გიას წინაალმდეგობას ვერ ვუწევთ და მისი ოჯახის წევრებს ამიტომაც არაფერს ვეუბნებით. გია მათ დღეში ერთხელ უკავშირდება და ეუბნება, რომ ყველაფერი კარგადაა. სინამდვილეში კი ისე გახდეს პუტინი და მედვედევი, როგორც ის გრძნობს თავს. მან ბევრი სისხლი დაკარგა და იმედია, ამას ხალხი დაუფასებს. და კიდევ, დიდი იმედი მაქვს, რომ მის და საერთოდ, ქართველი ბიჭების თავგანწირვას აზრი აქვს. ქართველებო, გამარჯვებას გისურვებთ. P.S. მინდა, გიას მეუღლეს — ლელას და მის ორ შვილს პატიება ვთხოვო იმისათვის, რომ მათ სიმართლეს ვუმალავ. იმედია, გამიგებენ“.

# „ბიჭების უმეტესობა გოგონებს ერთი საზომით ზომავს“

**„გზის“ №32-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი, სათაურით — „მშობლები რომ არ მეცოდებოდეს, თავს მოვიკლავდი“. გოგონამ მოგვწერა, რომ ჩვენი ჟურნალის მეშვეობით გაიცნო ბიჭი, რომელსაც თავიდანვე გაუმხილა, რომ ქართველი არ იყო და ფეხი სტკიოდა. წყვილი ერთმანეთს გარკვეული ხნის განმავლობაში ეკონტაქტებოდა, ბოლოს კი იჩხუბეს და დაშორდნენ. როგორც გოგონა გვწერს, ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ „მეუბნებოდა, ნუ მატყუებ, მითხარი, სინამდვილეში რა გვარი ხარო? იქნებ, სულაც არ უნდა მეთქვა არაფერი და ის ბიჭი ტყუილებით „გამომეჭირა“?..**

## „ვირტუალურ სამყაროში ყველა ჯარგი ადამიანი გგონია“

**ერეკლეა:**

„უცნობო, მაგრამ ჩემთვის კარგად ნაცნობო ფერიავ, ყველა ტკივილს აქვს დასასრული. მიყვარხარ და ბედნიერებას გისურვებ. შენ სულით ნამდვილი ქართველი ხარ“.

**ბოტოტა:**

„დიდი ხანია, რაც შენგან წავიდა? რომ ჰყვარებოდი, გვარს ყურადღებას არ მიაქცევდა. შეეცადე, სხვა ადამიანზე იფიქრო, ის კი დაივიწყო“.

**ანანო:**

„მართლა რომ ჰყვარებოდი, ასე არ მოგექცეოდა. დაივიწყე და სხვა შეიყვარე! თვალი კარგად გაახილე და აი, ნახავ, მაგაზე უკეთესს იპოვი“.

EKO BOY:

„ჩემო კარგო, მეც შენნაირი ვარ — ვინც არ უნდა გავიცნო, ყველას სიმართლეს ვეუბნები. ზოგიერთები ამით სარგებლობენ და მერე, ჩემს ზურგს უკან ჭორაობენ. ყველას ნუ მიენდობი. იცოდე, „სინაგლეც“ საჭიროა. ვერ ვიტან ორპირებს“.

**ფიფილა:**

„საერთოდ, ცხოვრება უამრავ განსაცდელს გვიმზადებს, ზოგჯერ — სასტიკსაც, მაგრამ უფლის გწამდეს და ის იმ ღირსეულსაც მოგივლენს, რომელიც შენს სიყვარულს დააფასებს და დაგანახვებს, რომ ცხოვრება მხოლოდ სასტიკი კი არა, მშვენიერია. გკოცნი“.

**ჭრიჭინა:**

„რას გულისხმობ იმაში, რომ მისთვის არაფერი უნდა გეთქვა? რა, გვარი უნდა დაგემალა? როდის იყო, შეყვარებულები ამის გამო ჩხუბობდნენ? თავი მხოლოდ იმიტომ უნდა მოიკლა, რომ იმ ბიჭმა „დაგაიგნორა“? ეჰ, ჩემო კარგო, წინ იმხელა გზა გაქვს გასავლელი...“

**მარუცა:**

„უცნობო, იქნებ თქვა, რა ეროვნების ხარ? რატომ გრცხვენია ამის გამჟღავნებისა? ჩემო კარგო, სიყვარულის უფლება ყველას აქვს!“

**თუფაქა:**

„კარგი ქენი, მას სიმართლე რომ უთხარი, მაგრამ ის არაკაცურად მოიქცა — ეროვნების გამო რომ დაგშორდა. რომ ჰყვარებოდი, ამას ყურადღებას არ მიაქცევდა. ცხოვრებით დატკბი, ირგვლივ მიმოიხედე და ნახავ, რამდენი კარგი ბიჭია“.

**პანკუშკა:**

„უცნობო, მგონი, რაღაცებს მალავ. იქნებ, ერთი და იგივე გვარი გაქვთ? თუ უყვარდი, რატომ უნდა „შეტენოდი“? რა აბდაუბდას წერ?“

**თეკო (კნუტი):**

„იმ ბიჭის გამო ნერვიულობა არ ღირს. ძალიან კარგად მოიქეცი, სიმართლე რომ უთხარი. მერე რა, რომ სხვა ეროვნების ხარ? სისულელეა, ადამიანი ამის გამო მიატოვო. გირჩევ, იმ ბიჭზე არც იფიქრო. ბედნიერად!“

**თათა:**

„წრფელ სიყვარულს ხელს ვერაფერი შეუშლის. მით უფრო, ამ დროს ეროვნებას რა მნიშვნელობა აქვს? ბიჭების უმეტესობა გოგონებს ერთი საზომით ზომავს და მათთან მხოლოდ ერთობიან. შენი ყოფილი შეყვარებულიც ასეთების რიცხვს მიეკუთვნება. რა ვიცი, ყოველ შემთხვევაში, შენი მესიჯიდან ასე ჩანს. თავის მოკვლა არავის გამო არ ღირს. მერწმუნე, შენს წილ ბედნიერებას აუცილებლად იპოვი. აბა, წარმატებები და იმედია, ძალიან არ გაწყენინე. შემეხმიანე. ისე, რატომღაც, გრუზინკა მგონიხარ“.

**ლიკა,** *ქუთაისი:*

„თუ გინდა, დაგაფასონ, ყოველთვის შენს სიმაღლეზე დადექი. რას ჰქვია, თავს მოიკლავ? ღმერთს ნუ სცოდავ, იცოდე. იმედი არ დაკარგო, ყველაფერი კარგად იქნება“.

**ნატრული-17:**

„ისეთი ბიჭი, რომელიც საყვარელ ადამიანს გვარის გამო მიატოვებს, ან შტერია ან უბრალოდ, შეყვარებული არ არის. თუ მასთან იჩხუბე, ჯობს დაელაპარკო და ურთიერთობის გამოსაწორება სცადო. აბა, გკოცნი და წარმატებები!“

**კამო,** *17 წლის:*

„რომ ჰყვარებოდი, არ მიგატოვებდა. თანაც, ტყუილებზე აგებული ცხოვრება თავზე მალე დაგენგრევა. თავის მოკვლაზე არც იფიქრო!“

**ლოგუა:**

„მერე რა, რომ ქართველი არ ხარ? მერე რა, რომ ფეხი გტკივა? მთავარია ის, რომ ადამიანი ხარ და საღი მსჯელობის უნარი გაქვს. პირადად ჩემთვის გარეგნობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ვფიქრობ, ამ ჩხუბის მიზეზი შენი გვარი არ იყო, ეგ „პრიჩინა“ გახლდათ, დაშორებისთვის. თავს ნუ დაიტანჯავ, გენაცვალე. რისი ან ვისი გულისთვის უნდა მოიკლა თავი? ღვთის შიშით იცხოვრე და უბადრუკთ მოწყალე თვალით შეხედე. შენ იმ მექალთანზე უკეთეს პიროვნებას იმსახურებ. უფალმა კურთხეული გზით გატაროს“.

**აგათა:**

„შენი პრობლემა ჩემთვის ძალიან ნაცნობია. არ ვიცი, ეროვნებით არაქართველი რომელი სარწმუნოების მიმდევარი ხარ, მაგრამ გირჩევ, ილოცო. მეც მინატრია სიკვდილი, მაგრამ ვიცი, ამას ვერასდროს გავბედავ. რატომ? — უფლის მეშინია. სიკვდილზე ნუ ფიქრობ, თორემ ერთ დროს სიცოცხლის გახანგრძლივებას ინატრებ და გვიანი იქნება. დილით ილოცე და მთელი დღე მსუბუქად, გულდამშვიდებული ივლი“.

**უცნობი:**

„ვირტუალურ სამყაროში ყველა კარგი ადამიანი გგონია. თავის მოკვლა რამ გაფიქრებინა? ამას შენი სარწმუნოება ცოდვად არ მიიჩნევს?.. სიყვარული მაშინაა მყარი, როცა რეალურია. ვისაც უყვარხარ, ისეთს მიგიღებს, როგორიც ხარ. თელავში ერთი ლამაზი მუსიკის მასწავლებელი ცხოვრობდა. ერთმა ბიჭმა პირველად მაშინ ნახა, როცა პიანინოზე უკრავდა და მისით მოიხიბლა. როცა გოგო ფეხზე წამოდგა, ნახა, რომ გოგონა კოჭლი იყო. მიუხედავად ამისა, ბიჭმა ის ცოლად შეირთო. ასე რომ, ნუ ეძებ გმირს ვირტუალურ სამყაროში. გიცანი და ამიტომაც, სახელს არ დავწერ“.

**მის რეალი:**

„უცნობი მეცნობა... ვისაც სიმართლე არ უნდა, ის არავის და არაფრის ღირსი არაა. შენს გულში ჩაიხედე. მგონი, თავს იტყუებ — სიმართლის გამო მიმატოვაო. ნანახი არ ჰყავხარ? თუკი, დარწმუნდა, რომ მართლა გტკივა ფეხი? აქ უკვე შეუსაბამობაა“.

# „იყავი სამართლიანი, ვაჟკაცური და სიყვარული შენც დაგიმონებს"

## „შენნაირი ბიჭები მოდაში შემოგა და გოგონებისგ ბუგებივით დაგეხეგიან"

**„გზის" №32-ში დაიბეჭდა 17 წლის ბიჭი მესიჯი, რომელმაც ფსევდონიმად რუსთავი აირჩია. ის გვწერდა, რომ ბევრი მეგობარი გოგო ჰყავს, მაგრამ შეყვარებული არასდროს ჰყოლია და ამის გამო ძალიან წუხდა.**

**ბორჯომელი ქალი:**

„მერწმუნე, სიყვარული მალე გეწვევა. გული არ გაიტეხო და მას ვაჟკაცურად დაელოდე".

**მის რეალი:**

„ძალით ვერც ვერავის შეიყვარებ და არც არავის შეუყვარდები. ჯერ მხოლოდ 17 წლის ხარ. ცოტაც მოითმინე და სიყვარული თავისთავად გეწვევა. მე 20 წლის ვარ, მაგრამ არავინ მყვარებია. იცხოვრე ისე, როგორც გინდა. იყავი სამართლიანი, ვაჟკაცური და სიყვარული შენც დაგიმონებს. უბრალოდ, დაელოდე".

**აგათა:**

„17 წლის ასაკში შეყვარებულის არყოლა ტრაგედია არ არის. ნუ მაფიქრებინებ, რომ უსაქმური ხარ და გინდა, სიყვარულით დაკავდე. შენს ასაკში მეც არავის ვუყვარდი, არავინ მიყვარდა, მაგრამ ეს ჩემი მიზანი არც ყოფილა. ძალიან მინდოდა იურისტობა, ჰოდა, მიზანს მივაღწიე და განათლებულმა საზოგადოებამ განათლებული თაყვანისმცემლები შემძინა (არა ისეთები, პირს რომ დააღებენ და შეგრცხვება). არაფრისგან პრობლემას ნუ შექმნი. მიზანი დაისახე, კაცად ჩამოყალიბდი და მერწმუნე, შენით იმდენი მოიხიბლება, გაოცდები".

**ლომუა:**

„რა იყო, ბიჭო, ვაჟკაცი არ ხარ? ამ 17 წლის ასაკში რა სიყვარულის ბუშტი გაგისკდა, ჰა? მიჯნურობა გინდა, ბიჭო? ამ საკითხზე არ იდარდო, ძამიკო. იმეგობრე გოგონებთან და მუდამ გახსოვდეს, მეგობრობიდან სიყვარულამდე ერთი ნაბიჯია. რადგან არავინ გიყვარდება, „ზნაჩიტ", შენი პრინცესა ჯერ არ გამოჩენილა. იცხოვრე კაცურად. უფალი გფარავდეს".

**სალომე:**

„მაინც, როგორი ცხოვრების სტილი გაქვს? იმაში, რომ ჯერ შეყვარებული არ გყოლია, საგანგაშო არაფერია... ისე, მეც რუსთაველი ვარ და თუ სურვილი გაქვს, შემეხმიანე. ვინ იცის, იქნებ, რაიმეში დაგეხმარო".

**ნინი,** *15 წლის (რუსთავიდან):*

„იქნებ, პრობლემა შენშია? როგორც ამბობ, ვერავის იყვარებ და ყველა მეგობრულად გიყურებს. გოგონებს დაანახვე, რომ შენ ნამდვილი მამაკაცი ხარ და არა — ფსიქოლოგი. სხვანაირად მიუდექი მათ და გარწმუნებ, შენში არა მარტო მეგობარს, არამედ საყვარელ და სასურველ მამაკაცსაც დაინახავენ".

**ნატრული-17:**

„იცოდე, დედამიწაზე არ არსებობს არც ერთი ადამიანი, რომელიც არავის უყვარს. გავა დრო და აუცილებლად შეგიყვარდება ვინმე. იცხოვრე ისე, როგორც გინდა. წარმატებებს გისურვებ!"

**თაისი:**

„ჯერ 17 წლის ხარ და თუ არავის უყვარხარ, თავისუფლებით დატკბი, გაერთე. ბიჭისთვის ეგ ხომ პრობლემა არაა?! მე გოგო ვარ, ასეთსავე სიტუაციაში, მაგრამ ვიჩაგრები, რადგან ხანმოკლე ურთიერთობას ვერავისთან გავაბამ. ეჰ, ბიჭები ისეთ გოგონებს ირჩევენ, რომლებიც უშველებელი, ქუსლიანი ფეხასცმელებით დადიან და სახეზე ერთი კილო „კრასკა" უსვიათ. რადგან დაყენებული მანერებით სიარული არ შემიძლია, ამიტომაც, ყველასთვის მხოლოდ კარგ მეგობრად ვრჩები. ყველაფერს თავის დრო აქვს, მით უმეტეს, სიყვარულს".

**ფიფილა:**

„უფალი ისეთ ადამიანს შეგახვედრებს, ვინც დიდ სიყვარულს გაჩუქებს. გულს ნუ გაიტეხ და შენს დროს დაელოდე".

**კახელო-616:**

„იყავი ის, ვინც ხარ და აკეთე ის, რაც გინდა. ადამიანი ისეთია მისაღები, კარგი და საყვარელი, როგორიც ღმერთმა შექმნა. დაელოდე, შენი დროც დადგება და მერე იბედნიერეე. P.S. ილინი, მისი რჩევის შემდეგ, უფრო შემიყვარდა და უფრო დავაფასე. უსაყვარლესია. მპუა, შენ".

**ჭრიჭინა:**

„რადგან მეგობრობას გთავაზობენ, ე.ი. უყვარხართ და პატივს გცემენ. ტყუილად ნერვიულობ. დრო მოვა და პრინცესა შენს გულს გასაღებს მოარგებს!"

**პანკუშკა:**

„სიყვარულს ძებნა რად უნდა? მერწმუნე, ადრე თუ გვიან, გამოჩნდება ადამიანი და ისეთს შეგიყვარებს, როგორიც ხარ".

**იკუშკები:**

„ჩემო კარგო, ქალებს რას გაუგებ. ჩვენ ხომ კარგ და პატიოსან ბიჭებს არ ვაფასებთ და გული მაინცდამაინც ნარკომანებისა და „ძველი ბიჭებისკენ" მიგვიწევს, მაგრამ ამის გამო არ შეიცვალო! მალე, შენნაირი ბიჭები მოდაში შემოვა და გოგონებიც ბუზებივით დაგეხვევიან. ისე კი, დარწმუნებული ვარ, შენი ცოლი უბედნიერესი ქალი იქნება. ცანცარა და ქაჯ გოგონებს ყურადღებას ნუ მიაქცევ. ძალიან საყვარელი ხარ. სიამოვნებით გაგიცნობდი".

## „საყვარელ ადამიანებს ყოველთვის ვეარგავ"

**სევდიანი:**

„ლიკა, გამარჯობა. იმედია, ამ წერილს ოდესმე დამიბეჭდავ. 18 წლის ვარ, მაგრამ გული არაერთხელ მეტკინა. საყვარელ ადამიანებს ყოველთვის ვკარგავ. შარშან გზაფხულზე ჩემთვის მართლა უსაყვარლესი და უძვირფასესი ადამიანი დავკარგე (ავარიაში დაიღუპა), მაგრამ სიკვდილის შემდეგ უფრო შემიყვარდა. სამძიმარზე მისული ორჯერ გავხდი ცუდად. ძალიან კარგი ადამიანი იყო. მას ბევრი ლექსი მივუძღვენი. ვერ ვივიწყებ. სულ თვალწინ მიდგას მისი სახე, ღიმილი. ყოველდღე ვტირი და ამით ცოტა ვწყნარდები. მეგობრებიც თავს მარიდებენ, რადგან აგრესიული გავხდი. გული მტკივა :((. იმედია, უპასუხოდ არ დამტოვებთ".

## „ორსულად ვარ, მას კი ჩემი ცოლად მოყვანა არ უნდა"

**ნათი,** *19 წლის:*

„ლიკა, გულით გთხოვ, დამიბეჭდე. 1 წლის წინ შეყვარებულმა ჩემზე ძალა იხმარა. ასე გავხდი მისი საყვარელი. ახლა ორსულად ვარ, მას კი ჩემი ცოლად მოყვანა არ უნდა. მეუბნება, — მუცელი მოიშალეო. ლიკ, არ მინდა, ჩემი პატარა დაღუპო, მაგრამ ეს მამამ რომ გაიგოს, მომკლავს. დედა არ მყავს. ლიკ, გთხოვ, ხელი არ მკრა. ძალიან მეშინია. თავს მოვიკლავდი და ამის ღირსიც ვიქნებოდი, მაგრამ ჩემს პატარას ხომ არაფერი დაუშავებია? სახლიდან რომ წავიდე, თავი სად შევაფარო? ახლა ისეთ დღეში ვარ, რომ ცრემლიც გამიშრა".

***P.S.* მაშ ასე, თუ სევდიანისა და ნათის წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.** ■

*რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი*

# ჰიპერტონიული კრიზი

**ჰიპერტონიული კრიზი არტერიული წნევის მკვეთრი მატებით გამოწვეული მდგომარეობაა, მაგრამ მისი შედეგებისა და გართულებების შესახებ ბევრისთვის არ არის ცნობილი. არადა, შედეგები საკმაოდ სერიოზულია, თუმცა მისი თავიდან აცილება სწორი ცხოვრების რეჟიმითა და სათანადო მკურნალობის დახმარებით შესაძლებელია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, დაწვრილებითი ინფორმაცია მივაწოდოთ მოსახლეობას ამ პათოლოგიური მდგომარეობის შესახებ, რაშიც დაგვეხმარა აკადემიკოს ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკის კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ჟუალა უგრეხელიძე.**

**— ქალბატონო ჟუალა, გთხოვთ პოპულარულ ენაზე გაგვიმარტეთ, თუ რას ნიშნავს ჰიპერტონიული კრიზი.**

— ჰიპერტონიულ კრიზს შეიძლება ასეთი განმარტება მივცეთ; ეს არის სისტოლური და დიასტოლური წნევის მკვეთრი მატება, რომელსაც თან მთელი რიგი სიმპტომი ახლავს. თავის ტკივილი და თავბრუსხვევა, ღებინება და გულისრევის შეგრძნება, გულის ფრიალი და ტკივილი გულის არეში, კანკალი და გახშირებული შარდვა — ჰიპერტონიული კრიზის თანამდევი მოვლენებია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჰიპერტონიული კრიზი არტერიული ჰიპერტენზიის ნებისმიერ სტადიაზე შეიძლება განვითარდეს.

**— რამდენ ხანს გრძელდება ჰიპერტონიული კრიზი?**

— ჰიპერტონიული კრიზის ხანგრძლივობა შეიძლება გაგრძელდეს ძალიან მცირე დროიდან (რამდენიმე წუთი) რამდენიმე დღემდე. გასათვალისწინებელია, რომ კრიზმა შესაძლოა ისე ჩაიაროს, რომ არავითარი კვალი არ დატოვოს, ან შეიძლება მოგვცეს მნიშვნელოვანი გართულებები. მაგალითად, თავის ტკივილმა, თავბრუსხვევამ, პერიოდულმა ტკივილმა გულის არეში შეიძლება გასტანოს რამდენიმე დღეც, თანდათან გაძლიერდეს და გახანგრძლივდეს.

**— რა რიცხვები მიანიშნებს არტერიული წნევის ნორმაზე და როგორია არტერიული წნევის ის რიცხვები, რომლებიც ჰიპერტონიული კრიზის არსებობას ადასტურებს?**

— არტერიული წნევის რიცხვები, რომელებიც ნორმას აღნიშნავს, არ უნდა აღემატებოდეს 140/90-ს მმ.ვწყ.სვ — ს. მცდარია მოსახლეობაში გავრცელებული აზრი, რომ წნევის ციფრების ნორმა ინდივიდუალურია და ზოგისთვის 160/80- მმ.ვწყ.სვ -ც კი ნორმაა, რადგან ამ დროს ჩვილები არ არის გამოხატული. ჰიპერტონიული კრიზი შეიძლება განვითარდეს წნევის ნებისმიერ რიცხვებზე — მათი მკვეთრი მატებისას, თუმცა უმეტესად იმ შემთხვევაში ვითარდება, როცა ის სცდება 160/90 ფარგლებს.

**— რა ხდება ჰიპერტონიული კრიზის დროს ორგანიზმში?**

— ხშირი ჰიპერტონიული კრიზი მკვეთრად ამძიმებს ჰიპერტენზიის მიმდინარეობას და იწვევს ე.წ. სამიზნე ორგანოების დაზიანებას, როგორებიცაა — გული, თავის ტვინი, თირკმელი. ჰიპერტონიული კრიზის დროს მკვეთრად უარესდება გულის კუნთის, თავის ტვინის სისხლით მომარაგება. შეიძლება აღმოცენდეს სტენოკარდიული შეტევა — ტკივილი გულის არეში, მიოკარდიუმის ინფარქტიც კი, გულის მწვავე უკმარისობა — კარდიული ასთმა, ფილტვების შეშუპება. კრიზის ერთ-ერთი ხშირი და საშიში გართულებაა თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, მოსახლეობისათვის კარგად ცნობილი ე.წ. „დამბლა“, მხედველობის დაკარგვა.

**— რომელი დაავადებები შეიძლება გახდეს ჰიპერტონიული კრიზის მიზეზი?**

— ესენციური ჰიპერტენზია ანუ პირველადი ჰიპერტენზია ჰიპერტონიული კრიზის უმთავრესი მიზეზია, თუმცა სხვადასხვა ორგანოს დაავადებებიც ხშირად იწვევს ჰიპერტონიულ კრიზს. საშარდე სისტემისა და ენდოკრინული სისტემის დაავადებები ძალიან ხშირად გამოვლინდება ჰიპერტონიული კრიზის სახით. განსაკუთრებულად მაღალი რიცხვები ფიქსირდება თირკმელზედა ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნის — ე.წ. ფეოქრომოციტომის დროს. რა წარმოშობისაც უნდა იყოს ჰიპერტონიული კრიზი, ესენციური თუ სიმპტომური ჰიპერტენზიით გამოწვეული, გართულების გამოვლინება ყველა შემთხვევაში მსგავსია.

**— რომელი ფაქტორები უწყობს ხელს ჰიპერტონიული კრიზის განვითარებას?**

— ჰიპერტონიული კრიზის განვითარებასთან პირდაპირ კავშირშია გადაღლა, უძილობა, ნერვული სტრესი, ალკოჰოლისა და თამბაქოს ჭარბი მიღება, მეტეოროლოგიური ფაქტორები, განსაკუთრებით კი — ძლიერი სიცხეები. ამიტომ ჩვენი რჩევაა მოსახლეობისადმი, რომ ზაფხულის პერიოდში ერიდონ დღის განმავლობაში ქუჩაში გამოსვლას, მზეზე სიარულს. ასევე, მოიწესრიგონ ცხოვრებისა და შრომის რეჟიმი. არტერიული ჰიპერტენზიით დაავადებულებს უნდა ეძინოთ არანაკლებ ცხრა საათისა (სადილის შემდგომი დასვენების ჩათვლით). საჭიროა დაძაბულობისა და ფსიქიკის ტრავმატიზაციის მოხსნა ან შემსუბუქება პირად ცხოვრებასა და სამსახურში, ადამიანებთან ურთიერთობის მოწესრიგება, კეთილგანწყობილება. ამაზე უნდა იზრუნოს არა მარტო თავად ავადმყოფმა, არამედ მისმა ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა და თანამშრომლებმა. არ არის სასურველი ღამით მუშაობა. შაბათ-კვირას ან შვებულების დროს დასვენება აქტიური უნდა იყოს (მსუბუქი ფიზიკური შრომა, ნაკვეთში მუშაობა, ტურისტული გასვლები). ადამიანმა ყოველ დილით უნდა გააკეთოს გამამხნევებელი ვარჯიში, იაროს ფეხით. კარგია ნელთბილი აბაზანის ან შხაპის მიღება 5-10 წუთი. არ შეიძლება თამბაქოს მოწევა და სპირტიანი სასმელებ-

ის ჭარბად მიღება. ავადმყოფმა ისეთი დიეტა უნდა დაიცვას, რომ არ გასუქდეს. ხოლო თუ ზედმეტი წონა აქვს, უნდა გახდეს. ამ მიზნით უნდა შეიზღუდოს ნახშირწყლების (შაქარი, ტკბილეული, პური და პურის ნაწარმი) და ცხოველური ცხიმების (კარაქი, ქონი, მსუქანი ხორცი) მოხმარება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუფრის მარილის შეზღუდვას, რადგან დამტკიცებულია, რომ ეს ნივთიერება ხელს უწყობს არტერიული წნევის მომატებას. პრაქტიკულად, კერძი ისე უნდა იყოს მომზადებული, რომ აკლდეს სიმლაშე. ასეთ კერძებს ადამიანი ეჩვევა და აღარ შეიგრძნობს მარილის ნაკლებობას.

**— განსაკუთრებით რომელი ასაკია საშიში კრიზისათვის?**

— ჰიპერტონიული კრიზი შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ ასაკში. განსაკუთრებით საშიშია ის ხანდაზმული ასაკის პაციენტებისთვის, რადგან ამ დროს მეტია გულ-სისხლძარღვოვანი გართულებების რისკი, რაც დაკავშირებულია სისხლძარღვებში უფრო მკვეთრად გამოხატული ათეროსკლეროზული ცვლილებების გამო მათი ელასტიკურობის დაქვეითებასთან.

**— ხომ არის ისეთი შემთხვევები, როცა ადამიანს ჰიპერტონიული კრიზი უვითარდება სრული ჯანმრთელობის ფონზე. რატომ ხდება და რამდენად საშიშია ეს?**

— გარკვეული ასაკის შემდეგ სასურველია არტერიული წნევის კონტროლი, რადგან ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ვერ გრძნობენ წნევის მომატებას — არა აქვთ არანაირი ჩივილი და ამის გამო ჰიპერტონიული კრიზი ხდება პირველი მაცნე არტერიული ჰიპერტენზიისა. ეს იმას ნიშნავს, რომ სამკურნალო ღონისძიებები იმ შემთხვევაშიც არის საჭირო, როდესაც მომატებული არტერიული წნევა აღმოაჩნდება სხვა მხრივ სრულიად ჯანმრთელ ადამიანს ჰიპერტონიული დაავადების მკურნალობა, მის სხვადასხვა სტადიაში, ავადმყოფის ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, ექიმის კონსულტაციისა და მუდმივი მეთვალყურეობის პირობებში უნდა მოხდეს. აუცილებელია, თითოეული ადამიანი ფლობდეს ინფორმაციას საკუთარი დაავადების შესახებ, რათა მოახერხოს გართულების თავიდან აცილება.

**— რით შეიძლება გართულდეს ჰიპერტონიული კრიზი?**

— ჰიპერტონიული კრიზი, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება გართულდეს მიოკარდიუმის ინფარქტით, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლით, ფილტვების შეშუპებით, მხედველობის დაკარგვით, გულის რიტმის მოშლით.

**— როგორ მოვიქცეთ ჰიპერტონიული კრიზის დროს?**

— რა თქმა უნდა, საჭიროა ექიმის გამოძახება და კვალიფიციური დახმარების გაწევა. განსაკუთრებით მინდა გავაფრთხილო მოსახლეობა — ნუ ეცდებიან არტერიული წნევის მკვეთრ და სწრაფ დაქვეითებას, რადგან ამას უარესი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. როგორც მაღალი, ასევე ძალიან დაბალი წნევა იწვევს თავის ტვინისა და გულის სისხლით მომარაგების გაუარესებას. წნევის დამწევი საშუალებები 30-40 წთის შუალედით უნდა მიეცეს (პრეპარატის მოქმედების დაწყების პერიოდის გავლის შემდეგ), რადგან წნევის მკვეთრი დაცემა არ გამოვიწვიოთ.

**— რას გულისხმობს კრიზის მკურნალობა? ალბათ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვანაირია...**

— ჰიპერტონიული კრიზის სამკურნალოდ მრავალი წამალია მოწოდებული. საკითხი — თუ რომელი წამალი იხმაროს ავადმყოფმა, ექიმის გადასაწყვეტია. ის ინდივიდუალურად შეარჩევს პრეპარატს თითოეული მათგანისათვის.

**— აუცილებელია თუ არა ჰოსპიტალიზაცია ჰიპერტონიული კრიზის დროს?**

— ჩემი აზრით, ჰოსპიტალიზაციის საკითხიც ექიმის გადასაწყვეტია. თუ ჩამოთვლილი გართულებები კრიზს არ ახლავს, შესაძლებელია პაციენტის ბინაზე დატოვება, თუმცა აუცილებელია მკურნალობის შემდგომი გაგრძელება ამბულატორიის დონეზე.

# გაუფრთხილდით ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტს

**ორგანიზმში ღვიძლს რთული და მრავალმხრივი ფუნქცია აკისრია: იგი გამოიმუშავებს ნაღვლის წვენს, წმენდს სისხლს, მონაწილეობს სისხლის წარმოქმნის პროცესში, პასუხისმგებელია იმუნიტეტსა და კიდევ უამრავი სხვა რამეზე. მისი ნორმალური ფუნქციონირების შესაფერხებლად სულაც არაა აუცილებელი ჰეპატიტითა და ციროზით დაავადება. ხშირად უნებლიეთ, გაუთვითცნობიერებლად ვნებთ ამ ორგანოს. მაგალითად — არასწორად ვიკვებებით, ღამით ვნაყრდებით, ბოროტად მოვიხმართ სპირტიან სასმელს და ა.შ. შედეგად ღვიძლს ვუჩივით. ხალხური მედიცინა ფლობს უამრავ საშუალებას, რომელიც ემსახურება ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებათა პროფილაქტიკასა და ნორმალურ ფუნქციონირებას.**

**დღეს შემოგთავაზებთ იაფ და ადვილად დასამზადებელ ხალხურ რეცეპტებს, რომლებიც დაგეხმარებათ გამოჯანმრთელებაში, გაგიწმენდთ და „გაგიკაჟებთ“ ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტს.**



## ღვიძლისთვის

**პირველი საშუალება:**

თბილი წყლით გარეცხეთ 1 ჭიქა კანგაუცლელი შვრიის მარცვლები და ჩაყარეთ 5-ლიტრიან ქვაბში. დაამატეთ 2 ს/კ გამომშრალი, დაქუცმაცებული წითელი მოცვის ფოთოლი, 2 ს/კ არყის ხის ფოთოლი ან კვირტი. დაასხით 4 ლ წყალი და დადგით სიგრილეში. მეორე ქვაბში ჩაყარეთ 1 ჩ/ჭ დაქუცმაცებული ასკილის ნაყოფი და დაასხით 1 ლ წყალი. ადუღეთ 10 წუთი. ერთი დღის შემდეგ პირველი ქვაბი (რომელშიც შვრიაა) მიიყვანეთ ადუღებამდე, დაამატეთ 2 ს/კ სიმინდის ულვაში, 2 ს/კ მატიტელა, ადუღეთ 15 წუთი, შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან და 45 წუთი გააჩერეთ თავდახურულ მდგომარეობაში. ორივე ქვაბის შიგთავსი აურიეთ ერთმანეთში, გაფილტრეთ და შეინახეთ მაცივარში. ეს ნაყენი უნდა მიიღოთ თბილ-თბილი, დღეში ერთხელ ჭამადე: პირველ დღეს 50 გ; მეორე დღე — 100 გ; მესამე დღიდან მოყოლებული კი — ყოველდღიურად 150-150 გ. ღვიძლის გაწმენდის კურსია 10 დღე. 2 კვირის შესვენების შემდეგ გაიმეორეთ კურსი.

**მეორე საშუალება:**

აურიეთ 3 ს/კ ნეგოს ყვავილედი, 2 ს/კ შვიტა, 3 ს/კ ვარდკაჭკაჭას ყვავილი და 3 ს/კ ფარსმანდუკი. ამ ნარევის 1 ს/კ ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 1,5 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 საათს. შემდეგ გაფილტრეთ და მიიღეთ 1/3-1/3 ჩ/ჭ ოდენობით, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 20 წუთით ადრე, 3 კვირის განმავლობაში.

## ქრისტესისხლა გაგიწმენდთ ღვიძლს

ინფექციური დაავადებების, ჰეპატიტისა და მოწამვლების შემდეგ ღვიძლის აღმდგენ და გამწმენდ საუკეთესო საშუალებად მიჩნეულია ქრისტესისხლა. იგი შხამიან მცენარედ მიიჩნევა, რის გამოც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მის დოზირებას.

რეცეპტი კი ასეთია: 1 ს/კ გამომშრალ, დაქუცმაცებულ ქრისტესისხლას დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში 1 საათი და მიიღეთ ყოველი ჭამის წინ თითო ყლუპი.

## ბაყაყურას ჩაი

ქრისტესისხლას მსგავსად, ბაყაყურაც ღვიძლისთვის სასარგებლო მცენარედაა

მიჩნეული. ის ახდენს ღვიძლის ფუნქციის ნორმალიზებას, იცავს მის უჯრედებს და აქვს მსუბუქი ნაღვლმდენი ეფექტი.

ჩაის მომზადება ძალიან ადვილია: 1 ს/კ ბაყაყურას დაფქულ თესლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, თავდახურულ ჭურჭელში გააჩერეთ 15-20 წუთი, ამის შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ უზმოზე 1/2 ჩ/ჭ, შემდეგ სადილობამდე 30 წუთით ადრე და ძილის წინ. ჩაი უნდა მიიღოთ ცხელი სახით ყლუპ-ყლუპობით, 4-6 კვირის განმავლობაში.

## ყარღანი — ღვიძლის დამცველია

ჰეპატოპროტექტორებად (ღვიძლის დამცველი) წოდებულ მცენარეებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ყარღანს. მისგან ნაყენი ასე მზადდება: მომინანქრებულ ქვაბში ჩაყარეთ 2 ს/კ დაქუცმაცებული მცენარე, დაასხით 200 მლ ოთახის ტემპერატურის წყალი, მჭიდროდ დაახურეთ თავზე, გააცხელეთ წყლის აბაზანაზე 15 წუთი. შემდეგ გაფილტრეთ და მიიყვანეთ საწყის მოცულობამდე მდუღარე წყლით. ეს ნაყენი მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ. ნაყენი ინახება არა უმეტეს 2 დღისა მაცივარში. ნაყენი უნდა სვათ ერთ თვეზე მეტხანს.

## ნაღვლმდენი საშუალებები

თუ გრძნობთ, რომ ნაღვლის ბუშტი ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, უნდა გამოიყენოთ არყის ხის ფოთლებისა და კვირტებისგან მომზადებული ნაყენი. ის კარგი ნაღვლმდენი საშუალებაა.

1 ს/კ დაქუცმაცებულ არყის ხის ფოთოლს და 1 ს/კ დაქუცმაცებულ არყის ხის კვირტს დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყალი. დაუმატეთ დანის წვერით საჭმელი სოდა და გააჩერეთ ერთი საათი თავდახურულ ჭურჭელში. შემდეგ გაფილტრეთ და მიიღეთ 1/4-1/4 ჩ/ჭ დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ.

ბაბუაწვერას ფესვების ნაყენიც არეგულირებს ნაღვლის დენას. 1 ს/კ დაქუცმაცებულ ბაბუაწვერას ფესვს (შეგიძლიათ მთელი ბალახის გამოყენება) დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, თავზე დაახურეთ და გააცხელეთ ცხელი წყლის აბაზანაზე 15 წუთი, მიიყვანეთ ადუღებამდე. მერე ადუღეთ 3 წუთი, გადმოდგით ცეცხლიდან და გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელშივე დაახლოებით 1 საათი. შემდეგ შეავსეთ გადადუღებული წყლით საწყის მოცულობამდე და გაფილტრეთ. მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ ნაყენი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე. ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის გასაჯანსაღებლად შემოდგომა-გაზაფხულზე 6-8-კვირიანი კურსის ჩატარებაა რეკომენდებული.

ეს ნაყენი დაგეხმარებათ მაშინ, თუ ნაღვლის დენა შეფერხებული გაქვთ არასაკმარისი ფიზიკური აქტივობისა და არასწორი ცხოვრების რიტმის გამო. შეურიეთ ერთმანეთში 5-5 ს/კ დაქუცმაცებული ცისკარას თესლი, ფითრის ფოთოლი და ყლორტი, და ვარდკაჭკაჭა, 4-4 ს/კ წყლის სამყურა და ნაღველას დაქუცმაცებული ფესვი. მიღებული ნარევის 3 ს/კ-ს დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური და გააჩერეთ 10 წუთი. ამის შემდეგ გაფილტრეთ. დალიეთ 1/2 ჩ/ჭ ნაყენი ჭამამდე 15 წუთით ადრე და ჭამის შემდეგაც. ნაყენის მიღების შემდეგ, 5-ჯერ დაიხარეთ წინ და გააკეთეთ წრიული მოძრაობები.

## ღვიძლის მეგობარი ბარისპირა

ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის სამკურნალოდ რეკომენდებულ მცენარეებს შორის განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ნაკლებად ცნობილ სამკურნალო ბარისპირას. მას მრავალი სამკურნალო თვისება აქვს, აუმჯობესებს არა მარტო ღვიძლის მდგომარეობას, არამედ თირკმლებსაც შველის. გარდა ამისა, წნევას აქვეითებს და ამშვიდებს ადამიანს. ღვიძლის ანთებითი ხასიათის დაავადებების დროს ეფექტურია ასეთი ნაყენი: დაასხით 1 ს/კ დაქუცმაცებულ ბარისპირას ერთი ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ მხოლოდ(!) 30 წუთი შეფუთული სახით, შემდეგ გაფილტრეთ და მიიღეთ 1/3-1/3 ჩ/ჭ, დღეში 3-ჯერ ჭამამდე 20 წუთით ადრე.


სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

ოჯახის პედიატრი

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

# „მარდაცვალებისთანავე ლეგენდად იქცა!“



**როდესაც ჰკითხეს: გვითხარით, ბოლოს და ბოლოს, ვინ ხართ, ბატონო ვახუშტიო? — უპასუხა: მარტივად გეტყვით — მე ვახუშტი კოტეტიშვილი ვარ. ალბათ, ჩემს ოჯახსა და წინაპრებს იღბალი დაჰყვათ, რომ ერთდროულად პოეტებიც ყოფილიყვნენ, მხატვრებიც, მოქანდაკეებიც და ასე შემდეგ. მაგალითად, მამაჩემს — ვახტანგ კოტეტიშვილს ყველაფერი ხელეწიფებოდა — იყო არაჩვეულებრივი ორატორი, სწავლული, ფილოსოფოსი, ფილოლოგი, ლიტერატორი, ფოლკლორისტი, მწერალი, ფერმწერი, მოქანდაკე... როგორც ჩანს, ეს მრავალმხრივობა სწორედ მამამ მიანდერძა. 1937 წელს დახვრეტილი მამის — ვახტანგ კოტეტიშვილის სახელობის ქუჩაზე ბატონი ვახუშტის სახლის კარი არასოდეს იკეტებოდა — შეგეძლო, დაუკაკუნებლად შესულიყავი, ზარიც კი არ ჰქონდა. არ მეგულება ქართველი, რომელიც მის ხმას ვერ ამოიცნობდა. და მიუხედავად უჩეულო ხმისა, ის იყო არაჩვეულებრივი ორატორი, ლიტერატორი, მწერალი, პოეტი, ფოლკლორისტი, მთარგმნელი და თითოეული ქართველისთვის ის იყო, უბრალოდ, ვახუშტი.**

*ირმა ხარშილაძე*

**გიორგი ლობჟანიძე,** *აღმოსავლეთმცოდნე, პოეტი, ვახუშტი კოტეტიშვილის ყოფილი სტუდენტი:*

— მიჭირს ბატონ ვახუშტიზე წარსულში ლაპარაკი, რადგანაც ეს გახლდათ თავისი ბუნებით საოცრად ცოცხალი ადამიანი. რჩევა მჭირდებოდა, სიხარულის გაზიარება თუ პრობლემაზე საუბარი, ყოველთვის მასთან გავრბოდი და მის აზრს დიდ ანგარიშს ვუწევდი. ჩემი მასწავლებელი იყო. მართალია, არაბულ განყოფილებაზე ვსწავლობდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთხელ დავესწარი ვახუშტის ლექციას, ყველა ჯგუფთან ვესწრებოდი. თითოეულ ლექციაზე განუმეორებელი იყო. პოეზიით ცოცხლობდა და სიტყვას საოცრად შეიგრძნობდა. ლექციიდან ლექციაზე დავყვებოდი და ბოლოს ხუმრობდა, — მე მზე ვარ და ეს ჩემი თანამდევი პლანეტა არისო (*იცინის*). საოცარი კაცი იყო — შეეძლო უნივერსიტეტის პროფესორიც ყოფილიყო და გლეხკაციც, ყველა სიმაღლიდან გესაუბრებოდა. რომ ვამბობ, ჩემი მასწავლებელი იყო-მეთქი, მარტო ცოდნას არ ვგულისხმობ — პოეტური სიტყვა ძალიან ფაქიზია და დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ გაგიკვალავს გზას, ვინ შეგიძღვება ამ სამყაროში. ვახუშტი ამას დიდ ცოდნითა და ტაქტით აკეთებდა, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემი გემოვნების ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, მართალია, მისი სტუდენტი ვიყავი, მაგრამ ყოველთვის ისე მესაუბრებოდა, როგორც კოლეგას და არა მარტო მე. არასდროს გაგრძნობინებდა, რომ ის დიდი იყო, შენ კი მასზე პატარა. უშურველი და ძალიან სიხარულიანი იყო სხვისი წარმატების მიმართ. ადამიანობასაც სწავლა უნდა და ცხადია, მისი ყველა ეს თვისება ძალიან გამომადგა. ვახუშტი ადამიანური პატიოსნების საუკეთესო მაგალითი იყო.

**გიორგი შალუტაშვილი,** *რეჟისორი, ვახუშტი კოტეტიშვილის ახლო ნათესავი:*

— ბიძაჩემი ბავშვობიდანვე მახსოვს, როგორც დიდი მოსიარულე სიკეთე. სანათესაოში, ნებისმიერ სუფრას ვახუშტი თამადობდა და ის იყო ადამიანობის, ნიჭიერების, სითბოსა და სიყვარულის ფეიერვერკი. საერთოდაც ვფიქრობ, რომ ამ თვისებების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მიეღწია იმისთვის, რისი გაკეთებაც მან ქვეყნისა და ერისთვის შეძლო. რომ არა ვახუშტის დიდი სიყვარული ადამიანის მიმართ, სამშობლოს ენით აუწერელი სიყვარული, შეუძლებელი იყო ქართული ფოლკლორის გადარჩენა და უდიდეს სიმაღლეზე აყვანა, რადგან მაინც მეეჭვება, რომ დღევანდელი ცივილიზაციის პირობებში, „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ კიდევ დაიწეროს ან იოსებ ბაიაშვილისა და მისი დარი პოეტები ვინმემ აღმოაჩინოს; განა იმიტომ, რომ პოეტური აზროვნება აღარ იქნება საქართველოში ან პოეზია აღარ გვექნება — არა, უბრალოდ, ანონიმი მწერლები აღარ იქნებიან, რადგან დრომ ასე მოიტანა. ვფიქრობ, ვახუშტი კოტეშიშვილი გარდაცვალებისთანავე ლეგენდად იქცა. კოტე ჯანდიერი მეუბნებოდა, — რა ძნელია ვახუშტის გარეშე თბილისში არსებობა და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ყველა თაობისა და პროფესიის ადამიანი მოვიდა მასთან გამოსამშვიდობებლად. თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ ის იყო კაცი, რომელიც უკვე დააკლდა ქალაქს.

**— თქვენ მას გაცილებით ახლოს — ოჯახიდან იცნობდით, მისი ცხოვრება იცოდით...**

— დაბადებიდან საოცრად ტრაგიკული ბედი დაჰყვა ამ კაცს — მის დაბადებას დედამისის სიცოცხლე შეეწირა; ერთი წლისაც არ იყო, რომ მამა — ვახტანგ კოტეტიშვილი დახვრიტეს, შემდეგ გარდაიცვალა მისი და — მანანა. ობლობაში გაზარდა დამ — ლეილამ. ფაქტობრივად, მთელი ცხოვრების განმავლობაში სდევდა პირადი ტრაგედიები — ჯერ მისი შვილობილის — ლევან აბაშიძის დაღუპვა, შემდეგ ვაჟის — ტატოს სიკვდილი, მაგრამ ბიძაჩემი დაცემული, გამტყდარი არასოდეს მინახავს. შორიდან, ალბათ, უდარდელ, მოქეიფე, მხიარულ ადამიანად ჩანდა, მე კი ხალხური პოეზიიდან სულ ერთი ლექსი მახსენდება და საოცრად მაგონებს ვახუშტის: „უნდა მოლხენით იცხოვრო, ცრემლი არსადა გდიოდეს; ყველას კაჟივით ეგონო, შენ სანთელივით ღვიოდე“. ჰოდა, მე მგონია, „სანთელივით ღვიოდა“ მთელი ცხოვრება და ვინც მის „ჩემს წუთისოფელს“ ან ბოლოდროინდელ ლექსებსა და სონეტებს წაიკითხავს, კარგად მიხვდება, რა სულის ადამიანი გახლდათ და რამდენად ბავშვივით გულწრფელი იყო. სხვათა შორის, სწორედ ეს გულწრფელობა ხშირად დათვურ სამსახურსაც უწევდა — ვისაც არ დაეზარა, ყველამ დაკორტნა და შხამიანი ისარი ესროლა. ბიძაჩემით კიდევ, იცით, რატომ ვამაყობ? ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა და არასოდეს უთვალთმაქცია... ხევსურები გარდაცვლილებს — ამ ქვეყნიდან წასულებს „მისულებს“ უწოდებენ ხოლმე და მე მგონია, ვახუშტიც მივიდა იმ საუფლოში, სადაც მართალნი განისვენებენ. აცხონოს ღმერთმა!

P.S. *რამდენიმე თვის წინ, რუბრიკით — „ჩემი ცხოვრების გზა“ — ბატონი ვახუშტის ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა და ახლა ამ მასალის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს გთავაზობთ.*



# ᲙᲐᲤᲘᲔᲕᲘᲗ ᲐᲦᲐᲠᲐᲩᲐᲙᲔᲕᲣᲚᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

## ᲓᲐ „ᲞᲘᲭᲘ“, ᲩᲝᲛᲔᲦᲘᲪ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲦᲔᲕᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲞᲝᲞᲝᲜᲐ ᲐᲦᲓᲒᲝᲩᲜᲓᲐ...

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲭᲘᲠᲐᲥᲐᲫᲔ

*ვახუშტი კოტეტიშვილმა — აღმოსავლეთმცოდნემ, მთარგმნელმა, პოეტმა, თავისი პირველი ლექსების კრებული 70 წლის საიუბილეოდ, ორი წლის წინ გამოსცა და ამ წიგნში ასეთი სტრიქონები მოათავსა:*

*„მე არ ვიცი, რა მიტევს, რა არის თუ ვინ?*
*ჩემში მარად მბორგავი,*
*რომ არ მტოვებს შინ,*
*ძარღვში სისხლს მიშადრევნებს,*
*მექაჩება წინ,*
*როგორც გალაკტიონის: „ტა-რა-რა-რა-ძინ!“*
*დღე და ღამე ჩამძახის მისი მყიფე ხმა:*
*„ნურასოდეს გახდები ამა სოფლის ყმა,*
*მიატოვე ნადიმი, ღრეობა და სმა,*
*ამას გირჩევ, უბრალოდ,*
*როგორც ღვიძლი ძმა.*
*ამქვეყნად საქარავნოდ მუდამ იყავ მზად,*
*არაფერმა არასდროს*
*შეგაფერხოს გზად,*
*თუნდაც ქვეყნის სიმდიდრე*
*რომ გიქციონ ზღვად,*
*იმად დარჩი, ვინცა ხარ,*
*არ გარდიქცე სხვად“.*

*...ოთახში შესულს, საწერ მაგიდასთან მჯდომმა რესპონდენტმა საყვედურით მომმართა: რატომ არ მანებებთ თავს? შეხედეთ, როგორ ვცხოვრობო, — და ჟანგბადის აპარატზე მიმითითა. შემდეგ განაგრძო:*

— მაცალეთ სიკვდილი... უბედური კაცი ვარ: ჩემი სიცოცხლე დედაჩემის სიკვდილით დაიწყო და მას შემდეგ, სულ უბედურება მდევდა თან, ჩემი ცხოვრების გზაზე. ვინც მიყვარდა და ვისაც ვუყვარდი, ყველანი იქ არიან (ხელი ზემოთ, ცისკენ აიშვირა). *მერე შემომხედა ნაღვლიანი თვალებით და დამარცვლით ჩამეკითხა:* ნეტავ, მე რა მაჩერებს ამ დედამიწაზეო?..

**— ნუთუ არანაირი ნათელი მომენტი არ ყოფილა თქვენს ცხოვრებაში?**

— როგორ არ იყო?! იყო და თანაც, უამრავი. დავიწყოთ იმით, რომ მე გავიზარდე სიყვარულის გარემოცვაში. არაჩვეულებრივი ხალხი მზრდიდა. ესენი იყვნენ: ჩემი უფროსი და, ჩემი აღმზრდელი ლეილა, რომელიც 13 წლით იყო ჩემზე უფროსი. ხელში შევრჩი სულ ერთი თვის ბავშვი, დედა რომ გარდაგვეცვალა. მამა რომ დაგვიხვრიტეს 1937-ში, ის 15 წლის იყო, მე — ორის. და აი, ამ პატარა გოგომ გამზარდა, არა მარტო მე, არამედ — ჩემი შვილებიც. მეორე ასეთი ადამიანი საერთოდ არ შემხვედრია ცხოვრებაში და არც მეგულება. ეს იყო რაღაც, ღვთით მოვლენილი არსება, რომელიც არ გათხოვდა, უარი თქვა თავის პირად ბედნიერებაზე ერთადერთი მიზეზით: რა ვიცი, ის კაცი, ჩემი ქმარი, ვახუშტის რა თვალით შეხედავსო!.. გარდა ამისა, მე მყავდა არაჩვეულებრივი დიდედა, მამაჩემის მხრიდან, ეკატერინა ბიძინაშვილის ქალი. ეს იყო „ოთარაანთ ქვრივი“. მაპატიოს დიდი ილიას სულმა, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი მაინც, ლიტერატურული გმირი იყო, არარეალური, ეს კი — ნაღდი იყო და რა შვილები აღზარდა! — მამაჩემი, ჩემი ბიძები, მამიდაჩემი... და მესამე ქალი, ვინც მზრდიდა, ეს იყო მამიდაჩემი, რომელიც ომის დროს თავის საკუთარ შვილს, ცოტნეს უმალავდა საჭმელს და მე მაჭმევდა. ცოტნე 18 წლით იყო ჩემზე უფროსი. ერთადერთხელ „ჩავავლე“ მამიდას: ცოტნე მოვიდა შინ ლექციებიდან და იკითხა, — დედა, კვერცხი ხომ არ გვაქვსო? — მამიდაჩემმა უპასუხა, — არა, შვილო, არ გვაქვსო! ჰოდა, იმან რაღაც შეჭამა, არ ვიცი, რა და წავიდა. ცოტა ხანში მესმის თქვეფის ხმა: ერთი კვერცხი ჰქონია თურმე მამიდაჩემს, ამითქვიფა და ერბოკვერცხი შემიწვა. გაკვირვებულმა ვკითხე: „მამიდა, შენ არ უთხარი ცოტნეს, კვერცხი არ გვაქვსო?“ — რაზეც მომიგო: შვილო, ის დიდია, შენ კი პატარა ხარ და უფრო კარგი კვება გჭირდებაო... აი, ასეთი ხალხი მზრდიდა. ამის დავიწყება როგორ შეიძლება?..

**— ისეთი სითბოთი და სიყვარულით ლაპარაკობდით უახლოეს ადამიანებზე, რომ არ შემიძლია, არ გკითხოთ: იქნებ, გულწრფელობის, სიყვარულის, ერთგულების დეფიციტმა განაპირობა ის, რაც ახლა ხდება ჩვენს თავს? თქვენი „მკაფიო კაფიისა“ არ იყოს:**

***„გავიბითურეთ სამშობლო,***
***მართლაც, სამოთხის სადარი,***
***სხვა საქართველო კი არა,***
***თვით საქართველო სად არი?!“***

***ყბადაღებულ, ავ კომუნისტურ ეპოქაში თქვენ ჭეშმარიტად ხალხური დღესასწაულების — ფოლკლორული საღამოების მოწყობას ახერხებდით. ჩემს თაობას კარგად ახსოვს — ჯერ უნივერსიტეტის კლუბში, ხოლო — შემდეგ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ შეხვედრებზე უამრავი ადამიანი იყრიდა თავს; შემდეგ კი მისი სატელევიზიო ვერსიების ცქერა არ გვბეზრდებოდა. თქვენ მაშინ, ერთადერთი თუ არა, ერთერთი ყველაზე მაღალრეიტინგული ფიგურა იყავით და ხალხის უსაზღვრო სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდით.***

— ძალიან სასიამოვნოა ამის მოსმენა, ვინაიდან მიზანი ამ საღამოებისა, სწორედ ის იყო, რომ ხალხისათვის გაგვეგებინებინა, პოპულარიზაცია გაგვწია ქართული ხალხური შემოქმედებისათვის. საქმე ის გახლავთ, რომ ხშირად ვერ ვხედავთ ჩვენ გვერდით არსებულ, ძალიან დიდ მოვლენებს და ყურადღებას ვაქცევთ და ცაში აგვყავს ცრუფასეულობები. ჩემი მიზანი ის იყო ცხოვრებაში, რომ ხალხისთვის დამენახვებინა, რა არის თეთრი და

რა — შავი; რა სიმდიდრის მფლობელები ვართ ჩვენ; რას უნდა გავუფრთხილდეთ უპირველეს ყოვლისა... ზოგადად რომ ვთქვა, ეს არის სულიერი კულტურა ჩვენი ერისა, რომელსაც არ ექცეოდა არც ერთ ეპოქაში სათანადო ყურადღება, მით უმეტეს, კომუნისტების დროს, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ამ თვალსაზრისით, დღევანდელობა იმ დროზე უარესია. ალბათ გახსოვთ, მაშინ ტელეპროგრამებში ყოველთვის იყო ეს საღამოები. ის კი არა და, სწორედ ჩვენი ფოლკლორული საღამოების პასუხად შეიქმნა ტელევიზიაში ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია.

**— მახსოვს, მაშინ დარბაზიც და სცენაც კაფიებით ალაპარაკდა. ერთ-ერთი საღამოს დროს, დარბაზიდან სცენაზე კაფია მოგაწოდეს და თქვენ ის ხმამაღლა წაიკითხეთ:**

***„ვახუშტი კოტეტიშვილო,***
***ინგლისურს ვაცდენთ ჩვენაო,***
***ფორაქიშვილმა გაგვიგოს,***
***მაშინა ნახე რბენაო,***
***ერთხელ ხომ მწარედ დაგვსაჯა,***
***მას არ გვაკმარებს ჩვენაო,***
***ხევსურეთს გადაგვასახლებს,***
***ჩვენი ცოდვები შენაო!“***

**ბოლოს მიწერილი იყო ინიციალები: მ.ჭ. თქვენ ბრძანეთ, — ამ კაფიის ავტორს საქვეყნოდ ვპირდები, რომ ფორაქიშვილთან და დეკანატთან მე მოვუგვარებ პრობლემებს, ნუ გეშინია, ბიჭოო... იცით, ის „ბიჭი“ — მ.ჭ. — მე გახლავართ. ჰოდა, ეს „კოზირი“ იმ შემთხვევისათვის მქონდა შემონახული, თუ ინტერვიუზე არ დამთანხმდებოდით...**

— (*იცინის*) კარგი, კაცო, ერთი!.. ეს საღამო ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ბევრჯერაც გადაიცა ტელევიზიით. მე ისიც მახსოვს, მაშინ ვთქვი, — ნუ გეშინია, ბიჭო, სცენაზე ამოდი და აქ ვიკაფიაოთ-მეთქი — და ჩემს თხოვნას ალექსი ჭინჭარაულიც შეუერთდა. რა ვიცოდი, თუ ის „ბიჭი“, მოკრძალებული სტუდენტი გოგონა იყო?!

**— როგორ ფიქრობთ — რაში მდგომარეობდა საიდუმლო თქვენი პოპულარობისა და რატომ არის, რომ ახლაც, როდესაც თქვენ ფაქტობრივად, საზოგადოებრივი ცხოვრების დამკვირვებლის როლში ხართ, მაინც ასეთი აქტუალური და საინტერესოა თქვენი აზრი? თქვენ ხომ ასე ხშირად ხართ პოპულარული ტოქშოუებისა და საგაზეთო გამოცემების სტუმარი...**

— კი, ბატონო, გიპასუხებთ. იცით, რაშია საქმე? არ მინდა, მაღალფარდოვნად ეჟერდეს ჩემი ნათქვამი, მაგრამ პირდაპირ გეტყვით: მე ვარ ჯანსაღად მოაზროვნე კაცი. არ მაქვს არავითარი მანიაკური აზრები და ჩვევები. ყველაფერს ვუყურებ საღი თვალით და უპირველეს ყოვლისა — საკუთარ თავს. კარგად ვიცი, ვინ ვარ, რა ვარ და რისთვის ვარ ამ ქვეყანაზე. მე არავითარი პრეტენზია არ მქონდა, არავისგან მოვითხოვდი არც დაფასებას და არც დითირამბებსა და ოვაციებს. ხალხის სიყვარული და ოვაციები თავისთავად მოდიოდა. მე არ მიცდია, არც ერთი წუთით, არც ერთი წამით, რომ ვინმესთვის თავი შემეყვარებინა. უბრალოდ, მე ვიყავი ის, ვინც ვიყავი, ეგეთი ვუყვარდი ხალხს... თქვენ პოპულარობა ახსენეთ და ერთ ამბავს მოგიყვებით. მყავდა არაჩვეულებრივი მეგობარი მოსკოვში, ძალიან ცნობილი ჟურნალისტი — იაროსლავ, სლავა გოლოვანოვი. ჰოდა, მისთვის მის მოსკოველ კოლეგას, უთხოვია ჩემი მისამართი, ინტერვიუს ასაღებად. სლავკას დაუჟინია, — მისამართი არ გინდა, აეროპორტში ნებისმიერ ტაქსის მძღოლს სთხოვე, ვახუშტი კოტეტიშვილთან მიმიყვანე-თქო და პრობლემა არ გექნებაო. იმ ჟურნალისტს ბევრი უთხოვია და ბოლოს დასთანხმებია, უთქვამს, — ექსპერიმენტს ჩავატარებ, დაკარგვით ხომ მაინც არ დავიკარგები თბილისშიო. ჰოდა, ჩამოფრინდა ეს ჟურნალისტი თბილისში, გამოვიდა აეროპორტიდან და პირველსავე ტაქსის მძღოლს სთხოვა ჩემთან მოყვანა. მძღოლი სომეხი აღმოჩნდა. თურმე გახარებულმა, ბეჭზე ხელი დაჰკრა მოსკოველ სტუმარს და უთხრა, — ვა, ჩვენს ვახუშტასთან გინდაო?! — და ასე მომიყვანა, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ჩემმა თაყვანისმცემელმა თბილისელმა სომეხმა ტაქსის მძღოლმა, მოსკოველი სტუმარი სახლში...

**— თქვენი სახლი ნამდვილად, თქვენი ციხესიმაგრეა, გარედან — მწვანეში ჩაფლული, შიგნით — მკაცრი დახვეწილობით გამორჩეული, რომელიც საოცარ სიმყუდროვესა და კომფორტს ქმნის. ვისი დამსახურებაა ეს — თქვენი შვილის, გუგასი ხომ არა? ის ხომ პოპულარული დიზაინერია?!**

— (*იღიმება. აშკარად ესიამოვნა*) კი, როგორ არა?! ლომის წილი ამაში გუგას მიუძღვის. აი, ვთქვათ: აივნები, ღობე, ჭიშკარი, ფანჯრის გისოსები, საწოლი, განათება — გუგას დამსახურებაა. რაც შეეხება გამწვანებას — ის სულ ჩემია. მთავარი ბოტანიკოსი მე გახლავართ... 4 აგვისტოს (*2007 წ. — რედ.*) 72 წლის გავხდი. 70 რომ შემისრულდა, წინასწარ გამოვუცხადე კულტურის სამინისტროს და ყველას (აპირებდნენ დიდი საიუბილეო საღამოს მოწყობას) — არავითარ შემთხვევაში-მეთქი! ვერ ვიტან, რომ წამოსხდებიან სცენაზე და მერე, იუბილარს რაღაცრაღაცებით ასაჩუქრებენ, ხან ფაფახს ჩამოაფხატებენ თავზე, ხან ქამარ-ხანჯალს შემოარტყამენ და რაღაც ეგეთ ატრიბუტებს ჩუქნიან. ჩემთვის იუბილე, სიცოცხლეში გადახდილი პანაშვიდია. თუ მართლა მაფასებ, წიგნი მაქვს გამოსაცემი, ჩემი საკუთარი ლექსების წიგნი და იქნებ დამიფინანსოთ-მეთქი, — ვითხოვე და დამთანხმდნენ. ეს წიგნი გამოვიდა 2005 წელს. აი, ახლაც 3 თვეში, დავჯექი და 72 წლის ბებერმა კაცმა, მოვამზადე ლექსების ახალი წიგნი. ეს სრულიად ახალი ლექსებია და ზოგიერთი მართლა მომწონს: აი, გეტყვით, მაგალითად:

*„ჩვენ არყოფნიდან მოვედით*
*და ვნახეთ, ყოფნა რა არი,*
*აზრი ამქვეყნად ყოფნისა*
*თითქოს არი და არც არი.*
*წინ — წყალი, უკან მეწყერი,*
*ცეცხლი და ბოლოს ნაცარი,*
*ბედნიერებას ვეძებდით,*
*მაგრამ ვერ ვპოვეთ მარცვალი.*
*სიკვდილი დედა ყოფილა,*
*სიცოცხლე — დედინაცვალი“...*

*კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ. კითხვაზე, — გზის ბოლოდან თუ გახედავს განვლილ ცხოვრებას, რას წამოიღებდა — ერთ სიტყვას, ემოციას, ადამიანს? — მოკლედ მიპასუხა: სიყვარულს! — და მერე დასძინა, — არავინ თქვას, რომ ის გაცვეთილი და ბანალურია, სულყველაფერზე დიდი ფასეულობა ამქვეყნად სიყვარულიაო...*

■

# ძალიერის ხიმანი



დასაწყისი „გზა“ №24-32

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

როცა პოლიციელები წავიდნენ და ირაკლიმ სახლის ზღურბლს გადააბიჯა, ფანჯარასთან ზურგშექცევით მდგარი თაკო შეამჩნია. მიუახლოვდა, მხრებში ხელი ჩაავლო და შემოაბრუნა. იგი აცრემლებული შესცქეროდა პირად მცველს. მის მზერაში იმედგაცრუებაც იკითხებოდა.

მამაკაცმა ძალა მოიკრიბა და ჩუმად წარმოთქვა.

— მოხდა რამე?

გოგონამ უარყოფის ნიშნად თავი გადაქნია და ნაღვლიანად გაიღიმა.

— იცი? რომ დავფიქრდი, ერთ რამეს მივხვდი. სულაც არ არის მთავარი, რამდენად გიყვარვარ. სულ ცოტათი მაინც ხომ გიყვარვარ, არა? ჩემთვის ეს უკვე ბედნიერებაა... მე ხომ ძალიან მიყვარხარ.

ირაკლი უსიტყვოდ ჩასჩერებოდა თვალებში. თავში აზრები ერთმანეთში ერეოდა, ფიქრებით რამდენიმე საათის წინ მომხდარ ამბავს დასტრიალებდა, მისი არსებობა ლამის გადაავიწყდა. თაკო კი... იდგა მის წინაშე, ისეთი უმწეო, ისეთი სევდიანი, ისეთი ლამაზი, რომ მას ძალა არ ჰყოფნიდა, გოგონასთვის რამე ეთქვა. მამაკაცს ამისთვის დრო სჭირდებოდა.

გაჭირვებით აიყვანა თავი ხელში, ეს საყვარელი არსება რომ არ ჩაებღუჯა და კოცნით არ დაეხრჩო. ნელა გაუწოდა ხელი, თავისკენ მოიზიდა და გულზე მიიხუტა, თან ნაზად თმაზე დაუწყო ფერება. ასლუკუნებულმა გოგონამ პირადი მცველის მკერდში ჩარგო თავი.

ირაკლის მოულოდნელად გაახსენდა სიტყვები, იმ ღამეს ენაზე რომ მოადგა და ვერ უთხრა გოგონას. ახლა სწორედ რომ დროული იყო. ტუჩები ყურთან მიუტანა და ჩასჩურჩულა.

— მეც მიყვარხარ, თაკო... მაგრამ მოღალატე არასდროს ვიქნები... არ მინდა, მამაშენი ჩემგან მოტყუებული დარჩეს. არ მინდა ეგონოს, რომ მისი არყოფნით ვისარგებლე. ესაა მთელი პრობლემა...

— მართლა? მხოლოდ ეს? — მან თავი მკვირცხლად ასწია და ცრემლით სავსე თვალები შეანათა მამაკაცს.

— ჰო, — თვალები დახუჭა მორიელმა.

გოგონას სახე გაუნათდა და ბედნიერებისგან გაბრწყინებული პირად მცველს კისერზე ჩამოეკიდა, პირისახე დაუსეტყვა კოცნით.

— ირაკლი, ირაკლი, ვერ წარმოიდგენ, რამდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის ის, რაც მითხარი! — ჩურჩულებდა იგი. — მადლობა ამისთვის, გმადლობ, რომ მითხარი.

მამაკაცი თავს უხერხულად გრძნობდა... ბოლომდე მაინც არ იყო დარწმუნებული, რომ სიმართლეს ამბობდა, რომ ნამდვილად იყო სიყვარული ის, რასაც მის მიმართ განიცდიდა. ნუთუ შეუძლია ხელახლა განიცადოს ის დიდი გრძნობა? მისი სულიერი რესურსები ხომ დიდი ხანია, ამოწურული იყო. არც თაკოს შეუძლია მისი სიყვარული. იგი ძალიან პატარაა ამისთვის. ახლა ვერ ხვდება, მაგრამ გაივლის დრო და მიხვდება, რომ ასაკითაც კი შეუფერებლები არიან. მერე ინანებს, მერე, როცა ძალიან გვიან იქნება. ახლა მხოლოდ ემოციების ტყვეობაშია, მეტი არაფერი. და ეს ემოციები სიყვარული ჰგონია.

აი, გაერკვა საბოლოოდ... როგორც იქნა, ზუსტ დასკვნამდე მივიდა. ამიტომაც არ გაანაწყენებს პატარას, პირიქით, ეცდება, დაამშვიდოს, ნუგეში სცეს. კიდევ ერთხელ ეტყვის, რომ მას ის უყვარს, ნამდვილად უყვარს... თითქმის უყვარს...

— მოდი, იცი, რა ვქნათ? გავიქცეთ აქედან, საზღვარგარეთ წავიდეთ, იქ ვიცხოვროთ. შენც მარტო ხარ... მეც... მაინც არაფერი დაგვრჩენია აქ. ფული ბევრი გვაქვს. თავიდან დავიწყოთ ცხოვრება, ჩვენ ყველაფერი გამოგვივა. რას იტყვი?

კარგა ხანს უსმინა ირაკლიმ გოგონას ეგზოტიკური მომავლის „დახასიათებას“ და ბოლოს გააწყვეტინა.

— მოიცა, მოიცა... ჯერ ამიხსენი, რატომ? რატომ უნდა გავიქცეთ სხვაგან?

— სულ ერთად ვიქნებით, მხოლოდ ჩვენ ორნი — შენ, მე და კიდევ ჩვენი სიყვარული, გესმის? შორს ამ ქვეყნიდან, ამ საქმეების გარჩევისგან, საზიზღარი ვითომ მაფიისგან, დაქირავებული მკვლელებისგან, მოღალატე მშობლებისგან... რა გაჩერებს აქ, ვისზე შეგტკივა გული? არც ცოლი გყავს, არც შვილები... სამსახური? ეგ პრობლემა მოიხსნება, იმდენი ფული მაქვს, ჩვენც გვეყოფა და ჩვენს შვილიშვილებსაც... ოღონდ არ მითხრა, რომ პატრიოტი ხარ და აქედან არასდროს წახვალ... სულერთია, არ დაგიჯერებ!

— პატრიოტი? ეგ არაფერ შუაშია. მე დიდხანს ვიყავი გასული ქვეყნიდან და არა — ერთხელ და ორჯერ... მაგრამ აქაურობის სამუდამოდ მიტოვების სურვილი არასდროს გამჩენია, თუმცა... — თქვა და დადუმდა.

თითქოს უჩვეულო არაფერი იყო თაკოს ნათქვამში, მაგრამ ფრაზა „ჩვენი სიყვარული“ ეხამუშებოდა რატომღაც...

მაინც ებრძოდა თავს... რამდენი ხანია, გაურბოდა, განესაზღვრა თავისი გრძნობა ამ პატარა გოგონას მიმართ. არა, ის ნამდვილად იყო, უეჭველად იყო, თანაც საკმარისად მძაფრი, მაგრამ...

ის მეოთხე თუ რომელიღაც განზომ-

ილება, რომელშიც შემთხვევით მოხვდა, არაფრით შეესაბამებოდა რეალურ ცხოვრებას. იგი განსხვავებული კანონებით იმართებოდა, იქ ისეთი რამეები იყო ნებადართული, რაც არ შეიძლებოდა ყოველდღიურ, ნორმალურ ცხოვრებაში მომხდარიყო. იქ სხვანაირს უნდა გეარსება. ამიტომაც ამ განზომილების ვოიაჟი, ადრე თუ გვიან, დამთავრდებოდა, ირაკლის კი მოუწევდა რეალურ სამყაროში დაბრუნება. ახლა ზღაპარში იყო, სადაც თაკო მოჯადოებული ლამაზი ფერიის როლს თამაშობდა. მონარნარდა, უფლისწულს თავბრუ დაახვია და ბოლოს, რა? კვლავ ზღაპარში გაუჩინარდება, დაბურულ უღრან ტყეში, მოჯადოებულ ცხრაკლიტულში... ზღაპარს ყოველთვის აქვს ბოლო და ის ბოლო მუდამ კეთილია...

რეალურ ცხოვრებაში კი არ არსებობენ ჯადოქრები, ფერიები და სხვა ზღაპრული პერსონაჟები. აქ ულმობელია... აწმყოც, წარსულიც და მომავალიც... და არავინ იცის, როგორი იქნება ბოლო — კეთილი თუ...

ფიქრებიდან რომ გამოერკვა, შეამჩნია, როგორ აკვირდებოდა თაკო მისი სახის გამომეტყველებას. ის ელოდა, რას იტყოდა პირადი მცველი.

— ცდები, პატარავ, მე აქ ბევრი რამ დამრჩენია.

— და რა არის ამ „ბევრი რამის“ სახელი?

— თუნდაც მარი.

— ნუთუ? — ირონიულად შენიშნა გოგომ.

— მაპატიე, მაგრამ ასეა.

— ესე იგი, უარს მეუბნები?

— გააჩნია, რაზე...

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, — განხიბლული ტონით ჩაილაპარაკა თაკომ და ზურგი შეაქცია.

ირაკლიმ ზურგზე გადაუსვა ხელი. ის არ შერხეულა.

მხარზე აკოცა. მან არ უპასუხა. მისი გაშლილი თმა ხელზე დაიხვია და მსუბუქად თავისკენ მოქაჩა. გოგონა გაბოროტებული სახით შემობრუნდა.

— მე არასდროს წამიგია, გესმის? არც ახლა ვაპირებ! — და თვალებში კვლავ გაუბრწყინდა ცრემლი.

— პატარავ, შენ ხომ თავიდანვე იცოდი, რომ...

— მე შენ მიყვარხარ, ნუთუ ვერ ხვდები? — იყვირა გოგონამ და ატირებულს ტუჩები დაებრიცა.

— დაწყნარდი, ცოტაც მოიცადე, დამთავრდეს ეს კოშმარი, — ხმადაბლა თქვა ირაკლიმ, ხელისგულებით სახე დაუჭირა და ტუჩებზე ოდნავ შეეხო.

— და მე შენს თავის არავის დავუთმობ, — დაასრულა დაწყებული წინადადება გოგონამ და მამაკაცს გაგულისებული გაუსხლტა ხელიდან.

ირაკლის საღამომდე გათიშულს ეძინა. განგაშის მიზეზი ჯერ არ ჰქონდა. ვიბლიანები მორიგი შემოტევის გეგმას ასე უცებ ვერ დაწყობდნენ. დასვენებისთვის დრო საკმარისად იყო... მანამ, სანამ ახალი თავდასხმა დაიგეგმებოდა...

კარგია, რომ ეძინა. ამაღამ ადვილად გაათენებს, არ გაუჭირდება.

კვლავ ფიქრებმა ჩაითრია. გიგაზე მოსდიოდა გული. რითია დაკავებული ბოლო ხანებში? რატომ არაფერს იღონებს? თუ მუშაობს, სად არის შედეგი? ბავშვი კინაღამ ააფეთქეს. არა, ხვალვე დაურეკავს, დაიბარებს და პირობებს წაუყენებს. თუკი ვიბლიანებს დროზე არ შეაჩერებენ და არ დაიჭერენ... თავად გაუსწორდება მათ, სულაც არ სჭირდება გიგას დახმარება. რომ არა თაკო, აქამდე გასული იქნებოდა კვალზე.

აზრი დამთავრებული არ ჰქონდა, გიგამ რომ დაურეკა, ჭიშკართან და სახლის შემოგარენში გაძლიერებული დაცვა დავაყენეთ, სპეცრაზმის ბიჭები მოვიყვანეო. პირად მცველს ჩაეღიმა. კრინტიც

არ დაუძრავს იმაზე, რაზეც წეღან ბრაზობდა, მისთვის სულერთი იყო, ვინ დაიცავდა სახლ-კარს. მან მხოლოდ ერთი რამ იცოდა დანამდვილებით — თაკოს მისნაირად ვერასდროს ვერავინ დაიცავდა.

ვერასდროს ვერავინ, რადგან... რადგან...

თაკოს ძახილი შემოესმა. წამოხტა და ფეხშიშველი მისი საძინებლისკენ გაიქცა. გოგონა საწოლზე ფეხმორთხმული წამომჯდარიყო.

— გინდოდა რამე?

— ჰო. ვერ ვიძინებ, — ტუჩებგაბუსხულმა მოხედა.

— გინდა, წამალი მოგცე?

— არა, სულერთია, არ დამეძინება.

— დაგეძინება! — მკაცრად წარმოთქვა ირაკლიმ. — ვალერიანის წვეთებს დაგალევინებ და დაგამშვიდებს. ნუ გეშინია, შენ გვერდით ვიქნები.

თაკოს გაეღიმა.

— რა გაცინებს?

— თუ ჩემ გვერდით იქნები, აუცილებლად დამეძინება, არ მინდა წვეთები.

ახლა ირაკლის გაეღიმა. როგორც ჩანს, თაკომ პატარა ბავშვივით დაიჯერა, რომ მისი გვერდით ყოფნით მშვიდად და უსაფრთხოდ შეიძლება დაძინება, რომ შეიძლება მას ჩაეხუტო, როგორც პლუშის დათუნიას, რომელთან ერთადაც ასე ძალიან უყვართ ბავშვებს დაძინება.

მამაკაცი დაელოდა, სანამ თაკო გაიხდიდა და ლოგინში შეწვებოდა. მერე ტახტს გვერდიდან მოუარა და მეორე მხარეს, მის გვერდით წამოწვა.

— მოგიტანო წამალი?

— არა, არ მინდა, გმადლობ, ირაკლი.

თაკო გულაღმა იწვა, თავი მამაკაცისკენ მიებრუნებინა და დაჟინებით შესცქეროდა. თმა მხრებზე დაჰყროდა. მორიელმა ხელი გაიწვდინა და თმაზე გადაუსვა.

— რა უნდათ ჩემგან, რატომ დამდევენ?

— იმიტომ, რომ მამაშენის შვილი ხარ. მასთან ხელი არ მიუწვდებათ, შენ კი აქვე ხარ. ეგ არის და ეგ. ახლა კი დახუჭე თვალები და დაიძინე.

თაკომ მორჩილად შეასრულა მისი ბრძანება.

ვერ მიხვდა, ჩაეძინა თუ არა გოგონას, მაგრამ ხელი მისი თმისთვის არ შეუშვია — ნაზად უსვამდა ხელისგულს პრიალა თმაზე, როგორც ნებიერად გაწოლილ ფისოს, თან საკუთარ ხელს აიძულებდა დაევიწყებინა, რომ იგი ქალს ეხებოდა.

აიძულებდა ცხვირის ნესტოებს, დაევიწყებინათ, რომ ისინი გრძნობდნენ ქალის სურნელს.

აიძულებდა მთელ სხეულს, გონებასაც, დაევიწყებინა, რომ ქალის გვერდით იწვა, ქალის, რომელიც...

რომელიც...

ერთი სიტყვით, იმ ქალის გვერდით, რომელიც მოსწონდა. იგი ცდილობდა, პატარა ფისოდ აღექვა გოგონა, რომელსაც მისი სითბო და ალერსი სჭირდებოდა ამწუთას. და მეტი არაფერი! სულ არაფერი!

როგორც ჩანს, ჩაეძინა. ძილში ერთი ღრმად ამოიკვნესა, გვერდზე გადატრიალდა და მამაკაცს კისერზე მოხვია ხელი, თავი კი მის მკერდში ჩარგო. მონოტონურმა სუნთქვამ ირაკლის ყელი გაუთბო. ფისო... ნამდვილი ფისოა...

გოგონას ეძინა... მამაკაცი ფიქრობდა... იმაზე, რა იქნებოდა ხვალ. სანამ გაძლებდა თაკოს სიახლოვის გარეშე. ბოლო დღეებში ძალიან არის პატარა დადარდიანებული. ახლა კი ეს საშინელებაც მოხ-

და... მისი გულგრილობის დამატებაღა აკლია, ისედაც როგორი სევდიანი გახდა, საჭმელსაც აღარ ჭამს, თითქოს გახდა კიდეც...

რაღაც უნდა იღონოს. რა? სადმე ხომ არ გაიყვანოს სასეირნოდ? ან რესტორანში აქეიფოს? ცოტათი გულს გადააყოლებს. მარი რომ გააცნოს? აი, ეს კი კარგი აზრია. გოგონებს მოეწონებათ ერთმანეთი, ამაში ღრმად არის დარწმუნებული.

და გადაწყვიტა, დილას, როგორც კი გაიღვიძებდა, დაერეკა მარისთვის და სადმე შეხვედროდნენ ორივენი. მართალია, არ უნდოდა, მარიც გამხდარიყო ვიბლიანების სამიზნე, მაგრამ ახლა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. თავზე ხელაღებულმა ძმებმა უკვე იცოდნენ ირაკლის შესახებ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მარის არსებობაც არ გამოეპარებოდათ. სხვა საკითხია, როგორ მიუდგებოდნენ ამ საქმეს — გამოიყენებდნენ მარის სასპეკულაციოდ თუ არა. ამის საშუალებას ირაკლი მათ არ მისცემს. ის მათზე ჭკვიანია. აი, ხვალ გააცნობს გოგონებს ერთმანეთს, მთელ დღეს ერთად გაატარებენ, მერე კი აუღებს მარის ბილეთს და დედამისთან გაამგზავრებს. ეყოფა, რაც იბაირამა თბილისში.

ამ ფიქრებში ძილმა წაართვა თავი, ჩათვლიმა...

მაგრამ მალევე გამოეღვიძა... უჩვეულოდ სწრაფად წამოყო თავი და გაოცებული დარჩა — სად ვარ? — მიმოიხედა...

თაკოს გვერდით იწვა, მის საწოლზე. როგორც ჩანს, წინა ღამის სტრესმა და აზრმა იმის შესახებ, რომ საშიშროებამ ჩაიარა, თავისი ქნა.

გოგონა მისკენ ზურგშექცევით იწვა. „რა ლამაზი კონტური აქვს!“ — აღტაცებით გაიფიქრა, — მხრებიდან წვრილ წელამდე დაქანებული სხეული, მერე ისევ გორაკივით ამობურცული თეძოები, მრგვალი, მადის აღმძვრელი... სიამოვნებით გადაუსვამდა ხელს, რომ შეიძლებოდეს... ყური მიუგდო მის მშვიდ სუნთქვას. თაკოს ეძინა.

რაც შეიძლებოდა, უხმაუროდ წამოდგა, ყოველი შემთხვევისთვის, შეხედა... არა, ნამდვილად ეძინა, თმის ღერები ლოყაზე ჩამოშლოდა, რაც ძალიან უხდებოდა. ფრთხილად, ფეხის წვერებზე გამოვიდა საძინებლიდან. ეგღა აკლდა, გოგონას გაღვიძებოდა და ირაკლი მის გვერდით საწოლში დაეწახა.

ვეღარც შეაჩერებდა...

ვეღარც დააკავებდა...

ვერც მას და ვერც საკუთარ თავს...

თავის ოთახში შევიდა, ფეხზე ჩაიცვა და დაბლა ჩავიდა, რომ მიდამო გაეკონტროლებინა, ღამის შემოვლა დაეწყო. ოცი წუთი მოუნდა შინ და გარეთ ეზო-კარის დათვალიერებას. პოსტზე მდგარ ახალ მორიგეებსაც შეუარა, შეეხმიანა. ტერიტორიაზე სიმშვიდე სუფევდა.

როცა საქმეს მორჩა, ოთახში ავიდა, გაიხადა და დაწყნარებული ლოგინში შეწვა.

ათი წუთიც არ გასულა, რომ კარი გაიღო და ზღურბლზე თაკო გამოჩნდა.

— მითხარი, ყველაფერი კარგად იქნება? — გოგონას ზურმუხტისფერი მოკლე ღამის პერანგი ჩაეცვა, გამომწვევად მოუჩანდა მოშიშვლებული მხრები.

ირაკლიმ მალულად გადაყლაპა ნერწყვი.

— აუცილებლად.

— ახლა რა ვქნა, ისევ დავიძინო? — და მოახლოებულმა ზღაპრულმა ფერიამ ხელი მკერდზე ნაზად დაადო.

— დაიძინე, — თქვა მამაკაცმა და ხელზე ხელი დაადო.

— ძილი ნებისა, მორიელო, — თქვა გოგონამ, მაგრამ ხელი არ აუღია მისი მკერდიდან.

— ძილი ნებისა, პატარავ...

სიჩუმე ჩამოვარდა. თაკო არ მიდიოდა, ირაკლი არ იძროდა. ფერია თითქოს რაღაცას ელოდა.

— ისა... ხომ არ გეშინია მარტო დაძინების? — ძლივს ამოთქვა ირაკლიმ.

— მეშინია.

პაუზა გაიწელა. „გადაწყვიტე!“ — ეუბნებოდნენ ქალის თვალები. კვლავ გაუჭირდა ხმის ამოღება.

— ნუ გეშინია, მე აქვე ვიქნები.

თაკომ მწარედ ჩაიცინა და გავიდა, კარი კი ღია დატოვა. მამაკაცმა თვალებზე მოისვა ხელი... მას თავისი სისუსტის რცხვენოდა, ოღონდ ვერ ხვდებოდა, რაში მდგომარეობდა ეს სისუსტე — იმაში, რომ მასთან უნდოდა ყოფნა, თუ იმაში, რომ ვერ ბედავდა მასთან ყოფნას...

გოგონას საძინებელში რაღაც გაჭრაჭუნდა. მამაკაცი მიხვდა — მას არ ეძინა... იცოდა, ირაკლის ელოდებოდა.

წამოდგა... ერთხანს გარინდული იდგა, შემდეგ მივიდა, კარი მიხურა და... ისევ წამოწვა. თავზე ხელები შემოიჭდო, რომ თაკოზე ფიქრები თავიდან მოეშორებინა.

ისევ გაისმა ხმაური გოგონას საძინებლიდან... ნაბიჯების ხმა იყო, მსუბუქი, ჰაეროვანი, შიშველი ნაბიჯების. გონება აერია, სუნთქვა შეეკრა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა ღამის. ახლა ის კარს გააღებს... და თავნება გოგონა ციხესიმაგრეს აიღებს, ირაკლი დანებდება, ტყვედ ჩაჰბარდება მის ჩამოქნილ მკლავებს. ხომ თქვა, მე არასდროს ვმარცხდებიო... ასეც იქნება.

დრო გაიწელა... კარი არ გაღებულა... არავინ შემოსულა...

ამასობაში ჩათვლიმა კიდეც...

უცნაურია, ვერც გაიგო, როდის გაიღო კარი... ის შემოვიდა... კი არ შემოვიდა, ქარივით შემოიჭრა ოთახში, მუდარით სავსე დიდრონი თვალებით თავისკენ უხმობდა მამაკაცს... იმანაც მეტი ვეღარ მოითმინა... ხელები გაშალა და აღტყინებული გოგონა კიდევ ერთხელ ჩაესვენა პირადი მცველის მკლავებში. ირაკლი გრძნობდა მისი ცხელი ტუჩების შეხებას, რომლითაც გოგონა ხან მკერდს და ხან სახეს უფარავდა. პერანგის სალტეები მხრებიდან ჩამოსცურებოდა და მოშიშვლებული მკერდის ღარი მაცდურად მოუჩანდა. თაკომ ჯერ თვალებში ჩახედა ახალგაღვიძებულს, მერე ყელზე აკოცა, შემდეგ — ნიკაპზე, ბოლოს კი პირადი მცველის ვნებიან ტუჩებზე პოვა ნავსაყუდელი... გოგონას თმა ირაკლის სხეულზე დაცურავდა. მამაკაცს სუნთქვა გაუხშირდა. ხელებმა მისდა უნებურად დაიწყეს მოძრაობა, თავადაც არ იცოდა, რატომ — მოეშორებინა თუ თავისკენ მიეზიდა ათრთოლებული სხეული.

არც კაცს, არც ქალს, სიტყვა არ დაუძრავს. ირაკლის შეუმჩნევლად ეღიმებოდა — სიამოვნებას ჰგვრიდა, თაკო რომ „დიასახლისობდა“ მის მკერდზე. მისი ალერსი მამაკაცში ნეტარების ტალღას იწვევდა, სულს უგუბებდა, მერე დროებით ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა და უფრო აზვირთებულ, უფრო ვნებიან ტალღად ატყდებოდა. მორიელი ძლივს იკავებდა თავს, სიამოვნებისაგან თავბრუდახვეულს არ დაეკვნესა... არ უნდოდა, არ მიაჩნდა საჭიროდ, მონაწილეობა მიეღო ამ თამაშში... მან ხომ პირობა დადო, სიახლოვეს არ გაჰკარებოდა... ის ახლა არაფერ შუაშია, მხოლოდ თავხედი გოგონაა ყველაფერში დამნაშავე, ეს მან წამოიწყო სახიფათო თამაში, თუმცა... თვითონაც იყო შუაში... თუნდაც უსიტყვოდ, თუნდაც გაუნძრევლად, მაგრამ მაინც... ეს მისი სხეული იწევდა თაკოს აცახცახებული და მთრთოლვარე ბაგეებისკენ, მისი

გახურებული და გამკვრივებული მკერდისკენ...

არა, არ შეეძლო ხელი ეკრა ამ საოცრებისთვის, უარი ეთქვა ღვთაებრივ ნეტარებაზე. მან უკვე გადააბიჯა სიამოვნების ზღვარს, რომლის მიღმაც თავდავიწყების მწველი ტანჯვა იწყებოდა თავისი გაუგონარი, გამოუცდელი, საშინელი და დამანგრეველი ძალით.

შიგადაშიგ გოგონა წამით შეისვენებდა, რომ მისთვის შეეხედა. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში ირაკლი თაკოს სიამოვნებისაგან გაფართოებულ თვალებში სიგიჟეს კითხულობდა, როგორც იმ მტაცებლისა, მსხვერპლის დაუფლების ჟინით რომ არის შეპყრობილი...

მორჩა, ეყოფა თავის შეკავება... ეყოფა ყოყმანი... ნდომა უფრო მაცდური აღმოჩნდა, ვიდრე მოვალეობა... და ირაკლიმ სურვილი ნებაზე მიუშვა...

ორი შიშველი სხეული დიდხანს იკლაკნებოდა მთვარის შუქზე...

ორი ადამიანის ყრუ ოხვრა დიდხანს არღვევდა ღამის მყუდროებას...

როგორც იქნა, ვნებათა ტალღა დაცხრა და ძალაგამოცლილი თაკო მამაკაცის გაოფლილ მკერდზე მიესვენა, მოდუნდა და წამების წინ ჰაერივით მსუბუქი არსება დამძიმდა.

ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოულოდნელად ქალის სხეული უცნაურად შეტოკდა... ირაკლის მოეჩვენა, რომ გოგონა ტიროდა... არ შემცდარა... ცრემლის რამდენიმე თბილი წვეთი ირაკლის ყელზე დაეცა...

მაგრამ მან არაფერი თქვა... არც იკითხა... რადგან...

რადგან ესმოდა მისი.

ესმოდა მისი ატირების მიზეზი.

გოგონა არ იყო დარწმუნებული, რომ იგივე კიდევ განმეორდებოდა...

არ იყო დარწმუნებული, რომ მამაკაცსაც ისევე უყვარდა, როგორც თვითონ...

მერე საბოლოოდ მოეშვა, მიჩუმდა და... კიდევ უფრო დამძიმდა, ისე, როგორც ჩვილი ბავშვები, ხელში ატატებულს რომ ჩაეძინებათ ხოლმე.

ირაკლი კარგა ხანს უსმენდა გოგონას თანაბარ სუნთქვას... მალე კი მიხვდა, რომ მასთან ერთად თვითონაც ღრმა ძილში გადაეშვებოდა...

თაკო მზის თაკარა სხივებმა გააღვიძა. თვალები გაახილა, მიიხედ-მოიხედა, მერე ტანზე დაიხედა — ნახა, რომ სრულიად შიშველი იწვა. სიმსუბუქე იგრძნო, სასიამოვნო სიმსუბუქე. თითქოს ენერგია მოზღვავებოდა. ირაკლი! გაახსენდა უცებ, ეს ირაკლის ენერგიაა, მის ვენებში რომ დაშხუის...

მამაკაცი არსად ჩანდა. „შემოვლაზეა ალბათ, ან საუზმეს ამზადებს. როგორი პასუხისმგებლობით აღსავსე ბიჭია!“ — გაეღიმა. ფიქრებით განვლილ ღამეს გადასწვდა. სასიამოვნო შეგრძნებამ მთელ სხეულში დენივით დაუარა... გემრიელად გაიზმორა. თითქმის იმწუთას კართან ნაბიჯების ხმა გაისმა. გოგონა სწრაფად გადაბრუნდა გვერდზე და თავი მოიმძინარა. უნდოდა, ენახა, რას მოიმოქმედებდა ირაკლი.

მამაკაცი ოთახში შევიდა. შედგა, სმენა დაძაბა. თაკო ვითომ ძილში გადმოტრიალდა. პირადი მცველი მიუახლოვდა, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ნაზად გადაუსვა თმაზე ხელი. „იძინე, იძინე, პატარავ“, — დაიჩურჩულა.

ამწუთას მორიელს ეჩვენებოდა, რომ თაკო მცენარესავით იყო, რომელსაც საზრდოდ წყალივით სჭირდება სითბო და ალერსი... იმისთვის, რომ ყლორტები ამოიყაროს, კვირტები გამოისხას და ყვავილებად გაიფურჩქნოს — ერთი სიტყვით, იმისთვის, რომ ნორმალური ცხოვრების რიტმს დაუბრუნდეს;

იმისთვის, რომ ბედნიერი იყოს, ბოლოს და ბოლოს.

მორიელი გავიდა და კარი ფრთხილად მიიხურა. თაკომ ცოტა ხანს მიაყურადა, სანამ ნაბიჯების ხმა მიწყდებოდა, მერე კი წამოხტა და ამჩატებული შუა ოთახში ცეკვა-ცეკვით დატრიალდა. ყველაფერი კარგად იქნება; ყველაფერი აუცილებლად კარგად იქნება. პირად მცველს ის უყვარს. სხვანაირად არ შეიძლება იყოს. სხვა შემთხვევაში, ასე ვერ მოეფერებოდა, ასეთი გზნებით ვერ აკოცებდა, ვერ ჩაიხუტებდა გულში, ასეთი ნაზი ვერ იქნებოდა, ბოლოს და ბოლოს...

კიდევ ერთხელ დატრიალდა და ბედნიერებისგან აღტყინებული გაშლილი ხელებით საწოლზე გულაღმა გაიშოტა... როგორ მოშივდა! ახლა იმდენს შეჭამდა, რომ... კიდევ ერთხელ გაეღვიძა სიყვარულის მადა!

სიგიჟემდე მოუნდა, გაქცეულიყო ირაკლისთან, მოხვეოდა და სასიყვარულო სიტყვების ჩურჩულით თავბრუ დაეხვია. ასეც მოიქცა. ღამის პერანგი გადაიცვა და ფეხშიშველა კარს მივარდა, მაგრამ... ადგილზე გახევდა. ვაითუ, ისევ გულგრილობა იგრძნოს მისგან... ვაითუ, ისევ ძველებურად დაუწყოს ნოტაციების კითხვა, რომ ეს შეცდომა იყო, რომ მეტჯერ აღარ განმეორდება ის, რაც წუხელ იყო... მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ...

და რა იქნება შემდეგ?

შემდეგ? არაფერი... არაფერიც არ იქნება. ეტყვის, დაივიწყე ჩემი სიყვარულიო. ზუსტად ასე ეტყვის. მე შენზე უფროსი ვარ, ჩვენ შესაფერისი წყვილი არა ვართ, დაელოდე, სანამ უკეთესი კანდიდატურა გამოჩნდებაო. ჰო, ასე იქნება.

ხასიათი გაუფუჭდა...

მაგრამ იქნებ ელოდება კიდეც? თუკი ელოდება? იქნებ გადაწყვიტა, რომ დღეიდან ყოველღამე ერთად იქნებიან, ერთ საწოლში, ერთად მიეცემიან ვნებათაღელვას...

ტყუილად ოცნებობს. ფუჭია ეს ყველაფერი. მხრებჩამოყრილი ოთახიდან გავიდა და სააბაზანოს მიაშურა. ის აღარ ამოვა... აღარ მოიკითხავს. იქ, დაბლა დაელოდება, სამზარეულოში, როდის ჩავა და ინებებს წახემსებას... არ დაუძახებს. არც მის გაღვიძებას შეეცდება...

მაგრამ სულაც არ იყო ასე... თაკო ცდებოდა. ბანაობას რომ მორჩა, თავზე პირსახოცი გაიკრა და კვლავ პირადი მცველის ოთახს მიაშურა. კარი გააღო და გაოცებისაგან შიშნარევი ხმით შეყვირა. ოთახში ირაკლი დახვდა.

ოთახში, საიდანაც მამაკაცი რამდენიმე წუთის წინ გავიდა.

ოთახში, სადაც კედლები ჯერ კიდევ ექოდ გამოსცემდნენ მისი ვნებიანი ოხვრის ხმას.

ოთახში, სადაც ზეწარი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ირაკლის სხეულის სინოტივეს, სითბოს და სურნელს.

დაძაბული ღიმილით მიაჩერდა მამაკაცს.

— ირაკლი, ვიცი, რისი თქმაც გინ...

მორიელმა წინადადების დამთავრება არ აცალა, მსწრაფლ მიეჭრა გოგონას, საჩვენებელი თითი ტუჩებზე მიადო, მეორე ხელი წელზე მოხვია, ძალუმად მიიზიდა თავისკენ და პირსახოცით დაფარულ ყურთან უჩურჩულა: „არაფერი თქვა, პატარავ, გთხოვ“...

ის არც არაფერს ამბობდა. ყველა სიტყვა გაუფრინდა, დაეკარგა, დაუდნა. მის მკლავებში იმედიანად და სიამოვნებით „მოკალათდა“. არ უნდოდა რამეზე ეფიქრა. ლოყა ლოყაზე მიადო. მისი სიმხურვალე ათბობდა.

— მიყვარხარ, პატარავ... ვიცი, სიგიჟეა ეს ყველაფერი, მაგრამ თავს უკვე ვეღარ ვერევი. მაპატიე, თუ გაწყენინე, — დამნაშავესავით ჩურჩულებდა მამაკაცი.

თაკო მოზღვავებულ ბედნიერებას ვერ გაუმკლავდა და მუხლები მოეკეცა. ირაკლიმ უფრო ძლიერად მოხვია მკლავები და ხელში აიტატა.

— რა მსუბუქი ხარ, — ღიმილით უთხრა.

— შენ კი... ძალიან ძლიერი და... მძიმე.

— ჰო. ჩვენი ორივეს წონა რომ ერთმანეთს მივამატოთ და მერე ორზე გავყოთ, იდეალურ ვარიანტს მივიღებდით...

და მამაკაცი მის ტუჩებს მისწვდა. თაკოს სველი ჰქონდა ბაგეები, სველი და თბილი...

რა ცუდია, რომ ის ჯერ კიდევ ბავშვია... დიდი სხვაობაა ასაკობრივად.

გაჩუმდი, მორიელო! რა დროს ეგაა, სისულელეა ეს ყველაფერი... — აყვირდნენ ჭინკები მის თვალებში.

მთავარია, რომ ძალიან, ძალიან ბევრი და ძალიან დიდი სიყვარული აღმოგაჩნდა... მისთვის...

პატარა, დაუცველი გოგონასთვის...

ამიერიდან მის ცხოვრებაში ერთადერთი ნათელი წერტილისთვის...

თავნება და ჯიუტი თაკოსთვის.

ბევრი სიყვარული... იმდენად ბევრი, რომ სიბერემდე ვერ გამოილევა.

იმდენად ბევრი, რომ მათაც ეყოფათ, მათ შვილებსაც და შვილიშვილებსაც...

მაგრამ როდის დამთავრდება ეს კოშმარი?

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ლომი ფერებს ვერ არჩევს.
2. ტეპლიცე — ქალაქია ჩეხეთში.
3. „ქორია“ და „ელამი“ სინონიმებია.
4. თითბრის როდინს ავანდასტა ჰქვია.
5. მარნეულს 1947 წლამდე, ბორჩალო ერქვა.
6. ჩაუშესკუ 25 წელი განაგებდა რუმინეთს.
7. ჟერარ დეპარდიე საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერია.
8. ცნობილ მოგზაურ ტიმ სევერინს „მითების კონტროლიორს“ ეძახიან.
9. „ანომალია“ ბერძნული სიტყვაა და სიტყვასიტყვით „უსწორმასწორობას“ ნიშნავს.
10. ჩერჩილს სძულდა მაჰათმა განდი. იგი მას პატარა, ნახევრად შიშველ ფაკირს ეძახდა.
11. „ეპიზოდის მსახიობის იმიჯი მთელი ცხოვრება ვერ მოვიშორე“, — წუხს ლია ახეჯაკოვა.
12. „ეეეხ, დალ ბი კტო ვ ზაიმი, დო სლედუიუშეი ზიმი და პაზაბილ ობ ეტომ!“ — მღერიან რუსები.
13. „ისტორიას ქალები ქმნიან, თუმცა ისტორია მხოლოდ მამაკაცთა სახელებს იმახსოვრებს“, — ამბობდა ჰაინრიხ ჰაინე.
14. „იმის ნახევრის მოყოლაც ვერ მოვასწარი, რაც მოგზაურობების დროს ვნახე“, — თქვა სიკვდილის წინ მარკო პოლომ.
15. „თუ გინდათ, გავლენა იქონიოთ ბავშვზე, ეცადეთ, მისი მამა არ აღმოჩნდეთ“, — გვირჩევს ამერიკელი პოეტი დონ მარკესი.
16. „მერსედესი“, რომელშიც პრინცესა დაიანა დაიღუპა, პარიზის ერთ-ერთი საავტომობილო გვირაბის მეცამეტე საყრდენს შეეჯახა.
17. ლუდოვიკო მეცამეტის მუშკეტერები, ღამის გუშაგობა თუ არ უნევდათ, ზაფხულში დილის 6 საათზე დგებოდნენ, ზამთარში — დილის 8 საათზე.
18. მანგრიის ხეს დროთა განმავლობაში, ერთი მხარე უხმება და მეორე მხარე უფრო მეტად უვითარდება. ასე მიიწევს იგი წყლისაკენ. ეს ხე წელიწადში რამდენიმე მეტრით გადაადგილდება.

19. „ახალ წელს რა გსურთ, რომ თოვლის ბაბუამ თქვენგან იყიდოს?“ — ჰკითხა დათო გოგიჩაიშვილმა „ღამის შოუს“ ეთერში მიწვეულ კახა ბენდუქიძეს.
20. პოლ მაკარტნის დედინაცვალი





# მეხსიერება და ფენომენური, მაგრამ ფუჭი ნიჭი

**პიროვნება არ არსებობს პიროვნული მეხსიერების გარეშე, ერი არ არსებობს ეროვნული მეხსიერების გარეშე. ზოგჯერ მეხსიერებას გამოაგნებელი მასშტაბის ინფორმაციის შენახვა შეუძლია, ზოგჯერ კი სულ იოლად ივიწყებს წუთის წინ მომხდარ ამბავს... ზოგს მანქანის ნომრები ამახსოვრდება განსაკუთრებულად, ზოგს — სახეები, ზოგსაც ათეულობით ენაზე მეტყველება ეჩვენება იოლ საქმედ... მაინც, რა არის მეხსიერება, რომელზეც დამოკიდებულია როგორც ადამიანის პიროვნული თვისებები, ისე, მისი საქმიანობა? მეხსიერებასთან დაკავშირებულ უაღრესად საინტერესო საკითხებზე ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე — ზურაბ ვახანია გვესაუბრება.**

„ასეთი ადამიანი გინესის წიგნში მოხვდება, სხვა არაფერი...“

## ლელა ჯიყამვილი

**— ბატონო ზურაბ, ხომ არსებობს ისეთი ფენომენური მეხსიერება, როცა ადამიანს შეუძლია, ერთიორი წაკითხვით დიდი პოემა დაიზეპიროს?**

— ლექსისა და მხატვრული ტექსტის დამახსოვრების უნარი ცოტა სხვა რამ არის. ის ძალიან ძლიერად იყო განვითარებული წერილობამდელ კულტურებში. მას შემდეგ, რაც გაჩნდა დამწერლობა, ადამიანს გაუჩნდა შესაძლებლობა, დაეწერა და ასე შეენახა ნაწარმოები. ჰოდა, ამიტომაც, მისი დამახსოვრება შეწყვიტა. მაგალითად, ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“ თაობებს ზეპირად გადაეცემოდა. შემდეგ, როცა ამის აუცილებლობა აღარ იყო, მეხსიერების ეს უნარიც ნელ-ნელა გაქრა (იშვიათი გამონაკლისის გარდა). ვიცნობდი ერთ მოსკოველ ინჟინერს, რომელსაც შეეძლო, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის 50 ტომიდან ნებისმიერი სიტყვის ტექსტთან მიახლოებული ახსნა.

**— ამის მისაღწევად დიდი მცდელობა დასჭირდა?**

— არა, ეს უბრალოდ, მისი ნიჭი იყო. მეხსიერების გავარჯიშება განსაზღვრულ ფარგლებში შესაძლებელია, მაგრამ ასეთი დონის გავარჯიშება გამორიცხული გახლავთ. მეხსიერება არ ნიშნავს ადამიანის ზოგად ნიჭიერებას. ეს ინჟინერი სხვა თვისებებით გამორჩეული არ ყოფილა. უბრალოდ, ჰქონდა უნარი, მექანიკურად დაემახსოვრებინა ინფორმაცია.

**— არსებობს გამოაგნებელი, მაგრამ ფუჭი ნიჭიც...**

— არსებობს სპეციფიკური ნიჭი — რიცხვების აღდგენის, ანგარიშის... სასწაულებრივი უნარია, როცა უზარმაზარ რიცხვებს ზეპირად ანგარიშობენ. მეცნიერებამ ვერ ახსნა, თუ რა ხდება ასეთი ადამიანის გონებაში. ესეც ფუჭი ნიჭია. იყო ერთი ადამიანი, რომელიც კალენდარული დღეების გამოთვლის განსაცვიფრებელი უნარით გამოირჩეოდა — ის გეტყოდათ, ნებისმიერი წლის ნებისმიერი თვის ესა თუ ის რიცხვი რა დღე იყო. მის პასუხებს კომპიუტერი ამოწმებდა და რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, კითხვას ყოველთვის უშეცდომოდ პასუხობდა. მერე რა? — ასეთი ადამიანი გინესის წიგნში მოხვდება, სხვა

არაფერი...

**— ეს ადამიანის ფსიქოლოგიაზე უარყოფითად ხომ არ მოქმედებს?**

— არა, ეს მოთხოვნილებაა. ისევე, როგორც პოეტს არ შეუძლია, ლექსი არ წეროს და თუ ამას აუკრძალავ, ეს მის ფსიქიკაზე ცუდად იმოქმედებს, ასევეა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანიც... არსებობს სხვა ფორმის, შემეცნებითშემოქმედებითი მეხსიერება, რომ-





ლის დროსაც ადამიანს ამახსოვრდება მხოლოდ მნიშვნელოვანი რაღაცები, წვრილმანები კი ავიწყდება ან პირიქით — ზოგი იმახსოვრებს წვრილმანებს, მაგრამ მთავარი არსი ან ავიწყდება, ან მას საერთოდ ვერ სწვდება. ზოგს ხატოვანი და სურათოვანი აღქმის მეხსიერება აქვს განვითარებული. ასეთი მეხსიერება ბავშვებში უფრო ძლიერია და ასაკის

**ზოგი იმახსოვრებს წვრილმანებს, მაგრამ მთავარი არსი ან ავიწყდება, ან მას საერთოდ ვერ სწვდება**

მატებასთან ერთად სუსტდება. ფსიქოლოგიაში შესწავლილია შემთხვევები, როცა ეს უნარი ისეთი ძლიერია, რომ სრულად იმახსოვრებს ყველა ნიუანსს. მაგალითად, ბავშვი 1 წუთის განმავლობაში დიდი შენობის ფასადს უყურებდა. ორი დღის მერე სთხოვეს, ეს სახლი აღეწერა. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ის ზუსტად ამბობდა, რომელ სართულზე რა ფერის ფარდა ეკიდა ან სად იდგა ყვავილის ქოთანი...

**— ადამიანს წარსულიდან ბევრი რამ ავიწყდება. რა ხდება ამ დროს, მომხდარი სრულიად იშლება ჩვენი ფსიქიკიდან?**

— არა, ინფორმაციას ვინახავთ, მაგრამ ამის შესახებ თავად არაფერი ვიცით. ლაბორატორიაში, როცა ელექტრული იმპულსით თავის ტვინის მონაკვეთებს აღიზიანებენ, ადამიანს შეიძლება, ბავშვობის ის ეპიზოდები, რომელზეც მანამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა, თავისი ხმითა და სურნელითაც კი ფილმივით წარმოუდგეს თვალწინ. ჩვენდა გაუცნობიერებლად, ეს ინფორმაცია მეხსიერებაში დევს, ინახება და ჩვენს ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას...

**— შეიძლება, ასე აღდგენილი ქვეცნობიერი „მოგონებებით“ მისტიკურ სამყაროში გადავინაცვლოთ? ზოგიერთი ამტკიცებს, — ასეთი ცდის დროს ადამიანები უცხო ენაზეც კი ლაპარაკობენო...**

— საერთოდ, ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები განუსაზღვრელია, მაგრამ მეცნიერმა დაბეჯითებით არასდროს უნდა თქვას ის, რისი დამტკიცებაც არ შეუძლია. მათ ჯერ არც მსგავსი რაღაცის არსებობა დაუმტკიცებიათ და არც — არარსებობა. XX საუკუნეში იყო უდიდესი ფსიქოლოგი — კარლ გუსტავ იუნგი, რომელიც ტელეპათიის შესწავლით დაინტერესდა. მან ინდოეთიდან და ციმბირიდან ევროპაში ჩაიყვანა შამანები და ბევრს ეცადა, მათი ნიჭი მეცნიერულად აეხსნა, მაგრამ ამაოდ...



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეოჩა დვალი
### *ეზის წიგნაკიდან:*

დღესაც ღიმილით იგონებს, როგორ უგზავნიდნენ პოლის თაყვანისმცემელი გოგოები სხვადასხვა ნივთს და ეხვეწებოდნენ: „სთხოვეთ პოლს, ეს საღეჭი რეზინი დაღეჭოს და შემდეგ, ისევ უკან გამომიგზავნეთ“ — ანდა: „სთხოვეთ პოლს, ერთი დღე ატაროს ეს წინდები და შემდეგ, უკან გამომიგზავნეთ!“

21. კოლუმბიელი ნარკობარონი, პაბლო ესკობარი 11 წლის ასაკში, საფლავის ქვებს იპარავდა, წარწერებს შლიდა და ქვებს ყიდდა.

22. სერგეი ესენინს ძალზე ეშინოდა სიკვდილის. მან საკუთარი ბიუსტიც კი გადმოაგდო ფანჯრიდან. ბიუსტი რომ დაიმსხვრა, ესენინმა შესძახა: „ვსიო, ტეპერ ბუდუ ჟიტ!“

23. „ადამიანი მხოლოდ უმნიშვნელო როლს თამაშობს საკუთარ ცხოვრებაში“, — ამტკიცებს სტანისლავ ეჟი ლეცი

24. ავსტრალიაში, ერთ ოჯახში მობინადრე ბულდოგმა პატრონის მუსიკალური საათი გადაყლაპა. პატრონი მანამ ეძებდა საათს, სანამ ძაღლის მუცლიდან ნაცნობი მელოდია არ შემოესმა. ცხოველი ვეტერინართან წაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს. ექიმმა ძაღლიც გადაარჩინა და საათიც.

25. ამერიკაში მშრალი კანონის მოქმედების დროს, მაფიოზ ბუტლეგერებს თითქმის ყველა პოლიციელი და ჩინოვნიკი მოსყიდული ჰყავდათ, მაგრამ ყველა როდი იღებდა ქრთამს, გამონაკლისებიც არსებობდნენ: ბუტლეგერთა რისხვად შერაცხული პოლიციელები — იზი ეინშტეინი და მო სმიტი — ქრთამს არასდროს გაჰკარებიან. მათ სპირტიანი სასმელებით მოვაჭრეთა წინააღმდეგ საბრძოლველად, საკუთარი ტაქტიკაც ჰქონდათ შემუშავებული. ზამთარში ისინი მანქანას ღამის კლუბთან აჩერებდნენ. იზი ეინშტეინი წელს ზემოთ ტანსაცმელს იხდიდა და თოვლში წვებოდა, მო სმიტი კი, კლუბის კარზე ტეხდა ბრახუნს: „ღმერთო ჩემო, აქ კაცი წევს გაყინული, კვდება და შველა სჭირდება!“ გამოდიოდა ბარმენი, გაყინული პოლიციელი შენობაში შეჰყავდა და მოსასულიერებლად, პირში რამდენიმე ყლუპ ვისკის ასხამდა, რის შემდეგაც, მას დაუყოვნებლივ აპატიმრებდნენ. პოლიციელთა ამ წყვილს ეს ფანდი არაერთხელ ჩაუტარებია წარმატებით.

# დაოჯახებულები უფრო დიდხანს ცოცხლობენ

დაოჯახებული ადამიანები მარტოხელებზე უფრო დიდხანს ცოცხლობენ. ამერიკელმა ექსპერტებმა გამოკვლევების შედეგად დაადგინეს, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპები უფრო მეტი ძალით აღიქმება და ეფექტურად მოქმედებს მაშინ, როცა მათ აუცილებლობაში მოსიყვარულე მეორე ნახევარი გვარწმუნებს. როგორც ჩანს, მხოლოდ საყვარელ ადამიანს შეუძლია თქვენი დარწმუნება იმაში, რომ აუცილებელია ფიზიკური ვარჯიში და სწორი კვება. ■

# სალათა გამლით

**მასალად საჭიროა:**

200 გ კარტოფილი;
100 გ დაკონსერვებული ბარდა;
1 შეკვრა მწვანილი;
1 პატარა ვაშლი;
1 ჩ/კ ლიმონის წვენი;
1 ხახვი;
1 კონა კამა;
1 ს/კ ვაშლის ძმარი;
1 ს/კ მცენარეული ზეთი;
25 გ შებოლილი ხორცი. ■

# ფეხები რომ არ დაგეღალოთ

**დასავლელმა სპეციალისტებმა გამოთვალეს და განსაზღვრეს, რომ ადამიანის ფეხებს დღეში წარმოუდგენლად დიდი მანძილის გავლა შეუძლია. ამგვარი გამძლეობა მათ ბუნებრივად მიაჩნიათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფეხების ჯანმრთელობისა და სილამაზისთვის არ უნდა ვიზრუნოთ. აი, რას გვირჩევენ სპეციალისტები:**

## დღის ენერგიული ვარჯიში

ჩამოჯექით საწოლის კიდეზე, მარჯვენა ფეხისგული მიიტანეთ მარცხენა ფეხისგულთან და 5 წუთის განმავლობაში იზილეთ. შემდეგ იგივე გაიმეორეთ მარცხენა ფეხით. ენერგიის მოზღვავებას აშკარად და თანაც მაშინვე იგრძნობთ.

დილით სასურველია, მიიღოთ ფეხის კონტრასტული აბაზანა. ის აუმჯობესებს კანის ელასტიკურობას და ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას.

სასურველია, თუ ყოველ დილით 15 წუთით მაინც გაისეირნებთ სუფთა ჰაერზე. დილით სეირნობა ამაგრებს ვენებს, ფეხის კუნთებს, აძლიერებს ამტანობას.

შეეცადეთ, უარი თქვათ ლიფტითა და ესკალატორით სარგებლობაზე, რადგან კიბეზე ასვლა შესანიშნავი ვარჯიშია ფეხებისთვის.

## ბუნებრივი ტრენინგი დღის განმავლობაში

რამდენჯერმე აიწიეთ და დადექით თითის წვერებზე, რადგან ამ დროს მთელი სხეულის სიმძიმე სწორედ ფეხის თითებსა და ქუსლებზე გადადის. შეეცადეთ, ათჯერ მაინც გაიმეოროთ ეს ვარჯიში.

დადექით სწორად, შეეცადეთ, რომ ფეხის თითები რამდენჯერმე ზემოთ ასწიოთ. ამ ვარჯიშის დროს იჭიმება წვივის კუნთები. შემდეგ კი შეეცადეთ, 20 ნაბიჯი მაინც გაიაროთ ფეხის ქუსლებზე.

## საღამოს პროგრამა – მასტიმულირებელი აბაზანა

აიღეთ 3 ჩ/კ მდოგვის ფხვნილი და აურიეთ ცოტა ცივ წყალში. მიღებული მასა ჩაასხით თბილწყლიან აბაზანაში. ქუსლები მასში 10 წუთით მაინც გააჩერეთ, შემდეგ კი ცივი წყლით დაიბანეთ. ამგვარი აბაზანა არა მარტო დაღლილობას მოგიხსნით, არამედ მთლიანად სიმსუბუქის შეგრძნებას შეგიქმნით. ■

# განიტვირთეთ და გალამაზდით

**თუ გრძნობთ, რომ გადაიღალეთ, შინაგან დისკომფორტს განიცდით, თვალები ძველებურად აღარ გიბრწყინავთ, და გსურთ, უწინდებურად ლამაზი, ჯანმრთელი და ენერგიული იყოთ, აუცილებლად მოიწყვეთ განტვირთვის დღე.**

დასაწყისისთვის ვაშლი, ფორთოხალი, ლიმონი, ბანანი, ნებისმიერი კენკრა, სტაფილო, კომბოსტო, კამა, ნიახური და პიტნა მოიმარაგეთ. უარი თქვით ყავასა და სიგარეტზე, რა თქმა უნდა, ალკოჰოლურ სასმელზეც.

საუზმედ მიირთვით ერთი ჭიქა ფორთოხლის, ვაშლის ან გრეიპფრუტის წვენი. თუ ცხელი სასმელი გირჩევნიათ, მაშინ პიტნის ნაყენი თაფლით ან ნახევარი ლიმონის წვენით გაზავებული 1 ჭიქა ცხელი წყალი დალიეთ. შუადღემდე, შიმშილის დასათრგუნავად, იმყოფინეთ ერთ-ორი ვაშლი, ბანანი ან ფორთოხალი; სადილად კი — ახალი ხილისა და ბოსტნეულის შემდეგნაირად მომზადებული სალათა მიირთვით: ვაშლი, გახეხილი სტაფილო, კომბოსტო, ფორთოხალი ან ბანანი შეანელეთ ლიმონის წვენითა და ერთი ს/კ მცენარეული ზეთით. სალათას უხვად მოაყარეთ მწვანილი.

5 საათისთვის კვლავ მიირთვით პიტნის ნაყენი თაფლით ან ლიმონის წვენით; ვახშმად კი იმ ხილ-ბოსტნეულისგან მოამზადეთ სალათა, რომელიც უფრო მეტად მოგწონთ.

ძილის წინ მიიღეთ ბალახეული ჩაი თაფლით.

ამ პროცედურის შემდეგ, თქვენი სხეული ინტენსიურად გაიწმინდება ათასგვარი ტოქსინისა და წიდებისაგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარეგნული ეფექტი თვალში საცემი გახდება. ნუ დაიზარებთ და გაიკეთეთ სახის კანის ნიღაბიც, საღამოს კი თბილი აბაზანა მიიღეთ, რომელშიც ჭინჭრის ან გვირილის ნახარშს ჩაუმატებთ.

თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებთ, ქუჩაში მიმავალს ბევრი აღფრთოვანებულ მზერას გამოგაყოლებთ, თვალებიც უწინდებურად აგიციმციმდებათ და დაღლილობის გრძნობაც სადღაც გაქრება. ■

# გარუჯვის შემდეგ კანზე ლაქები რომ არ დაგრჩეთ

**ალბათ უკვე არაერთხელ გსმენიათ, რომ გარეგნული სილამაზე ორგანიზმის შინაგან მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ხალხური მედიცინა ორგანიზმის გაჯანსაღების მარტივ საშუალებებს გთავაზობთ:**

### მზის საჩუქარი

რაც შეეხება მზის აბაზანებს: გარუჯვა სასარგებლოა, მაგრამ — დოზირებულად. მზის აბაზანების მიღებამდე აუცილებლად წაისვით დამცავი კრემი. იმ შემთხვევაში, თუ გარუჯვას სოლარიუმში აპირებთ, კურსი 5 სეანსს არ უნდა აღემატებოდეს. გარუჯვის შემდეგ, სახეზე ჩნდება ლაქები, კანი იწყებს გამოშრობას, აქერცვლას. პრობლემას კი შეგიძლიათ შემდეგნაირად გაუმკლავდეთ:

თუ სახესა და ტანს ყოველდღიურად იბანთ, უმჯობესია, ტანისთვის სპეციალური გელი გამოიყენოთ. მოერიდეთ საპონს.

ყოველი აბაზანის მიღების შემდეგ, როგორც სახეზე, ასევე სხეულზე, სპეციალური დამარბილებელი კრემი წაისვით. ■

## სახაფხულო ნიღბები

● მწიფე ბანანი დასრისეთ. წაისვით მთელ სახეზე, ყელზე. გაიჩერეთ 20-25 წუთი და გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

● ხაჭო, იოგურტი, არაჟანი, მაწონი — სურვილისამებრ აირჩიეთ რომელიმე მათგანი, წაისვით სახესა და ყელზე, გაიჩერეთ 20 წუთი და ჩამოიბანეთ.

● აიღეთ ყურძენი, კივი და პომიდორი, გახეხეთ, შეურიეთ ერთმანეთს და ნიღაბი სახეზე დაიდეთ.

● თეთრი პურის ნატეხი დაასველეთ რძეში და სახეზე წაისვით.

● თბილი კარტოფილის პიურე რძესთან ერთად, არაჩვეულებრივად ეფექტური ნიღაბია.

● 1 ს/კ შვრიას დაასხით ადუღებული წყალი. ფაფა დაიდეთ სახესა და ყელზე. ■

# ფხვიერი ნამცხვარი „ოჯახური"

**მასალად საჭიროა:**

250 გ მარგარინი;
1,5 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი;
2 ცალი კვერცხი;
4 ჩ/ჭ ფქვილი;
1/8 ჩ/კ მარილი;
1/4 ჩ/კ სოდა (ძმრით);
1 ს/კ არაჟანი.

**მომზადების წესი:**

მარგარინი დაჭერით, მოათავსეთ ქვაბში და გაადნეთ. გადმოდგით ცეცხლიდან, დაუმატეთ შაქართან ერთად ათქვეფილი კვერცხი, არაჟანი და კარგად აურიეთ. შემდეგ დაუმატეთ მარილი, სოდა, ფქვილი და მოზილეთ ცომი. ცომი გაყავით 5-6 ნაწილად და ფქვილმოყრილ დაფაზე 2-3 სმ სისქემდე გააბრტყელეთ. შემდეგ დაჭერით სასურველ ფორმებად (გულის, ნახევარმთვარის და ა.შ) და ჰაერღუმელში გამოაცხვეთ. ■



# ღიღვოროის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

ბოჩა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-32

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ის იყო ხომალდი გემთმისადგომთან შედგა, რომ ჰასანმა და გუელმომ თავის ხალხს ხმელეთზე გადასასვლელად მომზადება უბრძანეს. მორჩილებას ჩვეული ღულამები და მსახურები მაშინვე შეუდგნენ განკარგულების შესრულებას.

— სად მიგეჩქარება? — გაკვირვებით ჰკითხა მურროჩიმ ჰასანს. — ამ ხომალდზე მეც აღარ მინდა ყოფნა. თავი მომაბეზრა მუდმივმა რყევამ, მაგრამ ასე სამოსშელახული და მოთელილი ხომ არ გადავალთ ხმელეთზე?

— ბრძოლა რომ გველოდეს, შენ დაგეკითხებოდი რჩევას; მაგ საქმეში ბადალი არ გყავს, მაგრამ ვაჭრული პირფერობისა არაფერი გაგეგება. ჰინდუსტანის უმდიდრესი მხარეა მითხაპური. მის სამფლობელოებშია ბაჰრეინის კუნძულებიც და ამითაა გათამამებული აქაური რაჯაც. ზვიადი და გულბოროტი კაცი არ არის, მაგრამ თავისი ხუშტურები აქვს. პირფერობა უყვარს. თავად არავის აგრძნობინებს, მაგრამ ვაჭარს, რომელიც ბაჰრეინში ჩასვლისთანავე არ მოინახულებს მის სასახლეს, სარფიანი ვაჭრობის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

— რატომ? — გაუკვირდა მურროჩის. — რა დაშავდება მეორე დღეს რომ მოინახულო აქაური რაჯა?

— მითხაპური ვაჭრებისა და მარგალიტის მაძიებელთა მხარეა. ესაა მისი ძლიერებისა და სიმდიდრის წყარო. მარგალიტით ვაჭრობა აძლევს აქაურ რაჯას ისეთი ჯარის ყოლის საშუალებას, რომელიც შიშის ზარს სცემს მის ყოველ მოშურნეს. აქაურ ვაჭართა შორის პირველი კი თავად რაჯაა. მან კარგად იცის, რომ ყველა ვაჭარი მოუთმენლად ელის ქარავნისა და ხომალდის გამოჩენას. მარგალიტი ძვირი ღირს, მაგრამ მყიდველის გარეშე, უბრალო კენჭს უდრის მისი ფასი. აქაურ ვაჭრებს მარგალიტი გოდრებით უდგათ. ამიტომაც მიიჩქარიან მყიდველთან, რომ დროულად და სარფიანად გაყიდონ ბაჰრეინის კუნძულების მშვენება და თანაც სხვა მხარეებიდან ჩამოტანილი საქონელი შეიძინონ. ვინც დაასწრებს, ის მოიგებს. აქაური წესის თანახმად, ვაჭრები არასოდეს ადიან ხომალდებზე. ხმელეთზე ელიან ხომალდის გადმოტვირთვას, მაგრამ მითხაპურში ჩასულმა ყველა ვაჭარმა იცის, რომ პირველად რაჯას თუ არ შესთავაზა თავისი საქონელი და მისგან არ იყიდა მარგალიტი, უკან მოგებით გაბრუნების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

— რას იზამს, რაჯა, ქონებას წაართმევს?

— არა... არა... — თავი გაიქნია ჰასანმა. — რაჯა გონიერი კაცია და ზომაც იცის. ვინმეს ქონება რომ წაართვას, ამით სხვა ვაჭრებსაც დააფრთხობს. ის სხვანაირად იქცევა. ჩამოსულ ვაჭარს თავის სასახლეში იღებს; იქვე უთანხმდება საქონლის ნაწილის ყიდვაზე. თავად საუკეთესო საქონელს იყიდის, ნაწილს კი დანარჩენ ვაჭრებს დაუტოვებს. ამით ყველა კმაყოფილი და მოგებული რჩება. რაჯა ყველაზე მსუყე ნაჭერს ითრევს, მაგრამ სხვა ვაჭრებსაც არ ტოვებს ხელცარიელს. ჩამოსული ვაჭარიც კმაყოფილია, ის ხომ სავაჭროდაა ჩამოსული და რა მნიშვნელობა აქვს, ვის მიჰყიდის თავის საქონელს... შენ ვერ ამჩნევ, მაგრამ ახლა რაჯის მსახურები გვადევნებენ თვალყურს. საქონელი რომ გადმოვტვირთოთ, აქაური ვაჭრები მაშინვე შემოგვესევიან და ვაჭრობას გაგვიმართავენ. ამის მერე კარგს არაფერს უნდა ველოდეთ. წყალს, რომელსაც ზღვაოსნებისთვის მოვითხოვთ, აყროლებული იქნება, ხილი — დამპალი, ფქვილი — ალაო... ასე გადაგვიხდის რაჯა საზღაურს უპატივცემულობისათვის. ეს ყველა გამოცდილმა ვაჭარმა იცის. ამიტომაც არავინ ჩქარობს საქონლის დაცლას. ჯერ რაჯას მოვინახულებთ, ჩვენს საქონელს შევთავაზებთ, მის მარგალიტს ვიყიდით და მერე საქონლის ხომალდიდან გადატვირთვის დროც დადგება. — აუხსნა ჰასანმა და მსახურებს შეუძახა: აჩქარდით, შუადღის მერე რაჯა აღარავის იღებსო!

გუელმოს გასაოცრად, ჰასანმა მარტომ მოისურვა მითხაპურის პატრონთან სტუმრობა. თან მხოლოდ მურროჩისა და თავისი ღულამების წაყვანა გადაწყვიტა.

— რატომ? — გაუკვირდა გუელმოს, რომელსაც თავადაც სურდა რაჯის სასახლის მონახულება და ვაჭრობაში მონაწილეობა.

— რამდენიმე მიზეზის გამო, — უპასუხა ჰასანმა, — პირველი, რაჯას არ უყვარს ვენეციელები, მატყუარებად და გამომძალველებად მიიჩნევს... მეორე, ორივ ერთად რომ ვესტუმროთ, შესაძლოა, ძღვენს არ დასჯერდეს. თხოვნით არაფერს მოითხოვს, მაგრამ სხვანაირ ვაჭრობას გაგვიმართავს და მესამე, მასთან გარიგების მერე, სხვა ვაჭრებს გააფრთხილებს, რომ რაც შეიძლება ძვირად დაგვიფასონ მარგალიტი... გასაგებად გითხარი?

— ჰო... მაგრამ... — შეყოყმანდა გუელმო.

— ნუ ღელავ, — აჩქარდა ჰასანი, — პირობას გაძლევ, რომ რაჯისგან ნაყიდ მარგალიტს ორ წილად გავყოფთ და რომელ წილსაც მოინდომებ, შენი იქნება.

— შეურაცხყოფას მაყენებ! — მოიღრუბლა გუელმო, — მეგობრობა დავივიწყოთ და ერთმანეთს ვევაჭროთ?!

— მაშ, რაშია საქმე?

გუელმო ცოტა ხანს დუმდა და მერე უპასუხა:

— ამბობენ, რაჯას ულამაზესი ქალები ჰყავსო ჰარამხანაში.

— გუელმო, — გაეცინა ჰასანს, — შენს ჭაღარას ამგვარი ლაპარაკი არ ეკადრება. გონებიდან ამოიგდე ეგ აზრი. ჰინდოელნი მუსლიმანებივით მკაცრები არიან. რაჯის ჰარამხანის ჭვრეტისთვის შეიძლება თავი დაკარგო!

— კარგი, მაშინ წადი, მაგრამ ერთი პირობით: რადგან რაჯისგან ნაყიდი მარგალიტის ნახევარს მპირდები, სავაჭრო ფულის ნახევარიც უნდა მიიღო. — თქვა გუელმომ და ხელში ოქროთი სავსე ქისა ჩაუდო.

ბაღდადში მუროჩი შეჩვეული იყო თვალწარმტაცი სასახლეების ხილვას, მაგრამ მითხაპურის სრასახლემ მის თვალში აქამდე ნანახი ყველა მდიდრული საცხოვრებელი დაჩრდილა. მათში ყველაზე დიდი ჰასანის ძველი ნაცნობის, მითხაპურის რაჯის სასახლე იყო.

სასახლე სიმწვანეში ჩაფლული, მთის მაღალი კალთიდან გადმოსცქეროდა გემთმისადგომს და ზღვაში მიმოფანტულ კუნძულებს. ირგვლივ ქონგურებიანი გალავანი ერტყა. ამ ქონგურების სიახლოვეს კიდევ რამდენიმე სასახლე იდგა, მაგრამ ისინი ბევრად მცირე ზომისანი იყვნენ, ვიდრე რაჯის საცხოვრებელი.

რაჯა მუსლიმანი მმართველივით მრავალცოლიანი იყო, მაგრამ ბაღდადელი დიდებულების ცოლებისგან განსხვავებით, ჰინდოელი ქალები თავისუფლად მიმოდიოდნენ მამაკაცების წინაშე და სახესაც არ მალავდნენ. ზღაპრულ ყვავილნარში მიმოფანტული ქალები, თავადაც ღამაზ ყვავილებს ჩამოჰგავდნენ. ტანთ ოქრომკედით ნაქარგი ფარჩის კაბები ემოსათ, მკერდზე მსხვილი მარგალიტის ყელსაბამები სცემდათ, თმაში ღალი უბრწყინავდათ. ქალები მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ყვავილებისგან ღამაზ გვირგვინებს წნავდნენ. ყოველი მათგანი თავისებურად ცდილობდა მათი პატრონის — მითხაპურის რაჯის ყურადღების მიპყრობას.



რაჯამ მდიდრულად გაწყობილ, ვრცელ დარბაზში მიიღო სტუმრები. მუროჩის არასოდეს ეხილა ასეთი ფუფუნება. დარბაზის კედლები ოქროცურვილი ფილებით იყო მოპირკეთებული. იატაკს არნახული სილამაზის ხალიჩები ფარავდა. ხალიჩებზე ოქრომკედით ნაქარგი ბალიშები იყო მიმოფანტული. დარბაზის შესასვლელ-გასასვლელებს მუქკანიანი, ბრგე მეომრები იცავდნენ. ისინი ქანდაკებებივით ასვეტილიყვნენ კარებში და გაქვავებული სახეებით აკვირდებოდნენ სტუმრებს. სასახლის პატრონს არც მათი საჭურველი გამორჩენოდა. ყველა მეომრის აბჯარ-საჭურველი ოქროთი და ძვირფასი თვლებით იყო შემკული.

სასახლის პატრონი მუქსახიანი, ტანდაბალი, ჩასუქებული კაცი აღმოჩნდა. ყურებს უზარმაზარი ალმასებით შემკული ოქროს საყურეები უმშვენებდა. ტანთ ოქრომკედით ნაქარგი სამოსი ეცვა, სარტყელში ფართო, წვერმოკაუჭებული სატევარი გაერჭო. ზურგს უკან ამომდგარი ორი შავკანიანი მონა მარაოების ქნევით აგრილებდა ბატონს. მის დიდებულ იერს ხაზს უსვამდა ფეხებთან გაწოლილი ვეფხვის ბოკვერი, რომელიც მორჩილად შესცქეროდა თვალებში და დროდადრო ამთქნარებდა.

რაჯა სტუმრებს მიესალმა, ბალიშებზე დაჯდომა შესთავაზა და მსახურთუხუცესს რაღაც ანიშნა. ნიშნის მიღებისას მსახურმა მდაბლად დაუკრა თავი და ტაში შემოჰკრა. დარბაზში მსახურები გამოჩნდნენ, რომლებმაც ვერცხლის სინებით ფლავი, სხვადასხვანაირად შეზავებული ხორცი და ხილი შემოიტანეს. ცოტა ხანში, ხილს ღვინო მოჰყვა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მუროჩის ღვინის დალევის შესაძლებლობა მიეცა. სიამოვნებით მოიყუდა მასპინძლის შეთავაზებული ვერცხლის ფიალა, მაგრამ მაშინვე გაუცრუვდა იმედი. ეს ღვინო არაფრით ჰგავდა კახეთს დაწურულ მადლიან სასმელს. ტკბილი იყო და ბლანტი. ცხიმივით ედებოდა სასასა და ტუჩებს და უსიამოვნო შეგრძნებას აღუძრავდა.

ამასობაში, რაჯამ ჰასანს მითხაპურს სტუმრობის მიზეზზე ჩამოუგდო სიტყვა.

— მიზეზი მრავალია, მაგრამ თავიდათავი მოგზაურობის წყურვილი და ძველი მეგობრების მონახულებაა, — უპასუხა ჰასანმა.

— მჯერა... მჯერა. — ჩაეღიმა რაჯას. — ისე მოგეჩქარებოდა ჩემთან, რომ არც საქონელი დაგიცლიათ და ბაზარშიც არ შეგივლიათ. პირველ რიგში, მე მესტუმრეთ.

— და ხელცარიელნიც არ მოვსულვართ, — ამ სიტყვებთან ერთად ჰასანმა ტაბლასთან თავისი ღულამები მოიხმო.

ღულამები უხმოდ მიუახლოვდნენ და რაჯას ფეხებთან საჩვენებლად წამოღებული საქონელი დააწყვეს. აქ იყო ქერმენის ნაქსოვი ხალიჩები, ვენეციური ბროლი, ჩრდილოეთის ლალი, ტოლედოს ფოლადი. რაჯამ ყურადღებით შეათვალიერა საქონელი. ბროლის სურას წკიპურტი გაჰკრა და მის ჟღერადობას მიაყურადა, ტოლედოს ნაჭედ სტილეტსაც მოუსინჯა ფხა. ბოლოს, ყველაფერი გვერდზე გადადო და ჰასანს გაკვირვებული მზერა მიაპყრო.

ვაჭრების მოტანილი ნივთები ქებას იმსახურებდა. ყოველი ნაკეთობა უზადო იყო, მაგრამ ეს არ იყო საჩუქარი. ეს მხოლოდ საქონლის ნიმუშები იყო, რაჯა კი მდიდრულ ნობათს ელოდა ბაღდადელი ვაჭრისგან. ჰასანი სწორედ ამას ელოდა და როგორც კი მასპინძლის განაწყენება შენიშნა, ღულამს ხელით ანიშანა, მერე კი რაჯა დარბაზის ფანჯრისკენ გაიხმო.

ჰასანი კარგად იცნობდა რაჯას. ისიც იცოდა, რომ მითხაპურის პატრონი, უსაზღვროდ იყო შეყვარებული ცხენებზე. ჯიშიან არაბულ ბედაურებს კი უბრალოდ აღმერთებდა.

ღულამების მიერ ჭიშკარში შემოყვანილმა ცხენებმა — ერთმა სანაქებო ულაყმა და ოთხმა ფაშატმა ყველაფერი გადაავიწყა რაჯას. სწორედ ეს სურდა ჰასანს. მან იცოდა, რომ მოულოდნელი ძღვენი ვაჭრობის სურვილს გაუქრობდა მასპინძელს. ამის მერე რაჯას მარტო ერთი სურვილი ექნებოდა — რაც შეიძლება მალე გაესტუმრებინა სტუმრები და არაბული ბედაურების ჭვრეტით დამტკბარიყო.

მკერდგანიერი, გრძელფაფრიანი და თვალებბრიალა ბედაურებით აღტაცებულმა რაჯამ, ზურგი შეაქცია სტუმრებს, ანცი ყმაწვილივით გავარდა დარბაზიდან და ეზოში

გავიდა. მალე სტუმრებიც უკან მიჰყვნენ.

რაჯა გაბრწყინებული თვალებით გარს უტრიალებდა ბედაურებს. ერთს ხელის სწრაფი მოძრაობით მოეფერებოდა ფაფარზე, მეორეს მკერდზე მოუთათუნებდა ხელს, მესამეს ფლოქვებს შეუმოწმებდა, მეოთხეს შუბლსა და ყურბზე მოეფერებოდა, მეხუთეს თვალებში ჩააცქერდებოდა და მერე ისევ პირველს უბრუნდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გული იჯერა, შემობრუნდა და ჰასანს უთხრა:

— შენი გულუხვობა ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ახლა მართლაც გამაკვირვე. არ ველოდი ასეთ საჩუქარს. ასეთი ბედაურები მითხაპურში კი არა, არაბეთშიც არ მეგულება. მართლმორწმუნე მუსლიმანი კი არა, ნამდვილად შაითნის მოციქული ხარ. მაინც სად გამოძებნე ეს ცხენები?

— ალაჰი შეგრისხავს, რაჯა. ნუ უწოდებ ჭეშმარიტ მართლმორწმუნეს, ალაჰისგან განდგომილს. — უპასუხა ჰასანმა.

— ასეთ ბედაურზე ამხედრებულს, ვერც ალაჰის რისხვა წამომეწევა და ვერც — შაითნის! — მღელვარედ განაგრძო რაჯამ. — შენი მოვალე ვარ. მითხარი რით გადაგიხადო სამაგიერო?

— მეგობრებისთვის არასოდეს მისესხებია რამე და შენც არ მიგიჩნევ მევალედ, — უპასუხა ჰასანმა.

პასუხმა რაჯა გამოაფხიზლა. მიხვდა, რასაც გულისხმობდა ბაღდადელი სტუმარი. ხუთი არაბული ბედაური ისეთი ძღვენი იყო, რის სანაცვლოდაც ჰასანი არანაკლებ მდიდრულ საჩუქარს ელოდა.

— შენ მეგობრად და გულისხმიერ მასპინძლად მიმიჩნევ, მე კი ამ პაპანაქებაში ეზოში გაჩერებ. უკან დავბრუნდეთ და იქ განვაგრძოთ ლაპარაკი. — თქვა რაჯამ, მერე მსახურებს შეუძახა: ცხენები საჯინიბოში წაიყვანეთ, გაბანეთ და დააპურეთო და ისევ სასახლეს მიუბრუნდა.

დარბაზში დაბრუნებისთანავე რაჯამ მსახური იხმო და რაღაც უბრძანა. მსახურმა მდაბლად დაუკრა თავი და დარბაზიდან გავიდა. მალე ის უკან დაბრუნდა და მაგიდაზე ოქროს სინი დადო, რომელსაც აბრეშუმის ხელსახოცი ჰქონდა გადაფარებული.

— ნუ ჩამითვლი ამას სესხად ან ვალის გასტუმრებად, ეს მეგობრული საჩუქარია, ისეთივე, როგორიც შენ მომიძღვენი, — თქვა რაჯამ.

ჰასანი წინ გადაიხარა და ლანგარს ხელსახოცი გადააძრო. აბრეშუმის ქვემოდან მაცდურად გამოანათა მარგალიტის გროვამ. მარგალიტის ნაწილი ცისფრად ციალებდა, ნაწილი — ოქროსფრად. გროვაში მხოლოდ ათიოდ ცალი ერია სახელგანთქმული ვარდისფერი მარგალიტი.

ჰასანმა ვარდისფერი მარგალიტებიდან ყველაზე მსხვილი ამოარჩია, ხელისგულზე დაიდო და თქვა:

— ძღვენისთვის მადლობას მოგახსენებ. მართლაც მეფური საჩუქარია. ეს თასი და მარგალიტი საპატიო ადგილს დაიკავებს ჩემს საჭურჭლეში, მაგრამ მარტო ამის ამარა უკან ვერ გავბრუნდები. მე სავაჭროდ ჩამოვედი მითხაპურს.

— ცუდი დრო შეგირჩევია ვაჭრობისთვის. ბაჰრეინი ის აღარ არის, რაც ორიოდ წლის წინ იყო. — შემპარავად წამოიწყო რაჯამ. — მარგალიტმა იკლო, მონები გაძვირდა. ეს პირუტყვები ორ-სამ წელსაც ვეღარ ძლებენ, ბუზივით წყდებიან. მტაცებელმა ზვიგენმაც მოუმატა თარეშს. დღე არ ჩაივლის, სამოოთხი მაძიებელი რომ არ გაიტაცოს. ზედამხედველებიც გაწუწკდნენ, სიკვდილით დასჯაც აღარ აშინებთ; მაინც იპარავენ მარგალიტს...

— საწყენია... ძალიან საწყენი... — ჰასანმა ეშმაკურად მოჭუტა თვალები და მერე დაამატა, — მალე ვაპირებდი უკან გაბრუნებას, მაგრამ როგორც ჩანს, დიდხანს მომიწევს აქ დარჩენა.

— დარჩენა? — გაუკვირდა რაჯას. — რისთვის?.. უბრალოდ იმაზე ძვირი დაგიჯდება მარგალიტი, ვიდრე ვარაუდობდი.

— არა, დარჩენა მომიწევს, — თავი გაიქნია ჰასანმა, — ასე სწრაფად ცხენებს ვერ გავყიდი.

— ცხენებს? — სწრაფად ჩაეძია რაჯა, — რომელ ცხენებს?

— არაბულ ბედაურებს. იმ ხუთი ბედაურის გარდა, რომელიც შენ მოგართვი, სხვებიც მყავს ჩამოყვანილი. ვაჭრობა ჩემი საქმეა. ვიცოდი, რომ მითხაპურში არაბულ ბედაურს კარგი გასავალი აქვს. ამიტომაც ვიყიდე საჯიშე ცხენების რემა, მათი აქ გაყიდვა მქონდა გადაწყვეტილი. მოგებული ფული კი მარგალიტად უნდა მექცია, მაგრამ რადგან მარგალიტი გაძვირებულა, ბედაურების ფასის აწევა მომიწევს. ასეთ ფასს კი ყველა ვერ შესწვდება!

რაჯა მიხვდა, რომ ჰასანის დაგებულ ხაფანგში გაება. ახლა სათქმელი აღარფერი ჰქონდა. ბაღდადელი ვაჭარი პატივისცემით მოეკიდა მხარის პატრონს. პირველ რიგში ის მოინახულა და მდიდრული ძღვენიც მიართვა. ახლა კი აგრძნობინებდა, რომ მარგალიტს იაფად თუ არ დაუთმობდა, არაბულ ბედაურებს სხვა მყიდველი გამოუჩნდებოდა.

— მარგალიტის მოპოვება გართულდა, მაგრამ ბუდა მფარველობს მითხაპურს. ჩვენში ჯერ არ გადაშენებულან მდიდარი ადამიანები... რამდენი ცხენი გყავს? — ჰკითხა რაჯამ.

— თხუთმეტი. სამი საუკეთესო ულაყი და თორმეტი ფაშატი.

— ყველა ისეთი, როგორებიც მე მაჩუქე?

— ტყუპისცალები გეგონება, — დაუდასტურა ჰასანმა.

რაჯამ კრიალოსანი აათამაშა ხელში და მერე თქვა:

— კარგი, ჰასან. ჩვენ ორივემ ვიცით ერთმანეთის ფასი. მოდი, თავი გავანებოთ ილეთ-ხრიკებს და პირდაპირ ვილაპარაკოთ... შენ იცი ჩემი წესი. მითხაპურში პირველვაჭრობა მე მეკუთვნის. საქონლის უდიდეს ნაწილს გაგისაღებ, რაღაცას სხვა ვაჭრებსაც ვარგუნებ. ეს ბროლი და ტოლედოს ფოლადი აღარ მაინტერესებს. ვისაც გინდა, იმას შესთავაზე, მაგრამ ცხენებს ვერავის დავუთმობ. არც შენ მოგცემ ამის უფლებას და სხვა ვაჭარსაც ახლოს არ გაგაკარებ, ესაა ჩემი სათქმელი. ახლა კი შეგვიძლია ფასზე ვილაპარაკოთ. მაინც რას ითხოვ შენს ბედაურებში?

— ცხენების უნახავად იწყებ ვაჭრობას? — ჩაიცინა ჰასანმა.

— გენდობი. სიტყვის კაცი ხარ. ისიც ვიცი, რომ ჯაგლაგებს არ ჩამოიყვანდი მითხაპურს და რომც ჩამოგეყვანა, მე არ შემომთავაზებდი.

— მაშინ მეც პირდაპირ გეტყვი სათქმელს. მითხაპურის ყველა ვაჭართან სარფიან გარიგებას, საქმის შენთან დაჭერა მირჩევნია, მაგრამ ფასს არ გეტყვი. შენც კარგად იცი, რაც ღირს ის ბედაურები და ფასიც შენ დაადე. მხოლოდ ისე, რომ დღესვე არ მომიხდეს მითხაპურის სტუმართმოყვარე სანაპიროს დატოვება!

რაჯა მოიღრუბლა. ჰასანი ისევ ჯაბნიდა. მითხაპურის პატრონი კარგად იყო გამოწვრთნილი ვაჭრობაში, მაგრამ როგორ გარიგებოდა სარფიანად კაცს, რომელიც არ ევაჭრებოდა და მას ანდობდა ფასის დანიშვნას, მაგრამ ამაშიც ხაფანგს გრძნობდა რაჯა. ჰასანს ფასი რომ არ მოსწონებოდა, არბული ბედაურების რემას თვალითაც ვერ იხილავდა; ბაღდადელი ვაჭარი სხვა მყიდველს გამონახავდა. თანაც მითხაპურში არა. განაწყენებული აღარაფერს დათმობდა, იმავე დღეს

გაიყვანდა ხომალდს ზღვაში და სხვაგან გაყიდდა ბედაურებს.

— თითო ასეთი ცხენი ხუთასი დირჰემი მაინც ეღირება, — აუჩქარებლად წამოიწყო რაჯამ.

ჰასანმა დუმილით უპასუხა.

— მაგრამ მე მაგ ფასს არ შემოგთავზებ, — რაჯა მიხვდა, რომ ბაღდადელი სხვა ფასს ელოდა, — მითხაპურელი ვაჭრები ექვსასს დირჰემსაც შემოგაძლევენ...

ჰასანმა ისევ არაფერი თქვა.

— მე კი თითო ცხენში შვიდას დირჰემს გადაგიხდი, — ცივად გამოცრა რაჯამ.

— მისანი ყოფილხარ. ზუსტად მაგ ფასად იყიდება არაბული ბედაურები ბაღდადის ბაზარში. — მშვიდად შენიშნა ჰასანმა.

რაჯამ ბრაზით გახედა. მერე მსახური თავისთან მიიხმო და რაღაც უბრძანა. როგორც კი ის დარბაზიდან გავიდა, რაჯამ ფლავიანი ლანგარი ახლოს მიიწია, ჭამას შეუდგა და თან ჰასანს უთხრა:

— შენც ჭამე. ვაჭრობა ჯერ არ დაგვიმთავრებია. მერე შეიძლება მადა წაგერთვას.

— შეიძლება, მაგრამ მე საქმის მომთავრების მერე მირჩევნია ლხენაგართობა, — უპასუხა ჰასანმა.



მსახური მალე დაბრუნდა დარბაზში და ბატონის წინ მოზრდილი ზარდახშა დადო. რაჯამ ნიშნის მოგებით გახედა ჰასანს, ზარდახშას სახურავი ახადა და მაგიდაზე მუჭით დაყარა მარგალიტი. ამჯერად ჰასანის გაოცების ჯერი დადგა. ასეთი მარგალიტი არასოდეს ეხილა. მარგალიტების ნაწილი კაკლის ზომისა იყო. რამდენიმე კი ქათმის კვერცხს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მარტო ზომაშიც არ იყო საქმე. მარგალიტები ბევრად მუქი იყო და ნაზი ვარდისფრის მაგივრად, შედედებულ სისხლისფრად ციალებდნენ.

— მოგწონს? — მოზეიმე ხმით იკითხა რაჯამ.

— ასეთი მარგალიტი არასოდეს მინახავს, — გულწრფელად უპასუხა ჰასანმა.

— ამაზე რაღას იტყვი? — ამ სიტყვებთან ერთად, რაჯამ ზარდახშიდან მომცრო ქისა ამოიღო, თასმა შეხსნა და ჰასანს კიდევ ერთი მარგალიტი უჩვენა. ეს მარგალიტი სხვებთან შედარებით მცირე ზომისა იყო. თხილისოდენა თუ იქნებოდა, მაგრამ ფერი ჰქონდა უჩვეულო. კუნაპეტი ღამესავით შავი იყო.

— მე შემიძლია, რემის საფასური ჩვეულებრივი მარგალიტით გაგისწორო, მაგრამ თუ გინდა, ამ მარგალიტებიდანაც დაგითმობ რამდენიმეს. მხოლოდ ამ შავ საოცრებას ნუ მთხოვ. ასეთ მარგალიტს საუკუნეში ერთს ან ორს თუ იღებენ ზღვიდან, — განაგრძო რაჯამ.

ჰასანს გაეღიმა. მიხვდა, რომ მასპინძელი მის თავიდან მოშორებას ცდილობდა. რაჯას არ ეთმობოდა რემა, მაგრამ იმ ფასის გადახდაც არ უნდოდა, რასაც მოითხოვდა ჰასანი. ამიტომაც უჩვენა იშვიათი მარგალიტი. იმედი ჰქონდა, რომ ბაღდადელი ვაჭარი სისხლისფერ კენჭებს დაეხარბებოდა და ცხენებშიც სხვა ფასს მოითხოვდა, მაგრამ რაჯა ცდებოდა. ჰასანი არ იყო ასე იოლად მოსადრეკი კაცი. მარგალიტი მართლაც მოსწონდა, მაგრამ არა იმდენად, რომ რემა ჩალის ფასად დაეთმო.

— დიდებული მარგალიტია. მართლაც მეფეთა საკადრისი, მაგრამ მე ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ. მეფეებს ვერ გავუტოლდები და ამ მარგალიტზეც არ შეგევაჭრები. — მშვიდად თქვა ჰასანმა.

რაჯას ყვრიმალები წამოუწითლდა. დამარცხების აღქმამ სიშმაგემდე მიიყვანა, მაგრამ მაინც შეძლო თავის მოთოკვა, მარგალიტები უხმოდ დააბრუნა ზარდახშაში, მსახურს ანიშნა, ზარდახშა გაიტანეო და ჰასანს უთხრა:

— შენი ფასი თქვი!

— ათასი დირჰემი, — მოკლედ მოჭრა ჰასანმა.

რაჯამ თავი ჩაქინდრა. ჰასანი არ აჭარბებდა. არაბული ბედაურები მართლაც ამდენი ღირდა. მის ადგილას სხვა ვაჭარი უფრო მეტ ფულს მოითხოვდა. ამ მხრივ, რაჯა წაგებულად არ მიიჩნევდა თავს. სხვა რამ აბრაზებდა. ვერ მოდრიკა ბაღდადელი ვაჭარი, თავის ფასზე ვერ დაითანხმა. ევაჭრა და ბოლოს, მაინც მის ნებას დაჰყვა. ეს მისთვის ბრძოლის წაგების ტოლფასი იყო. რაჯა კი არ იყო ჩვეული დამარცხებას. ახლა მიხვდა, რითიც დაჯაბნა ჰასანმა. მან ის შესთავაზა, რის ყიდვაზეც რაჯა უარს ვერ იტყოდა — არაბული ბედაურების რემა. მის დიდებულ მარგალიტებზე კი მშვიდად თქვა უარი. ამის შემდეგ რაჯას მხოლოდ ერთი გზა რჩებოდა. ბედაურების რემაში თხუთმეტი ათასი დირჰემი უნდა გადაეხადა და წყენა დაევიწყებინა.

— ისე, მოგებული მაინც შენ დარჩი, — ლაპარაკი განაგრძო ჰასანმა.

— მოგებული დავრჩი? — გაუკვირდა რაჯას. — შარაგზის ყაჩაღივით გამძარცვე და კიდევ მე ვარ მოგებული?!

— მოგებული ხარ. ეგ რემა დიდ ნამატს მოგცემს. რამდენიმე წელიწადში თავად გაყიდი საჯიშე კვიცებს. — დაამშვიდა ჰასანმა.

რაჯა მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე ჰკითხა:

— ჩემს ცხენებს როდის მომიყვან?

პასუხად ჰასანმა მსახურს გადახედა და ხომალდზე დაბრუნება და ცხენების სასახლეში მორეკვა უბრძანა. მერე კი რაჯას მიუბრუნდა და თვითონაც ჰკითხა:

— როდის გადამიხდი ცხენების საფასურს?

— როცა რემას მივიღებ, — უპასუხა რაჯამ.

— ცხენების მოყვანას რისთვის ველოდოთ. არ გეგონოს, რომ მასპინძლობას გიწუნებდე, მაგრამ ჩემს ხალხს ვერ მივატოვებ. რაც შეიძლება, მალე უნდა დავბრუნდე ხომალდზე. უბრძანე მსახურს საფასურის მომზადება. როგორც კი ცხენებს სასახლეში მოიყვანენ, ანგარიშს გავასწორებთ.

— როგორ გინდა მიიღო საფასური. ფულით თუ...

— მარგალიტით!.. — არ დაამთავრებინა ჰასანმა. — მითხაპურს მარგალიტისთვის ჩამოვედი, თორემ მაგ ცხენებს შენი სამფლობელოს მეზობლად, ორმუზშიც იმავე ფასად გავყიდდი.

— თხუთმეტი ათასი დირჰემის მარგალიტი გინდა? — გაუკვირდა რაჯას.

— ჰო, — დაუდასტურა ჰასანმა.

— ასე კარგად იყიდება მარგალიტი ბაღდადში?

— ეგ მარგალიტი ბაღდადის ბაზარში არ გაიყიდება.

— მაშ, სად გაიყიდება? — ჩაეძია რაჯა.

— ცინის ქვეყანაში.

რაჯამ გაოცებული მზერა ესროლა და მერე თქვა:

— მაკვირვებ, ჰასან. ათი წლის წინ რომ გეთქვა ეგ სიტყვა, მოგების მაძიებელ ვაჭრის ნათქვამად მივიჩნევდი. ახლა კი ფათერაკების მოყვარული ცუნდრუკი ყმაწვილის ნათქვამს ვისმენ. შენს ასაკს არ შეეფერება ასეთი მოგზაურობა. განა გესწავლება?.. გრძელი და მძიმეა ცინს მიმავალი გზა. მსმენია, მცხუნვარე უდაბნოებზე, ბობოქარ მდინარეებსა და უძირო უფსკრულებზე გადისო ის გზა. კიდევ მსმენია, რომ იმ გზებზე თათარი მძარცველები დათარეშობენ. ისინი ადამიანებიც კი არ არიან, არც საცხოვრებლის შენება იციან და არც — მიწის დამუშავება. ცხოველის ტყავით იმოსებიან და ცხვარს გამოუშიგნავად და გაუტყავებლად ხარშავენ. ამბობენ, ლაპარაკიც არ შეუძლიათო. სათქმელს ერთმანეთს ცხოველური ღმუღლით აგებინებენო!.. ხელი აიღე მაგ განზრახვაზე. დიდი მოგების ძიებაში, თავი არ წააგო!

— ეეჰ... ცოტა ხნის წინ, მეც იმავეს ვუმტკიცებდი ერთ კაცს, მაგრამ მაინც ამ გზას დავადექი.

— ესე იგი, შენც გცოდნია, რაც გელის იმ გზაზე.

— ვიცი, — თავი დაუქნია ჰასანმა.

— და მაინც მიდიხარ?!

— მე ვიცი, რომ ლოგინში სიკვდილი არ მიწერია და თუ ასე იქნება, მნიშვნელობა არა აქვს, სად წამომეწევა მტრის ისარი თუ ხანჯალი, ნადირის ეშვი თუ ბრჭყალი. გინდ ცინის ქვეყანაში და გინდაც — ბაღდადში. შორი გზა კი არ მაშინებს: ცხოვრებაში მრავალი უდაბნო გადამისერავს, ბობოქარი მდინარეც გადამიცურავს და უძირო უსკრულის ფსკერზეც დავშვებულვარ. ველური ტომიც ბევრი მინახავს. თანაც ისეთები, რომლებიც გაუტყავებელ და გამოუშიგნავ ცხვარს კი არ ხარშავდნენ, ერთმანეთს ჭამდნენ უმად. სისხლიც ბევრი მიღვრია და ოფლიც, მაგრამ მაინც დავბრუნებულვარ შინ და ახლაც ასე იქნება.

რაჯა დიდხანს დუმდა და მერე თქვა:

— მაშინ მე ერთ გარიგებას შემოგთავაზებ... ნუ აჩქარდები. მომისმინე, დაფიქრდი და მერე მომეცი პასუხი... ახლა კი მარტო ერთს გეტყვი: თუ შევთანხმდით, ზარდახშა სისხლისფერი მარგალიტით, შენი გახდება!..

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



# „ეს იყო თვით ოქროს ნათება...“

**შორენა მერკვილაძე**

*19 აგვისტოს მართლმადიდებელი სამყარო ფერისცვალების დღესასწაულს იზეიმებს. როგორც სახარება მოგვითხრობს, ჯვარცმამდე ცოტა ხნით ადრე, განკაცებულმა უფალმა მის მოწაფეთაგან გამოარჩია სამი — პეტრე, იოანე, იაკობი და მათთან ერთად ავიდა თაბორის მთაზე, სალოცავად. ვიდრე მაცხოვარი ლოცულობდა, დაღლილ მოწაფეებს მიეძინათ. ისინი ძლიერმა სინათლემ გამოაღვიძა და იხილეს, რომ მაცხოვარს ფერი ეცვალა: „და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“. ფერისცვალებისას მაცხოვრისგან ისეთი ნათელი გამოდიოდა, მოციქულებმა თვალი ვერ გაუსწორეს და პირქვე დაემხნენ. ამავდროულად, უფლის წინაშე მოსე და ელია წინასწარმეტყველი წარდგნენ. ისინი მაცხოვარს იმ ვნებისა და ტანჯვის შესახებ ესაუბრებოდნენ, იერუსალიმში რომ მოელოდა. მოწაფეები ენით აუწერელმა ნეტარებამ მოიცვა: „მოძღუარ, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაი და ვქმნთ აქა სამი ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა და ერთი ელიაისა“, — მიმართა პეტრემ მაცხოვარს. შემდგომ, მათ ნათელი ღრუბელი დაადგა, ხოლო ღრუბლიდან მოისმა ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ, მაგისი ისმინეთ“... ფერისცვალებით უფალმა თავის მოწაფეებს უჩვენა თავისი ღვთაებრივი ნათელი, დიდება და ბრწყინვალება. მოწაფეები სულიერი სიხარულითა და ნეტარებით აღივსნენ. ამიტომაც იყო, რომ პეტრემ მაცხოვარს სამი კარვის დადგმა და თაბორის მთაზე დარჩენა სთხოვა. მას ამით სურდა, სამუდამოდ გაგრძელებულიყო ის სულიერი მდგომარეობა, რომელიც იმჟამად დაეუფლათ. ასეთივე სიხარულითა და ნეტარებით აღივსება ყველა ადამიანი, ვინც ღვთივსათნოდ იცხოვრებს წუთისოფელში და ღირსი შეიქმნება გაბრწყინებული უფლის ხილვისა, რაც ზეციურ თაბორზე — ცათა სასუფეველში ელოდება... ფერისცვალების შესახებ გვესაუბრება ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ღვთისმსახური, არქიმანდრიტი* **მაკარი (აბესაძე)**.

— ყველა საღმრთო მოვლენა, საღმრთო სასწაული, მათ შორის, მაცხოვრის ფერისცვალებაც, რომელთაც ამა თუ იმ საუფლო თუ საეკლესიო დღესასწაულით განვადიდებთ, არის დროში რეალურად მომხდარი ფაქტი, რომელიც თავისი მადლითა და არსით ყოველწლიურად მეორდება. ამის ერთ-ერთი დასტური აღდგომის დღესასწაულზე ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლაა. ასევე, თაბორის მთაზე, სრულიად მოწმენდილ ცაზეც კი ყოველწლიურად გამოჩნდება ხოლმე ღრუბელი, რომელიც მთელი დღესასწაულის განმავლობაში მთას ადგას (როგორც ცნობილია, როდესაც თაბორზე უფალმა ფერი იცვალა, მას ღრუბელი დაადგა თავს, რადგან საღმრთო ნათებამ თვალი დაუბრმავა მოციქულებს — პეტრეს, იაკობსა და იოანეს). საუფლო და საეკლესიო დღესასწაულებში მონაწილეობით, ყველა ქრისტიანი იმ ღვთიურ სასწაულს ეზიარება, იმავე მადლით იმოსება, როგორითაც ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ესწრებოდნენ ამა თუ იმ საღმრთო სასწაულებს.

— **იმ უჩვეულო, თვალისმომ-**

**ჭრელი ნათელის შესახებაც ვისაუბროთ, რომელმაც მაცხოვრის ფერისცვალების ჟამს თაბორის მთა გაანათა...**

— ეს იყო თვით უფლის ნათება, შეუქმნელი, დაუსაბამო და დაუსრულებელი ღვთაებრივი ნათელი, რომელიც მარადის უფალშია — მისი თვისება, მისი ენერგიაა. სწორედ ღვთის ენერგიით ანუ ღვთის ნათლითაა უფალი ადამიანისთვის მისაწვდომი და არა არსობრივად. არსობრივად ღვთის შეცნობა ადამიანისთვის აბსოლუტურად შეუძლებელი, მიუწვდომელია.

**— განკაცებულ უფალს თორმეტი მოწაფე ჰყავდა, მან კი ფერისცვალების, თავისი ღვთაებრივი დიდებისა და ბრწყინვალების ხილვის ღირსად მხოლოდ სამი მათგანი — პეტრე, იოანე და იაკობი მიიჩნია. რატომ გამოარჩია მაცხოვარმა ისინი?**

— ეს მოციქულები ყველაზე მეტად იყვნენ მიმღებნი, სულიერად დამტევნი უფლის ფერისცვალების, ამ უდიდესი სასწაულისა და სწორედ ამიტომ გამოარჩია ისინი. პეტრე — სარწმუნოებით უპირატესია მოციქულთა შორის. გავიხსენოთ იესო ქრისტეს მიერ პეტრეს მიმართ წარმოთქმული სიტყვები: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი...“ ამ სიტყვებში იგულისხმება სწორედ პეტრე მოციქულის მტკიცე რწმენა, ძე ღვთისასთან მიმართებაში; იოანე ერთგულებითა და სიყვარულით, იაკობი კი მოწამებრიობით, მოშურნეობით გარდაემეტებოდა დანარჩენ მოციქულებს... მოციქულები განკაცებულ უფალს უყურებდნენ მხოლოდ ხორციელი, ფიზიკური თვალით, როგორც ადამიანს. უფალმა ინება, რომ მათთვის თავისი ღვთაებრიობაც განეცხადებინა, რადგან როდესაც მის ჯვარცმას იხილავდნენ (როგორც იცით, ფერისცვალება ჯვარცმამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა), სასოწარკვეთას არ მისცემოდნენ იმის გამო, რომ ის, ვისაც მხსნელს უწოდებდნენ, ვისიც სჯეროდათ და სწამდათ, დასაჯეს და მოკვდა. სწორედ ამ სამ მოციქულს — პეტრეს, იაკობსა და იოანეს, რომლებიც სულიერად სხვა მოციქულებზე მაღლა იდგნენ, მაცხოვრის ვნებისა და ჯვარცმის შემდეგ დანარჩენი მოციქულები უნდა განემტკიცებინათ იმაში, რომ იესო ქრისტე იყო ჭეშმარიტი ღმერთი, რაც მათ მანამდე ანუ ფერისცვალებისას ჰქონდათ ნანახი.

**— „უჩვენე მოწაფეთა შენთა დიდება შენი, ძალისაებრ მათისა...“ — ვკითხულობთ ფერისცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილ ტროპარში. რა იგულისხმება ამ სიტყვებში?**

— უფალმა მოციქულებს თავისი ღვთაებრივი დიდება და ბრწყინვალება გამოუვლინა არა სრული სისავსით, არამედ იმ დოზით, რაოდენი „ძალ ედვათ“, რამდენის დატევნაც შეეძლოთ. ღვთის ბრწყინვალების სრულყოფილად დატევნის ძალა არათუ ხორციელ ადამიანებს, არამედ ანგელოზებსაც არ შესწევთ.

**— „სახარებიდან“ ვიცით, რომ ვიდრე თაბორის მთაზე მოციქულებთან ერთად ასული მაცხოვარი ლოცულობდა, პეტრეს, იოანესა და იაკობს მიეძინათ. რამ მოჰგვარა მათ ძილი?**

— უპირველესად, ეს ღვთის განგებით მოხდა. როგორც წმინდა მამები გვიქადაგებენ, ადამიანმა მიღმური სამყარო პირდაპირ რომ იხილოს, მნიშვნელობა არა აქვს, კეთილი (უფლისა და ზეციური ანგელოზების) იქნება ეს თუ დაცემული (ბოროტი სულების), ერთ შემთხვევაში სიხარულისგან, მეორე შემთხვევაში კი შიშისგან სული და ხორცი ერთმანეთს განეშორება. მოციქულებისთვის ასეთი შემაძრწუნებელი რომ არ ყოფილიყო ამ უდიდესი სასწაულის — მაცხოვრის ფერნაცვალი მდგომარეობის ხილვა, უფალმა მათ ძილი მოჰგვარა, რათა ამ გზით მათი გონება დაემძიმებინა და ამ უდიდესი სასწაულის სახილველად შეემზადებინა. მეორე მხრივ, ისინი ფიზიკურადაც დაღლილები იყვნენ, რადგან თაბორის მთა საკმაო მაღალი, კლდოვანი ადგილია და იქ ასვლა დიდ ფიზიკურ შრომას მოითხოვდა.

**— საერთოდ, რატომ ინება უფალმა, რომ თავისი საღვთო ნათელი მთაზე გამოევლინა? რისი სიმბოლოა მთა, სიმაღლე?**

— სიმაღლე იმას მიანიშნებს, რომ ადამიანი ამქვეყნიურზე, მიწიერზე უნდა ამაღლდეს, რომ ღირსი შეიქმნას გაბრწყინებული უფლის ხილვისა ანუ სასუფეველი დაიმკვიდროს, რაც წუთისოფელში ყოფნისას ადამიანის მთავარ საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს. ეს კი ლოცვით, მარხვით, აღსარებით, სულიერი მღვიძარებითა და სხვა მცნებათა აღსრულებით უნდა მოვიპოვოთ.

**— საინტერესოა, უფლის ფერისცვალების ჟამს, მაინცდამაინც მოსე და ელია წინასწარმეტყველების მოვლინება რატომ ინება ღვთის განგებულებამ? და საერთოდ, რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ გამოჩენას?**

— წინასწარმეტყველთაგან მოსე და ელია უპირატესნი არიან — მოსემ სჯული მისცა ერს, მან გამოიხსნა ისრაელი, ელია კი უდიდესი წინასწარმეტყველია, რომელსაც ხორციელი სიკვდილი არ განუცდია, ცოცხლად იქნა ატაცებული ზეცად. ეს ორი უდიდესი პიროვნება მოვიდა და თაყვანს სცემდა იესოს, ქრისტედ წოდებულს, ნიშნად და დასტურად იმისა, რომ თვით უდიდესი წინასწარმეტყველნიც კი არარაი იყვნენ მის წინაშე. ამიტომაც არიან გამოსახულნი მოსე და ელია თავდახრილნი, ფერისცვალების ხატზე. მოციქულებმა ისიც იხილეს, თუ როგორ გაბრწყინდა უფალი და დაასკვნეს, რომ მათი მოძღვარი იყო არა უბრალო ადამიანი ან წინასწარმეტყველი, არამედ განკაცებული ღმერთი. „ძველი აღთქმის“ წინასწარმეტყველთა გამოჩენა იმაზეც მიანიშნებდა, რომ იმას, რასაც გვასწავლიდა „ძველი აღთქმა“ და რისთვისაც ამზადებდა ის კაცობრიობას, „ახალი აღთქმის“ მომცემელი — იესო ქრისტე აგვირგვინებს, რომელიც თვითონაა ჩვენი გამომხსნელი და მომცემელი „ახალი აღთქმისა“.

**— როგორ უნდა გვესმოდეს ფერისცვალებისას ზეციდან გარდამოსული სიტყვების მნიშვნელობა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ, მაგისი ისმინეთ“? ვიცით, რომ ეს სიტყვები მაცხოვრის ნათლისღების ჟამსაც გაისმა, როდესაც ყოვლადწმინდა სამების საიდუმლო განცხადდა...**

— მაცხოვრის ნათლისღების ჟამს განცხადდა ყოვლადწმინდა სამების საიდუმლო, მაგრამ მაშინ, ზეცით გარდამოსული სიტყვების აღსაქმელად და მისაღებად ადამიანები სულიერად მზად არ იყვნენ. ფერისცვალებისას კი ეს სიტყვები მოციქულებისთვის, უფლის მოწაფეებისთვის იყო გამიზნული, რომლებსაც მის მიერ აღსრულებული სასწაულებიც ენახათ. ამასთანავე, ამ უდიდესი სასწაულის დროს, მათზე სულიწმიდაც იყო გარდამოსული და ზეციური სიტყვები მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო. სწორედ მოციქულებს უნდა ემცნოთ და შეემეცნებინათ სხვებისთვის ეს ყველაფერი. ნათლისღებისას ზეცით გარდამოსული სიტყვები მოსამზადებელი იყო, ფერისცვალების ჟამს ნათქვამი კი — გვირგვინი. „მაგისი ისმინეთ“, — ამ სიტყვებით ღმერთმა მიგვანიშნა, რომ განკაცებული უფლის, იესო ქრისტეს სწავლების გარდა, რომლის გარეშეც შეუძლებელია ღირსნი გავხდეთ ღვთაებრივი ნათლის ხილვისა, სხვა სწავლება არ მივიღოთ.

# სტალინის „რებრენდინგი“

## რუსეთის მმართველი „ხალხთა ბელადის“ მემკვიდრეობას ლამობს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ახლახან გაავრცელა ბრაზმორეული განცხადება, რომელშიც პრეზიდენტი ბუში კომუნისტური იდეოლოგიის ჰიტლერიზმთან შედარებისთვის არის გაკიცხული. „XX საუკუნეში, — ნათქვამი იყო ბუშის განცხადებაში, — საბჭოთა კომუნიზმი და ნაცისტური ფაშიზმი დამარცხდა და ახალი დემოკრატიების გაჩენით მსოფლიოში თავისუფლება გავრცელდა“. ეს სავსებით სწორი და მისაღები მტკიცება რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში ისტორიის გადაწერის მცდელობად იყო აღქმული და ამის გამო, დაგმობილიც.

სინამდვილეში კი წარსულის შეფასებების გადახედვას განსაკუთრებული თავგამოდებით თვით კრემლი ცდილობს და ალბათ, ამით აიხსნება ორ დიდ ტოტალიტარიზმს შორის პარალელების გავლების გამო მისი ესოდენი განაწყენებაც. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დღევანდელ რუსეთში ოფიციალური ისტორიკოსების მთელი რაზმი შემზარავი დიქტატორის — იოსებ სტალინის იმიჯის გათეთრებაზე მუშაობს. სტალინის რეაბილიტაციის პროცესი ანუ „რებრენდინგი“, როგორც მას კრემლის მიერ უპირატესობამინიჭებული „პიარშჩიკების“ ჟარგონზე ჰქვია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა პედაგოგებთან შეხვედრაზე ვლადიმირ პუტინის გამოსვლის შემდეგ დაჩქარდა. მართალია, თავის გამოსვლაში პუტინმა აღიარა, რომ სტალინი შეცდომებს სჩადიოდა, მაგრამ არც იმის დამატება დაახანა, რომ სხვა ქვეყნები ამაზე უარესსაც სჩადიოდნენ და ამით ამერიკის შეერთებული შტატები და ნაცისტები, ერთ კატეგორიაში მოაქცია. რაც შეეხება შეცდომებს, შეხვედრაზე სტალინი, უკრაინაში გამიზნულად პროვოცირებული შიმშილობის, ბალტიისპირელების, ჩეჩნების და ადამიანთა სხვა არაკეთილსაიმედო ჯგუფების მიმართ ჩადენილი მხეცობისთვის და პოლონელი ინტელექტუალების, ოფიცრებისა და წინააღმდეგობის მებრძოლების მკვლელობისთვის კი არა, უპირატესად კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ჩადენილი შეცდომებისთვის გააკრიტიკეს.

პუტინმა დატუქსა ყველა, ვინც რუსეთში ისტორიის სწავლებისას მოვლენების ისეთი დამოკიდებულების წინ წამოწევის მომხრეა, როგორიც „რუსეთის მოქალაქეების ტვინებში სრულ ქაოსსა და არევ-დარევას უწყობს ხელს“. მან აღშფოთებით მოიხსენია იმ სახელმძღვანელოების ავტორებიც, რომლებიც უცხოურ გრანტებს იღებენ.

პუტინის გამოსვლა კრემლის მიერ დასპონსორებული რუსი ბავშვების არასწორი სწავლების კორექციის, უფრო კონკრეტულად კი მთელი რიგი ახალი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე საშუალებების გამოცემის და მასწავლებლების მიერ პუტინისა და მისი გარემოცვის საყვარელი იდეის — აგრესიული ნაციონალიზმით გაჟღენთილი, ისტორიის კონცეფციის ჩამოყალიბების ბიძგად იქცა. ახალი სასწავლო პროგრამა, რომელშიც პუტინის საქებარი სიტყვებიცაა ჩართული, დაუცხრომელი ანტიამერიკანიზმით გამოირჩევა. ამერიკას, კერძოდ, ცივი ომის გაჩაღება და აგრეთვე, რუსეთის იზოლაციის მიზნით, დემოკრატიის პროპაგანდის გამოყენება ჰბრალდება. იქვე ისიცაა ნაწინასწარმეტყველები, რომ მოსახლეობის მულტირასობრივი შემადგენლობა ამერიკას უცილობელ დაშლამდე მიიყვანს.

ცალკე უნდა გამოვყოთ პროგრამის ის ნაწილი, სადაც უშუალოდ სტალინზეა ლაპარაკი. იქ ის სასტიკ, მაგრამ წარმატებულ ადამიანადაა დახასიათებული. მისი დანაშაულები კი დამცრობილი ანდა (და სწორედ ეს არის ჭეშმარიტად ვერაგული სვლა!), როგორც რუსეთის პროგრესისთვის აუცილებელი, საერთოდაც გამართლებულია. თურმე, ომამდელი „წმენდები“ სამრეწველო განვითარებისთვის გამიზნული „მობილიზაციის“ იარაღი იყო, ხოლო ომის შემდგომი რეპრესიები — ცივი ომის გარემოებებით ნაკარნახები ზომები. და ასეთ პირობებში, თურმე „დემოკრატია სტალინის ხელისუფლებისთვის შესაძლებელი ვარიანტების რიგში ვერ შევიდოდა“.

ცალსახად ვაცხადებ, რომ დღევანდელი რუსეთი სტალინის რუსეთი არ გახლავთ. მისი რეჟიმი ტოტალიტარული კი არა, ავტორიტარულია, ხოლო ამ პირობებში ჩადენილი პოლიტიკური მკვლელობები თუ რეჟიმის კრიტიკოსების ციხეებში გამომწყვდევა მაინც არაფერია, სტალინის იმ ქმედებებთან შედარებით, რომლებსაც პოლიტიკური მოტივებით პროვოცირებული შიმშილობა, ეთნიკური წმენდები და მეზობელი ქვეყნების დაპყრობა ახლდა თან. მაგრამ სტალინისთვის კვლავ საპატიო ადგილის მიჩენის ამჟამინდელ მცდელობაში რაღაც ჭეშმარიტად დამღუპველი ნამდვილად არის. ქვეყნის დიადი ლიდერების პანთეონში სტალინის ჩარიცხვით, რუსეთის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა იმ შეუნიღბავად გამოხატული იდეის კიდევ უფრო განმტკიცებას ცდილობს, რომლის მიხედვითაც, ცოტა ხნის წინანდელი, დემოკრატიული მიღწევების გზიდან რუსეთის სისტემატური გადახვევა თვით ისტორიის მიერაა სანქცირებული. კრემლის „პიარშჩიკებმა“ სახელმწიფოს მართვის ახალი კონცეფციის აღმწერი ტერმინი — „სუვერენული დემოკრატია“ მოიგონეს. არადა, სინამდვილეში, ჭეშმარიტ

დემოკრატიასთან მას იმდენივე კავშირი აქვს, რამდენიც წარსულში — „სახალხო დემოკრატიას“ ჰქონდა.

XX საუკუნის ომებით მიღებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გაკვეთილიდან გამომდინარე, საზოგადოებისთვის აუცილებელია საკუთარი ისტორიის შავი ფურცლების აღიარება. გერმანიის მიერ საკუთარი ნაცისტური წარსულის უკუგდების ფაქტმა მშვიდობიანი და აყვავებული ევროპის ჩამოყალიბებაში ფუძემდებლური როლი შეასრულა. „სიმართლის კომისიამ“ და იმათი სასამართლო პროცესების გამართვამ, ვინც წარსულში ლათინურ ამერიკაში ბოროტმოქმედებებს სჩადიოდა, ამ რეგიონში დემოკრატია განამტკიცა და უგო ჩავესის მიმზიდველობის საპირწონედ იქცა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავის ისტორიაში რასიზმის ფაქტების აღიარებით, თავისუფლების ნიადაგზე დაფუძნებული მრავალეროვნული საზოგადოების შექმნას მოუმზადა საფუძველი.

რაღა თქმა უნდა, საკუთარი ისტორიის გონივრულ შეცნობასა და თვითგვემას შორის უხილავი ზღვარი გადის. მაგრამ არა მგონია, რუსეთი ამ ზღვარს ოდესმე გადასცდეს. ამიტომაც მომავალში რუს ბავშვებს სკოლაში აცნობებენ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი დესპოტი იოსებ სტალინი დანაშაულებს კი არა, მხოლოდ შეცდომებს სჩადიოდა, ხოლო ყველაზე სერიოზული შეცდომების ჩამდენნი, მიხაილ გორბაჩოვის ტიპის რეფორმატორები არიან, საბჭოთა კავშირის დაშლა კი საერთოდაც, გეოპოლიტიკური ტრაგედია იყო. სასკოლო პროგრამის ლაიტმოტივად იქცევა იდეა, რომლის მიხედვითაც, რუსეთის მთელი ისტორიის მანძილზე მიზანი თითქმის უცვლელად ამართლებდა საშუალებას.

რუსეთის ახალი ისტორია, პირველ რიგში, იმით მანერვიულებს, თუ რა გაკვეთილს მისცემს ის რუსების შემდგომ თაობებს, რომელთა დემოკრატიულ ფასეულობებზე აღზრდის დიდი იმედიც გვქონდა. ის არანაკლებ მანერვიულებს, როგორც იმის მორიგი დასტურიც, რომ რუსეთმა უარყო კურსი, რომელმაც სხვა საზოგადოებები ქვეყნის შიგნით თავისუფლების გაფართოებასა და დანარჩენ სამყაროსთან მშვიდობიან ურთიერთობამდე უკვე მიიყვანა.

***არჩ პუდინგტონი, Freedom House-ის დირექტორი მეცნიერების დარგში***

***National Post***

# რᲯᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲜᲝᲡᲢᲐᲚᲒᲘᲐ

## უკრაინელმა ისტორიკოსმა ბერიას „უკრაინელი ნაციონალისტი" უწოდა და მისი რეაბილიტაცია მოითხოვა

როგორც სააგენტო HBF Новый Регион იუწყება, უკრაინელი პოლიტოლოგი და ისტორიკოსი კოსტ ბონდარენკო საზოგადოებას უკრაინის ისტორიაში ლავრენტი ბერიას როლის „სერიოზული რევიზიისკენ" მოუწოდებს. ისტორიკოსის აზრით, ბერია „უკრაინელი ხალხის ჯალათი" არ ყოფილა, პირიქით, დასავლეთ უკრაინაში პოლიტიკის ლიბერალიზაციას უწყობდა ხელს, რისთვისაც დაისაჯა კიდეც. ჟურნალ „პროფილში" გამოქვეყნებულ სტატიაში „უკრაინელი ნაციონალისტი ლავრენტი ბერია" ბონდარენკო აღნიშნავს, რომ ეთნიკურ მეგრელ ბერიას უკრაინაში დღემდე მხოლოდ „შავ ფერებში" ხატავენ, რის გამოც ის მრავალთა თვალში კვლავაც „სტალინის ყველაზე უფრო ველური ნამოწყების სულისჩამდგმელსა და ხორცისშემსხმელს", „უკრაინელი და სხვა საბჭოთა ხალხების ჯალათს" წარმოადგენს. ისტორიკოსი მკითხველებს შეახსენებს, რომ სტალინური რეპრესიების პიკი 1937-38 წლებზე მოდის, როცა НКВД-ს სათავეში ნიკოლაი ეჟოვი ედგა, ლავრენტი ბერია კი ამ უწყებას 1939 წლიდან ხელმძღვანელობდა. ბონდარენკოს მტკიცებით, საბჭოთა კავშირთან დასავლეთ უკრაინის მიერთების შემდეგ, ბერია შიშობდა, რომ „უკრაინელებისთვის ეროვნული პოლიტიკის სფეროში დათმობის გარეშე ძნელი იქნება თვალმისაწვდომ მომავალში, ერთიორი თაობის შემდეგ, საბჭოთა კავშირისგან უკრაინის განდგომის თავიდან აცილება". მას კარგად ესმოდა, რომ „თაობების შემდეგ, უკრაინის მეამბოხეთა არმიის მებრძოლთა შვილები გაიზრდებოდნენ და მამების საქმის გაგრძელებას შეძლებდნენ". ბონდარენკო ირწმუნება, რომ ბერია უკრაინის მეამბოხეთა არმიის მებრძოლების რამდენიმე ამნისტიის ინიციატორი იყო, ის საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციასთან, ხოლო სამართალდამცავი ორგანოებიდან ითხოვდა ყველას, ვინც დასავლეთ უკრაინაში პოლიტიკის ლიბერალიზაციისთვის მზად არ იყო. „სტალინურ წესრიგს შეჩვეული პარტიული ნომენკლატურა და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობა სერიოზულად დააფრთხო ბერიას რეფორმებმა და თავიანთ რიგებში დაწყებულმა ტოტალურმა წმენდამ", — ხაზგასმულია პუბლიკაციაში. მისი ავტორის მტკიცებით, „სიცოცხლის ბოლო წლებში ბერია მხოლოდ უკრაინელებსღა ენდობოდა. მთელი მისი პირადი დაცვა უკრაინის დასავლეთი ოლქებიდან გაწვეული უკრაინელებისგან შედგებოდა".

ბონდარენკოს აზრით, ბერია, პირველ რიგში, „ლიბერალური რეფორმებისადმი მიდრეკილებებისა და ნაციონალურ საკითხში ლიბერალიზმისთვის დაისაჯა". თუმცა ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, მაინც მეორეხარისხოვანი მიზეზი აღმოჩნდა, რადგან მან „ძალაუფლებისთვის ბრძოლა წააგო ნიკიტა ხრუშჩოვთან, ვისაც სერიოზულად არასდროს აღიქვამდა და ყოველთვის მასხარად მიიჩნევდა".

### НКВД-ს სახალხო კომისრის თანამდებობაზე ბერიას საქმიანობის შესახებ

ცნობილია, რომ 1939 წელს, ნიკოლაი ეჟოვის ნაცვლად НКВД-ს სახალხო კომისრის თანამდებობაზე ბერიას მოსვლის შემდეგ, რეპრესიების ტემპმა იკლო. მეტიც, 1939 წელს ადრე „უსაფუძვლოდ გასამართლებულ" პირთა მთელი რიგი (არანაკლებ ასი ათასისა) საქმეების გადახედვა მოხდა.

1939 წლის ნოემბერში გამოვიდა ბრძანება „НКВД-ს ორგანოებში საგამოძიებო მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ", რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მკაცრ დაცვას მოითხოვდა. მაგრამ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივის ყოფილი ხელმძღვანელი, პროფესორი რუდოლფ პიხოია ამტკიცებს, რომ „ეს ყველაფერი მხოლოდ იოსებ სტალინის მიერ ეჟოვის წინააღმდეგ და საკუთარი პოპულარობის ამაღლებისთვის წამოწყებული თამაში იყო, რომელშიც ბერია გადამწყვეტ როლს არ თამაშობდა". იმავდროულად პუბლიცისტი და მწერალი ანდრეი პარშევი აცხადებს, რომ „სწორედ ბერია იყო რეპრესიების შემცირების შესახებ გამოცემული ბრძანებულების ინიციატორი".

1939-41 წლებში ბერიას მოღვაწეობას შედეგად საბჭოთა კავშირთან მიერთებული ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, დასავლეთ უკრაინის, დასავლეთ ბელორუსიის და მოლდავეთის მცხოვრებთა მასობრივი დეპორტაციები მოჰყვა. რეპრესიების ტემპების შემცირების მიუხედავად, საგრძნობლად გაიზარდა НКВД-სთან არსებული საგანგებო თათბირის (რომელმაც დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ „სასჯელის უმაღლესი ზომის" გამოყენების უფლებაც კი მიიღო) უფლებამოსილება.

ბერიას რეაბილიტაციის მოწინააღმდეგეები, „ხალხის აშკარა და განუიარაღებელი (ვინც არ განიარაღა) მტრების" წამების უფლების მიცემასაც მის სახელს უკავშირებენ. ბერიას 1940 წელს, პოლიტბიუროს საიდუმლო დადგენილებით, სმოლენსკის მახლობლად, კატინთან და კიდევ რამდენიმე ბანაკში ტყვე პოლონელი ოფიცრების მნიშვნელოვანი ნაწილის დახვრეტაშიც ადანაშაულებენ.

1941 წლის 22 ივნისის შემდეგ, საბჭოთა გერმანელების, ფინელების, ბერძნებისა და სხვა ხალხების პრევენციული დეპორტაციები განხორციელდა. 1943 წლიდან კი ყალმუხების, ჩეჩნების, ინგუშების, ყარაჩაელებისა და ბალყარელების, ყირიმელი თათრების, „თურქი მესხების" და აგრეთვე, გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობაში ბრალდებული ჩრდილოეთ კავკასიისა და ყირიმის ზოგიერთი სხვა ხალხების ტოტალური დეპორტაციებიც განხორციელდა. როგორც НКВД-ს მაშინდელ ხელმძღვანელს, ბერიას ყველა ამ დეპორტაციის ორგანიზებას უკავშირებს.

კრებულებში: „პოლონური იატაკქვეშეთი დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიებზე 1939-1941 წლებში" (ტ. I,II. ვარშავა-მოსკოვი, 2001) და „პოლონელი მოქალაქეების დასავლეთ უკრაინიდან და დასავლეთ ბელორუსიიდან დეპორტაცია 1940 წელს" (ვარშავა-მოსკოვი, 2003) დამტკიცებულია, რომ „დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში განხორციელებული დეპორტაციები, უპირატესად, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი და ნაციონალისტურად განწყობილი პოლონური მოსახლეობის ნაწილის წინააღმდეგ იყო მიმართული". ■

# ლიბანი, ჩეჩნეთი, პალესტინა: „მოჯაჰიდაათის“ ქსელი

1985 წელს, ლიბანელმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა და ნაციონალური პროსირიული პარტიის წევრმა, 19 წლის ლულა აბუდმა ლიბანში, გზაზე მიმავალი ისრაელის სამხედრო ჯოლონის მახლობლად თავი აიფეთქა. სწორედ მან, თავის მეგობარ სანა მეჰაიდისთან ერთად, უჩვენა მოწამის გზა იმ ათეულობით ქალს, ვინც შემდგომში მათი საქციელი გაიმეორა.

დღეს კამიკაძე ქალები მარტო ახლო აღმოსავლეთში ან მუსლიმანებით დასახლებულ სხვა რეგიონებში — მაგალითად, ჩეჩნეთსა და პალესტინაში კი არა, შრი-ლანკასა და ქურთისტანშიც სიკვდილის მთესველნი არიან და უკვე მასობრივი განადგურების იარაღადაც კი იქცნენ. 2003 წლიდან მოყოლებული, ერაყში თითქმის 50 ქალი გახდა შაჰიდი, კიდევ 122-მა კი (თუ რა თქმა უნდა, ადგილობრივი ხელისუფლება არ აზვიადებს) ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო. პენტაგონი შეშფოთებით აკვირდება კამიკაძე ქალების (რომლებიც ზოგჯერ ოპერაციაზე არასრულწლოვნებთან ერთადაც მიდიან) გამოყენების ფენომენს და მსგავსი ოპერაციების ზრდის ტენდენცია განსაკუთრებით აღელვებს. კერძოდ, თუ 2007 წელს ასეთი ტერაქტების რიცხვი 8-ს არ აღემატებოდა, წელს მათი რაოდენობა უკვე სამჯერ გაიზარდა.

ეს ფენომენი უკვე კვლევებისა და მოხსენებების თემადაც იქცა. თუ კაიდისტების იდეოლოგი აიმან აზ-ზავაჰირი ამტკიცებდა, რომ ქალების საქმე მხოლოდ მებრძოლებზე, ვაჟიშვილებზე ზრუნვაა, სხვა ადგილობრივი ლიდერები, მათი თანამგრძნობი იმამების ლოცვა-კურთხევით, ქალებს სიკვდილზე აუღელვებლად აგზავნიდნენ. 11 სექტემბრიდან მოყოლებული კი „მოჯაჰიდაათი“ ტერაქტების ერთგვარი ნიშანიც გახდა. ჩეჩენი „შავი ქვრივები“ იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ და მოსკოვში თეატრალური ცენტრის აღებაში მიიღეს მონაწილეობა, ასეთი ქალები უკვე თვითმფრინავებსაც აფეთქებენ და პალესტინელ ტერორისტ ქალებს ტოლს აღარაფერში უდებენ.

2002 წლის 27 იანვარს, მცირეწლოვანი ბავშვების დედა — ვაფა იდრისი, რომელიც მანამდე ინვალიდებს უვლიდა, უამრავი ადამიანით სავსე, იერუსალიმის ერთ-ერთ მაღაზიაში მშვიდად შევიდა, ფეხსაცმლის ფასი იკითხა და წამში ასაფეთქებელი მოწყობილობაც აამოქმედა. 2003 წელს უზბეკმა დილნოვა ხოლმურადოვამ ტაშკენტში მოწყობილი მსგავსი აქციით 47 ადამიანი იმსხვერპლა. ცუდი მაგალითი გადამდებიაო და ერაყში კრიზისის დაწყებისთანავე ომში კამიკაძე ქალებიც ჩაებნენ. სადამ ჰუსეინი ჯერ კიდევ ხელისუფლებაში რჩებოდა, როცა ამ ქალებიდან ორმა თავი ბლოკ-საგუშაგოზე აიფეთქა და მათ უმალ სხვა თანამემამულე ქალებმაც მიჰბაძეს. მათ შორის იყვნენ: 30 წლის ვენცა მულტაკიც — კამიკაძე ტერორისტის და, რომელსაც ქმარი ბრძოლაში დაეღუპა და რომელმაც თავი 22 ივნისს აიფეთქა და ერაყის კრიზისის დროს გაჩაღებული ბრძოლებისას ხუთი შვილის დამკარგავი დედა. მკვლევარ ფარხანი ალის აზრით, ოთხმა R-მ: Revenge (შურისძიებამ ოჯახის წევრის დაკარგვის გამო); Reassurance (იმის დემონსტრირებამ, რომ ქალს მამაკაცივით მოქცევა შეუძლია); Recruit (საკუთარი მაგალითით სხვა თანამგრძნობების გადაბირება); Respect (საზოგადოების მხრიდან პატივისცემამ) დედებიც კი მკვლელებად აქცია. კამიკაძე ქალების საშუალო ასაკი 15-დან 35 წლამდეა; მათი უმეტესობა, ღარიბთა რაიონებში ცხოვრობდა, ზოგიერთი კი „წამებულად“ ქცეული საზღვარგარეთელი ჯიჰადის მოხალისე მონაწილის ცოლი იყო.

კამიკაძე ქალების ფენომენზე საუბრისას, ყოველივე ზემოთ ნათქვამს ერთი და ალბათ, უმთავრესი ახსნაც უნდა დაემატოს: ქალებს შემოწმებისთვის თავის არიდების და მიზნის მიღწევის მეტი საშუალება აქვთ. სწორედ ამიტომაც შეიქმნა ბაღდადში სპეციალური ქვედანაყოფი — „ერაყელი ქალიშვილები“, რომლის შემადგენლობაში მყოფი ქალებიც ასევე ქალების კონტროლსა და შემოწმებას ახორციელებენ და ვისი სახითაც ერაყში „მოარული ბომბების“ წინააღმდეგ მიმართული „ადამიანური ფარი“ მოქმედებს.

***Corriera Della Sera***

*მოამზადა* **რუსუდან ლებანიძემ**

# წერილები პლანეტის სხვადასხვა კუთხიდან

## ბი-ბი-სი-ს ინგლისურენოვანი ფორუმის სამსახურებში სამხრეთ ოსეთში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით ათასობით წერილი შედის

ეს ხომ დეჟავუა! თავდაპირველად იუგოსლავია დაიშალა, შემდეგ — ჩეხოსლოვაკია, მერე კოსოვო წაართვეს სერბიას; ახლა კი დაშალა საქართველოს ემუქრება. ეს ყოფილი კომუნისტები — რუსები — უბრალოდ საშინელი ხალხია! ისინი ჩეჩნეთში აკეთებდნენ იმას, რაც სურდათ; ამჟამად კი ისინი იმავეს გაკეთებას მეზობელ საქართველოში ცდილობენ. რატომ გადგნენ რუსები გვერდზე და არაფერი გააკეთეს თავიანთი „სლავი ძმების“ — სერბებისთვის, რათა შეეჩერებინათ კოსოვოს გამოყოფა? ყოველთვის ვამბობდი, რომ პუტინი მომავალი მეორე სტალინია.

**სომეხი ბიჭი, თეირანი, ირანი**

ბად იყო დაყოფილი და თურქეთისა და სპარსეთის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. საქართველო ლეგიტიმურ დამოუკიდებელ ქვეყნად მხოლოდ მას შემდეგ იქცა, რაც ქართველმა თავადებმა მფარველობა რუსეთის მეფეს სთხოვეს. ქართველები და რუსები ერთად 300(?) წლის მანძილზე ცხოვრობდნენ და კიდევ 1000 წელი იქნებიან ერთად, მიუხედავად ბუშისა და სააკაშვილის მცდელობისა, წააჩხუბონ ისინი.

**გიორგი სააკაძე, გორი, საქართველო**

ვერ უძლებს — პასპორტებს ხომ სწორედ ამ მიზნით არიგებდნენ.

**კასპარი, ტალინი, ესტონეთი**

ღმერთო ჩემო, ადამიანებო! თქვენ, რა? არ გესმით, რა ხდება? ეს ხომ ძირითადად საინფორმაციო ომია. ამერიკელები ახალი ამბების საკუთარ ვერსიას იღებენ. ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას ესმის, რომ საქართველო იყიდეს. სააკაშვილს სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების უფლება არ ჰქონდა; განსაკუთრებით ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს. სირცხვილია!

**ანა, რიგა, ლატვია**

საქართველოს პირველს არ უნდა ესროლა ქვა, რადგან უნდა სცოდნოდა, რომ რუსეთის საპასუხოდ აგურს ესროდა.

**ჯონ ფრეიზერი, ახალი ზელანდია**

საქართველო ერთი ბეწო ქვეყანაა, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე სამთავროე-

ჩემს რუს მეგობრებს: თქვენს მეზობლად მცხოვრები ერების დამცირებითა და შეურაცხყოფით რის მიღწევას ცდილობთ? ვფიქრობ, ბევრი ვერაფრის მიღწევას შეძლებთ. იქნებ, შედარებით იაფად რომელიმე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის შეძენა ან მხოლოდ საკუთარი თავმოყვარეობის დაკმაყოფილება შეძლოთ. ყველასათვის უკეთესი ხომ არ იქნებოდა, მეზობლად მცხოვრები ხალხები თქვენსავე თანასწორად რომ მიგეჩნიათ?!

**რარი ს, სოფია, ბულგარეთი**

სამხრეთ ოსეთში მშვიდობის დასამყარებლად ერთი გზა არსებობს — იგნორირება გავუკეთოთ რუსეთს, რომელიც გამუდმებით კონფლიქტების გაჩაღების მიზეზს ეძებს. რუსების განცხადება, რომ ისინი იცავენ მათი პასპორტის მქონე მოქალაქეებს, ვერავითარ კრიტიკას

დასავლეთს არ აქვს იმის განსჯის უფლება, სწორია თუ არა რუსეთის ქმედება. კოსოვოს აღიარებით შეიქმნა პრეცედენტი. თუკი სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებლობას მიიღებს, ეი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

**MaxMaxmilianMaximusI, სინგაპური**

ევროკავშირის რეაქცია სულ უფრო და უფრო მაშფოთებს. ევროპა და კერძოდ, ბრიტანეთი არ უნდა ჩაერიოს ამ სიტუაციაში. რუსეთმა ევროკავშირისგან საკმარისი დამცირება აიტანა და ვფიქრობ, რომ რუსებს მოთმინება დიდხანს არ ეყოფათ. ვინაიდან ევროპა და ბრიტანეთი რუსულ გაზზეა დამოკიდებული, უმჯობესი იქნება, თუ სხვის საქმეში ცხვირს არ ჩავყოფთ.

**ტონი კერტისი, ნოტინგემი, ბრიტანეთი**

*მილიტარიზებული რუსული კლეპტოკრატია უკვე მრავალი წელია საქართველოს საქმეებში ერევა და იქ პროვოკაციებს აწყობს. ამის შესახებ ყველასთვის ცნობილია. საქართველოს აქვს უფლება დაიცვას თავისი იურიდიულად აღიარებული ტერიტორია — სამხრეთ ოსეთი. პრობლემის გადაჭრის პუტინისეული მიდგომა ჩვენ უკვე ვნახეთ ჩეჩნეთში, სადაც ყველაფერი პირისაგან მიწისა აღგავეს. პუტინს საქართველოში ხელისუფლების შეცვლა სურს, რათა პრეზიდენტის ადგილას მარიონეტული, მოსკოვის მიერ მართული წარმომადგენელი იხილოს.*

**Tess Tosta – Rowne,**
**დერბიშირი, ბრიტანეთი**

*სამხრეთ ოსეთში არ დარჩა წყალი, პროდუქტები და მედიკამენტები. ვინმემ მაინც თუ გაგზავნა იქ ჰუმანიტარული დახმარება? არა. რატომ? მხოლოდ რუსეთმა იზრუნა ლტოლვილებზე და ისინი ყველაფერი აუცილებლით უზრუნველყო. რატომ არ იღებს ქმედით ზომებს არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია? მათ მხოლოდ მსჯელობა და დავა ხელეწიფებათ.*

**იულია ალიევა,**
**ბაქო, აზერბაიჯანი**

*უცნაურია, რომ რუსეთს არ ესმის, რატომ მიმდინარეობს საქართველოში ომი. სიმართლე ისაა, რომ საქართველოში დამყარდება მშვიდობა, როგორც კი რუსეთი, ბოლოს და ბოლოს, აღიარებს მის დამოუკიდებლობას. რუსეთმა უნდა შეწყვიტოს ბინძური პოლიტიკური თამაშები და საკუთარ ქვეყანაში მშვიდობიანად ცხოვრების საშუალება მოგვცეს. ომები კავკასიაში — ოსეთში, აფხაზეთში, ჩეჩნეთში — სწორედ რუსეთის ხელისუფლების გამოისობით ხდება.*

**მამუკა, თბილისი**

მოხარული ვარ, რომ მედვედევმა განაცხადა: საქართველოში შეჭრა დასრულებულიაო. იმედი მაქვს, რომ ეს სიმართლე აღმოჩნდება. საინტერესოა, რატომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება? ნუთუ, რუსეთს მართლა სურს შეუერთდეს ცივილიზებული ევროპული სახელმწიფოების ოჯახს? თუ მხოლოდ მათი მაფიის საბანკო ანგარიშების გაყინვით დავემუქრეთ რუსეთს?

**სიუზანა სმიტი,**
**სოფოკლე, ბრიტანეთი**

*ჩემი აზრით, საქართველომ დიდი შეცდომა დაუშვა. ქართველებს ეგონათ, რომ ორდღიანი ომით ამ ავტონომიურ ტერიტორიებს დაიბრუნებდნენ. ჩემი აზრით, დასავლეთის მთავრობები მხარს უჭერდნენ საქართველოს ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ მათ რუსეთის სიძლიერე და საერთაშორისო არენაზე მთავარი მოთამაშის როლში ყოფნის სურვილი სათანადოდ ვერ შეაფასეს. მხოლოდ სულელ ლიდერს შეუძლია ომი დაიწყოს რუსეთის მსგავს სახელმწიფოსთან, თუკი მას ზურგს არავინ უმაგრებს.*

**იანოსი,**
**ნიკოზია, კვიპროსი**

მთელი ეს აურზაური ნავთისა და გაზის გამოა ატეხილი. ქართველებს რომ ბუნებრივ რესურსებთან შეხება არ ჰქონოდათ, არც ეს სამხედრო შეჭრა მოხდებოდა. პუტინი საქართველოში შესაჭრელად ხელსაყრელ მიზეზს ელოდა. ოლიმპიური თამაშები საამისოდ შესანიშნავი მომენტი აღმოჩნდა. თანავუგრძნობთ ქართველებს. რუსეთი ათწლეულობით ჩაგრავდა ყველას, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხარჯზე ცხოვრობდა და ამის კეთებას კვლავაც აგრძელებს. ვერც გაერო და ვერც ნატო ამას ვერაფერს უშველის.

**ენ პროკოფი,**
**ლივინგსტონი, აშშ**

*თუკი გსურთ, რომ პატივს გცემდნენ, პატივი ეცით სხვებს. რატომ მიგაჩნიათ, რომ თუკი თქვენი ქვეყანა დიდია და საქართველო — პატარა, ეს მას დამოუკიდებლობის უფლებას ართმევს? სანახევროდ რუსი ვარ და დიდი სურვილი მაქვს, რუსეთთან მეგობრული დამოკიდებულება გვქონდეს, მაგრამ თქვენ საამისოდ არანაირ შანსს არ გვიტოვებთ. შეცვალეთ თქვენი აგრესიული პოლიტიკა და მოიქეცით ისე, რომ ადამიანებს თქვენთან ერთად ყოფნის სურვილი გაუჩნდეთ. ამის სანაცვლოდ, თქვენ მხოლოდ აფრთხობთ ყველას.*

**ირმა კაიკაციშვილი,**
**თბილისი, საქართველო**

*ყველაფერი დამთავრდა! რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისმა არმიამ საკუთარი მისია შეასრულა. იმედი მაქვს, რომ სააკაშვილთან ურთიერთობას საკუთარი ხალხი თავადვე გაარკვევს. ის დაჰპირდა ხალხს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საქართველოს შემადგენლობაში დააბრუნებდა. ჩემი აზრით, ამჟამად ამასთან დაკავშირებული ყველა ილუზია განქარდა. უფრო მეტიც, აფხაზეთმა დაიბრუნა 1990 წელს დაკარგული ტერიტორიები. სამწუხაროა, რომ ამ გიჟური ავანტიურის გამო ამდენი ხალხი დაიღუპა.*

**ჯორჯი,**
**დუბლინი, ირლანდია**

*რუსეთმა საქართველოდან მთლიანად უნდა გაიყვანოს ჯარები. რუსეთს არ შეუძლია მშვიდობის-მყოფლის როლის შესრულება. გაერომ და ნატომ უნდა შეიყვანონ თავიანთი ნამდვილი მშვიდობისმყოფლები, რათა ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარ სახლებში დაბრუნების საშუალება მიეცეს. ვლაპარაკობ ადგილობრივ მოსახლეობაზე და არა რუსეთის მიერ შეგზავნილ ადამიანებზე. თუკი რუსეთი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას ითხოვს, რატომ არ აძლევს თავად დამოუკიდებლობას ჩეჩნეთს?*

***დოქტორი ს. გებრიელი, აშშ***

*რა გამოდის, ამერიკას აქვს უფლება სუვერენული სახელმწიფოს ოკუპირებისა, მაგალითად, ერაყისა და ავღანეთისა, რუსეთს კი საკუთარი მოქალაქეების დაცვის უფლება არა აქვს? ტიპური ამერიკული ლოგიკაა.*

***პიტერი, სიდნეი, ავსტრალია***

*მიმაჩნია, რომ კოსოვოს აღიარებით საერთაშორისო თანამეგობრობამ დიდი შეცდომა დაუშვა. ამერიკელი თუ ევროპელი პოლიტიკოსებიდან მაშინ ვინ გამოვიდა იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად? საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საქართველოს ხელისუფლებამ ეთნიკური უმცირესობის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენება გადაწყვიტა. სამხრეთ ოსეთში კოსოვოს ვარიანტი განმეორდა, მაგრამ ამერიკელმა და ევროპელმა პოლიტიკოსებმა ამას სულ სხვა კუთხით შეხედეს.*

***მილან ბანოვსკი, ბრატისლავა, სლოვაკეთი***

*მთელი თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე რუსეთი გამუდმებით ბანდიტის როლს თამაშობდა. რუსები ყოველთვის თავს ესხმოდნენ მეზობელ ქვეყნებს, თუკი იგრძნობდნენ, რომ იქ მათი გავლენა შესუსტდებოდა. ასე მოხდა 1965 წელს უნგრეთში და 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში. ყველას გვახსოვს მათი სასტიკი შეჭრა ავღანეთსა და ჩეჩნეთში. ახლა რუსული დათვი პატარა საქართველოს დაესხა თავს. გაუმარჯოს საქართველოს! სირცხვილი რუსეთს!*

***დოქტორი იასარ ჰამადი, შეფილდი, ბრიტანეთი***

**P.S.** *ფოტოებზე აღბეჭდილია სხვადასხვა ქვეყანაში რუსეთის საელჩოებთან ქართველი ემიგრანტების მიერ ჩატარებული საპროტესტო აქციები* ■

# არასრულწლოვანი გოგონას შეურაცხყოფას მხეცური დანაშაული მოჰყვა

## „აღიარება მკვლელს არ ამართლებს... უსამართლობას კი ჩემი შვილის სისხლზე არ ვაზეიმებ!"

**17 წლით თავისუფლების აღკვეთა 26 წლის ელგუჯა კვარაცხელიას განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისთვის მიუსაჯეს. უმძიმესი დანაშაული, რომელსაც მისი მეზობლისა და ბავშვობის მეგობრის — 29 წლის კობა დარსალიას სიცოცხლე შეეწირა, როგორც ამბობენ, ოჯახებს შორის დაძაბულ ურთიერთობასა და არასრულწლოვანი გოგონას ღირსების შელახვას მოჰყვა. მძიმე შეურაცხყოფას სასტიკი შურისძიებით უპასუხეს. გულმკერდის არეში დანით მიყენებული ჭრილობა კობა დარსალიასთვის საბედისწერო აღმოჩნდა და ის ადგილზევე — საკუთარი საცხოვრებელი სახლის ჭიშკართან გარდაიცვალა...**

მკვლელობაში ეჭვმიტანილი — გოგონას ძმა სამართალდამცველებმა დანაშაულის ღამესვე, შემთხვევის ადგილიდან ოდნავ მოშორებით დააკავეს. თუმცა, როგორც თავად დაკავებულმა განაცხადა, ის არსად გარბოდა და თავადვე აპირებდა, პოლიციას ჩაბარებოდა. სასამართლო პროცესზე აღიარებითი ჩვენების მიცემისას, განსასჯელმა არაერთხელ გაიმეორა, რომ დის შეურაცხყოფას მეზობელს არაფრით აპატიებდა...

ჩადენილი დანაშაული, როგორც პროკურატურის წარმომადგენელმა საბრალდებო დასკვნის გამოცხადებისას აღნიშნა, კვარაცხელიას არც ერთი დაკითხვისას არ მოუნანიებია, რაც მის აგრესიულ ხასიათსა და წინასწარ დაგეგმილ მზაკვრულ განზრახვაზე მეტყველებს. სახელმწიფო ბრალმდებლის თქმით, კვარაცხელიას თავისუფლად შეეძლო, უთანხმოება სხვაგვარად მოეგვარებინა და უბედურება არ დაეტრიალებინა. თავისი პოზიციის გასამყარებლად, სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ მტკიცებულების სახით არაერთი მოწმის ჩვენება და თავად ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება წარმოადგინა.

რაც შეეხება დანაშაულის იარაღს — დანას, რომლის სიგრძეც დაახლოებით 20 სანტიმეტრამდე უნდა ყოფილიყო, სამართალდამცველებს არ ამოუღიათ. დაკითხვისას კვარაცხელიამ თქვა, რომ დანა გაურკვეველი მიმართულებით მოისროლა და არ ახსოვს, ზუსტად სად.

საქმის მასალების მიხედვით, კვარაცხელიებსა და დარსალიებს შორის დავა შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრე, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით წარმოიშვა. ამ საკითხის გასარკვევად მეზობლები რამდენჯერმე შეიკრიბნენ და „გარჩევაში" სხვა ნეიტრალური პირებიც — ასევე მეზობლები ჩართეს. საბოლოოდ, საკითხი კვარაცხელიების სასარგებლოდ გადაწყდა და სწორედ მაშინ, საქმეში ჩარეულმა ნეიტრალურმა მეზობლებმა მოდავეებს ხელწერილის გაფორმება ურჩიეს. ხელწერილში უნდა აღნიშნულიყო, რომ იმ მომენტიდან დარსალიები ნახსენებ ნაკვეთზე პრეტენზიას აღარ განაცხადებდნენ და ამ საკითხს სადავოდ კვლავ არ გახდიდნენ. ასეთ ხელწერილს დარსალიებმა ხელი მოაწერეს, მაგრამ ამან პრობლემა არ გადაჭრა და მიუხედავად ხელწერილისა, რამდენიმე დღეში კონფლიქტი ისევ განახლდა.

რომან დარსალია — დარსალიების ოჯახის უფროსი ამბობდა, რომ ის შეკრებაზე შეცდომაში შეიყვანეს და მიწის ნაკვეთზე სრული უფლება ჰქონდა, ამიტომ ხელახალ შეკრებას და საქმის გარჩევას მოითხოვდა. მეზობლები ამაზე ვერ მორიგდნენ. განსაკუთრებულ აგრესიას, მოწმეებისა და მეზობლების ჩვენებების მიხედვით, დარსალიების უფროსი ვაჟიშვილი — კობა გამოხატავდა. ამას კატეგორიულად უარყოფენ თავად დარსალიები. მათი თქმით, ამ კონფლიქტში, აწ გარდაცვლილი ყველაზე ნაკლებად აქტიურობდა, რადგან მუდმივად თბილისში ცხოვრობდა, ზუგდიდის რაიონში კი მხოლოდ დროდადრო ჩადიოდა. უთანხმოების შესახებ, როგორც დაზარალებულები ამბობენ, მან ოჯახის

წევრებისგან იცოდა და ბუნებრივია, მათ მხარს უჭერდა.

ჩვენებებში სხვა ფაქტებს აფიქსირებენ კვარაცხელიები. მათი თქმით, წარსულში ნასამართლევი დარსალია „გარჩევებში“ არათუ მონაწილეობდა, უფრო მეტიც, სისტემატურად ემუქრებოდა და აშანტაჟებდა კვარაცხელიებს. *„...ერთ საღამოს თავისი „ოპელით“ მოადგა ჩვენს ჭიშკარს და ჩემი მეუღლე — მერაბი იკითხა. არ მინდოდა ქმრის დაძახება, რადგან გული მიგრძნობდა, ეს ამბავი კარგად არ დამთავრდებოდა, მაგრამ მაინც ვერ გავბედე ამის დამალვა. ვიცოდი, ჩემი ქმარი მაინც გაიგებდა და გამინაწყენდებოდა. სანამ მერაბს დავუძახებდი, კობას დედაშვილურად ვთხოვე, — როგორც საკუთარ შვილს, ისე გთხოვ, მშვიდად ილაპარაკეთ და მამისტოლა კაცს წონასწორობიდან ნუ გამოიყვან-მეთქი. არაფერი უპასუხია, დაუძახეო — კვლავ გამიმეორა... მერაბი მანქანაში ჩაისვა და სადღაც წაიყვანა...“* — წერს **ციცო კვარაცხელია** ჩვენებაში.

**მერაბ კვარაცხელია:**

*„...მთხოვა, მანქანაში ჩავმჯდარიყავი. მეც დავთანხმდი, წინ დავჯექი. მანქანა მან სოფლის ბოლოში გააჩერა და ორივენი გადავედით. მეგონა, მიწის ნაკვეთზე დამიწყებდა ლაპარაკს, მაგრამ ამაზე სიტყვაც არ დაუძრავს. პირდაპირ მითხრა — 2.000 ლარი უნდა გადამიხადოო. მე ვუთხარი, — რისთვის? ამდენი ფული არ მაქვს და თან, მე რატომ მთხოვ-მეთქი? — თუ გინდა, ამ თანხას თვეებზე გადაგინაწილებ, ყოველთვიურად 300 ლარი გადამიხადეო. როცა ვეკითხებოდი, — რატომ? — მპასუხობდა, — ასე თუ არ მოიქცევი, ინანებ და უფრო ძვირი დაგიჯდებაო... მანქანაში ჩავსხედით და ისევ ჩემს სახლთან ჩამომსვა. შვილისთვის ამის შესახებ არაფერი მითქვამს, ვიცოდი, რომ გაბრაზდებოდა და უბედურება დატრიალდებოდა“.*

მერაბ კვარაცხელიას თავშეკავებამ უბედურებისგან დარსალიების ოჯახი ვერ იხსნა. იმის გამო, რომ კვარაცხელია დუმდა, არა მარტო საკუთარი ოჯახის წევრებთან, არამედ თავად დარსალიასთან და მის მოთხოვნას სრულ იგნორირებას უწევდა, დარსალიას გაღიზიანება გამოიწვია. ამას აფიქსირებენ კვარაცხელიები და მათი ახლობლები, ხოლო დარსალიები კატეგორიულად უარყოფენ.

*„ჩემი შვილი არც შანტაჟისტი და არც გამომძალველი ყოფილა. გარდა იმისა, რომ ახალგაზრდა ვაჟკაცი მომიკლეს, ახლა მის სულს შეურაცხყოფას აყენებენ და ტალახს სცხებენ. ამას მათ არ ვაპატიებთ, ყოველი სიტყვისთვის პასუხს აგებენ“,* — განაცხადა სასამართლო პროცესზე **მოკლულის დედამ**. როცა განსასჯელის ადვოკატი ჩაეკითხა, თუ რას გულისხმობდა ამ სიტყვებში, დაზარალებულმა უპასუხა: *„ჩვენ მკვლელები არ ვართ, რომ ისეთი სისასტიკე ჩავიდინოთ, რაც მან გააკეთა. პასუხს ღვთისა და კანონის წინაშე აგებენ...“*

კვარაცხელიები კი, თავის მხრივ, მძიმე შეურაცხყოფაზე ლაპარაკობენ. მათი თქმით, დანაშაულის მიზეზი სწორედ ეს გახდა. საქმის მასალების მიხედვით, მერაბ კვარაცხელიას საქციელით გაღიზიანებულმა დარსალიამ გარეთ, მეზობლების გასაგონად, კვარაცხელიების არასრულწლოვან ქალიშვილს დაუძახა და მას სექსუალური კავშირის დამყარება შესთავაზა. ატირებული გოგონა შინ გაიქცა და მომხდარის შესახებ დედას უთხრა. დედა-შვილის საუბარი შემთხვევით, გვერდით ოთახში სწორედ იმ მომენტში შესულმა ელგუჯა კვარაცხელიამ გაიგონა და განრისხებულმა, მეზობელზე შურისძიება მაშინვე გადაწყვიტა. თუმცა განზრახვა სისრულეში მაშინვე არ მოუყვანია.

ამის გამო, დაზარალებულის ადვოკატმა უარყო განსასჯელის დაცვის მხარის პოზიცია უმძიმესი შეურაცხყოფით გამოწვეული სულიერი აღელვების შესახებ. ადვოკატის თქმით, კვარაცხელიას დანაშაული აფექტის მდგომარეობაში რომ ჩაედინა, მაშინ შურისსაძიებლად, დაუყოვნებლივ გავარდებოდა და არა რამდენიმესაათიანი ფიქრის შემდეგ. *„მან კი, პირიქით, ყველაფერი აწონ-დაწონა, გააანალიზა, განზრახვის სისრულეში მოსაყვანად სახლიდან 20-სანტიმეტრიანი დანა აიღო და მკვლელობის ჩასადენად გაემართა“,* — აღნიშნულია დაზარალებულის **ადვოკატის** შუამდგომლობაში.

დაზარალებულის ვარაუდით, კვარაცხელიამ თავისი განზრახვა მაშინვე იმიტომ არ განახორციელა, რომ იცოდა — იმ დროს დარსალია მეზობლებთან ერთად ქუჩაში იდგა და მიზნის მიღწევაში ხელი შეეშლებოდა. საბრალდებო დასკვნისა და განაჩენის თანახმად, მკვლელობა ღამით, დაახლოებით 11-ის ნახევარზე მოხდა. კვარაცხელიამ დარსალია ჯერ სახლიდან გამოიხმო. ისიც უყოყმანოდ გავიდა ძახილზე. ჭიშკართან გასული დარსალიასთვის, კვარაცხელიას სიტყვაც არ უთქვამს, ისე, დანა პირდაპირ სხეულში ჩაარტყა. დანიანი ხელი მან ერთხელ მოიქნია და დარსალიას გულმკერდის არეში, შემავალი ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა მიაყენა. სასიკვდილოდ დაჭრილი, ადგილზევე გარდაიცვალა.

*„...არ ვიცი, გარეთ რამ გამახედა. ძახილი კი გავიგონე, მაგრამ კვარაცხელიას ბოღმის შესახებ მე არაფერი ვიცოდი და ამიტომაც არ შემშინებია... ეზოში გავვარდი, მაგრამ ბნელოდა და თავდაპირველად ვერაფერი დავინახე. მერე, უეცრად ჩემი შვილი ძირს დაგდებული ვიპოვე. ფეხი კინაღამ წავკარი... უგონოდ იყო, არ რეაგირებდა. მიშველეთ-მეთქი, კივილი ავტეხე, მაგრამ მაშინ შვილი ჯერ კიდევ ცოცხალი მეგონა, ვფიქრობდი, რომ გონება ჰქონდა დაკარგული. ჭრილობა რომ შევამჩნიე, თვალებში დამიბნელდა და მერე აღარ მახსოვს, რა როგორ მოხდა... ქუჩაში ვითომდა მომხდარი ინციდენტი სინამდვილეს არ შეესაბამება. ის ცინიკოსი და ბილწი არასდროს ყოფილა და მის თვალწინ გაზრდილ გოგონას ასეთ რამეს არ აკადრებდა. იმ დროს, ჩვენს ეზოსთან ახლოს, ბაღის სკამზე რამდენიმე მეზობელთან ერთად მართლაც იჯდა თურმე, მაგრამ არც ერთ იქ მყოფთაგანს არ უთქვამს ჩვენთვის, რომ მსგავსი უხეშობა გამოიჩინა ჩემმა შვილმა თეა კვარაცხელიას მიმართ. ასეთი ვითომდა ფაქტის შესახებ მხოლოდ მოგვიანებით დაფიქსირდა, რაც, ეჭვი არ მეპარება, რომ კვარაცხელიების ზეწოლის შედეგია. მათ სურდათ, ამ მხეცური მკვლელობისთვის რაიმე გამართლება მოეძებნათ და მკაცრი სასჯელისგან ამ გზით მაინც ეხსნათ დამნაშავე“,* — აღნიშნავს **მოკლულის დედა**.

სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით ორივე მხარე დარჩა უკმაყოფილო, თუმცა განსაკუთრებული პროტესტი მსჯავრდადებულის მხარემ გამოხატა. ადვოკატის თქმით, მოსამართლემ არ გაითვალისწინა განსასჯელის გულწრფელი აღიარება და არც საქმეში არსებულ უზუსტობებს მიაქცია ყურადღება. დამცველის აზრით, სასამართლომ დამნაშავეს მეტისმეტად მკაცრი სასჯელი შეუფარდა.

*„აღიარება მკვლელს ამ სადისტურ დანაშაულში არ ამართლებს. მით უმეტეს, რომ სინანული მისთვის არც მოსამართლეს, არც დარბაზში მყოფ რომელიმე პირს არ შეუმჩნევია. მან ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე შვილი მომიკლა, მთელი ოჯახი გაგვაუბედურა, მას კი ციხეში დიდი ხნით ჯდომა არ უნდა. განადგურებულ დედას ვეღარაფერი მანუგეშებს, მაგრამ უსამართლობას ჩემი შვილის სისხლზე არ ვაზიმებ!“* — წერს **მოკლულის დედა** პალატის მოსამართლეებისთვის გაგზავნილ წერილში.

მხარეების საჩივარი მოსამართლეებმა დაწვრილებით განიხილეს და მოწმეთა ჩვენებებსაც გადახედეს, ზოგი მათგანი ხელახლა დაჰკითხეს, მაგრამ განაჩენის უკანონობის ნაცვლად, როგორც თავად აღნიშნეს განჩინებაში, პირიქით, მის აბსოლუტურ სამართლიანობაში დარწმუნდნენ. ■

# ამერიკელი თინეიჯერი პრეზიდენტ ბუშზე თავდასხმას გეგმავდა...

## ჩხრეკისას მას იარაღის არსენალი და კორტეჟის მარშრუტის განრიგი აღმოუჩინეს...

**ამ რამდენიმე დღის წინ შტატ მერილენდის ქალაქ როქვილში სამსჯავროს წინაშე 18 წლის ქოლინ მეთიუ მაკქენზი-გიუდი წარდგა. სამართალდამცველების ინფორმაციით, თინეიჯერს იარაღის მთელი არსენალი და პრეზიდენტის რეზიდენციის რუკა აღმოაჩნდა. თუ რა ზრახვები ჰქონდა მოზარდს, საზოგადოებისთვის ჯერჯერობით უცნობი რჩება.**

როგორც სამართალდამცველები ამბობენ, გამოძიება მიმდინარეობს და დეტალებს არკვევენ. ქოლინ მეთიუ პოლიციამ საკუთარ საცხოვრებელ ბინაში დააკავეს, 5 ავტომატი, პისტოლეტები, საბრძოლო მასალა, ასაფეთქებელი ნივთიერება და ზემოთ აღნიშნული რუკაც სწორედ მისი ბინის ჩხრეკისას იპოვეს. ცეცხლსასროლი იარაღის გარდა, ქოლინს შინ ისეთი ბინოკლი აღმოუჩინეს, როგორსაც ჩვეულებრივ, სნაიპერები იყენებენ. პრეზიდენტის რეზიდენციის რუკას კი თან ახლდა კორტეჟის მარშრუტი და ინსტრუქციაც იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოკლა ადამიანი 200 მეტრის მანძილიდან...

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 29 ივლისს ქოლინი როქვილში მდებარე სუპერმარკეტში მივიდა და სანამ მაღაზიაში შევიდოდა, 78 წლის მამაკაცს დაესხა თავს. მოხუცს ავტომანქანის გასაღები წაართვა, რის შემდეგაც მის CHEVROLET PRISM-ში ჩაჯდა და მანქანის დაქოქვას შეეცადა. ქოლინს ხელი მოეცარა, რადგან გასაღები იმ ავტომობილის სულაც არ აღმოჩნდა. გაწბილებულმა ქოლინმა ფეხით გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ აჩქარებულს, ავტომანქანის სალონში თავისი პეიჯერი დაუვარდა. პოლიცია დამნაშავის კვალს სწორედ ამ პეიჯერის მეშვეობით დაადგა. მის ადგილსამყოფელს მალე მიაგნეს, თუმცა მაშინ ვერც წარმოიდგენდნენ, რომ თავდასხმასა და ძარცვაში ეჭვმიტანილს ბინაში ქვეყნის პრეზიდენტის განადგურების გეგმაც ექნებოდა.

სამართალდამცველთა ეჭვების საპასუხოდ, ქოლინის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს არავის მკვლელობა ან ვინმესთვის თუნდაც ზიანის მიყენება მიზნად არ ჰქონია. პროკურორმა კი, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ მოზარდი, რომელსაც აშკარად საშიში ზრახვები აქვს, საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს და ამიტომაც, მისი იზოლაცია უნდა მოხდეს. მხარეების პოზიციების მოსმენის შემდეგ, მოსამართლემ სხდომაზე

გირაოს საკითხიც განიხილა და საბოლოოდ, ის 750 ათასი დოლარით განსაზღვრა.

მომხდარ ფაქტს დიდი გამოხმაურება და საზოგადოების შეშფოთება მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ შტატ მერილენდში 21 წლამდე ასაკის პირებს ისეთი იარაღის ტარება ან ფლობა, როგორიცაა ავტომატი და პისტოლეტი, სასტიკად ეკრძალებათ. ბრალდებულის მამამ — ჯოზეფ გიუდმა, ალბათ შვილის როგორღაც გამართლებას და ბრალის მთელი სიმძიმის საკუთარ თავზე აღების მიზნით, სასამართლო პროცესზე ხმამაღლა განაცხადა, რომ შვილისთვის იარაღს თავად ყიდულობდა. ამ სიტყვებზე სამართალდამცველებმა რეაგირება მყისვე მოახდინეს და ჯოზეფ გიუდი დააკავეს.

მამა-შვილის გარდა, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, პოლიციის ხელში კიდევ ერთი თინეიჯერი — ქოლინის 17 წლის მეგობარი აღმოჩნდა. მისი ვინაობის გამჟღავნებისგან სამართალდამცველები თავს იკავებენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ დაკავებული, ქალაქ გეიტერსბურგის მკვიდრია და რაიონულ პოლიციაში სტაჟირებას გადიოდა. გამოძიება

ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ასაფეთქებელი ნივთიერების შესაძენად საჭირო ყალბი საბუთი ქოლინს სწორედ მეგობარმა დაუმზადა.

საქმის გამოძიებაში ამერიკის თითქმის ყველა სპეცსამსახურია ჩართული, მათ შორის — ფედერალურ გამოძიებათა ბიურო, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, ეროვნული უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი საიდუმლო სამსახური (რომელიც უშუალოდაა პასუხისმგებელი ქვეყნის პირველი პირების, მათ შორის, პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე), თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროები. მათი მთავარი ამოცანა ახლა იმის გარკვევაა, თუ როგორ აღმოჩნდა მოზარდის ხელში პრეზიდენტის რეზიდენციის რუკა და ასევე, კორტეჟის ზუსტი მარშრუტი. აღსანიშნავია, რომ რეზიდენცია, რომელიც რუკაზეა აღბეჭდილი, სწორედ მერილენდში მდებარეობს. საინტერესოა ასევე, როგორ და ვისი მეშვეობით მოიპოვა ქოლინმა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურისა და ამერიკის საკონტრაქტო თანამშრომლის მოწმობები. აქვე განვმარტავთ, რომ ამ საბუთს იმ ამერიკელ მოქალაქეებს აძლევენ, რომლებიც ერაყში მსახურობენ.

მიუხედავად ქოლინის ბინიდან ამოღებული მართლაც შოკის მომგვრელი ნივთმტკიცებებისა, ჯერჯერობით არც ერთ ამერიკელ ოფიციალურ პირს არ წარმოუთქვამს ხმამაღლა ბრალდება — ამერიკის პრეზიდენტზე თავდასხმის მცდელობა, — თუმცა, როგორც ჟურნალისტები ვარაუდობენ, ბრალის ასეთი ფორმულირება საქმეში საბოლოოდ მაინც დაფიქსირდება.

ქოლინს ვაშინგტონის, სენტ-ჯონის კათოლიკური სკოლის მასწავლებელთა სიაც უპოვეს. სიაში პედაგოგების საცხოვრებელი მისამართებიცაა მითითებული. გაირკვა, რომ წლეულს ბრალდებულმა სწორედ სენტ-ჯონის სკოლა დაამთავრა. გაიხსენეს ისიც, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში, ერთი და იმავე ხელწერით შესრულებულ დანაშაულთა მთელი სერია დაფიქსირდა. მაგალითად, 2008 წლის 7 თებერვალს, ოჰაიოს შტატის ქალაქ პორტსმუტში მდებარე ერთ-ერთ სასწავლებელში დაუდგენელი პირი ცეცხლსასროლი იარაღით ხელში შეიჭრა და იქ მყოფთ ცეცხლი გაუხსნა; მეორე დღეს — 8 თებერვალს ლუიზიანის შტატის ქალაქ ბატონ-რუჟეში მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა, იგივე განმეორდა ივლისში შტატ ტენესიშიც... 14 თებერვალს სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად, 6 სტუდენტი გამოასალმა სიცოცხლეს, აპრილში კი სტუდენტებზე სისხლიანი შურისძიების შესახებ მოწოდებები ილინოისისა და მიჩიგანის არაერთი უმაღლესი სასწავლებლის კედლებზე ნახეს წარწერილი. გარდა ამისა, ყველას ახსოვს 2007 წელს ვირჯინიის შტატში დატრიალებული საშინელი ტრაგედია, როდესაც 23 წლის ჩო სინ ჰის მიერ განხორციელებულ ისტერიკულ სროლებს 32 სტუდენტის სიცოცხლე შეეწირა...

ყოველივე ამის ფონზე, გამოძიება ვარაუდობს, რომ შეიძლება, ქოლინის სახით სტუდენტ-მასწავლებელთა მიმართ აგრესიულად განწყობილი ახალგაზრდების დაჯგუფების ერთ-ერთ წარმომადგენელთან აქვს საქმე. ზოგის აზრით, ქოლინის დაკავებით, პოლიციამ მარტო პრეზიდენტი ბუში კი არა, ათეულობით სტუდენტი და პედაგოგი იხსნა სიკვდილისგან.

აღმოჩენილმა ნივთმტკიცებებმა და დაგროვილმა სამხილებმა, როგორც ჩანს, სამართალდამცველები ისე შეაშფოთა, რომ მათ ერთგვარი გულის დამამშვიდებელი ვერსიაც კი გამოთქვეს: შესაძლოა, ქოლინი სინამდვილეში არც არავის მოკვლას აპირებდა და ზემოთ აღნიშნულ ფალსიფიცირებულ დოკუმენტებს უბრალოდ, კოლექციისთვის აგროვებდა...

■

*რუბრიკა მოამზადა* **მეგი ცანავამ**

# პეკინი — ქართველი ოლიმპიელების ფრონტის ხაზი

*ცივი გონება და ზუსტი სამიზნე — ეს სნაიპერისთვის დაუწერელი კანონია. თუმცა, როდესაც იცი, რომ სამშობლოში თანამოქალაქეებს გიხოცავენ, სამიზნის გასწორებაც ორმაგად ძნელია და შემდეგ, იმ მაღალი ქულების დაგროვებაც, რომლებიც ოლიმპიურ ოქროს მოგიტანს...*

თამარ ჯიშკარიანი

ნინოს ბრინჯაო დღეს ოქროს გოლფასია

10 აგვისტო — ეს იყო ოლიმპიური თამაშების და საქართველოში რუსული აგრესიის მესამე დღე. იმ დღეს, როდესაც რუსი „სალდაფონები“ უმოწყალოდ ბომბავდნენ ქართულ ტერიტორიას, საომარი მოქმედებებიდან ასეულობით კილომეტრების დაშორებით, პატარა პოლიგონზე, რუსი და ქართველი სნაიპერი ქალები ოლიმპიური მედლისთვის სამიზნეს ესვრიან.

ქართველი ოლიმპიელების ვეტერანმა — ნინო სალუქვაძემ, მას შემდეგ, რაც პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაო მოიპოვა, მეორე ადგილზე გასულ რუს ნატალია პადერინას გადაეხვია. როგორც ამბობენ, ამ გარემოებამ განსაკუთრებულად, სააგენტო „როიტერის“ ჟურნალისტები აღაფრთოვანა. „თუკი მსოფლიოში ჩემი საქციელიდან დასკვნებს გააკეთებენ, მაშინ ომი აღარსად იქნება...“ — განუცხადა ნინომ „როიტერის“ კორესპონდენტს.

ეს ოდნავ მოგვიანებით მოხდა. მანამდე, ერთ დროს, საბჭოთა გუნდის ორი წევრი, სნაიპერი პნევმატური იარაღით სროლაში რამდენიმე საათის განმავლობაში, დაძაბულ ბრძოლაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს და პირველ ადგილზე გასულ ჩინელ სპორტსმენს გუო ვენჯუნგს. „ბოლოს და ბოლოს, XXI საუკუნეში ვცხოვრობთ. ჩვენ არ უნდა ვესროდეთ ერთმანეთს“, — უთქვამს ნინოს მას შემდეგ, რაც სამიზნისკენ ბოლო ტყვია გაისროლა, იარაღი დაუშვა და თვალიდან ცრემლი მოიწმინდა.

თუკი მსოფლიოში ჩემი საქციელიდან დასკვნებს გააკეთებენ, მაშინ ომი აღარსად იქნება...

ნაგალია პადერინა, გუო ვენჯუნგი და ნინო სალუქვაძე

ნინოს ბრინჯაო დღეს ოქროს ტოლფასია — ასე შეფასდა ქართველი ოლიმპიელის გამოსვლა. სპორტსმენის სათვალავში ეს, რიგით მესამე (მოგეხსენებათ, ნინომ 19 წლის ასაკში, 1988 წელს სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ერთი ოქრო 25-მილიმეტრიანი პისტოლეტით, ხოლო ვერცხლი — 10-მილიმეტრიანი პნევმატური პისტოლეტით სროლაში მიიღო), დამოუკიდებელი გუნდის სახელით კი პირველი მედალია. პირველია პეკინის თამაშებზე ქართული დელეგაციისთვისაც და იმედია, მას სხვა ყალიბის მედლებიც შეემატება.

„ეს არის მცირედი გამარჯვება ჩემი ხალხისთვის“, — თქვა ნინომ და მას შემდეგ, რაც პადერინას გადახედა დაამატა: „სპორტში ჩვენ (ნინომ ამ მომენტისთვის, მეომარი ქვეყნები იგულისხმა) მეგობრები ვართ და ამას ხელს ვერაფერი შეუშლის...“ პასუხად ვერცხლისმედალოსანმა რუსმა სპორტსმენმა განაცხადა: „ჩვენ დიდი ხანია, მეგობრები ვართ. დიდი ხანია, ერთად ვისვრით, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული. მართლა მეგობრები ვართ და ვერანაირი პოლიტიკა ჩვენს ურთიერთობას ვერ შეცვლის. სპორტი არ არის პოლიტიკა“...

თუმცა სპორტი — უდიდესი პოლიტიკაა და მას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია. ქართველი ოლიმპიელების გულისტკივილი აკი შეისმინეს... ქართველი ოლიმპიელები მიუხედავად იმისა, იმარჯვებენ თუ არა, პეკინში ყურადღების ცენტრში არიან.

ოლიმპიურ სოფელში საქართველოს დროშა 7 აგვისტოს, საერთაშორისო ზონის მოედანზე, საღამოს 6 საათზე აღიმართა — რუმინეთის, პოლონეთის, გვინეისა და სომალის დროშების გვერდით. საქართველოში მიმდინარე საომარი მოქმედებების მიუხედავად, საქართველოსა და რუსეთის ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელებმა გარკვევით განაცხადეს, რომ გუნდები თამაშებში ურთიერთპატივისცემის პრონციპებს დაიცავენ. ეს განცხადება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ გააკეთა და დასძინა, რომ „მოხარულები არიან საქართველოს გუნდის გადაწყვეტილებით, დარჩნენ ოლიმპიურ თამაშებზე“.

მოგეხსენებათ, რომ ქვეყანაში რუსული აგრესიის შემდეგ, ქართველმა ოლიმპიელებმა გადაწყვიტეს, პროტესტის ნიშნად, პეკინის ოლიმპიური თამაშები დაეტოვებინათ. მათ კარგად

ესმოდათ, რომ მსგავსი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში, ქართულ გუნდს რვაწლიანი დისკვალიფიკაცია ელოდა. ჩვენი გუნდის სპორტსმენებს გასაჭირის ჟამს ოჯახებთან და ახლობლების გვერდით ყოფნა უნდოდათ: მოგეხსენებათ, რომ გუნდში არიან სპორტსმენები გორიდან, ფოთიდან, ცხინვალიდან...

ოლიმპიურ სოფელში გამართული საგანგებო თათბირის შემდეგ, საქართველოში გამომგზავრების გადაწყვეტილება ქართულმა დელეგაციამ ერთხმად მიიღო. ჩვენები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავკაცსაც შეხვდნენ. ჟაკ როგმა მოუსმინა, გაუგო და, მსოფლიოს ოლიმპიელების სახელით, შესაბამის რეაგირებასაც დაჰპირდა, მაგრამ ამასთანავე, ქართველ ოლიმპიელებს გადაწყვეტილების გადახედვა ურჩია... ქართველები თვითმფრინავს ელოდნენ, როცა მათ ქვეყნის პირველი პირი დაუკავშირდა და გადაწყვეტილების შეცვლა სთხოვა. ოლიმპიელების ფრონტის ხაზი ხომ პეკინში გადის...

ჩვენი გუნდის სპორტსმენებს გასაჭირის ჟამს ოჯახებთან და ახლობლების გვერდით ყოფნა უნდოდათ

მიუხედავად ამისა, ქართველებმა ერთი საპროტესტო აქცია ოლიმპიურ სოფელში მაინც გამართეს და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის სოჭში ჩატარების მიზანშეწონილობის საკითხზეც დააფიქრეს. რუსეთის საზღვაო ქალაქი, მის მიერ მეზობელი საქართველოს ოკუპირებული აფხაზეთის გვერდითაა. ოლიმპიური კომიტეტი დაფიქრდება, რამდენად უსაფრთხოა სოჭიდან 15 წუთის სავალზე მდებარე საომარი ზონის გვერდით, სპორტსმენთა ყველაზე დიდი ფორუმის ჩატარება.

მიუხედავად ამისა, სოჭის ოლიმპიადაზე პასუხისმგებელი დიმიტრი ჩერნიშენკო დარწმუნებულია, რომ 2014 წლისთვის ვითარება დარეგულირდება. „მე ვარ მენეჯერი და პასუხისმგებელი ამ თამაშებზე. მე უფრო ოპტიმისტურად ვარ განწყობილი“, — განუცხადა მან სააგენტო „როიტერს“...

## გამარჯვებული ფალავნები

*ნინო სალუქვაძის „ბრინჯაოს“ ორი ქართველი მოჭიდავის „ოქრო“ მოჰყვა:* ***მანუჩარ კვირკველია*** *და* ***ირაკლი ცირეკიძე*** *პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონები გახდნენ. ვულოცავთ მათ და მთელ საქართველოს, ძნელბედობის ჟამს მიღწეულ ამ უდიდეს წარმატებას!*



# პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი

## როგორ დაასრულა დავით ციმაკურიძემ მარცხით დაწყებული ოლიმპიადა ოქროს მედლით

*საქართველოს ბევრი გამოჩენილი მოჭიდავე ჰყოლია, რომელთა შორის, დავით ციმაკურიძე უდავოდ ერთ-ერთი გამორჩეულია. ამის დასტურად ის ფაქტი გამოდგება, რომ ბატონი დავითი პირველი ქართველი გახლდათ, ვინც ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და თავისუფალი სტილით მოჭიდავე საბჭოთა სპორტსმენებს შორისაც პირველმა მოიგო ოლიმპიური ოქრო. გარდა ამისა, ციმაკურიძე ზედიზედ შვიდჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ასეთი შედეგისთვის კი, „თავისუფლებს“ შორის არც ერთ ქართველს არ მიუღწევია. მის ნიჭს საქართველოს ფარგლებს გარეთაც რომ აფასებენ, ამას ციმაკურიძისთვის დაღესტნის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებაც მოწმობს. აქვე გეტყვით, რომ ოლიმპიური ჩემპიონის მამაც მოჭიდავე იყო, რომლის თაობაზე ბატონმა დავითმა ჩვენი საუბრის დასაწყისშივე მოგვითხრო.*

ლამა თაბაგარი

### მიშიკო მაჩაბელი

— მამაჩემი — მიხეილ ციმაკურიძე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, როდესაც კოლია ქვარიანმა ჭიდაობაში ჩააბა. მაშინ, რიონისპირა ქალაქის ცირკში ხშირად ტარდებოდა შეჯიბრება სპორტის ამ სახეობაში და ერთხელ, ბატონმა კოლიამ არენაზე მამაჩემიც გამოიყვანა. ბაბუაჩემს ვიღაცამ ამბავი მიუტანა, რომ მისი შვილი გიმნაზიაში კი არ დადიოდა, არამედ ცირკში ჭიდაობდა. მან არ დაიზარა და ობჩიდან, რომელიც ქუთაისიდან 18 კილომეტრითაა დაშორებული, სიმართლის დასადგენად, ცხენით ჩავიდა. ადგილზე მისულმა, მართლაც, დაინახა, რომ მისი შვილი ერთ-ერთ ათლეტს ეჭიდავებოდა. მამაჩემი ასპარეზობას რომ მორჩა, ბაბუამ ის არენის კიდესთან მიიხმო, სილა გააწნა და ყურიც აუწია. თან დაამატა: ჭიდაობას გიკრძალავ, აღარ გაბედო ციმაკურიძეების გვარის შერცხვენაო!.. იმ დროს, ცირკში ქუთაისის გუბერნატორი იმყოფებოდა, გვარად მაჩაბელი, რომელიც ამ სცენას შეესწრო და დაინტერესდა, რაში იყო საქმე. როდესაც მამამ შექმნილი ვითარება აუხსნა, გუბერნატორმა უთხრა: მანამდე, ვიდრე მამაშენი დაინახავს, რომ ნამდვილი მოჭიდავე ხარ და შენი გვარით ასპარეზობის ნებას დაგრთავს, შეგიძლია, ფსევდონიმად ჩემი გვარი აიღო. იქიდან მოყოლებული, მამაჩემი მიშიკო მაჩაბლის ფსევდონიმით გადიოდა არენაზე და კარიერა ისე დაასრულა, რომ ბევრმა არც იცოდა, მისი ნამდვილი გვარი ციმაკურიძე თუ გახლდათ. რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ კოლია ქვარიანს — ის, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, სადაც ასევე აგრძელებდა ჭიდაობას და ვინაიდან გამორჩეული ღონის პატრონი იყო, რამდენიმე ფილმშიც გადაიღეს. სამწუხაროდ, საკმაოდ ხანში შესულ ქვარიანს ქუჩაში რამდენიმე ახალგაზრდასთან ჩხუბი მოუხდა და ის ამ ჩხუბს შეეწირა.

ბავშვობიდან მეგსახელად ამურის მეძახიან. სწორედ ჩემს პაგივსაცემად ჰქვია ერთ-ერთ საჭიდაო ილეთს „ამურის ტრიალი“

### ტანვარჯიშისთვის დამძიმებული

— სანამ ჭიდაობაში ვარჯიშს დავიწყებდი, ტანვარჯიშს მივდევდი და პირველთანრიგოსნის ნორმატივიც შევასრულე. სპორტის ოსტატის წოდების მიღებისთვის ვემზადებოდი, მაგრამ ასაკთან ერთად, წონაც მომემატა, 70 კილოგრამს მივაღწიე, რაც ვარჯიშში ხელს მიშლიდა. ერთხელ, ტრიალს რომ ვასრულებდი, ღერძიდან ჩამოვვარდი. საბედნიეროდ, არ დავშავებულვარ. გარკვეული დროის შემდეგ, იგივე გამეორდა და ჩემმა მწვრთნელმა, არჩილ ბაქრაძემ მითხრა: დავით, ხომ ხედავ, წონაში იმატებ და ეს მხოლოდ დასაწყისია. ჯობს, მამაშენის გზას გაჰყვე და ჭიდაობას მოჰკიდო ხელი. ნახავ, რა არის მაყურებელი, თაყვანისმცემელი ბევრი გეყოლება. რაც შეეხება ტანვარჯიშს, საქართველოში იგი ნაკლებად პოპულარულიაო. 15 წლის ვიყავი, როდესაც პირველად მივედი საჭიდაო დარბაზში და მწვრთნელ პეტრე იორდანიშვილთან შევუდექი ვარჯიშს. ტანვარჯიშთან განშორება მაინც მიჭირდა და ხანდახან შევირბენდი ხოლმე არჩილ ბაქრაძესთთან, რომელსაც ვეტყოდი: ჭიდაობის მწვრთნელი ავად გახდა და ცოტას წავივარჯიშებ-მეთქი. მართალია, მას ერთი საათის წინ ნანახი ჰყავდა სრულიად ჯანმრთელი იორდანიშვილი, მაგრამ ჩემს ტყუილზე თვალს ხუჭავდა და ვარჯიშის ნებას მრთავდა. რაც შეეხება ბატონ პეტრეს — ის ჭიდაობაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, ინჟინრობას, მწვრთნელობა არჩია და საქართველოში ჭაბუკ მოჭიდავეთა პირველ სექციას ჩაუდგა სათავეში. ის მეცადი-

ნეობას ისე წარმართავდა, რომ წვრთნის ორი საათი ოც წუთად მეჩვენებოდა. იორდანიშვილი ოჯახთან ერთად, დარბაზის გვერდით მდებარე ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა. ეს საჭიდაო არენა მის სახელთან იმდენად იყო ასოცირებული, რომ იორდანიშვილის სიცოცხლეშივე, დარბაზს „პეტრეს ცირკი“ შეარქვეს. სწორედ იქ აღიზარდა არაერთი ცნობილი ქართველი ფალავანი. თბილისში ახალი დარბაზები რომ აშენდა, „პეტრეს ცირკს“ მოკრივეებისთვის გადაცემას უპირებდნენ, მაგრამ მოჭიდავეებმა არ დათმეს და საკმაოდ დიდი დავის შედეგად, დარბაზს სტატუსი შეუნარჩუნეს.

## მოჭიდავე და ძალოსანი

— ჭიდაობის პარალელურად, გოლდშტეინთან კრივში ვვარჯიშობდი, ასევე მივდევდი ცურვასა და ძალოსნობას. ერთი სიტყვით, მრავალმხრივი სპორტსმენი ვიყავი, ხოლო ძალოსნობაში იმდენად კარგი შედეგი მქონდა, რომ მწვრთნელებმა შემომთავაზეს, სპორტის ამ სახეობას გავყოლოდი. საქართველოში კარგ მოჭიდავეებს რა გამოლევს, ძალოსნები კი ცოტა გვყავსო, — მეუბნებოდნენ. მახსოვს, ლენინგრადში საქართველოს მოჭიდავეთა და ძალოსანთა ნაკრები ერთ-ერთ საკავშირო ტურნირზე გამოდიოდა. თავისუფალ ჭიდაობაში საშუალო წონაში პირველი ადგილი დავიკავე და ვინაიდან ჩვენი მძიმეწონოსანი ძალოსანი ავად გახდა, მისმა მწვრთნელმა, ჟღენტმა მთხოვა, ამ სპორტსმენის მაგივრად გამოვსულიყავი. შეთავაზებაზე უარი არ მითქვამს და ტურნირზე ძალოსნობაში ბრინჯაოს მედალი მოვიგე. სხვათა შორის, ჩემი თაობის მოჭიდავეებისთვის სპორტის სხვა სახეობაში პარალელურად ვარჯიში უცხო არ გახლდათ. მაგალითად, იოჰანეს კოტკასი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო ეროს ტყორცნაში, ხოლო სერგეი პრეობრაჟენსკიმ ნიჩბოსნობაში მიაღწია იმავე წარმატებას.

## „ამურის ტრიალი“ და მსაჯისგან დაჩაგრული ჩიხლაძე

— ყველა ბავშვის მსგავსად, დედაჩემს სულ ვეკითხებოდი, თუ საიდან გავჩნდი. მას არ აუხსნია, რომ ჯერ ცხრა თვე მუცლით მატარა და შემდეგ დავიბადე. უბრალოდ, მითხრა: წვიმა წამოვიდა და სიყვარულის ანგელოზები — ამურები დაფრინავდნენო, ერთ-ერთი ამოვირჩიე, რომელიც შენ აღმოჩნდი და ამური დაგარქვიო. ამის გამო, ბავშვობიდან მეტსახელად ამურის მეძახიან. სწორედ ჩემს პატივსაცემად ჰქვია ერთ-ერთ საჭიდაო ილეთს „ამურის ტრიალი“, რადგან ის პირველად მე გამოვიყენე. მისი არსი ის გახლდათ, რომ ჩოქბჯენში, ფეხით ვაკეთებდი ბრუნს და მეტოქეს „ხიდზე“ ვაყენებდი, რის შემდეგაც, ამ უკანასკნელს ხალიჩაზე ან ბეჭებს დავადებინებდი, ან მინიმუმ ორ ქულას ავართმევდი, რაც ჭიდაობაში ცოტას როდი ნიშნავს. ამ ილეთით, ვარჯიშზე ჩემზე უფრო მძიმე წონის ათლეტები წამიქცევია, მხოლოდ შალვა ჩიხლაძეს ვერ ვუხერხებდი ვერაფერს. შალვა კლასიკური სტილით მოჭიდავე იყო და ამიტომ, „ამურის ტრიალისგან“ თავის დაცვა უჭირდა, მაგრამ ფიზიკურად იმდენად ძლიერი გახლდათ, რომ ადგილიდან ვერ ვძრავდი. ის უნიკალურ მოჭიდავეთა რიგს მიეკუთვნებოდა, რადგან საბჭოთა კავშირის ჩემპიონი პირველად, 1936 წელს გახდა, მეოთხედ კი — 1950 წელს. 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიადის წინ, ჩიხლაძე 44 წლის გახლდათ, მაგრამ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა გუნდში მაინც შეიყვანეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შალვას ბავშვობაში, დაუშავდა მარცხენა ხელი, რომელსაც ბოლომდე ვერ შლიდა, მაგრამ ამის მიუხედავად, საჭიდაო ხალიჩაზე ტოლს



ჭიდაობის პარალელურად, კრივში ვვარჯიშობდი, ასევე მივდევდი ცურვასა და ძალოსნობას

არავის უდებდა. ჰელსინკში ის ფინელ კელპო გრენდალს შეხვდა, რომელსაც აშკარად სჯობდა, მაგრამ მსაჯმა ორთაბრძოლა 6-ჯერ გააჩერა, თითქოს იმის გამო, რომ ქართველი არასწორად აკეთებდა ილეთს და მეტოქეს ახრჩობდა. საბოლოოდ, გამარჯვება ფინელს მიანიჭეს, ხოლო ჩიხლაძე ვერცხლის მედალს დასჯერდა.

## გამარჯვება „ყურში ჩურჩულით“

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონი პირველად, 1945 წელს გავხდი. მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელი ჩემთვის 1950 წლის ასპარეზობა გახლდათ, როდესაც ზედიზედ მეხუთედ დავიცავი ტიტული. მაშინ შეჯიბრება ტულაში ტარდებოდა და როცა პირველი ორთაბრძოლა მოვიგე, ცხელი შხაპი მივიღე, რადგან წინასწარი ინფორმაციით, საღამომდე, ხალიჩაზე აღარ უნდა გამოვსულიყავი. მაგრამ მოულოდნელად, 15-20 წუთში ისევ საჭიდაოდ მიხმეს და ვინაიდან წყლისგან მოთენთილი ვიყავი, რის გამოც ხელები არ მემორჩილებოდა, სერგეი პრეობრაჟენსკისთან ორთაბრძოლისას დავმარცხდი. გადამწყვეტი შეხვედრის წინ, რომელიც როსტოველ ლიოვა ხანტემირიანთან უნდა ჩამეტარებინა, 5 საჯარიმო ქულა დამიგროვდა, პრეობრაჟენსკის — ოთხი. ხანტემირიანს სუფთად თუ ვერ მოვუგებდი, ჩემპიონი პრეობრაჟენსკი გახდებოდა, როსტოველს კი, ვერცხლის მედალი შეხვდებოდა. სხვათა შორის, ორივე მათგანი, პირველ-მეორე ადგილს უკვე წინასწარ ინაწილებდა. ჭიდაობის დაწყებამდე, ხანტემირიანთან მივედი და ვუთხარი — მეშვიდე წუთზე, ლეიბზე ბეჭებით გაგაკრავ-მეთქი... ჩემმა სიტყვებმა ის საკმაოდ გააღიზიანა, მაგრამ მეტოქეს კიდევ გავუმეორე, რომ სუფთად დავამარცხებდი. მართლაც, ორთაბრძოლის პირველი წამიდანვე, ხანტემირიანს ორივე ხელი დავუჭირე და ექვსი წუთის განმავლობაში მან თავი ვერაფრით დამაღწია. მეშვიდე წუთზე, მისი ჩოქბჯენში გადაყვანა შევძელი, რის შემდეგაც, „ხიდზე“ დავაყენე და ყურში ჩავჩურჩულე: ხომ გითხარი, მეშვიდე წუთზე ბეჭებით გაგაკრავ-მეთქი. ამის თქმა იყო და ხანტემირიანს ორივე ბეჭი ლეიბზე დავადებინე... მსაჯებმა სუფთა გამარჯვება მომანიჭეს და ქვეყნის ჩემპიონი მეხუთედ გავხდი. სხვათა შორის, ლიოვას პირველად, 1942 წელს შევხვდი. მაშინ, ფოთის ნავსადგურში შემოვიდა გემი — „პარიზის კომუნა“ და გადაწყვიტეს, მეზღვაურებისთვის ჭიდაობა ეჩვენებინათ. ხალიჩა პირდაპირ გემბანზე გაშალეს. შერკინება ორი წუთის დაწყებული იყო, როცა ხანტემირიანმა „ხიდზე“ დამაყენა. ის 18 წუთის მანძილზე ცდილობდა, ბეჭებით ხალიჩაზე გავეკარი, მაგრამ — არაფერი გამოუვიდა. ამის შემხედვარე, ყველა მეზღვაური მე მქომაგობდა.

## პირველი „ქართული“ ოლიმპიური ოქრო

— 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადისთვის მოჭიდავეთა ნაკრების დაკომპლექტების დროს, საშუალო წონაში კონკურენტი არ მყავდა. იმ დროისთვის, უკვე საბჭოთა კავშირის შვიდგზის ჩემპიონი ვიყავი და გუნდის მწვრთნელებს ოქროს მედლის რეალურ კანდიდატად მივაჩნდი. მაგრამ პირველი ორთაბრძოლა ქულებით წავაგე შვედ ბენგტ ლინდბლადთან, რომელიც აშკარად გამირბოდა, მაგრამ მსაჯებმა რატომღაც, გამარჯვება მას მიანიჭეს. ჩემპიონობის მოპოვების შანსი რომ შემენარჩუნებინა, მომდევნო ორი მეტოქე — ამერიკელი დან ჰოჯი და ეგვიპტელი მოჰამედ ჰუსეინი სუფთად უნდა დამემარცხებინა. ლინდბლადთან წაგების შემდეგ, ჩემთან გასახდელში შემოვიდა არსენ მეკოკიშვილი, რომელიც შეეცადა, დავემშვიდებინე. ვუთხარი: არსენ, ცუდ გუნებაზე ნუ ხარ. მე ჩემპიონი გავხდები, ოღონდ, რამდენიმე მეტოქე ბეჭებზე უნდა დავაწვინო-მეთქი. თავის დროზე, ჰოჯი,

რეკორდსმენი გახლდათ ამერიკელებს შორის, რადგან ზედიზედ თითქმის ასი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული. ის ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი იყო და პირველსავე წუთებიდან შემომიტია, რამაც შედეგი მოუტანა — 4:1-ს მამარცხებდა. მაგრამ ერთ-ერთ ეპიზოდში, ჩოქბჯენში რომ ვიმყოფებოდი, ჯერ ხელში ხელის ჩავლების საშუალება მომცა, შემდეგ — ფეხის „ჩახვევის,“ რითაც კარგად ვისარგებლე და ამერიკელი მაშინვე ქვეშ მოვიქციე. ინგლისელმა არბიტრმა უმალვე ჩასტვინა და მანიშნა, მეტოქისთვის ხელი გამეშვა, რაც არ გავაკეთე და ჰოჯმა სახეში დამარტყა. მისთვის დარტყმითვე რომ მეპასუხა, შეიძლება, ჩემთვის სუფთა გამარჯვება არ ჩაეთვალათ. ამიტომ ვიეშმაკე და დავიხარე — ვითომ გახარებულს, საკუთარი ხელისთვის უნდა მეკოცნა ამის მაგივრად კი ამერიკელს ცხვირპირი დავუჭყლიტე. აქვე გეტყვით, რომ ილეთი, რომლითაც ჰოჯი დავამარცხე, მანამდე, შეჯიბრებისას არასოდეს გამომიყენებია, რადგან იგი ვარჯიშზეც კი არ გამომდიოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში, გამიმართლა. სხვათა შორის, 4 წლის შემდეგ, მელბურნის ოლიმპიადაზე ამერიკელმა ვერცხლის მედალი აიღო და ამან ისე გააბრაზა, რომ ჭიდაობას თავი დაანება. მერე კრივს მიჰყო ხელი და ამერიკის ჩემპიონობის გარდა, „ოქროს ხელთათმანის“ ტურნირი მოიგო, რისთვისაც პრიზის სახით, 100.000 დოლარი გადასცეს. ეგვიპტელ ჰუსეინს ასევე სუფთად მოვუგე, ხოლო უნგრელ გურიჩს — ქულებით და ფინალში ირანელ გოლამ რეზა ტახტის შევხვდი, რომელმაც ერთი წლით ადრე, მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიგო. ირანელი ყველაზე ძლიერი მოჭიდავე იყო, რომელიც ოდესმე შემხვედრია და ვიცოდი, რომ მისი წაქცევა დიდ სირთულეს წარმოადგენდა. ტახტი რამით უნდა გამეკვირვებინა და როგორც კი ორთაბრძოლა დაიწყო, მაშინვე მკლავში ვწვდი — ვითომ ცაციათი მარჯვენა ფეხში სარმა უნდა გამომედო. ამით ძალიან გავრისკე, რადგან ირანელს შეეძლო, თავისუფალი ხელით ჩემი ფეხი დაეჭირა და წავექციე, მაგრამ მან თავი დაიცვა, რითაც კარგად ვისარგებლე და ორი ქულა ავართვი. ამის შემდეგ ჭიდაობა ორმხრივ შეტევებში გაგრძელდა და ორჯერ, — „ამურის ტრიალიც“ ჩავუტარე, მაგრამ ფიზიკურად იმდენად კარგად იყო მომზადებული, ბეჭები ვერ დავადებინე. საბოლოოდ, ქულებით გავიმარჯვე და პირველი ქართველი გავხდი, რომელმაც ოლიმპიური ოქრო მოიგო. ასევე პირველი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე საბჭოთა სპორტსმენებს შორის, ვისაც ასეთი წარმატება ხვდა წილად. რაც შეეხება ტახტის, მან შემდგომში, ორჯერ მოიგო ოლიმპიადა და სამჯერ — მსოფლიო ჩემპიონატი. ის პოპულარობით ირანის ყოფილ შაჰს — მოჰამედ რეზა ფეჰლევსაც კი სჯაბნიდა და ორივე მათგანი ერთად სადმე რომ გამოჩნდებოდა, ხალხი გაიძახოდა — „ტახტი, ტახტი!“ — რაც შაჰს საკმაოდ აღიზიანებდა.

## ათი ბოთლი ღვინის დამლევი

— სანამ აქტიური სპორტსმენი ვიყავი, ღვინოს ზომიერად ვსვამდი, ხოლო არაყს საერთოდ არ ვეკარებოდი. არ დავმალავ და გეტყვით, რომ ნასვამს ავტომანქანაც მიტარებია, მაგრამ მოძრაობის წესები არ დამირღვევია. სასმელს ყოველთვის კარგად ვიტანდი და ჭიდაობისთვის თავი დანებებული მქონდა, როცა მე, გივი კარტოზიამ, სიმონიკა სხირტლაძემ, კუკური ჟღენტმა და რეზო ლაღიძემ 10-10 ბოთლი ღვინო დავლიეთ. შეიძლება, არ დაიჯეროთ, რომ ლაღიძე 12 ბოთლ შამპანურს სვამდა, თან ისე, რომ სასმელს „გაზის“ გასვლას არ აცლიდა. მისგან განსხვავებით, მე „გაზგასული“ შამპანური მიყვარდა და 8 ბოთლიც დამილევია. ამის გამო, კუკური ჟღენტი დამცინოდა კიდეც — შამპანურს კი არა, კომპოტს სვამო... მიუხედავად იმისა, რომ 80 წლის ვარ, ქეიფის დროს, ორი ბოთლი ღვინის დალევა ახლაც შემიძლია. საერთოდ, მოჭიდავეებს შორის ყველაზე ცნობილი მსმელი, სანდრო კანდელაკი იყო. ერთხელ, მის თანასოფლელს ხარები ურმიანად ტალახში ჩაჰფლობია და ამ ამბავს სანდრო შესწრებია. ცნობილ ფალავანს უთქვამს — ოღონდ ღვინო დამალევინეთ და ამათი ამოყვანა ჩემზე იყოსო. მართლაც, მიუტანიათ ღვინო კანდელაკისთვის, რომელსაც ფუთიანი ჭურჭელი დაუცლია და წამოუძახია — აგაშენა ღმერთმა, ახლა კარგად ვარო. ამის შემდეგ, სანდროს, დაპირებისამებრ, ხარები ურმიანად ტალახიდან ამოუყვანია...

## როგორ დაემუქრა მილიციელი ჯარტოზიას

— ჩემთვის ჭიდაობაში იდეალი, გივი კარტოზია გახლდათ, რომელიც შესანიშნავი სპორტსმენი და ადამიანი იყო. მეგობრებს ყოველთვის ეხმარებოდა და ბევრი ახალგაზრდა, რომელიც „ქუჩისკენ იყურებოდა“, ჭიდაობაში ჩააბა. შემდეგ, ისინი საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორები გახდნენ. ერთხელ კარტოზიას, რომელიც ნასვამი იყო, მილიციელთან შელაპარაკება მოუვიდა და მას ხელიც კი დაარტყა. თავის მხრივ, სამართალდამცავიც მთვრალი აღმოჩნდა და გივის ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღი დაუმიზნა. კიდევ კარგი, ამ დროს, ავტომანქანით გავიარე და ეს რომ დავინახე, მაშინვე მილიციელს ხელში ვწვდი. მას კარტოზია ვერ უცნია და რომ ვუთხარი ოლიმპიურ და სამგზის მსოფლიო ჩემპიონს უღერებდა იარაღს — მაშინვე გამოფხიზლდა. ბოლოს და ბოლოს, ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა.

## ნიჭიერი ჯაცის ტრაგიკული აღსასრული

— ვლადიმერ რუბაშვილს უდიდესი სპორტული მონაცემები ჰქონდა. ის ძალზე ახალგაზრდა იყო, როდესაც მსოფლიო ჩემპიონობა და რომის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალი მოიგო. დარწმუნებული ვარ,



„საბოლოოდ, ქულებით გავიმარჯვე და პირველი ქართველი გავხდი, რომელმაც ოლიმპიური ოქრო მოიგო

რუბაშვილი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი რამდენჯერმე გახდებოდა, ნაადრევად რომ არ დაღუპულიყო. რუბაშვილს ძალიან უყვარდა ავტომანქანა, რის გამოც, სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა. შოთა ლომიძესთან ვიყავით დაპატიჟებული, როდესაც მან ერთ-ერთი ჩვენი მეგობრის ავტომობილი უკითხავად წაიყვანა, რათა ქალაქში გაესეირნა. ვოვა გამოცდილი მძღოლი არ გახლდათ, მან ავტოავარია მოახდინა, რომელსაც თავადაც შეეწირა და სხვა მანქანაში მსხდომი 3 ადამიანიც იმსხვერპლა. თავის დროზე, რუბაშვილთან ჭიდაობამ ერთი თბილისელი ათლეტი იმსხვერპლა: ვოვამ მას ილეთი ჩაუტარა და უნებლიეთ, კისრის მალა გაუტეხა...

## „პიროვნების კულტს“ შეწირული მეკოკიშვილი

— 1956 წელს, მელბურნის ოლიმპიური თამაშების წინ, არსენ მეკოკიშვილი მძიმე წონაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის, საბჭოთა კავშირის ნაკრების უპირობო ლიდერი გახლდათ. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში, ნიკიტა ხრუშჩოვმა ბრძოლა გამოუცხადა სტალინის „პიროვნების კულტს“ და მისი მოღვაწეობა დაგმო. მაშინ, ქვეყნის ნაკრებში „პოლიტხელად“ (*პოლიტიკურ ხელმძღვანელად. — ავტ.*) რუსი ძალოსანი ვოროგბიოვი დანიშნეს, რომელმაც სტალინი მოჭიდავეთა თვალწინ გალანძღა. ამის გაგონებაზე მეკოკიშვილმა მას უთხრა — შე წვინტლიანო, ვის ლანძღავო?! — და ისეთი დაარტყა, რომ კიბეზე დააგორა... ტაშკენტში მედიცინის მეცნიერებათა სანატორიუმში, სადაც შეკრებას გავდიოდით, ლენინის ძეგლი იდგა, რომელსაც გაბრაზებულმა არსენმა ღამით მუშტის დარტყმით თავი მოამტვრია. ნაკრების ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ ეს მეკოკიშვილის ჩადენილი იყო და იგი ავსტრალიაში აღარ წაიყვანეს. არადა მისმა შემცვლელმა ოლიმპიადაზე მე-7 ადგილი დაიკავა, როდესაც არსენი ოქროს მედლის მოგების რეალური კანდიდატი გახლდათ. ■

# განახლებული Mercedes-Benz S-Class

გერმანულმა ტიუნინგ-კომპანიამ — Carlsson — სედანის — Mercedes-Benz S-Class — გასაახლებლად მასშტაბური პროგრამა წარმოადგინა. სპორტპაკეტს Aigner CK65 RS Blanchimont ეწოდა და იგი ძარას ორფრად შეღებვას, აეროდინამიკის გაუმჯობესებას, მულტიმედიური სისტემისა და სხვა ტექნიკურ მოდერნიზაციას ითვალისწინებს. ატელიეს სპეციალისტებმა 5,5-ლიტრიანი, 12-ცილინდრიანი მოტორის სიმძლავრე 705 ცხ.ძ-მდე გაზარდეს. ამას ძრავას მართვის ახალი ბლოკის დაყენებით მიაღწიეს, რომელსაც დაქოქვის, შემშვები და გამომშვები სისტემების ცვლის სპეციალური პროგრამა აქვს. Carlsson-ის წარმომადგენელთა განცხადებით, 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება სედანს 3,9 წამში შეუძლია. მისი მაქსიმალური სიჩქარე კი, უსაფრთხოების გათვალისწინებით, 320 კმ/სთ-ია. ტიუნინგირებულ Mercedes S-Class Dunlop SP Sport Maxx-საბურავებიანი, საფირმო 21-დუიმიანი ბორბლების დისკები დაუყენეს. მანქანის ინტერიერში თვალში საცემია მძლავრი მულტიმედიური სისტემა Alpine, Focal-ის აკუსტიკით, წინა სავარძლების საზურგეებზე დამონტაჟებული პატარა მაგიდები, 7-დუიმიანი და 15-დუიმიანი ეკრანები. ასევე, ასეთ ავტომობილებს ინტერნეტში შესვლის სპეციალური სისტემა დაუმონტაჟეს, რომელსაც გამტარები არ სჭირდება. გერმანიაში ეს მანქანები 464 ათას ევროზე მეტი ეღირება. ■

## სპორტავტო „ნისანის“ პლატფორმაზე

ფრანგული მარკის — Alpine — სპორტული ავტომობილი — 370 იაპონური კომპანიის — Nissan — პლატფორმაზე აიწყობა. შეგახსენებთ, პლატფორმა გამოყენებულია კუპეზე — Infiniti . იგი საფუძვლად უდევს Nissan 370Z-ს, რომლის პრემიერაც მიმდინარე წლის ნოემბერში, ლოს-ანჯელესის ავტოშოუზე შედგება. 2008 წლის ივნისში კომპანია Renault-მა, რომლის შემადგენლობაშიც შედის Alpine, ოფიციალურად განაცხადა, რომ სპორტულ მანქანაზე მუშაობას კვლავ აპირებს. უკანაამძრავიან Alpine A370-ს Renault-ის ტურბინირებული მოტორი დაუყენდება, რომელიც შასის უკანა ან შუა ნაწილში განთავსდება. წინასწარი მონაცემებით სპორტავტო გაყიდვაში 2010 წლიდან გამოჩნდება. აღსანიშნავია ისიც, რომ მარკის — A610 — ბოლო ავტომობილი დეპეში მდებარე ქარხნის კონვეიერიდან 14 წლის წინ გამოვიდა. მას შემდეგ, ამ ავტოამწყობ წარმოებაში Renaultsport მოდელების — Clio, Megane და Twingo — სხვადასხვა ვერსიას აწყობს. ■

## წყალბადზე მომუშავე „ნისანმა“ რეკორდი დაამყარა

წყალბადზე მომუშავე კონცეპტ-ავტომ — Nissan X-Trail FCV — ნიურბურგრინგის „ჩრდილო მარყუჟის“ გავლისას რეკორდი დაამყარა. პროტოტიპმა, რომელსაც მრბოლელი — ფრანკ ეიკჰოლტი მართავდა, ტრასა 11 წუთსა და 58 წამში გაიარა და ამ ტიპის მანქანებს შორის რეკორდი დაამყარა. ეიკჰოლტის თქმით, ტრასის კიდევ უფრო სწრაფად გავლაში მას ცუდმა ამინდმა შეუშალა ხელი და რომ არა ეს დაბრკოლება, „ჩრდილო მარყუჟის“ გავლა 30-40 წამით ნაკლებ დროშიც იქნებოდა შესაძლებელი. კონცეპტ-ავტო 120 ცხ.ძ. სიმძლავრის ელმოტორითაა აღჭურვილი, რომლისთვისაც ენერგიაც სპეციალური მოწყობილობით გამომუშავდება. ამ დანადგარში წყალბადსა და ჟანგბადს შორის ქიმიური რეაქცია მიმდინარეობს. ასეთი სისტემის მქონე მანქანები ეკოლოგიურად სუფთაა, რადგან გამონაბოლქვის სახით წყალს გამოყოფენ. შეგახსენებთ, რომ ამჟამად Nissan X-Trail FCV ჯერ კიდევ დამუშავების სტადიაშია (ეს პროცესი უკვე 2 წელია, გრძელდება). ამჟამად, იაპონურ კომპანიაში ავტომობილის გამძლეობის ხარისხის გაზრდასა და ფასის შემცირებაზე მუშაობენ. „ნისანში“ იმედოვნებენ, რომ წყალბადზე მომუშავე მანქანის სერიული წარმოება 2015 წლიდან დაიწყება. ■


 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | I სეზ. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. МК-МОБИЛЬ | 1.70 | 20.3 |
| 2. АВТОМОБИЛИ | 8.40 | 50.4 |
| 3. АВТОСЕРВИС | 73.85 | 443.1 |
| 4. АВТОМАГАЗИН | 3.75 | 22.3 |
| 5. АВТОШКОЛА ПРОФИ | 63.70 | 191.0 |
| 6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ | 82.80 | 496.6 |
| 7. АВТОПАНОРАМА | 8.55 | 51.2 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
საagენტო
ELVA

ქ. თბილისი
თოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com


## „ჰონდას“ კომპაქტვენი

მიმდინარე წლის ნოემბერში ევროპის ბაზარზე კომპაქტვენის — Honda Jazz — გაყიდვა დაიწყება. ავტომობილს მოდერნიზებული გარეგნობა აქვს, რომელიც მოდელების — Civic და Accord — სტილშია შესრულებული. აღსანიშნავია, რომ ამ მანქანის სიგრძე 55 მმ-ით ანუ 3,9 მეტრამდე გაიზარდა, ხოლო სიგანე — 20 მმ-ით (1,7 მეტრამდე). ავტომობილის სიმაღლე უცვლელი დარჩა. ყოველივე ამის შედეგად, Honda Jazz-ის სივრცე გაიზარდა, რაც უკან მსხდომ მგზავრებს მეტ კომფორტს შეუქმნის. გარდა ამისა, საბარგულის მოცულობა 380-დან 399 მმ-მდე გაფართოვდა, რადგან საწვავის ავზი ძარას უკანა ნაწილიდან წინა სავარძლების ქვეშ გადაიტანეს. განახლებულ Jazz-ში უკანა სავარძლები ერთმანეთისგან განცალკევებულია. ამიტომაც, მათი ერთიმეორისგან დამოუკიდებლად დაკეცვა ან საერთოდ, ამოღებაა შესაძლებელი. ევროპაში Honda Jazz-ის განახლებული ვერსია ორგვარი ბენზინის მოტორით გაიყიდება. 1,2 ლ მოცულობის ძრავა 12 ცხ.ძ-ით უფრო მძლავრი გახდა (78-დან 90 ცხ.ძ-მდე), ხოლო 1,4-ლიტრიანი აგრეგატი — 17 ცხ.ძ-ით გაიზარდა (83-დან 100 ცხ. ძ-მდე). რობოტიზებული სიჩქარის გადაცემათა კოლოფის მქონე, 100 ცხ.ძ. სიმძლავრის Jazz-I 100 კმ მანძილზე მხოლოდ 5,1 ლ საწვავს ხარჯავს. გერმანიაში ავტომობილის — Honda Jazz — ახალი თაობა ნოემბერში გამოჩნდება, ხოლო მისი დებიუტი ერთი თვით ადრე, პარიზის ავტოსალონზე შედგება. ■

1 გოგრის სახეობა
2 აბეზარი ფოტოგრაფი
3 მიწის თხილი
4 ავტომობილის ძრას ტიპი
5 ესპანელი ჩოგბურთელი
6 ჩვენთან ახლოს
7 გულუ-ბრყვილო
8 სისხლის სამართლის დანაშაული
9 თმის მოცილება
10 პატარა ტანის
11 ნადირობა აფრიკაში
12 აცეტილ-სალიცინის მეკავა
13 ფ. ბერძნი ფილოსოფოსი
14 დაბა სვანეთში
15 „ფოლკს-ვაგენის“ მოდელი
16 ამერიკელი კინორეჟისორი
17 საჭიდაო ხალიჩა
18 ყველაფ-რისადმი უინტერესობა
19 ვაჟ-ფშაველას პოემა
20 ჭიდობის საერთაშორისო ფედერაცია
21 ცურვის სტილი
22 რვაკაციანი ანსამბლი
23 ქვირითის ყრა
24 ტროპიკუ-ლი ხიდი
25 ქვეყანა აფრიკაში
26 პატარა სარწყავი არხი
27 ვაზის ჯიში
28 სპორტული შეჯიბრების მსაჯი
29 ვირტუოზი მევიოლინე ვანესა ...
30 ამერიკელთა მეტსახელი მექსიკაში
31 მამლების ჩხუბი
32 მოფერება
33 ფ. ინგლისური ოქროს ფული
34 კატისებრთა ოჯახის მტაცებელი
35 სახელმწიფო წყობილების ფორმა
36 წარწერიანი ქვის ფილა
37 ძალა, ღონე
38 თვლემა
39 ეთიოპიის ფ. სახელწოდება

**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ფიუზელაჟი; 2. ხუნდი; 3. ზვარაკი; 4. ესქილე; 5. სამოა; 6. რედაქტორი; 7. ტლანქი; 8. ბია; 9. იოკაი; 10. გვირილა; 11. კენკრა; 12. კალიარი; 13. არაკი; 14. ბიონიკა; 15. ნაჯახი; 16. იკარუსი; 17. არა; 18. ქავი; 19. ფიესტა; 20. ჩილე; 21. თრია; 22. ფანჯარა; 23. კაფე; 24. ჩელსი; 25. დეფისი; 26. არი; 27. იდილია; 28. ტევრი; 29. დესერტი; 30. ალასკა; 31. ფიურერი; 32. ფსიქიკა; 33. ნუგა; 34. ფიდელიო; 35. ნიკაპი; 36. კვიპროსი; 37. რუბლი; 38. სუნა; 39. ლუ; 40. ლოტუსი; 41. ცა.

**სურათებზე:** ფერგი, ენრიკე იგლესიასი.

# რამდენად სამართლიანად გაქვთ გადანაწილებული საოჯახო საქმეები?

*ქალების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ საზოგადოება უფრო მეტს მოითხოვს მათგან, ვიდრე მამაკაცებისაგან. ზოგიერთი მამაკაცი კი მიიჩნევს, რომ საოჯახო საქმეებზე ზრუნვა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. ზოგიერთები კი ამტკიცებენ, რომ ქალები არ ინტერესდებიან საკუთარი მეუღლეების საქმიანობით და არ ესმით, რატომ ბრუნდებიან ისინი შინ საღამოობით ასეთი დაღლილ-დაქანცულები. უამრავ ოჯახში დავის საგანს წარმოადგენს ის, თუ ვის უფრო მეტი წვლილი მიუძღვის ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვაში.*

**ყოველ შეკითხვაში, რომელსაც თქვენ გულწრფელად შეგიძლიათ უპასუხოთ „კი“ დაიწერეთ 1 ქულა, დანარჩენ შემთხვევაში — 0 ქულა.**

1. როგორ ფიქრობთ, თქვენ უფრო დაძაბული ცხოვრების რიტმი გაქვთ თუ თქვენს მეუღლეს?
2. ვინ უფრო მეტად ზრუნავს შვილებზე?
3. რომელ თქვენგანს უფრო ხშირად მიმართავენ ბავშვები თავიანთი პრობლემების გადასაჭრელად?
4. რომელი თქვენგანი უფრო ხშირად დადის მშობელთა კრებაზე სკოლაში?
5. ამა თუ იმ დღესასწაულის დროს, ვინ ახდენს საბავშვო ზეიმების ორგანიზებას საბავშვო ბაღში, სკოლასა თუ სახლში?
6. რომელი თქვენგანი უფრო ხშირად ინტერესდება ბავშვთა აღზრდის საკითხებზე არსებული ლიტერატურით?
7. რომელი თქვენგანი ბრუნდება სამსახურიდან შინ უფრო გვიან?
8. თქვენს ოჯახში ვის მხრებზე გადადის მძიმე ფიზიკური სამუშაო?
9. რომელი თქვენგანი უფრო მიდრეკილია სტრესის, მელანქოლიისა და აპათიისაკენ?
10. ვის უფრო მძიმე სამუშაო აქვს?
11. რომელი თქვენგანის სამსახური მდებარეობს თქვენი სახლიდან უფრო მოშორებით?
12. ვინ უფრო მეტად ზრუნავს ოჯახზე?
13. რომელი თქვენგანია უფრო ფიცხი?
14. ვინ ასრულებს ისეთ საოჯახო საქმეებს, რომლებიც გულისყურის განსაკუთრებულ დაძაბვას მოითხოვს მუშაობისას?
15. რომელი თქვენგანი უფრო მეტს ლაპარაკობს?
16. ვინ უფრო ხშირად დადის მაღაზიაში პროდუქტების შესაძენად?
17. ოჯახში ვინ ქსოვს და კერავს?
18. ვინ რეცხავს?
19. ვინ ალაგებს სახლს?
20. ვინ ასრულებს სახლში წვრილმან სარემონტო სამუშაოებს?
21. ძირითადად, ვინ ინარჩუნებს კონტაქტებს მეზობელ-მეგობრებთან?
22. ვინ ინარჩუნებს ურთიერთობას ნათესავებთან?
23. ვინ სწერს წერილებს ახლობლებს ოჯახის სახელით?
24. ვინ იხდის სინათლის, გაზისა თუ სხვა გადასახადებს, ვინ იწერს (ყიდულობს) პრესას?
25. ვინ აპურებს ძაღლს, კატასა თუ თევზებს?
26. ვინ უვლის აგარაკზე ბოსტანს ან შინ ოთახის ყვავილებს?
27. თუკი შვებულებას არ მივიღებთ მხედველობაში, რომელ თქვენგანს უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვს?
28. ვინ უფრო მეტ დროს უთმობს ბავშვების მეცადინეობას?
29. ვინ გეგმავს ოჯახის ბიუჯეტს?
30. ვინ გეგმავს სად და როგორ უნდა გაატარონ ოჯახის წევრებმა თავისუფალი დრო და ამ საკითხში ვის ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა?

## ტესტის შედეგები

**27 და უფრო მეტი ქულა:** თქვენს ოჯახში საქმეების იდეალურ და სამართლიანად გადანაწილებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სასურველი იქნება, თუკი მშვიდ ატმოსფეროში ერთობლივად განიხილავთ ყოველი თქვენგანის მიერ ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვაში შეტანილ წვლილს და ამის შემდეგ, უფრო თანასწორად და სამართლიანად გადაინაწილებთ საზრუნავს.

**13-26 ქულა:** ამ საკითხთან დაკავშირებით, თქვენს ოჯახში განგაშის საფუძველი არ არსებობს. თქვენ ხალისით ეხმარებით ერთმანეთს და ეს საკმაოდ გიმსუბუქებთ ოჯახის მძიმე ჭაპანის გაწევას. გირჩევთ, ამავე სულისკვეთებით გააგრძელოთ ცხოვრება და თქვენს ცოლქმრულ ცხოვრებას არაფერი დაემუქრება.

**12 და უფრო ნაკლები ქულა:** შესაძლოა, თქვენ გეჩვენებათ, რომ ოჯახში მოვალეობები თანაბრადაა გადანაწილებული, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ თქვენს მეუღლეს ამ საკითხთან დაკავშირებით, სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვს. ეს კი შესაძლოა, ურთიერთგანაწყენების საბაბად იქცეს. ასე რომ, გირჩევთ, უფრო ობიექტურად შეხედოთ სინამდვილეს და საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე უფრო მეტად იზრუნოთ.



MK MK

# ჰოროსკოპი

## (14 - 20 აგვისტო)

### ვერძი:

ნებისმიერ საქმეში ინიციატივა გამოიჩინეთ. კარგი დროა უცხოელებთან საქმიანი კავშირის დასამყარებლად. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. უქმე დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

### ხარი:

ერიდეთ სარისკო ქმედებებს, რადგან წარუმატებლობამ შესაძლოა, ხანგრძლივი დეპრესია და ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვიოს. ფარული სიმპათია შესაძლოა, დიდ გრძნობაში გადაიზარდოს.

### ტყუპი:

კარგი დროა ჟურნალისტური საქმიანობისთვის. წარმატებას მოგიტანთ საქმიანი მივლინებები. მთელ დროს რომანტიკულ ურთიერთობებს ნუ დაუთმობთ, თორემ შესაძლოა, ამან საქმეებში შეგიშალოთ ხელი.

### კიბორჩხალა:

ოჯახის წევრები პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებიან. მეგობრული კავშირები ახალ სასიყვარულო ურთიერთობას ჩაუყრის საფუძველს, რომელიც ყველასგან ფარულად განვითარდება.

### ლომი:

შესაძლოა, თავი შეგახსენოთ ძველმა სიყვარულმა. ამ პერიოდში დიდია ბავშვის ჩასახვის ალბათობა. მარტოობა და სიმშვიდე წონასწორობისა და დახარჯული ენერგიის აღდგენაში დაგეხმარებათ.

### ქალწული:

მატერიალური სტაბილურობის მოპოვებასა და სასიყვარულო ურთიერთობის სურვილისამებრ წარმართვაში ინტუიცია დაგეხმარება. უცხოელებთან ურთიერთობამ შესაძლოა, პრობლემები მოგიტანოთ.

### სასწორი:

მატერიალური პრობლემების მოგვარებაში უცხოელი პარტნიორები დაგეხმარებიან. ერიდეთ სარისკო წამოწყებებს. კარგი იქნება, თუ დასასვენებლად საყვარელ ადამიანთან ერთად, საზღვარგარეთ გაემგზავრებით.

### მორიელი:

იმოქმედეთ პრინციპით: ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი. კარგი დროა ახალი ნივთების შესაძენად. სასიყვარულო ურთიერთობებში მოსალოდნელია კონფლიქტი. ეცადეთ, მაქსიმალურად დაისვენოთ.

### მშვილდოსანი:

უამრავი სიახლე გელით. თუ დასასვენებლად მარტო გაემგზავრებით, შესაძლოა, ახალ სასიყვარულო რომანს ჩაუყაროთ საფუძველი, რომელიც მოგვიანებით, ქორწინებით დასრულდება.

### თხის რქა:

საქმის წარმატებით მოსაგვარებლად თავშეკავება და ცივი გონებით მსჯელობა დაგჭირდებათ. ეცადეთ, მგზავრობისას სიფრთხილე გამოიჩინოთ, რადგან დიდია ავარიებისა და ტრავმების ალბათობა.

### მეჩხუბარი:

თქვენი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება. პირადი თუ სასიყვარულო ურთიერთობების მოგვარებისას ნუ აჩქარდებით. შეეცადეთ, ყველა გაუგებრობა ჩხუბისა და აყალმაყალის გარეშე მოაგვაროთ.

### თევზები:

ახალს ნურაფერს წამოიწყებთ და ეცადეთ, მხოლოდ ყოველდღიური საქმეებით შემოიფარგლოთ. კარგი იქნება, თუ უქმე დღეებს მეგობრებთან ერთად გაატარებთ.

## იაპონური სენსაცია სუდოკუ

### წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 5 | 9 | 6 | 4 | 2 | 8 | 3 |
| 4 | 6 | 8 | 2 | 7 | 3 | 5 | 1 | 9 |
| 3 | 2 | 9 | 5 | 8 | 1 | 4 | 7 | 6 |
| 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 2 | 3 | 4 | 8 |
| 8 | 4 | 6 | 3 | 1 | 9 | 7 | 5 | 2 |
| 2 | 5 | 3 | 7 | 4 | 8 | 9 | 6 | 1 |
| 9 | 8 | 4 | 1 | 3 | 5 | 6 | 2 | 7 |
| 5 | 7 | 2 | 8 | 9 | 6 | 1 | 3 | 4 |
| 6 | 3 | 1 | 4 | 2 | 7 | 8 | 9 | 5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 7 | 2 | 4 | 1 | 6 | 5 | 9 |
| 9 | 6 | 5 | 3 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 |
| 2 | 1 | 4 | 9 | 6 | 5 | 8 | 3 | 7 |
| 1 | 2 | 9 | 5 | 3 | 4 | 7 | 6 | 8 |
| 6 | 7 | 3 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 2 |
| 4 | 5 | 8 | 7 | 2 | 6 | 1 | 9 | 3 |
| 7 | 4 | 2 | 6 | 1 | 3 | 9 | 8 | 5 |
| 8 | 9 | 6 | 4 | 5 | 2 | 3 | 7 | 1 |
| 5 | 3 | 1 | 8 | 7 | 9 | 4 | 2 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1 | 7 | 2 | 8 | 4 | 9 | 5 | 3 |
| 8 | 9 | 3 | 1 | 5 | 6 | 4 | 2 | 7 |
| 2 | 4 | 5 | 7 | 3 | 9 | 8 | 1 | 6 |
| 4 | 8 | 6 | 5 | 9 | 3 | 2 | 7 | 1 |
| 1 | 5 | 2 | 6 | 7 | 8 | 3 | 9 | 4 |
| 3 | 7 | 9 | 4 | 1 | 2 | 5 | 6 | 8 |
| 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 7 | 8 | 9 |
| 9 | 2 | 1 | 8 | 4 | 7 | 6 | 3 | 5 |
| 7 | 3 | 8 | 9 | 6 | 5 | 1 | 4 | 2 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 8 | | | | 2 | 3 |
| | 5 | | 7 | | | 1 | | |
| | | 2 | | 6 | | | | 8 |
| | | 9 | | | 1 | | 8 | |
| | 8 | | 3 | 7 | | | 1 | |
| | 7 | | | 8 | | 3 | | |
| 5 | | | | 4 | | 7 | | |
| | | 4 | | | 7 | | 5 | |
| 6 | 1 | | | | 8 | 2 | | |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | | 6 | 5 | | |
| | 3 | | | 1 | | | | 6 |
| | 5 | | | 4 | | | | |
| 4 | | | 6 | 2 | | | | 9 |
| | | 6 | | 7 | | 3 | | |
| 7 | | | | | 3 | | | 8 |
| | | | | 6 | | | 5 | |
| 3 | | | | 5 | | | 1 | |
| | | 7 | 9 | | | 4 | | |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | | 1 | | 5 | |
| | | | 6 | | | | | 8 |
| | 1 | | | | 7 | | | 2 |
| | 5 | | | | 2 | 7 | | |
| | | 4 | 7 | | | 9 | | |
| | | 1 | 8 | | 9 | | 4 | |
| 8 | | | 9 | | | | 3 | |
| 7 | | | | | 3 | | | |
| | 3 | | 4 | | | 6 | | |

ТЕТЬ РУКИ
ВІД ГРУЗІЇ/
STOP RUSSIAN
AGRES SION!!!

# საბა ◻ SABA

## პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალელი — გურამიშვილი

PASCHAL

ბინები 65 $m^2$ – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 $m^2$
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თვთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში